

კვირის პალიტრა

მგზა

N42 (227) 14/X.-20/X.2004 წელი 60 თ.

1168
2004

პირველად
პრესის ისტორიაში —
გულახდილი მონოლოგი
სახალხო

ყოფილი კანონიერი ქურდის —
სპარტაკ ბურდულაძის აღსარება



ანი ბიუნბერის
ფასი იზრდება?..

თემა — ძნელად აღსაზრდელი გავუვები



პირველი პაემანი
— ბუკა მანაგაძე:

„ალბათ ფიქრობდა,
რომ არ მივიდოდი...“



ზუკა პაპუაშვილი
ყოველი სპექტაკლის შემდეგ
კამათობს

პროსპერდების

უცხოეთში გაყიდვები

ტელევიზია

TV

ტელევიზია

საბავშვო

ტელევიზია



ყველაზე ბასართობი ჟურნალები

მინიატურები	
ალკოჰოლური მტურები რუსულ მედიაზე ანუ „სიყვარული ვინახში-2“	3
ერთი კითხვა	4
საქართველო	
საჩივრებს სააკაშვილის ფოტოებით „მარდების რეჟიმისთვის“ შეახსენებს	6
ტექნოლოგიები	
ახალი ტექნოლოგიური აგენტის აღმოჩენა ქართველები და ამერიკული ბანკოთმარების ჩინური ქალაქი	8
საპატარავლო	
„მამაკაცი ყველაფრით ჩემზე უკეთესი უნდა იყოს“	10
სანიჟო	
„...მერე ვაბ ვენს დიდ ჩანთაში ჩავაქვები და...“	13
განმარტებული დანაშაული	
ცნობილი ოლიგარქის – მირიანაშვილის ბრალდების საქმის გაუმარტებელი დეტალები	14
კრიმინალი	
● ღამის კლუბში ცეკვა მკვლელობით დასრულდა	16
● „მე ხალხს არ ვესროლი“ – ასხაღებს ვიდეოში ჩემი დაფიქსირებული „გვიანდისტი“	17
გემოვნება	
რატომ იგრძობა ანა გიუნტარის ფასი?..	18
ანტიდეპრესანტი	
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოგა ღვალის უბის წიგნაკიდან	20
თემა	
ქნელად აღსაზრდელი ბავშვები	20
აღსარება	
ქურდყოფილის მოგონებები	24
ტესტი	
ერთგული მკითხველი	26
გზავნილები	
„ჩემო სიცოცხლეზე... – რაღაცნაირი, დაბუღული ხმით მითხრა...“	27
ოთხუნე მკობარი	
კავკასიური ნაბაგი – ძალი, რომელიც არ შეგანუხებს	30
გარემო	
როგორ მოვუაროთ ბარაქის (ფულის) ხეს	31
ჯანმრთელობა	
● ვიდეოფსია	32
● მედიცინის სიასლები	33

ქნელად აღსაზრდელი ბავშვები



...თუ მათ იმთავითვე არ მიექცა სათანადო ყურადღება, პრობლემა მეტად მწვავე გახდება და მისი გადაჭრაც გაძნელებულია...

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი, რომელიც ყველა ქნელად აღსაზრდელ ბავშვს ახასიათებს, გარშემო მყოფებთან გართულებული ურთიერთობაა.

20


„ვიფიქრე – იქნებ, კოჭლია ან პრინცი, სომ უნდა გავიხილო-მეთქი?“

„იქ მისვლა ძალიან მრცხვენოდა, მაგრამ მაინც მივედი. ხელში ერთი ცალი ნარცისი ეჭირა. შორიდან რომ დავინახე, შემიცოდა: მოწყენილი იდგა და მელოდებოდა. ალბათ ფიქრობდა, რომ არ მივიდოდი...“



56

ქურდყოფილის მოგონებები




იყო დრო, როდესაც მისი სახელის ხსენება შიშის გარს სცემდა ადამიანებს. დღესდღეობით სპარტაკი ქურდის სახელს აღარ აგარებს და მომეჩვენა, განვლილ ცხოვრებაში ჩადენილ შეცდომებს ნანობს კიდევ და აღიარებს, რომ დაუწერელ ქურდულ კანონებშიც არსებობს ისეთი ნიუანსები, რომელიც მიუღებელია.

24

რატომ იზრდება ანა გიუნტარის ფასი?..

„არც კონკურსში და საერთოდ, არაფერში ჩავრეულვარ. სხვათა შორის, შალვა რამიშვილს ბევრჯერ უთქვამს: ნუ წაიღე გვინი შენი კონსერვატორიით, თორემ, გამოვაცხადებ კონკურსს და 1500 გოგო მოვალ!.. 3000 მოვიდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ შეარჩიეს.“



18

ტაქარი	
რა უნდა ვიცოდეთ საეკლესიო მსწავლებელთან დაკავშირებით	34
ლეკენდა	
„ნინოს წყალგა“ აგებული ეკლესიის გაღვა	35
მსოფრთხი	
ნინო ხმასურიძე: „შიქრებში ჩაფლული ვიქიმი ვინ, თავგადასარსული...“	37
საფუნგურტო მინდვრებზე	40
რომანი	
რუსულან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (ბაბრქელები)	42
პარსკვლავი	
„ბროდვიიგე დაბადებულ“ სპარლქტ იოჰანსონს მონიშულ მამაკაცებთან ურთიერთობა იგიღავს	47
ბომონდი	40
ავტო	49
მომზაურის დღიურები	
მინამი-ბინის სასტუმროში – „ხმანქარისა“ ღა ხევისბერი ბოჩას კიეზაში	50
ღიღოსტატი	
ოქროს მელეები იუბილარისათვის!..	52
მსანიოვი	
თეატრის მტვრით „მონაქული“ გუგა პაპუაშვილი ყოველი სექტემბრის შემდეგ კამათობს	55
პირველი პაემანი	
ბუგა მანაბაძე: „ვიშიქრე – იქნებ, კოჭლია ან პრინცი, სომ უნდა ბავიციონ-მეთქი?“	56
უთამოვავლოვა	
კვირის (18-24 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
სკანოვრი	61
იუმორი	62
ტანტი	
ოქახური კერა თუ კარიერა?	63
ქალეიდოსკოპი	
ჭრელ-ჭრელი ამბები	64

თეატრის მტვრით „მონაქული“ გუგა პაპუაშვილი




„...მინდა გავიხსენო ამბავი, რომელიც ძალიან ძვირად დამიჯდა. ეს მოხდა „თეატრალურ სარდაფში“, „სამგროშიანი ოპერის“ მიმდინარეობისას. პირველი მოქმედების პირველ სცენაში ლოგინი ჩამიგყდა და...“

55

ნინო სოასურიძე: „შიქრებში ჩაფლული ვიქიმი ვინ, თავგადასარსული...“

„ძალიან მძიმე დღეები გადამატანინა და გადაწყვეტილი მქონდა, რომ ცოლად გავყოლოდი. ეს გადაწყვეტილება და მალევე, ლოს-ანჯელესში, თავის ოფისში ნახეს ტყვიით შუბლგახვრეტილი იამადა... მან მარჯუა იამონიაში ძალიან ლამაზი სახლი, რომელიც ჩემი, ალბათ არასდროს იქნება...“



37

„ბროდვიიგე დაბადებულ“ სპარლქტ იოჰანსონს მონიშულ მამაკაცებთან ურთიერთობა იგიღავს




არც ერთი სხვა პოლიეუდელი თუნდაც მეგავარსკვლავის თვალეზი ასე ჭარბად არ აფრქვევს ბედნიერების ნაპერწკლებს. ამის მიზეზი მარტივია: რეჟისორები დიდი ხანია ამბობენ, რომ სკარლექტი თავისი ასაკისთვის შეუფერებლად ჭკვიანია, უფრო მეტიც...

47

მცაცენტოს ისხინქი

„მღურბლზე უცნაურად თმაგაწეწილი და თვალეზამოღამებული დალი ხაჩიძე გამოჩნდა...“

– თმაო?! – ახლა სასტუმრო ოთახშიც უცერემონიოდ შეიჭრა დალი და თავის საყვარელ სავარძელში მოცელიღვივთ ჩაეშვა. – რომელი თმა, გოგო?! იცი, დიდიდან ჩემს სახლში რა ხდებოდა?!“



42

გარეკანზე: გიორგი შორჭულიანის კოლაჟი
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გუგა“ ბამოლის კვირაში მართხვლ. სუთიშაბათობით ბაჭუთი „კვირის პალიტრის“ დამატება
 შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 მეწევერი: მათე კბილაძე
 მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
 ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
 შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „ეკოლოში“

ატეოლოგიური შტურმი რუსულ მედიაზე ანუ „სიყვარულთა ვენახში-2“



მართალი ყოფილა ცხონებული ბებიჩემი, რომ ამბობდა, კარგი მეზობლების ყოლას იღბალი უნდაო... ზოგიერთი მაინც, ისეთი შეგზვდება, თავით რომ მარილი უნაყო, მაინც უმადურიყო. მაგალითად, რით აღარ ვცდილობთ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გულის მოგებას და იქით ვემუდარებით: ნულარ შეწუხდებით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოვლ-პატრონობით, ჩვენ თვითონ მივხვდავთ-თქო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!..

რუსეთი მაინც საინფორმაციო ომს ეწევა ჩვენს წინააღმდეგ და თავს გვეჭრის მსოფლიო მასშტაბით, – ქართველები მილიტარისტები არიან და ტერორისტების ფასიანი ინსტიტუტები აქვთ გახსნილი... ჩვენმა მზეჭაბუკმა ამ ომის მოგების გზასაც მიაგნო და სწორედ იმ ჟურნალისტების მოხიბვლა გადაწყვიტა, კალამში მელანი და პირში ნერწყვი რომ არ უშრებათ საქართველოს ლანძღვით. ამისათვის მან „სოფლის ამიკის“ როლი მოიგო და რუს ჟურნალისტებს შეუთვალა: ჩამოდით ერთი, მარანს დამინჯდეთ, კარგი თვალი გაქვთ თქვენო...



დიდი სჯა-ბაასი გამართულა რუსულ მედიაში. თავიდან, მხოლოდ რამდენიმე მამაკაცს გაურისკავს წამოსვლა, მაგრამ მერე ერთ ქალბატონს უთქვამს: მე ვერაფრით დავრჩები, მაგათი ფილმი მაქვს ნანახი – „სიყვარული ვენახში“ და ვიცი, რაც ხდება რთველზეო. თანაც იმ ფილმის მთავარ გმირ გოგონას მას შემდეგ ძალიან უმართლებს ამ საქმეშიო... ამის თქმის შემდეგ, დელეგაციაში ქალების რიცხვმა საგრძნობლად იმატა...



სტუმრების მიღების სტრატეგია საგანგებოდ დაგეგმა მთავრობამ. პირველი სიურპრიზი აერობორტშივე ელოდათ თანამედროვეობის უდიდესი ქველმოქმედისა და ტელემანგანტის სახით, „სულიკოს საფლავივით“ რომ დაეძებს მთელი KGB და „ვერ უპოვია...“

„ეგო სიატელსტვო სამკნიაზმა“ კანცელარიაშივე მიიღო სტუმრები და ისეთი ენაწყლიანობა გამოავლინა, რომ ჟურნალისტებმა იქვე დაწერეს თითო სტატია საქართველოს დემოკრატიულობასა და მის ჯივარ პრეზიდენტზე. ბოლოს, ქართული ღვინისადმი რუსულმა ინტერესმა მაინც იჩინა თავი და შეკითხვაც დაუსვეს:

– Скажите, господин президент, какое вино лучше – Цинандали или Киндзмараули? – და პრეზიდენტმაც უსტაბამის სიტყვებით უპასუხა: წამო, წამო, ჩავაცეცხლოო, – და სტუმრებს პირდაპირ წინანდალში უკრა თავი...

საჩვენებლად ისეთი ვენახი შეარჩიეს, ყველაზე მეტი მტევანი რომ ესხა და სხვა ვენახებიდან დაკრეფილი მტევნებიც

შეაბეს სკოჩით. ადგილობრივმა გლეხობამ კი ბოლო წლების მანძილზე პირველად იხილა ანთებული ნათურა და შიშით იკითხა, – ბრეჟნევი ხომ არ გაცოცხლებულაო?.. ბანკეტისათვის საჭირო პროდუქტების ნუსხას რომ მოვუსმინე, მივხვდი, ხელფასები და პენსია 1-2 თვით შეგვიჩერდება, მაგრამ არა უშავს: თუ ეს რუსეთთან საინფორმაციო ომს სჭირდება, ვინ ოხერი ამოიღებს ხმას?!

ჭაკამ, ღვინომ, ხინკალმა, მწვადმა და ჩურჩხელამ ისეთი შტურმი მიიტანა სტუმრებზე, რომ ერთმანეთს ასწრებდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სადღეგრძელოს თქმას. ქართული „მრავალჟამიერი“ და რუსული „კატიუშაც“ დილაძდე ისმოდა შუა კახეთში. დამშვიდობებისას კი, თვალცრემლიანმა ჟურნალისტებმა ფიცი დადეს, რომ თვით პუტინიც კი ვერ აიძულებს „დამახინჯებული სიმართლის“ დაწერას.

თუმცა, მაინც მოსალოდნელია, რუსულ პრესაში დაიწეროს, რომ ქართული ჩურჩხელა საშინელებაა, რადგან მასში არსებული ქიმიური ძაფი საერთოდ არ იღეჭება და კუჭიც ცუდად ინელებს. ქართულ მასპინძლობას კი ორი მინუსი აქვს: პირველი, რომ ღვინო ძალიან ცუდია, მეორე კი ის, რომ ამ

ღვინოს ცოტას გასმევენ; და ყველაზე მთავარი: წინანდლის სასახლე მართლაც საოცრებაა, მაგრამ იგი სწორედ რუს სიძეს აუგია ღარიბი სიმამრისათვის...

არა უშავს – „ყორნის გათეთრების“ მცდელობა ხომ წინასწარვე განწირულია კრახისათვის.

P.S. პუტინის სამადლობელი წერილი ქართველ კოლეგას:

– ბატონო პრეზიდენტო, დიდ მადლობას გიხდით რუსი ჟურნალისტების მასპინძლობისთვის! მინდა, თქვენს ინიციატივას მეგობრობითვე ვუპასუხო და მოვიპატიო ქართველი ჟურნალისტები. ბოდიშს გიხდით, რომ ჩვენ ვენახი არა ვვაქვს, ამიტომ მათ ურანის საბაღებზე წავამუშავებთ...

პროვოკატორი

„მანქანების დაბა- გპრით, ავტოსაგზაო შემოსავლები გაიზრდება“

— ქონების გადასახადის შემოღება, მოსახლეობის სერიოზულ შემოფოტებას იწვევს. თქვენი აზრით, რა შესწორება უნდა შევიდეს წარმოდგენილ კანონპროექტში?

ლადო პაპავა, პარლამენტის წევრი:

— მთავრობამ საგადასახადო კოდექსში ჩადო პრინციპი — მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ — ანუ არსენასეული იდეოლოგია. მაგრამ ამ მოდელზე საგადასახადო კოდექსის აგება დაუშვებელია. მდიდარს რაც უფრო მეტს წაართმევ, უფრო ნაკლები სურვილი ექნება, რომ ეს სიმდიდრე დააფიქსიროს; საბოლოო ჯამში, ღარიბისთვის მისაცემი, ნაკლები იქნება. გარდა ამისა, მსგავსი „კომანური“ ინიციატივები მძიმე ტვირთად დააწვება ჩვეულებრივ მოქალაქეებს. არ ვიცი, როგორ დაეხმად აზრი, რომ 100 კვმ-ს ზემოთ არსებული თითოეული მეტრი უნდა დაიბეგროს. მოსახლეობას სოფლადაც და ქალაქადაც ათეულობით წლების წინ აშენებული ბინები აქვს; დღეს მათი უმეტესობა ან უმუშევარია, ან საარსებო მინიმუმს იღებს — საიდან უნდა გადაიხადოს ეს ბეგარა? სახლებს გაუყვდილი თუ ქუჩაში გამოყვრით?... არის მეორე პრობლემაც — რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამ 100 კვმ ფართზე?... 1 და 6-სულიან ოჯახს ერთი და იგივე თანხა უნდა გადაეხადებინათ?... რაც შეეხება მანქანის გადასახადს — როცა ახალ ავტომობილს ბეგრავ, მოსახლეობა იძულებულია, შეიძინოს ძველი, რაც საგზაო შემთხვევების რაოდენობასაც გაზრდის და გარემოსაც მეტად დააბინძურებს; ერთიც და მეორეც ცუდად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე — ვფიქრობ, პარლამენტი ამ საკითხებზე იმსჯელებს და მასში მნიშვნელოვან შესწორებებს შეიტანს. ■

„ევროსაბჭო „თურქი მესხების“ ჩამოსახლებას მოითხოვს“

— სტრასბურგში თქვენი ვიზიტის დროს, კვლავ ნამოქრამ „თურქი მესხებთან“ დაკავშირებული საკითხი. პირველ ეტაპზე, რამდენი მათგანის ჩამოსახლებაზეა საუბარი?

ელენე თევდორაძე, პარლამენტის წევრი:

— ევროსაბჭო დაჟინებით მოითხოვს, რომ შევასრულოთ ჩვენ მიერ აღებული ვალდებულება „თურქი მესხების“ რეპატრიაციასთან დაკავშირებით. ჩვენ ვალდებულებებს არ გავურბივართ, მაგრამ მანამდე, უნდა მივიღოთ კანონი, რომლის საფუძველზეც დავადგენთ, თუ რამდენ ადამიანზეა საუბარი და მათ შორის რამდენს აქვს საქართველოში დაბრუნების სურვილი. ჩვენი ინფორმაციით, ჩამოსვლა 15 ათას მესხს უნდა. თუმცა, ეს ციფრი სავარაუდოდ, გაიზრდება. მათი უმეტესობა 1989 წლიდან, კრასნოდარის მხარის ტერიტორიაზე ცხოვრობს, თუმცა, მთელი ამ დროის განმავლობაში, რუსეთი მესხებს მოქალაქეობას არ აძლევს. სტრასბურგში ამ საკითხზე მსჯელობის დროს კი, რუსეთის დეპუტაცია მესხების ბედზე „წუხნდა“. ამიტომ მე



ევროსაბჭოში განვაცხადე — თუ ამ ხალხს არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ ექნება, როგორ გავიგებთ, ვინ — ვინ არის?... ჯერ რუსეთმა შეასრულოს ევროსაბჭოს რეზოლუცია და „თურქი მესხებს“ მისცეს რუსეთის მოქალაქეობა, შემდეგ კი, საქართველო მათ რეპატრიაციაზე იზრუნებს-მეთქი. ევროსაბჭო არ მოითხოვს „თურქი მესხების“, სასაზღვრო რეგიონებში ჩასახლებას. არც თავად მესხებს აქვთ კომპაქტურად დასახლების პრეტენზია; ისინი მზად არიან, ჩასახლდნენ იმ ადგილებში, სადაც ჩვენ მივუთითებთ. ■

„ანტიტერორისტული სენტრი რუსეთის ინტერესებში არ უფიქს“

— საქართველოს ხელისუფლება კრემლს, რუსული ბაზების გაყვანის სანაცვლოდ, ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნას სთავაზობს. რატომ არის მოსკოვისთვის მიუღებელი საქართველოს ინიციატივა? **რამაზ საჩხვაძე, პოლიტოლოგი:**

— რუსული ბაზების სანაცვლოდ, ანტიტერორისტული ცენტრის შექმნაზე საუბარი დაიწყო ერთადერთი მიზნით — რუსეთისთვის გაგვეადვილებინა იმ მტკივნეული ნაბიჯის გადადგმა, რომელსაც ბაზების გაყვანა ჰქვია. როცა ანტიტერორისტული ცენტრის შექმნაზე საუბარი, პირველ რიგში, საქართველო და რუსეთი იგულისხმება, მაგრამ სავარაუდოა, რომ ამ პროცესში აშშ-ც და სხვა ქვეყნებიც ჩაერთვებიან, რაც რუსეთისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ანტი-

ტერორისტულ ცენტრზე საუბრისას სხვა პარტნიორებიც რომ არ იგულისხმებოდეს, მოსკოვი სიამოვნებით დათანხმდებოდა საქართველოს ინიციატივას, რადგან მხოლოდ ქართულ-რუსული პარტნიორობის პირობებში, ის წამყვან პოზიციას დაიკავებდა და საკუთარი ნება-სურვილის შესაბამისად იმოქმედებდა. მოსკოვმა მშვენივრად იცის, რომ ამერიკელ ინსტრუქტორთა ის კონტინგენტი, რომელიც საქართველოშია ჩამოსული, სწორედ ანტიტერორისტულ საქმიანობას ეწევა. ორი ანტიტერორისტული სტრუქტურა კი, ერთმანეთის პარალელურად ვერ იარსებებს; უნდა მოხდეს მათი გაერთიანება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, რუსეთი წამყვან პოზიციებს დაკარგავს. ბაზების გაყვანა ამ ფასად არ უღირს; სამხედრო ბაზები მისთვის, საქართველოზე ზეწოლის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია. ■

„ბიზნესმენი ტერორის ქვეშ არ უნდა აყოფო“

— თქვენი აზრით, უნდა შეეხოს თუ არა „ფინანსური ამნისტია“ იმ პირებს, რომელთა მიმართაც გადასახადების დაფარვის გამო, სისხლის სამართლის დევნა განხორციელდა?

ზურაბ ტყეშელაშვილი, პარლამენტის წევრი:

— თავად „ფინანსური ამნისტიის“ გამოცხადება კარგი და მისასალმებელი ინიციატივაა, რაც მეწარმეს თავისი ფინანსების ლეგალიზაციის საშუალებას მისცემს. მაგრამ არ შეიძლება, ერთ სიბრტყეზე დააყენო ის ბიზნესმენი, რომელიც წლების განმავლობაში იხდიდა გადასახადს და ის მეწარმე, რომელიც შემოსავლებს მალავდა. მე იმის მომხრე ვარ, რომ ბიზნესმენი, რომელიც ქვეყანაში მოქმედი, უვარგისი საგადასახადო კოდექსის გამო იძულებული იყო, არ გადაეხადა გადასახადი, გათავისუფლდეს სისხლის სა-

მართლის დევნიდან, მაგრამ უნდა დაეკისროს დავალიანების დაფარვა, რომ სხვადასხვა კატეგორიის მეწარმეები თანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ. გადაუხდელი გადასახადების გადახდისგან გათავისუფლება, ჩემი აზრით, გაუმართლებელი გადაწყვეტილება იქნება. გარდა ამისა, არ უნდა მოხდეს ისე, რომ „ამნისტიამ“ „შერჩევს პრინციპით“ იმოქმედოს. მისი ძალაში შესვლისთანავე, უნდა გათავისუფლდნენ ის ბიზნესმენები, რომელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მართალია, პრეზიდენტი აცხადებდა, რომ არც ერთი ბიზნესმენი არ დაუჭვრიათ, მაგრამ მე დაკავებული ბიზნესმენების გვარების ჩამოთვლა შემიძლია. ხელისუფლებამ უნდა შეიგნოს, რომ ბიზნესმენი ტერორის ქვეშ არ უნდა ამყოფო და ყველა მეწარმეს მუშაობისა და გადახდის თანაბარი პირობები შეუქმნა.



„ესტონეთის ხმას უნდა გავაძლიეროთ ევროპულ რეკონსტრუქციულ პროგრამაში“

— რამდენად შეუწყობს ხელს ევროსტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას ბალტიის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა?

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:

— ბალტიის ქვეყნებში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ესტონეთი ნატოსა და ევროსტრუქტურების წევრი

ქვეყანაა და მის მიერ ჩვენს სასარგებლოდ მიცემულ ხმას უნდა გავაძლიეროთ, ევროსტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის გაწევრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. გარდა ამისა, საქართველოს, ნატოს სტანდარტებთან მიხედვით მხრივ, სერიოზული პრობლემა აქვს, ბალტიის ქვეყნებს კი ამ სფეროში სოლიდური გამოცდილება დაუკროვდათ, რომლის გაზიარებაც ნამდვილად არ გვაწყენს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ესტონეთში პენსია დაახლოებით 240 ლარის ტოლფასია — მაშინ, როცა 10 წლის წინ, თითქმის ერთ ლონზე ვცხოვრობდით. ეს სწორად გათვლილი ეკონომიკური და პოლიტიკური ნაბიჯების შედეგია, რაც მათთვის სრული დამოუკიდებლობისა და ევროპაში ინტეგრაციის გარანტიად იქცა. დღეს ესტონეთი მზადაა, გაგვიწიოს დახმარება და გაგვიზიაროს გამოცდილება. მაგრამ ბუნებრივია, გადამწყვეტი მაინც ჩვენი ხელისუფლების სტრატეგიული და ტაქტიკური სვლები იქნება.



„პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარეს უნდა დაარეგულირებს კანონი ამ საკითხს იმ შემთხვევაში, თუ საპირველი ოპოზიციაში გადავა“

— ახალი კანონპროექტის მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარე უშიშროების საბჭოს წევრი გახდება. როგორ დაარეგულირებს კანონი ამ საკითხს იმ შემთხვევაში, თუ საპირველი ოპოზიციაში გადავა?

ნიკა რურუა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი:

— ჩვენი კომიტეტი პარლამენტის თავმჯდომარის უშიშროების საბჭოს სხდომებში მონაწილეობის წინააღმდეგი არ არის. პარლამენტის სპიკერი საკანონმდებლო ხელისუფლებაში პირველი პირია, ამიტომ პრეზიდენტი მას დავალებებს ვერ მისცემს; აქედან გამომდინარე, ბურჯანაძისთვის უშიშროების საბჭოს სხდომებზე დასწრება სავალდებულო არ უნდა იყოს. სხდომებში მონაწილეობა ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენლებისთვისაა სავალდებულო, პარლამენტის თავმჯდომარეს კი, სავარაუდოდ, მოწვეული სტუმრის სტატუსი განესაზღვრება. შესაძლებელია, მუდმივი წევრის ფორმატზე შეჩერებაც, მთავარი, რომ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხელისუფლების შტოები სრულიად განსხვავებულ სტრუქტურებს წარმოადგენენ და მათი უფლება-მოვალეობების ერთმანეთში არევა არ უნდა მოხდეს. ამიტომ კანონპროექტში უნდა დაზუსტდეს, თუ რას ნიშნავს უშიშროების საბჭოს სხდომებში პარლამენტის სპიკერის მონაწილეობა. რაც შეეხება ოპოზიციაში პარლამენტის თავმჯდომარის გადასვლის შესაძლებლობას, არ უნდა დაგვავიწყდეს — უშიშროების საბჭოს სხდომებზე იმდენად მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება, რომ მთავარი, სახელმწიფოებრივი აზროვნებაა და არა ის, ხელისუფლების კურსის მხარდამჭერი ხარ თუ ოპოზიცია.





საჯიმბას სააკაშვილის უოტონიით „გუბერნატორის რეპორტის“ შეხსენას

აფხაზები უარს აცხადებენ პუტინის დანიშნულ „გუბერნატორზე“

კეკე ლომიძე

თვითალიარებული რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, აფხაზეთი, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან პირველად, ლამის-აა, სამოქალაქო ომის ზღვარს მიუახლოვდა. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კომისიამ გამარჯვებულად სერგეი ბალაფში გამოაცხადა, ჯერ მანც პასუხ-გაუცემელი რჩება კითხვა — ვინ დაიკავებს არძინბას „ტახტს“? ვრცელდება ხმები, თითქოს რუსეთი, რომელიც არ მალავდა ხაჯიმბასადმი სიმპათიას, უკვე დათანხმდა ბალაფშის გაპრეზიდენტებას, ოღონდ ერთი პირობით — თუ პრემიერ-მინისტრის პოსტს ასევე რუსეთის ფავორიტს ნოდარ ხაუბას უბოძებენ. საბოლოოდ ყველაფერი 15 ოქტომბერს უნდა გაირკვეს. მანამდე კი, ბუნებრივია, ყველას აინტერესებს — რა გახდა ყოფილ პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბასა და შესაბამისად, რუსეთის მარცხის მიზეზი, რატომ „ინუნებენ“ რუსები ოპოზიციონერ ბალაფშს და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები საქართველოს ყველაზე „მტკივნეულ“ რეგიონში. აი, რა გვითხრა ძალთა განლაგებაში კომპეტენტურმა კაცმა — აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან კიქნაძემ, რომელმაც, სხვათა შორის, არჩევნებში ხაჯიმბას წარუმატებლობა იწინასწარმეტყველა:

— მიუხედავად სეპარატისტების მხრიდან დამორგუწველი ზემოქმედებისა, რეგიონში წლების განმავლობაში არსებული დემოკრატიული ინსტიტუტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, პრესა გაძლიერდნენ და აფხაზ ხალხს, რომელსაც აშკარად დაემუქრა უმცირესობაში მოხვედრის საფრთხე, დაანახვეს, თუ რამდენად მავნებელია ამ მცირერიცხოვანი ეთნოსისთვის არძინბას რეჟიმი. არძინბას რეჟიმს დაუპირისპირდა ის ხალხიც, ვინც აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. ამიტომაც მიხვდა უბრალო ხალხი, თუ რა არის მისი უბედურების მიზეზი,

— რამდენად შეეფერება სიმართლეს ის, რომ აფხაზებში რუსეთით უკმაყოფილება იზრდება და უმრავლესობას უკვე პრორუსული ხელისუფლება არ სურს?

— რადგან რუსეთი, მოქალაქეობის მინიჭებით, პენსიებითა და ბანკებში საბჭოთა კავშირის დროს გაყინული ანაბრების დაბრუნების დაპირებით, აფხაზების გულს ინადირებდა, რუსეთის საწინააღმდეგო მასობრივი პროტესტისთვის ხალხი ჯერ არ მომწიფებულა. შესაძლოა, ზოგიერთის მოწოდებამ — მოდით, რუსეთისთვის სასურველი კაცი ავირჩიოთ, — ხალხს

ღმერთმა ქნას, ეს იმის ნიშანიც იყოს, რომ აფხაზები ქართველებთან ურთიერთობის აღსადგენად მზად არიან! შეიძლება, ასეც არის. მაგრამ 2 ოქტომბრის „ფოტოაქცია“ უფრო სხვა რამის მიმანიშნებელი იყო.

არძინბას კლანის ჯავრი ხაჯიმბაზე იყარა და ოპოზიციის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი.

— ვრცელდება ცნობები, თითქოს პუტინი შეცდომაში შეიყვანეს, როცა არჩევანი დაბალრეიტინგიან ხაჯიმბაზე შეაჩერებინესო...

— პუტინსაც და საერთოდ, ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ხაჯიმბას დაბალი რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ ვგონათ, რომ რუსეთის პრეზიდენტთან მისი შეხვედრა საქმეს მისთვის სასიკეთოდ შეაბრუნებდა. როგორც დავინახეთ, ისინი მწარედ შეცდნენ. რუსებმა აქამდეც ვერ გათვალეს ბევრი რამ და ახლაც ძალიან უჭირთ იმის გათვლა, თუ რა მოხდება აფხაზეთში...

ათქმევინოს — რუსიც აღარ გვინდაო. მით უმეტეს, რომ ოპოზიციონერი ლიდერები უკვე გაიძახიან — აფხაზეთში პუტინის „გუბერნატორის“ დანიშნვას არ დაუშვებთო!...

— თქვენი ინფორმაციით, შეეფერება თუ არა სიმართლეს, რომ რუსები მზად არიან დათმობისთვის და ბალაფშის გაპრეზიდენტებას დათანხმდებიან? და თუ ეს არ მოხდება და რუსეთი ჩატარებული არჩევნების შედეგების გაუქმებას შეეცდება, რამდენად რეალურია, რომ მდგომარეობა აფხაზეთში უმართავი გახდეს?

— არჩევნების შედეგების გაუქმება

შესაძლებელია. თუ ეს მოხდა, სიტუაციის უკიდურესი გამწვავება მართლაც, გარდაუვალია. თანაც, არძინბამ უკვე გააკეთა განცხადება — აფხაზეთში ყველაფერი „თბილისური სცენარით“ ვითარდებაო. აქედან გამომდინარე, ვეჭვობ, რომ რუსები დათმობაზე წავიდნენ. არც ესენი აპირებენ პოზიციების დათმობას. არადა, მეგონა, აფხაზეთზე და რუსებზე კარგად გააანალიზებდნენ ყველა შესაძლო ვარიანტს და ოპოზიციაც, სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, რუსეთთან რაღაცაზე შეთანხმდებოდა.

— თქვენი აზრით, დათმობა მარტო აფხაზეთს მოუწევთ?..

— თუ რუსები ბალაფშის გაპრეზიდენტებას დათანხმდნენ — გამოდის, რომ რაღაცას დათმობენ; თუ რას — ეს მალე გაცხადდება. მაგრამ ბალაფშის გამარჯვება არ უნდა მივიჩნიოთ აფხაზეთში პროქართული ორიენტაციის პირის გამარჯვებად. თუმცა უდავოა, რომ ეს ფაქტი აფხაზეთში ჩვენი გამარჯვების დასაწყისად შეიძლება ჩავთვალოთ. აფხაზეთში ხალხმა გაიღვიძა. აღარ სურთ არსებულ რეჟიმში ცხოვრება და ბალაფშის სახელს, უკეთეს მომავალთან ავიგებენ. დარწმუნებული ვარ, ხალხი მას წინამორბედის პოლიტიკის გაგრძელებას არ აპატიებს. სწორედ აქ დევს ჩვენი ურთიერთობების გაუმჯობესების გასაღები. ის, რაც უნდა გვეკეთებინა აფხაზეთში ამ წლების განმავლობაში, საბედნიეროდ, თავისთავად მომწიფდა. და კიდევ ერთი რამ: როგორც არ უნდა დამთავრდეს აფხაზეთში საარჩევნო ციებ-ცხელება, წააგებს თუ არა ოპოზიცია, მოვლენები მაინც ჩვენს სასარგებლოდ განვითარდება...

— აფხაზეთი ოპოზიცია აცხადებს, რომ არ დაუშვებს პუტინის „გუბერნატორის“ დანიშვნას. როგორ ფიქრობთ — ხომ არ შეცვლის ამის შემდეგ რუსეთი თავის პოლიტიკას საქართველოს მიმართ?

— რუსმა იცის, რომ აფხაზს რუსი არ უყვარს, მაგრამ სჭირდება და მხოლოდ ამიტომ დგამს გარკვეულ ნაბიჯებს მისი კარნახით. რუსები უკვე ამბობენ აფხაზეთზე — რა უმაღლურები არიან, რამდენი რამე გაუუკეთეთ და მაინც საქართველოსკენ იხედებიანო... რუსეთი ხვდება — რაც არ უნდა გაუკეთოს აფხაზეთს, მაინც დადგება დღე, როცა მას აფხაზი ეტყვის — არ მჭირდებათ... რუსეთმა უნდა შეცვალოს პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ამ ქვეყნის პოლიტიკოსთა მოაზროვნე ნაწილმა კარგად იცის, რომ ის, რაც დღეს აფხაზეთში

ხდება, საქართველოს არ მოუწევია, ხოლო ის პროცესები, რომლებიც ბუნებრივად ხდება, მომავალშიც ბუნებრივად და კანონზომიერად განვითარდება. აფხაზეთში გამოღვიძებულ თვითგადარჩენის ინსტიქტს წინ ველარაფერი აღუდგება.



— რა მოხდება, თუ ხაჯიმაბასასამართლო პროცესს მოიგებს და დამტკიცდება, რომ გალში არჩევნები მასობრივად გაყალბდა?

— აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად, შესაძლოა, არჩევნების შედეგები მთლიანად გაუქმდეს და ხელახალი არჩევნების შემთხვევაში, მთელი ძალ-ღონით შეეცდებიან, რუსეთისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანას. ან შესაძლოა, არძინბამ საგანგებო მდგომარეობა და საპრეზიდენტო მმართველობა გამოაცხადოს და მაშინ, არჩევნებზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება. ყველა შემთხვევაში, მთავარ როლს მაინც რუსეთის გადაწყვეტილება ითამაშებს.

— ვინ შეიძლება იყოს რუსეთის ახალი კანდიდატურა — ისევ ხაჯიმაბა ან ხაუბა?

— ჯერ არ არის გამოკვეთილი. ხაუბა პრემიერ-მინისტრის პოსტზე მარტო სიტუაციის დაბალანსების მიზნით არ დაუნიშნავთ. ის საკმაოდ ამბიციური პიროვნებაა, თანაც — რუსეთში საკმაოდ გავლენიანი. საერთოდ, მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი — მთავარი ის არის, თუ საზოგადოებაში რომელი პოზიცია გაიმარჯვებს.

— თქვენ არჩევნებამდე თქვით, რომ ბალაფშის გამარჯვების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრად ანქაბი მოგვევლინება. დღეს კი ამბობენ, რომ ბალაფში ამ პოსტს სტანისლავ ლაკობას უმზადებს, მაგრამ შესა-



ყველამ ბალიან კარგად იცოდა, რომ ხაჯიმაბას დაბალი რეიგინგი ჰქონდა, მაგრამ ეგონათ, რომ რუსეთის პრეზიდენტთან მისი შეხვედრა საქმეს მისთვის სასიკეთოდ შეაბრუნებდა

ძლოა, რუსეთის ზენოლით, ხაუბას დაუთმოს...

— ლაკობა, ვიცე-პრეზიდენტი გახდება, ანქაბი კი — პრემიერ-მინისტრი. ბალაფში რუსეთთან დათმობაზე და ხაუბას, ვიცე-პრეზიდენტად თუ პრემიერ-მინისტრად დანიშვნაზე არ წავა. ლაკობა „აიდილორას“ აქტიური წევრი იყო და შამბასთან, არძინბასთან და სხვებთან ერთად სერიოზული როლი ითამაშა საქართველოს საწინააღმდეგოდ ბრძოლისას. თუნდაც ამიტომ, არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლების სათავეში ბალაფშის მოხვლით, აფხაზეთში პროქართული ორიენტაციის ხალხი მოდის.

— ბატონო ლევან, გაფრცელდა ინფორმაციები, რომ სოხუმში 2 ოქტომბერს სააკაშვილის პორტრეტების გამოკვრის ფაქტზე სომხები ტყუილად დააკავეს, რადგან ეს სხვისი ნახელავი იყო...

— სომხების დაბატიმრების დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს. თუმცა, არც პლაკატების გამკვრელთა ვინაობაა ცნობილი. მაგრამ თვით ამ ფაქტს მართლაც, საინტერესო რამ უძღოდა წინ: 1-ელ ოქტომბერს, „ამცანარას“ ლიდერებმა — კერძოდ, მერაბ ქიშმარიამ, სჯვაროდ განაცხადა: თუ ხაჯიმაბა არჩევნებს გაყალბებს და პრეზიდენტი გახდება, თბილისის ნოემბრის დროინდელი მოვლენები სოხუმში გამოირდება... სააკაშვილის პორტრეტებით ხაჯიმაბას, „ვარდების რევოლუცია“ შეახსენეს. ღმერთმა ქნას, ეს იმის ნიშანი იყოს, რომ აფხაზეთი ქართველებთან ურთიერთობის აღსადგენად მზად არიან! შეიძლება, ასეც არის. მაგრამ 2 ოქტომბრის „ფოტოაქცია“ უფრო სხვა რამის მიმანიშნებელი იყო. თუმცა, იგი ჩვენთვის ნებისმიერ შემთხვევაში, სასარგებლო და საგულისხმოა...



იბა ტუშიაშვილი

უნდა გამოვიტყუდო, რომ ჩინელებზე მეტად, ჩვენი ბიოტექნოლოგიების მიღწევებმა ღამინტერესა და ბატონ გიორგისთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყე. ვიდრე ჩვენს საუბარს შემოვთავაზებთ, მინდა, რესპონდენტის შესახებ ერთი „არასამეცნიერო“ ამბავი მოგიყვებო. პროფესორ კვესიტაძეს ორი სახელი აქვს, ორივე – დაბადებიდან შერქმეული. მისთვის გიორგი ვარდაცვლილი ბიძის პატივსაცემად უწოდებიათ, ოთარი კი – შუბლზე „ო“-ს მსგავსად ამოსული თმის გამო. 1992-94 წლებში გიორგი-ოთარ კვესიტაძეს სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობა ეკავა. ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე, მამინდელ პრეზიდენტ შევარდნაძეს უკითხავს მისთვის: ერთი გამკვები, ბოლოს და ბოლოს, რა გქვია – ოთარი თუ გიორგი? მამით კახელსა და დედით იმერულ მინისტრს პასუხი არ დაუყოვნებია: რას ვიზამ, ბატონო ედუარდ, ზოგს გიორგი დაბადებიდანვე ჰქვია, ზოგი კი მერე ირქმევს ამ სახელსო (ექსპრესიდიენტისთვის ნათლობისას შერქმეული „გიორგი“ იგულისხმბა)...

– ინსტიტუტში ჩემი პედაგოგი, ცნობილი მეცნიერი სერგი ღურმიშიძე გახლდათ. სწორედ მან მიჩნია, რომ ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებამდე, ჯერ ქარხანაში მემუშავა, სადაც ჩემი კარიერა ცვლის უფროსობით დაიწყო და საამქროს უფროსობით დასრულდა. შემდეგ მოსკოვის აბანის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში ვსწავლობდი ასპირანტურაში, მოგვიანებით – სადოქტორო დისერტაცია დავიცავი. ამირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო გარკვეული ხნის შემდეგ – ამ აკადემიის ნამდვილი წევრად. გახლდით საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი. წილად მხვდა ბედნიერება, უცხოეთში მემუშავა, ისეთ ცნობილ პროფესორებთან, როგორებიც არიან ჰენფრი, პაი, გრეისი. ამჟამად ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი გახლავართ. ჩვენი ინსტიტუტის კედლებში მრავალი მეცნიერი აღიზარდა.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის კვალდაკვალ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ახალ მწვერვალებს იპყრობს და აზიის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი ხდება. მრავალი ქვეყნის წამყვანი მეცნიერი სექციებში ერთმანეთს ჩინეთში შეახვედრეს, სადაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ბიორბი კვიციანი წარმოადგენდა. რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის რედაქციის წევრსა და პენსილვანიის (აშშ) უნივერსიტეტის დოქტორს, ჩვენი ქვეყნის მეცნიერების ისტორიით უცხოელი კოლეგების მოხიბვლა არ გასჭირვებია. თუმცა, არც თავად დარჩენილა ამ ქვეყნის მიმართ გულგრილი, რადგან ჩინეთის სახით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კიდეც ერთი კერა აღმოუჩინია. პროფესორი იმ ჩინური კერძითაც მოხიბლულა, რომელსაც იქაურები 11 თვის განმავლობაში ამზადებენ და საქორწილო სუფრაზე სთავაზობენ ხოლმე სტუმრებს.

ახალი ტექნოლოგიური აბანტის აღმოჩენი ქართველები და ახერქული ბანვითარების ღონის ჩინური ქალაქი

— საინტერესოა, რა აღმოჩენებისა და გამოგონებების მომსწრეა ეს ინსტიტუტი?

– სწორედ ამ ინსტიტუტში იქნა პირველად ნაჩვენები, რომ მცენარეს შესწევს უნარი, ორგანული ტოქსიკანტები (მაგალითად, მანქანის გამონაბოლქვი, რომელიც კანცეროგენულ ნაერთებს წარმოადგენს) შთანთქმავს და ისევე ნახშირორქანგად აქციოს; ნახშირორქანგი ფოტოსინთეზის საშუალებით ისევე ჩაერთვება ნახშირბადის წრებრუნვაში, რაც ეკოლოგიის გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს და არც ნახშირბადის წყარო დაიკარგება. დაახლოებით 12-13 წლის წინ, მეც ჩავერთე ამ სამუშაოში და შევძელი, მისთვის ტექნოლოგიური მიმართულება მიმეცა. ჩვენში შესაძლებელი გახდა ეკოლოგიური ტექნოლოგიის შექმნა. ვიდრე ამ ტექნოლოგიას გაგაცნობთ, გეტყვი, რომ დღეს მსოფლიოს წინაშე 4 მნიშვნელოვანი პრობლემა დგას: პირველი – სურსათით უზრუნველყოფა, რომლის გადაჭრაშიც საქართველო, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ვერაფერს იტყვის, ამ სფეროში უძღონი ვართ; მეორე – ენერგეტიკა გახლავთ, სადაც ასევე არაფერი შეგვწევს, მიუხედავად იმისა, რომ ჰიდრო და სხვა, არატრადიციული ენერგეტიკული პოტენციალი საქართველოს დიდი აქვს; მესამე პრობლემა, ეკოლოგია გახლავთ. დღეს ჩვენს ინსტიტუტში უკვე მემუშავებელია ახალი ეკოლოგიური კონცეფცია, რომელიც ეფუძნება მცენარეების მიერ სხვადასხვა ტოქსიკური ნაერთების შთანთქმას – ჰაერიდან, ნიადაგდან, წყალსატევებიდან – და მის გარდაქმნას. ჩვენი ვარაუ-

დით, თუ ეს ეკოლოგიური კონცეფცია საერთაშორისო მასშტაბით განხორციელდება, დედაქმნის ეკოლოგიური პოტენციალი 2-3-ჯერ მაინც გაიზრდება... და მეოთხე გლობალური პრობლემა, როგორც იცით, ტერორიზმია. კიდეც ერთი ქართული აღმოჩენის შესახებ მინდა ვიამბოთ. ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელმა, აკადემიკოსმა თენგიზ ბერიძემ აღმოაჩინა მცენარეებში სატელიტური დნმ-ი. დნმ-ი მთავარი ინფორმაციის მატარებელი მაკრომოლეკულა გახლავთ. აღმოჩნდა, რომ მცენარეებში – მაგალითად, ქლოროპლასტებში, მიტოქონდრიებში და სხვადასხვა ორგანელში (სტრუქტურა) არსებობს სატელიტური დნმ-ი. მისი ფუნქციის დადგენა ძალზე რთულია, მაგრამ იძლევა საშუალებას, დაადგინო, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება მცენარე, რა ასაკის არის, რა თვისებების მატარებელია და ა.შ. ეს აღმოჩენაც პირველად ჩვენს ინსტიტუტში გაკეთდა.

— თუ შეიძლება, მცენარეების ეკოლოგიურ კონცეფციას დავეხუროდეთ. იქ ყველაფერი რაღაც ძალიან მარტივად მომჩვენა, ასე არ არის?

– არც ისე მარტივადაა ყველაფერი, როგორც პირველი შეხედვით ჩანს. მცენარეები ერთმანეთისგან ათასჯერ და ზოგჯერ ათიათასჯერაც განსხვავდებიან. სხვადასხვანაირია 1 კილოგრამი მწვანე მასის მიერ ამა თუ იმ ტოქსიკანტის შთანთქმის და გარდაქმნის უნარიც. ტოქსიკანტები კი, მოგეხსენებათ, უამრავი სხვადასხვა სტრუქტურის ქიმიური ნაერთებია, რომლებსაც ზოგი მცენარე საერთოდ ვერ იკარებს, რადგან არ გააჩნია ის ფერ-

მენტული სისტემა, რომელიც დაშლის ამ ტოქსიკანტებს. შეგვიძლია, ერთი კონკრეტული მაგალითი განვიხილოთ. ამჟამად საქართველოში „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის მშენებლობა მიმდინარეობს. თეორიულად სავსებით შესაძლებელია, რომ ვიღაცამ ამ ნავთობსადენზე ტერორისტული აქტი განახორციელოს, ნავთობის ნახშირწყალბადები კი ძალზე ძლიერი ტოქსიკანტებია, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში რჩება ნიადაგში. მცენარეებსა და ნიადაგის მიკროორგანიზმებს (მხოლოდ გარკვეულ სახეებს) შესწევთ ამ ნახშირწყალბადების შთანთქმის და ასიმილაციის უნარი. ამრიგად, სავსებით შესაძლებელია, ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კონცეფციის განხორციელება და შესაბამისი მწვენი საფრის გაშენება. კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რომლის წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა: საქართველო თავისი გეოგრაფიული პარამეტრებით ვიწრო ქვეყანა და ტრანზიტულ ფუნქციას ასრულებს. ბათუმიდან წითელ ხიდადზე რომ იმგზავროთ, სულ დასახლებული პუნქტების გავლა მოგიწევთ, სადაც აგრარული პლანტაციებია გაშენებული. ის პრობლემა, რომელიც იქიდან მოდის და მოგვიანებით, ჩვენს სუფრას დაამშვენებს, უკვე მნიშვნელოვნად იქნება დაბინძურებული. საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ მომავალში, სერიოზულ ტურისტულ ქვეყნად გადაიქცეს, ამიტომ ეკოლოგიის გაჯანსაღებაზე აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ. არაერთხელ მივმართეთ წერილობით გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრს, მაგრამ არანაირი რეაგირება ჩვენს წინადადებას არ მოჰყოლია...

— თუ ამ კონცეფციით საქართველოში არავინ დანიტერესებულა, მაშ, რით არსებობს ინსტიტუტი ან საკვლევადიებო სამუშაოს ვინ აფინანსებს?

— ჩვენ გვაფინანსებს ამერიკა, ევროპის რამდენიმე ქვეყანა, კანადა და იაპონია; მცირედი ნაწილი ქვეყნის ბიუჯეტიდან ფინანსდება. მიღებული გვაქვს დიდი მოც-

ულობის (300-400 ათასი დოლარის), 3-4 გრანტი, რომელიც ეკოლოგიური კონცეფციის ცალკეულმა სექტორებმა მოგვტანა. ცენტრალური ევროპის ქვეყნებში უკვე იყენებენ ამ კონცეფციას, საფუძვლიანად განიხილავენ მას გერმანიასა და საფრანგეთში. ცოტა ხნის წინ, ვიეტნამში მიმიწვიეს. ომის პერიოდში, ამერიკელებს იქ ძლიერმოქმედი საწამლავი — ე.წ. „ნარინჯისფერი საღებავი“ ჩამოუყრიათ. მოგესვენებათ, რომ ვიეტნამელი პარტიზანები ისწორედ მიწისქვეშ, გვირაბებს აფარებდნენ თავს. ახლა 500 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი მცენარეების გარეშე დარჩენილი, ნიადაგი მთლიანად დარღვეულია. ახალი ეკოლოგიური კონცეფციის საშუალებით, რომელსაც ამ ნიადაგის გაჯანსაღებისთვის ჩვენ ვთავაზობთ, ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე მისი ქიმიურად დამუშავება. თამამად შემიძლია გითხრა, რომ მცენარეს, როგორც ეკოლოგიურად აქტიურ ტექნოლოგიურ აგენტს, ჩვენამდე არავინ განიხილავდა. მაგალითად, ამერიკელები ვეთხოვენ, შევისწავლოთ, თუ რა მოუვათ მცენარებს მაღალი რადიაციის პირობებში, ქიმიური აფეთქებების დროს. ხოლო იმისათვის, რომ კვლევის საწარმოებლად ერაყში არ ჩავიდეთ, სამუშაო პირობებს აქ გვიქმნიან. საქართველოში ბევრია ისეთი ინსტიტუტი, რომლის პოტენციალსაც ჩვენი ქვეყანა ვერ იყენებს. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწების 53% ეროზირებულია (დახეთქილია, მასში მიკროორგანიზმების რაოდენობა მკვეთრად შემცირებული, ამიტომ ცუდ მოსავალს იძლევა). ეს მაჩვენებელი წლიდან წლამდე იზრდება. ეროზია ბუნებრივი პროცესია, ვინაიდან ოდესღაც, საქართველოს ადგილას ოკეანე იყო. მისი ძალაზე წყალი კი ნიადაგშია ჩასული და მარილები ნელ-ნელა ამოდის ნიადაგის ზედაპირზე. საკმაოდ მარტივად შეიძლება ამ პრობლემის გადაწყვეტა და თან ისე, რომ ნიადაგი 3-4-ჯერ უფრო მოსავლიანი გახდეს.


— როგორც თქვენგან გავიგეთ, საქართველოს მეცნიერებათა აკა-

დემია აზიის მეცნიერებათა აკადემიების სრულუფლებიანი წევრი გახდარას გვიქადის ეს?

— ამ შეხვედრაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ მისი თხოვნით, მე წავიდი. ამ ასოციაციის თავფრილობაზე, რომელიც ჩინეთში შედგა, გავაკეთე მოხსენება, რის შემდეგაც განიხილეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაწევრების საკითხი და საქართველო მიღებულ იქნა არა როგორც ასოციირებული, არამედ აზიის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი. უნდა აღვნიშნო, რომ ჩინელები განსაკუთრებულად კარგად შემხვნენ და როდესაც ჩემი მოხსენება დაგასრულე, რომელიც იყალთოსა და გელათზე თხრობით დავიწყე, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მომიახლოვდა და მითხრა: როგორც ვხედავ, მსოფლიოში მხოლოდ ორი ქვეყნის მეცნიერებას აქვს ისტორია, ეს ქვეყნები ჩინეთი და საქართველოა... აზიის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაცია ძალიან ძლიერ სახელმწიფოებს აერთიანებს და ამ ასოციაციაში ჩვენი წევრობა ახალ შესაძლებლობას გვიქადის. ამ ასოციაციის შეხვედრაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოითქვა, რაც ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ფონზე, ალბათ ბევრისთვის იქნება ყურადღაღები. მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში სამინაო საქმეების მოგვარებას — ე.ი. ნულიდან ნორმალურ დონემდე აყვანას 5-6 წელი ესაჭიროება, თავდაცვის სფეროს აწყობას — 10-12 წელი, ხოლო მეცნიერების სისტემისას — 50-60 წელი. ამიტომ, მეცნიერების ის დონე, რომელიც საქართველოში არსებობს, ნამდვილად ყურადღების ღირსია.

— ჩინეთმა როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?

— ჩინელები ძალზე მშრომელი ხალხია. მინიმალური ჯამაგირი იქ 300-400 დოლარს შეადგენს, ცხოვრება კი, 3-ჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მაგალითად, თბილისში. მშრომელთა დიდი არმიის ხარჯზე ჩინეთის სახელმწიფომ ქვეყანაში პოტენციალის აკუმულირება მოახდინა — როგორც მეცნიერებაში, ასევე მრეწველობაში, მშენებლობაში... წარმოიდგინეთ, შანხაის აეროპორტის შენობის სიგრძე 2 კილომეტრია, სიგანე კი 200-300 მეტრი და ერთი ბოძიც არ დგას. ქალაქ დალიანში, სადაც ასოციაციის შეხვედრა გაიმართა, ამჟამად 6,5 მილიონი მოსახლეა და ის განვითარებული ამერიკული ქალაქისგან არაფრით განსხვავდება. აკი, თქვენს კიდევ ამერიკელებმა: 2015 წლისთვის, ჩინეთი ამერიკას ყველა მაჩვენებლით გაუსწრებს!..





ჩვენი დღევანდელი „საპატარძლო“ საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ წამყვანი, მკბ ტომზონიძე გახლავთ. დარწმუნებული ვარ, მისი სახელის სსენება ბევრ მამაკაცს აუჩქროლებს გულს. თუ ასეა, მისი ინტერვიუ გულდასმით წაიკითხეთ, შემდეგ კი თქვენი განწყობა გამოხატეთ. ჩვენ კი ტრადიციულად, საუბარს მისი ოჯახის გაცნობით დავიწყებთ.

„მსმსმსი ყველბურით ჩემზე უკეთესი უნდა იყოს“

მარი ჯაფარიძე

- ეკა, გაგვაცანი შენი ოჯახი.
- ვცხოვრობ დედასთან, მამასთან და კატასთან ერთად.
- დედისერთა ხარ?
- მამისთვის მესამე შვილი ვარ, დედისთვის — პირველი.
- ეს იმას ნიშნავს, რომ მამას მეორე ოჯახი აქვს?
- მეორე არა — მესამე. მყავს ორი უფროსი ძმა. ორივე მოსკოვში ცხოვრობს. უფროსი 41 წლის გახლავთ. მას რუსი დედა და საკმაოდ მოზრდილი შვილი ჰყავს. ის მოსკოვში დაიბადა და გაიზარდა. მომდევნო ძმა 33 წლის გახლავთ, ექიმია და რამდენიმე წლის წინ გაემგზავრა მოსკოვში სამუშაოდ. ძმებთან ძალზე კარგი და საკმაოდ ხშირი კონტაქტი მაქვს.
- რამდენი წლის ხარ?
- 23-ის.
- დაგვიხსიათ საკუთარი თავი.
- მიმანია, რომ გადაჭარბებით თავის ქებას და კრიტიკაც გამაღიზიანებელია მსმენელისთვის. ამიტომ ვეცდები, ამ კითხვაზე მოკლე და კონკრეტული პასუხი გაცვით. შემოიღია მივიღო რაიმე გადაწყვეტილება და შემდეგ ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანო. შემოიღია ვიყო გულწრფელი. თუ ვინმეს ჩემიანად მივიღებ და ვენდობი, მას არასოდეს ვუღალატებ, მაგრამ მისგანაც სამაგიერო ერთგულებას ვითხოვ. რა ვიცი, კიდევ რა ვითხრათ... ყოველ შემთხვევაში, ჩემი

მეგობრები ჩემს ხასიათს არ უჩივიან. ამბობენ, რომ მაქვს ცვალებადი ხასიათი. შესაძლოა, კარგი განწყობა რამდენიმე წამში შემეცვალოს და მოვიწყინო ან — პირიქით. ზოლიაქოთი თევზები გახლავართ და შესაძლოა, სწორედ ამ ნიშნის გავლენის გამო ხდებოდეს ასე, მაგრამ მე ასტროლოგიის ნაკლებად მჯერა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ გაზეთში პრაქტიკის გავდიოდი. ბოლო გვერდზე მთელი კვირის ასტროლოგიური პროგნოზი იბეჭდებოდა და ხოლმე და ის ყოველთვის სულ ბოლოს მზადდებოდა. ერთი ამბავი იყო ხოლმე — არიქა, ზოლიაქო დაგვრჩა გასაკეთებელი, „კირჩხიბზე“ მომაფიქრებინეთ რამე, „ქალწულზე“ რა დავეწერო?... — და ყოველივე ამის შემდეგ, როგორ შეიძლება დაიჯერო? საერთოდ ვცდილობ, წინასწარ არავითარი განწყობა არ შევიქმნა და ყოველი დღის მიმართ ოპტიმისტურად განვეწყობ. ჩემ შესახებ იმასაც ამბობენ, რომ ვარ ბრაზიანი და ჯიუტი. ცოტათი ზარმაციც ვარ და ხანდახან ეს საქმეს ვნებს. ძალიან მინდა, დროის უკეთ განაწილება შევქმლო. რაც შეეხება სიჯიუტეს, ეს გარკვეული დოზით ყველა ადამიანს ახასიათებს. როდესაც მიგაჩნია, რომ მართალი ხარ, გიჭირს პოზიციის დათმობა.

— წყენას იოლად იფიქრებ?

— საერთოდ, იშვიათად ვბრაზდები და ძირითადად მაშინ, როდესაც ისე მომეცქევია, როგორც მე არ მოვიქცეოდი. ვბრაზდები ყოველთვის საფუძვლიანად და წყენა დიდხანს მიმყვება ხოლმე. ამას ბოლმა ჰქვია, მაგრამ

იმას კი ნუ ღამიწერთ, რომ ბოლმიანი ვარ. უბრალოდ, ზოგიერთი ადამიანი უცებ აფეთქდება, ემოციას გამოხატავს, დაიცლება და უცებ გაუვლის, მე კი დიდხანს მამახსოვრდება. სამაგიეროს გადახდა არ მჩვევია. უბრალოდ, ის ადამიანი ისე აღარ მეყვარება, როგორც მანამდე მიყვარდა. ხშირად, გაუფუჭებულ საქმეს ბოლიშის მოხდა შევლის, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც თვითონ მიხვდება და თავის დანაშაულს მონიანიებს. მე მისთვის ამის კარნახი არ უნდა დამჭირდეს.

— დედისერთებზე ხშირად ამბობენ — ჭირვეულები და ეგოისტები არიან...

— მე ვცდილობ, ვიყო სამართლიანი. ვფიქრობ, რამდენი დაძმაც არ უნდა მყოლოდა, მაინც ასეთი ვიქნებოდი. მიჩვეული ვარ იმას, რომ ოჯახში ყველაფერი საუკეთესო მერგება ხოლმე. ბუნებრივია, ასეთი რამ ადამიანის ხასიათზე აისახება, მაგრამ მე არც ისეთი პატარა ვარ, ვერ ვაცნობიერებდე, რომ ცხოვრებაში ასე არ ხდება და ადამიანი ვერც ყველაზე უკეთესი იქნები და არც ყოველთვის საუკეთესო შეგხვდება წილად... უაზრო აზირებები არა მაქვს,



მოგიერთი ადამიანი უცებ აფეთქდება, ემოციას გამოხატავს, დაიცლება და უცებ გაუვლის, მე კი დიდხანს მამახსოვრდება

რადგან არ მინდა, ჩემ ირგვლივ მყოფ ადამიანებს დისკომფორტი შევუქმნა.

— დარწმუნებული ვარ, უამრავი თაყვანისმცემელი გეყოლება. რატომ აქამდე არ გათხოვდი?


— ალბათ იმიტომ, რომ ამას ვერ დაგეგმავ, ეს თავისთავად ხდება. უბრალოდ, შინაგანად გრძობ, რომ დროა ეს ნაბიჯი გადადგა. ჯობს, დიდხანს იფიქრო და შემდეგ გადაწყვიტო, ვიდრე გადაწყვიტო და მერე დაიხიო უკან. ასე რომ არ ვფიქრობდე, შესაძლოა, უკვე გათხოვილი ვყოფილიყავი, მაგრამ ეს საკითხი ყოველთვის ძალზე მაფიქრებს. მიაჩნია, რომ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია ოჯახი და პროფესია. ორივეს ძალზე სერიოზულად უნდა მიუდგე. ადამიანი, რომელსაც მთელ ცხოვრებას მიუძღვნი, ამდ უნდა ღირდეს...

— მაინც, როგორი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც მთელ ცხოვრებას მიუძღვნი? რა კრიტერიუმებით შეარჩევ მას?

— შესაძლოა, ის არ იყოს საუკეთესო, მაგრამ უნდა იყოს ისეთი, როგორსაც ავიტან... მასთან ყოფნა უნდა მიხაროდეს. აუცილებლად მონათესავე სულის ადამიანი უნდა იყოს. რომ შევხე-

დავ, უნდა ვიგრძნო ის, რაც სიტყვით ძნელად გამოითქმის. მისგან უნდა მოდიოდეს ისეთი მუხტი, რომელიც მიმიზიდავს. ძალზე ღიდ მნიშვნელობას ვანიჭებ გონებრივ მონაცემებს. განათლების, ინტელექტისა და გონიერების სინთეზი უნდა იგრძნობოდეს. შესაძლოა, ადამიანი იყოს ნაკითხი, მაგრამ არ იყოს გონიერი. ეს კი მამაკაცისთვის აუცილებელი თვისებაა. ძალიან მინდა, რომ მამაკაცი, რომლის გვერდზეც ვიქნები, ყველაფრით ჩემზე უკეთესი იყოს — როგორც გარეგნობით, ასევე გონებრივი შესაძლებლობებით. მისგან უნდა ვსწავლობდე რაღაც ახალს და არ უნდა მწყინდებოდეს ურთიერთობა. თუ ასეთს შევხვდები, ხომ კარგი, თუ არა და სხვანაირიც გამოიძებნება, ბოლოს და ბოლოს...

— ხშირად ტირი? — შესაძლოა, თვეები ისე გავიდეს, რომ არ ვიტყვი. არასოდეს ვტირი სხვის დასანახავად. თუ ვინმემ ჩემს თვალზე ცრემლი შენიშნა, უკვირს — როგორ, ეკა ტირისო?! შესაძლოა, სიხარულის გამო ავტირდე, ან დაღლილობის გამო... ხანდახან მქონია ასეთი შემთხვევა: მარტო ვარ და მინდა, ვიყვი-



შესაძლოა, უკვე გათხოვილი ვყოფილიყავი, მაგრამ ეს საკითხი ყოველთვის ძალზე მაფიქრებს

რო, ხმამაღლა გამოვხატო ემოცია. მაგრამ ვინაიდან კორპუსის ბინაში ეს შეუძლებელია, ამიტომ ცრემლი და ტირილი ასეთ დროს ყველაზე კარგი მოსავალია...

სისოცხლე — მოძრაობაშია!

ოსტეოქონდროზი, ოსტეოართროზი და სახსრებისა და ხერხემლის სხვა პათოლოგიები ფართოდ არის გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაში. ყოველი ადამიანისთვის ეს დაავადებები ასოცირებულია ტკივილის შეგრძნებასთან, მოძრაობის შეზღუდვასთან და საბოლოო ჯამში სიცოცხლის ხარისხის გაუარესებასთან.

ქონდროპროტექტორები უდავოდ რეკომენდებულია ბალანსებითა

სახსრების დაავადებებისა და ტრავმების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის

ტერაფლექსი (THERAFLEX) ეფექტური კომბინირებული

ქონდროპროტექტორია

1 კაფსულა ტერაფლექსი შეიცავს:

გლუკოზამინის ჰიდროქლორიდს — 500მგ

ნატრიუმის ქონდროიტინის სულფატს — 400მგ

ბენზოკაინს — 10,3%

ამ კომპონენტთა ურთიერთქმედება უზრუნველყოფს რეგენერაციულ (აღმდგენ), ანთებისსაწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს.

ტერაფლექსი

- ახდენს სახსრის ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენის სტიმულირებას;
- აქრობს ანთებით პროცესს სახსარში;
- ამცირებს ტკივილის ინტენსივობას სახსრებსა და ხერხემალში;
- აუმჯობესებს სახსრების მოქნილობას;
- მოტეხილობების დროს აჩქარებს შეხორცების ძელოვანი კორძის წარმოქმნას;
- აქვეითებს (ან ხელუდავს) მოთხოვნილებას არასტეროიდულ ანთებისსაწინააღმდეგო საშუალებებზე;
- აუმჯობესებს პაციენტის სიცოცხლის ხარისხს.

რეკომენდებული მინიმალური თერაპიული კურსი შეადგენს 6 თვეს. პრეპარატის მიღებამდე გულდასმით გაეცანით ანოტაციას.

ტერაფლექსი — თავისუფლების ახალი დონე!

„საგმელ“-ი თქვენ და თქვენს ახლობლებს გისურვებთ ჯანმრთელობას და აქტიურ სრულფასოვან ცხოვრებას.



საქართველოს ფარმაცევტული

საქართველოს ფარმაცევტული



— საოჯახო საქმე თუ გენგენება?

— მიმჩნია, რომ მეხერხება ყველაფერი, რასაც მოვინდომებ. შესაძლოა, ეს ხმაბლალი განცხადებაა, მაგრამ მერწმუნეთ, ნამდვილად ასეა. ძალზე იშვიათად ვსაქმიანობ ოჯახში, რადგან დრო არ მაქვს. ვსწავლობ, თან ვმუშაობ და დღილიდან გვიან ღამემდე დაკავებული ვარ. რაც შეეხება სამზარეულო საქმეს, ამის გამოცდილება რამდენიმე წლის წინ მივიღე. მაშინ ტელეპროფილურ ლიცენზიამ ვსწავლობდი. დმანისის რაიონში, მდინარე ხრამთან არის ყოფილი ბიონერთა ბანაკის მიტოვებული შენობები. ეს აღმოაჩინა ჩვენმა დირექტორმა და ერთ ზაფხულს, მოსწავლეები იქ წავიყვანა, იქაურობა მოვაწესრიგეთ, დავასუფთავეთ და გარკვეული პერიოდის მანძილზე იქ ვცხოვრობდით. დავაწესეთ მორიგეობა. მორიგე იმ დღეს აკეთებდა სადილს, ალაგებდა და აწესრიგებდა ყველაფერს. კერძს უზარმაზარი ქვაბით ვამზადებდით ხოლმე, იმხელა იყო, რომ მეც თავისუფლად ჩავეტეოდი. ხომ წარმოგიდგინათ, როგორი დიდი პასუხისმგებლობაა? ეს თავისებური სტრესია. ვერ უამრავი თეფშისა და ჭიქის გარეცხვა... შემდეგ — ამხელა ქვაბის!.. თან, ელოდები უამრავი ადამიანისგან შეფასებას, თუ როგორი გამოგივიდა კერძი... საბედნიეროდ, ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა და შინ რომ დავბრუნდი, ჩემი სამზარეულო და ჩემი ქვაბები იმდენად პატარად მომეჩვენა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საამოვნებით ვსაქმიანობდი სამზარეულოში. ეს არცთუ ისე რთული საქმეა, ყველა ქალი ახერხებს და გამონაკლისი არც მე ვარ.

— ოჯახის წევრები ყველაზე ხშირად რის გამო გასაყვედურობენ ხოლმე?

— ყველანაირი წვრილმანის გამო: სინათლეს ჩართულს ნუ ტოვებ, კარი ღია რატომ დაგრჩაო? — და რა ვიცი... ჩემთვის იმდენად უმნიშვნელოა, მაგიდაზე წიგნებს დავტოვებ დაფირლს თუ კომპიუტერს — ჩართულს, რომ ყურადღებას არ ვაქცევ. ჩემთვის ეს სულაც არ არის გამაღიზიანებელი. არა იმიტომ, რომ მე ვიქცევი ასე — სხვაც რომ ასე მოიქცეს, არანაირი რეაქცია არ მექნება. მამაჩემი გაცილებით მოწესრიგებული ადამიანია. მის მაგიდას ვინმე რომ შეეხო, ამას მაშინვე ხვდება. მახსოვს, ბავშვობაში ხშირად მეუბნებოდნენ — გაიმართეო! — მხრებში მოხრილი დავდიოდი ხოლმე. შემდეგ საბავშვო სკოლაში მიმიყვანეს და ეს პრობლემაც მოიხსნა.

— ხშირად იტყუები?

— არა. საერთოდ, ტყუილის თქმა ძალზე მრცხვენია. საშინელი შეგრძნებაა, როცა ტყუილში გამოგიჭერენ... თუმცა, უწყინარ ტყუილზე უარს ალბათ არავინ ამბობს.

— როგორი ხარ შეყვარებული დროს?

— ასეთ დროს ძალზე ვიცვლები, უფრო ხშირად ვიღიმი... მეუბნებიან ხოლმე, რომ თვალები მიბრწყინავს. ვინც კარგად მიცნობს, შეუძლია, ეთერში ყოფნის დროსაც კი შემიძინოს, რომ შეყვარებული ვარ. ამ დროს უფრო ენერჯული ვარ და სიცოცხლე მიხარია. სიყვარულის გამო სევდა და კაემანი არასოდეს მომძალებია. ამ მხრივ ყოველთვის მიმართლებს...

— თავგანსმცემლები სიურპრიზს ხშირად გინცობენ?

— დიახ, ხანდახან მართლაც, ძალზე სასიამოვნო სიურპრიზი მელის ხოლმე. მახსოვს, დაბადების დღეზე თავგანსმცემელმა საუცხოო ფეიერვერკი მომიწყო, ძალზე ლამაზი და ხმაურიანი. თუმცა, იმ ბიჭისთვის ეს ცოტა სავალალოდ დასრულდა — პოლიციის განყოფილებაში „მაბრძანეს“, — მაგრამ ჩემთვის მართლაც, დაუვიწყარი... სასიამოვნო საჩუქარი მივიღე — კატა, ის ძალიან მიყვარს... სუნამო და ყვავილები — ეს ხომ ჩვეულებრივი მოვ-

ლენაა, მაგრამ გავიმხელთ, რომ ყვავილები არ მიყვარს. შესაძლოა, ცოტა უცნაურია, მაგრამ ნამდვილად ასეა. ერთხელ, მეგობარმა დაბადების დღეზე კაქტუსი მაჩუქა და მითხრა — მეტის ღირსი არ ხარ, რადგან ყვავილები არ გიყვარსო.

— მოდი, ჩვენი საუბარი საინტერესო ამბით დავასრულოთ.

— ამ ცოტა ხნის წინ, მართლაც „ღირსშესანიშნავი“ კურიოზი შემემთხვა. დღილით, „ალიონის“ ეთერში, საინფორმაციო გამოშვების პირველი ჩართვა რვის ნახევარზე ხდება. იმ დღეს, სამსახურში მისვლა ცოტა შემადვილდა და ეთერში მაკიაჟის გარეშე დაჯდომამ მომიწია. შემდეგ შევედი „მოამბის“ სტუდიაში და გადავწყვიტე, რვასაათიანი ჩართვისთვის მოვმზადებულყავი. მაგიდასთან დავეჯექი, ამოვაღავე კოსმეტიკა, მოვიმარჯვე სარკე და დავიწყე მაკიაჟის გაკეთება. ჩანთაში ერთი ცალი „რაფაელოს“ კანფეტი მქონდა; გავხსენი და ნეტარი სახით შევჭამე. ტანისამოსი შევისწორე, მინდოდა, კოსტიუმის შიგნით ჩაცმული მაისური გამეხადა, მაგრამ საბედნიეროდ, გადავიფიქრე. საბედნიეროდ-მეთქი — იმიტომ ვამბობ, რომ თურმე, „მოამბის“ სტუდია, სადაც გამორთული კამერა იდგა, ეთერში გადიოდა და რასაც ვაკეთებდი, ყოველივე ამას „აიეტის“ აბონენტები პირდაპირ ეთერში უყურებდნენ!.. ეს როგორ მოხდა, დანამდვილებით დღესაც არავინ იცის. წარმოგიდგინათ?.. ოთახში სრულიად მარტო მყოფს, ხომ შეიძლებოდა, ისეთი რამ გამეკეთებინა, რასაც სხვისი თანდასწრებით არასდროს ვაკეთებ?! თუმცა, არც ის არის სასიამოვნო, მთელი ქვეყნის თვალწინ მაკიაჟს რომ იკეთებ და ტანისამოსს ისწორებ... ახლაც მრცხვენია, რომ მახსენდება, საღვთი რეზინი როგორ გამოვიღე პირიდან და ტექსტის ფურცელზე დავაწებე. დედაჩემი თურმე, სატელეფონო ზარებს ვერ აუდიოდა. ზოგს ეგონა, მაკიაჟის შესახებ იყო გადაცემა, ზოგიერთმა კი ისიც იფიქრა, რომ „რაფაელოს“ რეკლამას ვაკეთებდი... ახლაც რომ მახსენდება, ტანში მზარავს. კიდევ კარგი, მაისური არ გავიხადე. მაშინ ხომ საშუალოდ უნდა გამოვთხოვებოდი ჩემს პროფესიას...

დარწმუნებული ვარ, ჩვენს „საპატარალოს“ წუნს ვერ დასდებთ. თუ ეკასთან დაკონტაქტების სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ დამირეკოთ ან დამიმესიჯოთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ეკა შემპირდა, რომ თქვენს გამოხმაურებებს გულდასმით გაეცნობა.



მინდოდა, კოსტიუმის შიგნით ჩაცმული მაისური გამეხადა, მაგრამ საბედნიეროდ, გადავიფიქრე. საბედნიეროდ-მეთქი — იმიტომ ვამბობ, რომ...

„გზის“ წინა ნომრის „სასიძო“, კალათბურთელი ლაშა ლოსაბერიძე გახლდათ. გოგონებმა ამჯერადაც იაქტიურეს და არც სპორტსმენი „სასიძო“ დატოვეს უყურადღებოდ. ისე, ბედი მაქვსო, ლაშამ უნდა თქვას: ზოგი მოტაცებას უპირებს, ზოგიც — სიყვარულის გაკვეთილის ვენახში ჩატარებას...



„...მერე მამ შენს

დიდ ჩანთაში ჩაჭლები და...

მარი ჯაშარიძე

„ლაშა, მეც კალათბურთელი ვარ. შენს თამაშებს ხშირად ვესწრები და ძალზე მომწონს. საერთოდ, „დინამოს“ ფანი ვარ. თეკუშა“.

„ახლა იცი, როგორ ვარ? — უშენოდ. იცი, რას ვაკეთებ? — შენზე ვფიქრობ. იცი, რა არ მინდა? — უშენობა და იცი, რას ვგრძნობ? — მონატრებას. ლაშას. დიდი სიყვარულით, ქრისტინასაგან. აუ, მარი, ლაშას უთხარი, დამირეკოს, კარგი?“

„ლაშა, ძალიან მომწონხარ. მეც კალათბურთელი ვარ და ყოველთვის მინდოდა შენი გაცნობა. ვისურვებ წინსვლას. ანი.“

„ლაშა, დედაშენი გამაცანი, რა?.. ჩვენ მოვიფიქრებთ, როგორ დაგითანხმობთ, რომ ცოლი მოიყვანო. მაშ, უსამართლობა არ არის, ამისთანა ბიჭი ეულად დადიოდე?“

„ბიჭო, ბურთის დევნა რას გარგებს? ჯობს, ცოლი მოიყვანო და გვარის გამრავლებას იზრუნო. მაგ ბურთს მერეც ჩატენი კალათში...“

„ლაშა. მოდი, მოვილაპარაკოთ: შენ დამირეკე, მე შეგხვდები, აუცილებლად მოგეწონები, მერე ერთმანეთი შეგვიყვარდება, მერე დავქორწინდებით, მერე ძალიან ბევრი შვილი გვეყოლება, მერე

მე და ჩვენი შვილები ერთად ვივლით ხოლმე თამაშებზე და „გობალელშიკებთ“. ნახე, როგორ აშენდები!.. ოღონდ, ხომ გახსოვს, პირველად რა გითხარი?.. უნდა დამირეკო!“

„ვერ გავუტელი ვარსკვლავთა ციმციმს და გულმა შენკენ გამომიწია, შენა ხარ ჩემი სუნთქვა და ფიქრი და მე უშენოდ არ შემიძლია“.

„ლაშა, ძალიან მომეწონე. ხასიათით ერთმანეთს ვგავართ. ვარ 175 სმ სიმაღლის, შავკვრემანი და გამხდარი. 26 წლის. შეგიყვარებ მთელი გულით. ვარ გასათხოვარი. ლაშა, ჩემო ლამაზო, უკვე ვფიქრობ შენზე. მგონი, გამიმართლებს. ცირა“.

„ვიცი, ბევრი გოგონა გამოგეხმაურება, მაგრამ იცოდე, ყველაზე მეტად მე მჭირდება შენი სიყვარული. შენი კახელი თაყვანისმცემელი. ეკა. თელავი“.

„გამარჯობა, ლაშა. მგონი, ერთმანეთს კარგად გავუგებთ. ვარ სტუდენტი, 20 წლის, 183 სმ სიმაღლის, სიმპათიური გოგო. თუ დაინტერესდები, დამიკავშირდი. ხათო“.

„ერთი პატარა კოცნა ხელისგულზე დავსვი, სული შევუბერე და შენკენ გამოვუშვი. ჯერ არ მიგიღია? ლაშა, შემი-

ყვარებ თუ მოგიტაცო? მოფიქრებისთვის 1987 წუთს გაძლევ. ლანკა“.

„ლაშას გადაეცი, თუ არ დამირეკავს, „დავუპატიებდებ“ და ისე ვაკოცებ, ისე, რომ... თუ მივწვდი, რა თქმა უნდა. მაგრამ გამოსავალს მაინც მოძებნი. სკამს მივიდგამ ან შევხვდები, ოღონდ — ჯერ სიმაღლეზე ხტუნვაში წავიყვარჯიშებ. გკოცნი, ჩემო ტებილო...“

„ბიჭო, რომ დამყდარხარ მანდ და ბუღასავით ატრიალებ თვალებს, არ მოგწყინდა მარტო წანწალი?.. გავიცნოთ ერთმანეთი, მერე მაგ შენს დიდ ჩანთაში ჩავვდები და მეც თან მატარე. მარი“.

„შენა „სიყვარული ვენახში“ გაგიგია?.. არა?.. არც „სექსი ვენახში“ გაგიგია? ძალიან ცუდი. ჩამოდი კახეთში და განათლებას მიგაღებინებ, პირდაპირ პაპაჩემი ვენახი ბოლოში, პლანებში გაჩვენებ სეირს. იცოდე, სულ „ვაი, დედას“ გამახებინებ, შე საძაგელო, შენა... ქაა! ეს რა წაიკითხა ჩემმა თვალებმა — ცოლი არ მინდაო?!. მა რა გინდა, შე გასახარებელო, შენა? კალათბურთი გიშველის?. უიიი... რატო თვალი არ დამიდგება, მე უბედურს?! ქალი ნაწუწუნ კანფეტს დამამსგავსე და ახლა ამბობ უარსა?!. მე შენ გაჩვენებ „ა“-სა და „ო“-სა! გურჯანელი მარო“.

ცხადია, ჩემი სენხია დიდი იუმორის პატრონია, ოღონდ, მისი გზავნილიდან ის ვერ გაიგებთ — რამდენად შეეფერება იგი „სასიძოს“ სიმაღლითა და ასაკით. არადა, კარგი იქნებოდა — ვაი და ლაშამ სწორედ მასთან შეხვედრა ისურვოს?.. წინასწარ ხომ უნდა იცოდეს, ვისთან ექნება საქმე?!

« დ ე ლ ტ ა »
მეტალოკლასტმასის
პარ-შანჯრებისა და
ლაბინირებული ავოჯის
დამზადება
ბრტყელი გადასურვები
 მის: მ.ლალიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

მნიშვნელოვანი მოვლენები — მიხეილ შვილიშვილის ბრალდების საქმის განხილვისას დასკვნები

ეს ფაქტი უმაღლეს, საქვეყნოდ გახდა ცნობილი, თუმცა ბრალდების დეტალებს მაშინ არ ახმაურებდნენ. სანქტ-პეტერბურგის სასამართლოში გამართულ ღია სხდომაზე დანაშაულის დეტალები საჯაროდ გაარჩიეს და პარალელურად, ისიც გამოაშკარავდა, რომ გამოძიება პროფესიონალ დანაშაულებითან ჭიდილისას ბევრს ვერაფერს გახდა. საქმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო, უამრავი კითხვა კვლავ პასუხგაუცემელი დარჩა...

სხდომებზე პროკურატურის წარმომადგენელი ხმამაღლა აცხადებდა, რომ კომერციული საქმიანობის გარდა, მირილაშვილი და მასთან დაახლოებული პირები კრიმინალური სამყაროს შავ საქმეებშიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი. მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდებოდა. არაოფიციალური ინფორმაციით, მირილაშვილს, შავი სამყაროს გარდა, ხელისუფლების სტრუქტურებშიც ჰყავდა მფარველები. თავად ოლიგარქი და მისი ინტერესების დამცველი, ძვირად ღირებული ადვოკატები ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფდნენ. ისინი სხვა ბიზნესმენებისა და — როგორც თავად აღნიშნავდნენ — მაფიოზური კლანებისკენ იშვერდნენ თითქმის და აცხადებდნენ, რომ მირილაშვილის საქმე სწორედ მათი შეკვეთილი იყო. ადვოკატების თქმით, ბოლო წლებში, წარმატებული ბიზნესმენის — მირილაშვილის მზარდმა შემოსავალმა და გავლენამ, რომელიც ასევე დღითი დღე ძლიერდებოდა, საგრძნობლად შეაშფოთა მისი კონკურენტები, რაც შემდგომში, მირილაშვილის „ჩასაძირად“ კარგად მოფიქრებული დანაშაულებრივი გეგმის საფუძველი გახდა. ადვოკატებმა პროკურატურის ბრალდებას მოკლედ, „კრიმინალური დადგმა“ უწოდეს...

საბოლოოდ, სანქტ-პეტერბურგის სასამართლომ მირილაშვილი მხოლოდ ბრალდების ნაწილში ცნო დანაშაულს, მის გვერდით მჯდომი შვიდი განსასჯელი კი, პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლდა...

გატაცებები

მოვლენები, რომლებიც აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს დაედო საფუძვლად, 2000 წლის 7-8 აგვისტოს განვითარდა. საგზაო მილიციის ფორმაში გადაცემულმა ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა ვიბორგსკის სანაპიროსთან

რუსული მაფიის ქართველი წევრების სისხლიანი გარჩევები

XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და მდიდარი მენარმე, რუსეთსა და ისრაელში მოქმედი მსხვილი ბიზნესმენი, ელიტური რესტორნებისა და სასტუმროების ქსელის მებატრონე და „პიტერის სათამაშო ბიზნესის მეფე“ წოდებული, ქართველი ოლიგარქი — მიხეილ მირილაშვილი რამდენიმე წლის წინ, რუსეთის ციხის გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. ისრაელიდან სანქტ-პეტერბურგში ჩასულ მირილაშვილს რუსი სამართალდამცავები მოულოდნელად წამოადგნენ თავზე, ხელბორკილები დაადეს და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. მეორე დღეს კი, სისხლის სამართლის უშიშმის დანაშაულებში დასდეს ბრალი...



მიხეილ მირილაშვილი

მდებარე ტრასაზე ავტომანქანა „ლექსუსი“ გაჩერა. წინასწარ იცოდნენ, რომ მანქანაში მიხეილ მირილაშვილის მამა — მიხეილ გაბრიელის ძე მირილაშვილი იჯდა. მათ ავტომანქანიდან გადმოიყვანეს ხანში შესული მირილაშვილი-უფროსი, შემდეგ კი, ძალის გამოყენებითა და იარაღის მუქარით, იქვე ახლოს გაჩერებულ მეორე მანქანაში გადასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

ამ დროს, მირილაშვილი-უმცროსი ისრაელში იმყოფებოდა კომერციული საკითხების მოსაგვარებლად. შეიტყო თუ არა მამის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ, მაშინვე რუსეთში დაბრუნება გადაწყვიტა. იმავე დღეს, პირადი მცველისგან — ევგენი კაზიმირჩუკისგან შეიტყო, რომ მამამისი დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს, მისი ავტომანქანა კი, სანაპიროსთან მიტოვებული ნახეს...

საბრალდებო დასკვნის თანახმად, მირილაშვილმა ყველა საქმე გადადო და 2000 წლის 8 აგვისტოს, სანქტ-პეტერბურგში ჩაფრინდა. „სულ რაღაც ორი საათი დასჭირდათ მასა და მის ძმას — გაბრიელ მირილაშვილს იმისთვის, რომ ორგანიზებული, შეიარაღებული დანაშაულებრივი ჯგუფი ჩამოეყალიბებინათ“, — აღნიშნა პროკურორმა სხდომაზე. გაბრიელ მირილაშვილის დაკავება სამართალდამცავებმა მაშინ ვერ მოახერხეს.

ჯგუფის მიზანი, პროკურატურის ინფორმაციით, მირილაშვილი-უფროსის გათავისუფლება იყო.

ოლიგარქმა და მისი კერძო დაცვის სამსახურმა თავად ჩაატარეს გამოძიება, 8 აგვისტოს ღამით კი, მირილაშვილის ნლობით აღჭურვილმა პირებმა გამტაცებლებზე გასვლა შეძლეს. როგორც პროკურატურის მასალებშია აღნიშნული, გამტაცებლები ასევე ქართველები, რუსეთში მოქმედი ბიზნესმენები, არაოფიციალური ინფორმაციით კი, კრიმინალურ სამყაროსთან დაახლოებული და ერთ-ერთი მაფიოზური კლანის წარმომადგენლები — როსტომ დვალი, კობა კაკუშაძე და მამუკა გრიგოლაშვილი აღმოჩნდნენ.

ბრალდების თანახმად, მირილაშვილმა და „მისმა ხალხმა“, დასახლებული პირები გაიტაცეს, ბიზნესმენის კუთვნილი, ტვირის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ოფისში მიიყვანეს და ულომბელი დაკითხვა მოუწვეს. ცდილობდნენ, გაერკვიათ მირილაშვილის მამის ადგილსამყოფელი და შედეგსაც მიაღწიეს. მართალია, სად ჰყავდათ დამალული გატაცებული, ვერ შეიტყვეს, მაგრამ საბავიეროდ, მეორე დღეს, მირილაშვილი-უფროსი საღ-სალამათი დაუბრუნდა თავის ოჯახს.

თავის მხრივ, ბიზნესმენმა მირილაშ-

ვილმაც გაათავისუფლა გრიგოლაშვილი, კაკუშაძე და დვალი. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, დვალი და კაკუშაძე ისევ გაუჩინარდნენ. კარგა ხანს, მათ კვალს ვერსად მიაგნეს...

ქართველი ავტორიტეტის მკვლელობა

ამ ამბიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, სასტუმრო „ასტორიის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ჯიპი გაჩერდა. სასტუმროში იმ დროს, ინვესტორთა კონგრესი იმართებოდა. შეხვედრაზე მიწვეული გახლდათ რუსეთში აღიარებული, წარსულში კანონიერი ქურდი, შემდეგ კი, წოდებაყრილი – გოჩა ცაგარეიშვილი. ზემოთ აღნიშნული ჯიპიდან სწორედ ის და მისი მეუღლე – ლიანა ანდლულაძე გადავიდნენ. მაგრამ სასტუმრომდე მათ ვერ მიაღწიეს: მოულოდნელად, ახლოს გაჩერებული მარკის „ჟიგული-06“-დან ორი შეიარაღებული მამაკაცი გადმოხტა და ცაგარეიშვილსა და მის ცოლს წინ გადაუდგა. ერთმა ავტომატიდან ცოლ-ქმარი დაცხრილა, ხოლო მეორემ, ჯიპის საჭესთან მჯდომ, ცაგარეიშვილის პირად მძღოლს დაახალა პისტოლეთიდან ტყვიები. კილერებმა გვამები იქვე მიატოვეს და თვალის დახამხამებაში გაეცალნენ შემთხვევის ადგილს.

ამ ფაქტს რამდენიმე ადამიანი შეესწრო. აღმოჩნდნენ იმის თვითმხილველებიც, რომ სასტუმროდან ორი კვარტალის მოშორებით ბორთომიქმედებმა ავტომანქანა შეიცვალეს – „ჟიგული-06“ დატოვეს და „ვაზ-2109“-ში გადასხდნენ. მოგვიანებით, მიტოვებული „ჟიგული“ სამართალდამცავებმა იპოვეს, მაგრამ მფლობელის ვინაობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ დაადგინეს – მანქანის ნომრები ყალბი აღმოჩნდა.

ქალაქის ცენტრში დღისით-მზისით მომხდარ, ქურდული სამყაროს ქართველი ავტორიტეტის მკვლელობას დიდი ხმაური მოჰყვა. მალე გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ მომხდარ ფაქტს ბიზნესმენ მირილაშვილის მამის გატაცებასთან ჰქონდა კავშირი...

გისოსებს მიღმა

ცაგარეიშვილის, მისი ცოლისა და მძღოლის მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პარალელურად, პროკურატურა აქტიურად ეძებდა უკვალოდ გამქრალ დვალსა და კაკუშაძეს. 2001 წლის 23 იანვარს – ე.ი. აღწერილი ამბებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მიხეილ მირილაშვილი-უმცროსი ისრაელიდან ისევ ჩაფრინდა სანქტ-პეტერბურგში და აეროპორტიდან პირდაპირ ადვოკატის ოფისისკენ გასწია.

ოფისიდან წამოსული ოლიგარქის კორტეჟი კი, სპეცრაზმელებმა ჩინში მოაქციეს. მირილაშვილი დააპატიმრეს, რამდენიმე დღეში კი, მილიციის განყოფილებაში ხელებზე ბორკილებდაებული 4 ადამიანი – მირილაშვილის ნდობით აღჭურვილი პირები: დაცვის სამსახურის, „კონტი-ჯგუფის“ უფროსი, მისი მოადგილე და ორი პირადი მცველი მიიყვანეს. ბრალდებულთა შორის მალე კიდევ ორი პიროვნება – პოლდინგ „პეტრომირის“ დირექტორის საბჭოს თავმჯდომარე და ფირმა „ევროსერვისის“ ვიცე-პრეზიდენტი – აღმოჩნდა. გაჩხრიკეს მირილაშვილის საცხოვრებელი სახლი, ოფისები, მაგრამ მნიშვნელოვანი ნივთ-მტკიცებები ამ ობიექტებიდან სამართალდამცავებს არ ამოუღიათ.

თავდაპირველად, მირილაშვილს შეიარაღებული დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზებასა და ბიზნესმენების – დვალის, კაკუშაძისა და გრიგოლაშვილისთვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთაში დასდეს ბრალი. მაგრამ 2001 წლის იანვრის ბოლოს, როცა ქალაქის სამხრეთით, მივარდნილ და დაუსახლებელ ადგილას, პოლიეთილენის პარკებში განთავსებული მოკლულების – დვალისა და კაკუშაძის დანაწევრებული სხეულები აღმოაჩინეს, მირილაშვილს განზრახ მკვლელობის მუხლიც წაუყენეს.

საქმის სასამართლო განხილვის პერიოდში გაირკვა, რომ პროკურატურას მირილაშვილისთვის მკვლელობის ნაწილში ბრალის დამტკიცება უჭირდა, რადგან დამადასტურებელი მტკიცებულებები არ მოეპოვებოდა. ამის გამო, სასამართლომ აღნიშნული ბრალდება განსასჯელს მოუხსნა.

დანარჩენი განსასჯელები, რომელთაც პროკურატურა გატაცების თანამონაწილეობაში ადანაშაულებდა, სასამართლომ, ისევ საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის მოტივით, წარდგენილ ბრალდებებში გაამართლა და პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. მათ შორის იყო მარკ სიდლერიც, რომელსაც ბრალდების მხარე დანაშაულის – კერძოდ, დვალისა და კაკუშაძის მკვლელობის დაფარვაში ადანაშაულებდა. ხოლო რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს და იმხანად პენსიონერს, რომელსაც სასამართლომ საბრძოლო მასალის – 47 ვაზნის უკანონო შენახვისთვის სასჯელის ზომად 5 თვითა და 17 დღით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, სასჯელი მოხდილად ჩაეთვალია, რადგან კანონის თანახმად, ათვლა მისი დაკავების დღიდან დაიწყო.

სასამართლო პროცესი, როგორც მოსალოდნელი იყო, ხმაურიანი აღმოჩნ-

და. სხდომაზე მოსამართლისა და გადაჭვდილი დარბაზის წინაშე სკანდალური განცხადება გააკეთა მირილაშვილის ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელმა – ვლადიმერ პრატუსევიჩმა. მისი თქმით, სახელმწიფო ბრალდებლის – პროკურორის შვილი ანდრეი სალმაცსოვი, მირილაშვილისთვის ბრალდების მოხსნის სანაცვლოდ, მას 50 ათას დოლარს სთხოვდა. სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე მოკვლევის ჩატარება გენერალურ პროკურატურას დაავალა.

მოკვლევის შემდეგ, პროკურატურამ გამოაცხადა, რომ მამა-შვილ სალმაცსოვების მხრიდან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ დადასტურდა. ამის შემდეგ, სისხლის სამართლის საქმე ცილისწამების მუხლით თავად პრატუსევიჩის წინააღმდეგ აღიძრა. მალე ეს საქმეც ჩაიფარცხა.

განაჩენი

2001 წლის 24 ივლისს სანქტ-პეტერბურგის სასამართლო განაჩენის გამოცხადებულ სთათბირო ოთახში გავიდა. მანამდე, სხდომაზე სამსაათიანი სიტყვით გამოვიდა ძირითადი განსასჯელი – მირილაშვილი. მან განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობდა. მიუთითებდა ბრალდების უსაფუძვლობაზე, მტკიცებულებების არარსებობაზე, პროცესუალური ნორმების დარღვევებზე და ამით თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობდა. ნაწილობრივ მიზანს მიაღწია კიდევ: სასამართლომ მას მხოლოდ პირთა მიმართ ძალადობის ჩადენა და მათთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლი დაუდასტურა და ამისთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

ადვოკატები განაჩენით უკმაყოფილონი დარჩნენ და იმავე მომენტშიდან, გასაჩივრებაზე ფიქრი დაიწყეს. რუსული პრესა კი აღნიშნავდა, რომ ეს რუსეთის უახლეს ისტორიაში პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა ამ დონის გავლენის მქონე ბიზნესმენი ხანგრძლივი დროით გამოკეტეს გისოსებს მიღმა.

ერთ-ერთი ვერსიით, მირილაშვილი მაფიოზურმა კლანებმა, მათ შორის, ე.წ. „მოსკოველმა პეტერბურგელებმა“ ჩამოიცილეს გზიდან. ვერსიის თანახმად, მირილაშვილი, რომელსაც ელიტური რესტორნების, კაზინოებისა და უძრავი ქონების სავაჭრო სახლების დიდი ქსელი ჰქონდა არა მარტო მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში, არამედ ისრაელშიც, ბოლო დროს, ნავთობის ბიზნესითაც დაინტერესდა. ნავთობზე კი, სწორედ „მოსკოველ პეტერბურგელებს“ ეჭირათ თვალი...

დავის კლუბი ხევა გველოებით დასრულდა

დანაშაულისთვის ყოფილ პოლიციელებს ასამართლებენ

ქალაქ რუსთავში, ღამის 12 საათზე, შეიარაღებულმა პოლიციელებმა გართობა გადამწყვიტეს და ღამის კლუბ „ღამურასკენ“ აიღეს გეზი. ცოტა ხანში, ლუდითა და არყით შეზარხოშებულებმა იქვე, კლუბის დარბაზში მოქიფვე პოლიციელთა მეორე ჯგუფი შენიშნეს. ისინი თურმე, სამძებროს ქვეგანყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე ერთ-ერთი თანამშრომლის დანიშვნას აღნიშნავდნენ... მაგრამ ზეიმა და ქეიფმა დიდხანს არ გასტანა. ღამის კლუბში ჩოჩქოლი და აყალმაყალი ატყდა. ჩხუბს პისტოლეტიდან რამდენიმე გასროლაც მოჰყვა და ამის შედეგად ერთ-ერთი მოქალაქე, ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა...

ღამის კლუბში დროს ტარება რუსთაველ პოლიციელებს ძვირად დაუჯდათ. სამი მათგანი დააპატიმრეს და დღეს, სამძებროს ყოფილ თანამშრომლებს – 24 წლის მიხეილ მომცელიძეს, 27 წლის ზურაბ ბეგაშვილს და 26 წლის დავით მჭედლიშვილს საქართველოს უზენაესი სასამართლო ასამართლებს. პროკურატურა მათ ჯგუფურ ხულიგნობაში, ხოლო ერთ-ერთს – მჭედლიშვილს – ხულიგნური ქვენაგრძობით ჩადენილ განზრახ მკვლელობაში სდებს ბრალს.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, შემთხვევა 2003 წლის 26 სექტემბერს მოხდა. იმ ღამით, დასახლებულ კლუბში რუსთავის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების სამი თანამშრომელი – მჭედლიშვილი, მომცელიძე და ბეგაშვილი, ამავე სამმართველოს სამძებროს ქვეგანყოფილების სამი მუშაკი – ალექსანდრე მესხი, გიორგი ჯუსტიანიშვილი და ზურაბ გურასპაშვილი და ასევე, საპატრულო საგუშაგო ოცეულის ორი პოლიციელი – ვახტანგ ძნელაძე და სოსლან დევდარიძე ქეიფობდნენ. მათ გარდა, დარბაზში სხვა მოქალაქეებიც იმყოფებოდნენ.

კლუბში, ჩვეულებისამებრ, მუსიკა იყო ჩართული და ხალხი ცეკვავდა. ცეკვისას მოქალაქეები – გიორგი თათარაშვილი და ილხამ მამდლოვი შემთხვევით შეეჯახნენ ერთმანეთს და ეს საკმარისი

აღმოჩნდა იმისთვის, რომ ნასვამ ახალგაზრდებს შორის ჩხუბი ამტყდარიყო. თათარაშვილი და მამდლოვი ურთიერთობის გასარკვევად გარეთ გავიდნენ; მათ უკან გაჰყვნენ მეგობრები, რომლებმაც მოახერხეს მოჩხუბრების დაწყება და კონფლიქტი რამდენიმე წუთში მოავარეს. თუმცა, ამის შემდეგ, უთანხმოება სწორედ ერთ-ერთ გამშველებელს – თენგიზ თანდილაშვილსა და პოლიციელ მომცელიძეს შორის წარმოიშვა. როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, დაახლოებით ღამის 3-ის ნახევარი იქნებოდა, როცა კლუბის შესასვლელთან მდგომ თანდილაშვილს მთვრალმა მომცელიძემ, უშიშვნელო საბაბით, ჯერ უპატივცემულოდ მიმართა, შემდეგ კი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა – დედა პაპუნოდ, თანდილაშვილმაც დაარტყა პოლიციელს. მომცელიძე წაიქცა და ამ დროს მას მიეშველნენ მჭედლიშვილი, ბეგაშვილი და სავარაუდოდ, დანარჩენი პოლიციელებიც, თუმცა პროკურატურა, ხსენებული სამი პოლიციელის გარდა, ჩხუბში მონაწილე დანარჩენ პირებს აღარ აკონკრეტებს და დასკვნაში აღნიშნავს, რომ მათი ვინაობა გამოძიებით ვერ დადგინდა.

ბრალდების თანახმად, პოლიციელებმა თანდილაშვილსა და მის მეგობრებს (გაფრინდაშვილს, თათარაშვილს და სხვებს) წიხლებით ცემა დაუწყეს. ჩხუბს საერთო არეულობა მოჰყვა – ღამის კლუბის დარბაზში შეწყდა მუსიკა, მაგიდებიდან წამოიშალა ხალხი, კლუბის დაცვის თანამშრომლები გარეთ გაცვივდნენ, მაგრამ მათ მხოლოდ დროებით შეძლეს ხულიგნობის აღკვეთა.

ჩხუბი იმავე ქუჩაზე მდებარე, საგადასახადო ინსპექციის წინ გაგრძელდა. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ თანდილაშვილმა, გაფრინდაშვილმა და თათარაშვილმა ჩხუბი შეწყვიტეს, თავი დააღწიეს პოლიციელებს და სასტუმრო „რუსთავის“ მიმართულებით წავიდნენ. მაგრამ მათ გინებით დაეღვენა იარაღმომარჯვებული პოლიციელი მჭედლიშვილი, გაზეთების ჯიხურთან დაეწია და „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან ორჯერ გაისროლა მათი მიმართულებით. ერთი ტყვია თანდილაშვილს მოხვდა, რის გამოც ის ადგილზევე გარდაიცვალა. მჭედლიშვილი კი, პროკურატურის ინ-

ფორმაციით, შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და მიიმალა.

სასამართლო სხდომაზე, საბრალდებო დასკვნის გამოცხადების შემდეგ, განსასჯელებმა განაცხადეს, რომ წარდგენილ ბრალდებას არ ეთანხმებიან. მჭედლიშვილი საერთოდ არ ცნობს თავს დამნაშავედ, მომცელიძე და ბეგაშვილი კი მხოლოდ ნაწილობრივ აღიარებენ ბრალს, თუმცა, კონკრეტულად რაში ცნობენ თავს დამნაშავედ, ამ ეტაპზე არ ამხელენ. აცხადებენ, რომ სასამართლო კოლეგიას დეტალურ ჩვენებას მოწმეების დაკითხვის შემდეგ მისცემენ.

მომცელიძის ადვოკატის – **შუშუნა გურბანიძის** თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი, მომხდარ ფაქტს ძალზე განიცდის.

„მომცელიძემ თანდილაშვილს წესრიგისკენ მოუწოდა. მან კი პასუხად უხეშად მიმართა – შენ ჩემგან რა გინდაო?... შელაპარაკებაც ამას მოჰყვა. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი იმასაც აღნიშნავს – შეიძლება, მეც უხეში ტონით მომივიდა შენიშვნის მიცემა და თანდილაშვილიც ამან გაანაწყენაო. ახლა მომცელიძე ძალიან განიცდის ამ ამბავს, მაგრამ მოვლენები, რომლებიც თანდილაშვილთან შელაპარაკებას მოჰყვა, მისგან დამოუკიდებლად განვითარდა“, – აღნიშნავს ადვოკატი.

რაც შეეხება მჭედლიშვილს, მისი მხარე აცხადებს, რომ მან, პოლიციის შესახებ კანონის შესაბამისად იმოქმედა – დაეღვენა მოჩხუბრებს, რათა დაეკავებინა ისინი და ამ მიზნით, ერთი გამაფრთხილებელი გასროლა ჰაერში მოახდინა, ხოლო მეორე გასროლა, მისგან დამოუკიდებლად ასე მოხდა: დაეგერნენ და მეორე ტყვია მიძგილაობის დროს გავარდა...

პროკურატურა ამას კატეგორიულად უარყოფს. ბრალდების მხარე აღნიშნავს, რომ მჭედლიშვილს ახლა, პოლიციის შესახებ კანონის მოშველიება აღარაფერში გამოადგება, რადგან დანაშაული მან განზრახ, ხულიგნური ქვენაგრძობით ჩაიდინა და კანონი მას, ისევე, როგორც მის თანამშრომლებს, მამინ არც გახსენებიათ. მუხლი, რომელიც პროკურატურამ მჭედლიშვილს წაუყენა, 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„მე ხალხს არ ვესროდი“ — ახსნა ავტობიოგრაფიული „ზვიადისტი“

2003 წლის 7 ნოემბერს, ქალაქ ზუგდიდში, აღმასრულებლის ქუჩაზე მდებარე სკვერში, ნაციონალური პარტიისა და იმ დროს, მისი ლიდერის — მიხეილ სააკაშვილის დასახვედრად შეკრებილ მოსახლეობას მოულოდნელად ნიღაბფარებული და შეირადებულმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს და ამ გზით მიტინგი ჩაშალეს. სწორედ ამ განმარტებული ფაქტის დეტალებს განიხილავდნენ ამ კვირაში უზენაეს სასამართლოში გამართულ სხდომებზე, რადგან კოლეგია შემთხვევის ადგილზე, ჟურნალისტების მიერ გადაღებულ ვიდეოფირზე დაფიქსირებულ უნიღბო ავტომატიანს — ელუარდ თორდიას ასამართლებდა. ფირზე ნათლად ჩანს, რომ თორდია ცეცხლსასროლი იარაღიდან ისვრის. ის ერთადერთი ადამიანი გახლავთ, რომელიც მანიფესტაციის ჩაშლისა და აღამიანების განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. ისიც იმით, რომ უნიღბოდ იყო და მისი ამოცნობა შეძლეს, დანარჩენ შეირადებულ პირთა ვინაობის დადგენა კი სამართალდამცავებმა ვერ მოახერხეს.

30 წლის თორდია ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიას მკვიდრი გახლავთ. იგი უცოლშვილოა, წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. როგორც მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა გვიხსნა, თორდია ეროვნული მოძრაობის აქტიური მიმდევარი იყო და არც ერთ პოლიტიკურ მოვლენას თუ მანიფესტაციას უყურადღებოდ არ ტოვებდა.

„ზვიადისტი იყო, ისევე როგორც მისი ოჯახის წევრები. პირველად უსიამოვნე-

ბა 2003 წლის 29 ოქტომბერს მოუხდა. ზუგდიდში იმ დღესაც ნაციონალური მოძრაობის დასახვედრად ემზადებოდა ხალხი, მიტინგი უნდა გამართულიყო. თავშეყრის ადგილას ელუარდ თორდიაც მივიდა მეგობრის მანქანით. მოულოდნელად მას უცნობი პირები დაესხნენ თავს, ფეხებითა და ხელებით დაუწყვეს ცემა და მანქანაც დაუშტრევეს. ამის ერთადერთი მიზეზი მხოლოდ ის შეიძლება ყოფილიყო, რომ თორდია „ზვიადისტი“ გახლდათ და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდა. მაშინ როგორღაც დააღწია თავი თავდამსხმელებს, 2003 წლის 7 ნოემბერს კი, როცა შეიჭრა, რომ „ნაციონალები“ მორიგი მიტინგისთვის ემზადებოდნენ, გაბრაზებულმა სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა და მანიფესტაციის ჩაშლის მიზნით წავიდა აღმასრულებლის ქუჩაზე მდებარე სკვერში. ავტომატი, რომელიც თან ჰქონდა, როგორც თავად ამბობს, ინციდენტის ადგილზე სრულიად შემთხვევით იპოვა. ვინმეს მოკვლის მიზანი მას არ ჰქონია. ის ასევე შემთხვევით მოხვდა იმ დაუდგენელი ნიღბიანების გვერდით, რომლებმაც ბაღში ხალხის მიმართულებით, მოულოდნელად სროლა ატეხეს. ნიღბიანებს რომ ხლებოდა, მაშინ მასაც ნიღაბი ეწებოდა აფარებული“, — აცხადებს ადვოკატი **ალექსანდრე დავითაძე**.

თუმცა, ბრალდების მხარემ ბაღის ტერიტორიაზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის პოვნის შესახებ დაცვის მხარის განცხადებას ზღაპარი უწოდა და თორდია ორი ადგილობრივი მამაკაცის — ლავგილავასა და ჭიჭინა-

ვას და ერთი ქალბატონის — ლეიზა ფიფიას განზრახ მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულა. სახელმწიფო ბრალმდებელმა განსასჯელისთვის სასჯელის ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება მოითხოვა. მართალია, არც სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია იარაღთან დაკავშირებით, მაგრამ არც პროკურატურას დაეთანხმა წარდგენილ ბრალდებაში. კოლეგიის აზრით, განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალი საქმეში საკმარისი მტკიცებულებებით არ დასტურდება. არ არის უტყუარად დადგენილი, რომ სწორედ თორდიას მიერ გასროლილი ტყვიებით მიიღეს ზემოთ ხსენებულმა დაზარალებულებმა სხეულის დაზიანებები და რომ მკვლელობის სურვილით გამსჭვალული მივიდა თორდია შემთხვევის ადგილზე. აქედან გამომდინარე, კოლეგიამ 19-109-ე მუხლი განსასჯელს მოუხსნა, ხულიგნობაში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვა-ტარებასა და მანიფესტაციის უკანონო ჩაშლაში ის დამნაშავედ ცნო. ჩადენილი დანაშაულისთვის კოლეგიამ თორდიას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

„მე ხალხს არ ვესროდი. კარგად არ მახსოვს, მაგრამ თუ ვისროლე, მხოლოდ ჰერში გავისროდი“, — ასე იმართლა თავი სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა. როგორც მისმა ადვოკატმა გვიხსნა, თუკი მსჯავრდებული მოისურვებს, ის განაჩენს ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებს.

<h3>პოლიციისა და აქვემდებარების შტაბის ახალგაზრდა ქალი ემსხვერპლა</h3> <p>10 ოქტომბერს, თბილისში ორთაჭალის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტს 29 წლის ქალბატონი — ხათუნა ხარატიოვა ემსხვერპლა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, ის პოლიციასა და ექვმიტანილ პიროვნებას შორის შეტაკებას ემსხვერპლა. თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ ის სწორედ მაშინ დაიჭრა, როცა ექვმიტანილმა პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა და არა პირიქით. ხათუნა ხარატიოვა ადგილზევე გარდაიცვალა, ექვმიტანილი კი, რომლის ვინაობასაც სამართალდამცავები ვერაფერობით არ ახმაურებენ, შემთხვევის ადგილიდან მიიძალა.</p> <p>მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. სამართალდამცავები დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებენ და აღნიშნავენ, რომ დამნაშავის ადგილსამყოფლის დასადგენად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ტარდება.</p>	<h3>მოსამართლე ქრთამის აღიზნების დააკავეს</h3> <p>11 ოქტომბერს უშიშროების სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე — ალექსანდრე ტალიაშვილი დააკავეს. პროკურატურა მას ქრთამის აღებაში ადანაშაულებს. გენპროკურორის მოადგილის — კახა კობერიძისა და უშიშროების მინისტრის მოადგილის — ბათუ ქუთელიას განცხადებით, მოსამართლე ტალიაშვილი ქრთამის სახით 500 ლოლარს იღებდა. მას ერთ-ერთ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ამ ფასად სასჯელის საპატიმრო ფორმა არასაპატიმრო ფორმით უნდა შეეცვალა. როგორც გაირკვა, მოსამართლე დანაშაული ფულის აღების შედეგად დააკავეს. სამართალდამცავთა თქმით, გამოძიებას შესაბამისი ვიდეომასალაც აქვს.</p>
---	---



ტელესერიალ „მუსკულების“ ერთადერთი გოგონა — ანა გიუნტერი ახალ სამზარეულოზე, გრძელ ლურჯ ხალათსა და უზარმაზარ სარკეზე ოცნებობს. მისი სურვილია, ადამიანებმა მეოცნებე და ლამაზ გოგონად წარმოიდგინონ, ამიტომ განსაკუთრებით განიცდის, თუ რომელიმე სერიაში კარგად არ გამოიყურება. ანას სურს, რომ მის ჩაცმულობაზე სხვები ზრუნავდნენ, რათა მთლიანად როლზე იყოს კონცენტრირებული... მისი თქმით, დრო, როდესაც „მუსკულების“ ბიჭებს ეპრანჭებოდა, წარსულს ჩაპბარდა — ახლა ისინი მხოლოდ მეგობრები არიან და ანას ხშირად საყვედურობენ — თვალი სულ სარკისკენ წუ გაგირბისო... პრანჭა გოგომ გამოსავალი იოლად მოძებნა: სარკის მაგივრად, პრიალაძიანი ქვაბებში ცქერა დაიწყო...

ჩაცმის ნუსხეა ანა გიუნტერი?..

ლევა ჭანკოტაძე

— გემოვნება არის ადამიანის შეხედულება ხელოვნებაზე, მოდაზე და საერთოდ, სილამაზეზე. ჩემი აზრით, გემოვნება და სტილის შეგრძნება ერთმანეთისგან განსხვავდება. თუ ადამიანს გარკვეული სტილი აქვს არჩეული, მისთვის იოლია თავისი გარდერობის გადახალისება, რადგან ყოველთვის ერთი სტილის ტანსაცმელს ატარებს. შეიძლება კარგი სტილი გქონდეს, მაგრამ დახვეწილი გემოვნებით არ გამოირჩეოდე, ვერც იმას აცნობიერებდე, თუ როგორი გემოვნება აქვთ სხვა ადამიანებს. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, როგორ იცვამენ, იღებებიან, ირთვებიან ჩემი მეგობრები. მიყვარს გემოვნებიანი ადამიანი. მისგან მეც ბევრ რამეს ვსწავლობ.

— ეი. მეგობრებისგან რჩევებს იღებ, ხომ?

— სხვას ბრმად არასდროს ვენდობი, თუნდაც ჩემი საუკეთესო მეგობარი იყოს. ბევრი მეგობარი მყავს. მათ შორის არიან მხატვრები, რომლებიც განსაკუთრებულად დახვეწილი და კარგი გემოვნებით გამოირჩევიან. მიუხედავად ამისა, მაინც მირჩევენია, ნებისმიერ სიტუაციაში საკუთარ გემოვნებას დავეყრდნობ.

— როდის დაიწყე დამოუკიდებლად ჩაცმა?

— ბავშვობიდანვე ვიცოდი, რა მომწონდა და რა — არა. მახსოვს, ძალიან პატარა ვიყავი, ბრჭყვიალა ქოშებზე რომ ვოცნებობდი. ყოველთვის მომწონდნენ სუფთად ჩაცმული, თეთრ პერანგებში გამოწყობილი დეიდები, რომლებსაც მკაცრი სტილი ჰქონდათ შერჩეული. ჩემი თავი ასეთ ფორმაში ვერ წარმოიდგენია... ყველა მასწავლებელი ლამაზი მეჩვენებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ის მომწონდა, ვისაც

მეტი პომადა ესვა... სხვა ბავშვებისგან ჩაცმულობით არასდროს გამოვირჩეოდი. მეცვა სადად და კლასიკურად. დამოუკიდებლად ჩაცმა მეშვიდე კლასიდან დავიწყებ. მანამდე იმას ვიცვამდი, რაც შშობლებს უნდოდათ.

— თუ გახსოვს კაბა, რომელიც ძალიან გიყვარდა და მოგწონდა?

— განსაკუთრებით მიხვდებოდა კუბოკრული პალტო და ბერეტი. ყველა მეუბნებოდა ხოლმე — რა ლამაზად გამოიყურები, რა მშვენიერი ბავშვი ხარო... ამიტომ მიხვდა, რომ სულ ის პალტო მცემდა. თან იმ ბერეტით ჩემს გერმანელ ბებიას ვვავდი, რაც ძალიან მახარებდა. ახლა წარსულს რომ ვიხსენებ, განსაკუთრებით, გარდატეხის ასაკის გახსენება მსიამოვნებს. ამ ასაკში ყველა, ძიების პროცესშია, ექსპერიმენტებს ატარებს და ორიგინალურად იცვამს. თუმცა ვფიქრობ, რომ ყოველთვის ზომიერად მეცვა და ჩაცმულობით არასდროს არავისი ყურადღება არ მიმიქცევია... ცხადია, მსურს, ყოველთვის კარგად გამოვიყურებოდე, მაგრამ ამას ვერ ვახერხებ. როცა კონსერვატორიაში ვსწავლობდი, განსაკუთრებით მიჭირდა ტანსაცმლის შერჩევა. იყო დღეები, როცა კონცერტიც მქონდა და გადავტყუებდი. რამდენჯერმე საკუთარ კონცერტზე ვერ მივედი, რადგან ჩექმა შინ დამრჩა; კონცერტზე ბოტასით ხომ ვერ გამოვიდოდი?! კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში რომ უნდა დასუკრა და იმ დღეს გადავტყუებ გაქვს დანიშნული, ამის შეთავსება ძალზე ძნელია. ზოგჯერ კონსერვატორიაში პირდაპირ გადავტყუებდი მივსულვარ, ზოლიანი შარვლით...

— რა ფერის ტანსაცმელს ამჯობინებ?

— ძალიან მაუბრალოებს ნებისმიერი

ყვავილებიანი ტანსაცმელი. ასეთ კაბაში გამოწყობილი, იმ გოგოს ვემსგავსები, რომელიც ჭასთან დგას, რომელიმე რუსულ სოფელში... რუსული სტილის სახე მაქვს და ალბათ, ამიტომ არ მიხდება ჭრელაჭრულა ტანსაცმელი. ღია ფერები მომწონს და მიხდება კიდევ.

— სარკესთან რამდენ ხანს ატარებ?

— ჩემი ყველა მეგობარი გაცოფებულა იმის გამო, რომ სულ სარკეში ვიყურები. მანქანაში სარკეს აუცილებლად ჩემკენ ვაბრუნებ. დასასვენებლად რომ მივლივარ, წინ ვვადგები, რათა სულ მანქანის სარკეში ცქერა შევძლო... სხვათა შორის, ამბობენ — დიდხანს სარკეში ყურება არ ვარგაო. ზღვაზე დიდი სარკე წავიღე და სანაპიროზეც მიმქონდა ხოლმე. „მუსკულების“ გვაქვს დიდი სარკე. მეც სულ მის სიახლოვეს ვტრიალებ. სამზარეულოში ქვაბები რომ აწყვია, შიგნიდან ძალიან პრიალაა. როგორც კი გადავდებ დასრულდება, ქვაბს თავსახურს ავხდი და შიგ ვიჭყიტები. თუ დამინახეს, ბიჭები მთელი ხმით ყვირიან...

— როგორი მამაკაცები მოგწონს?

— ზუსტად ვიცი, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, რომ მომეწონოს. ლამაზი, გაპრანჭული და ნაზი ქალების ცქერა მსიამოვნებს. მამაკაცი აუცილებლად მაღალი და შავფერის უნდა იყოს. გამხდრებზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეიძლება ძალიან გამხდარი ყმაწვილიც შემიყვარდეს, თავისი არაჩვეულებრივი თვისებების გამო, მაგრამ საშინლად არ მომწონს გამხდარი ბიჭები. ვერ ვიტან, როცა „გაკრახმალე ბული“ პერანგები აცვიათ. მათ სპორტული სტილი უხდებათ და რბილი, ფუმფუ-ლა ტანსაცმელი, რომელზე ხელით შეხებაც ძალიან სასიამოვნოა.

— მაკიაუს ყოველდღე იკეთებ?

— მაკიაჟი ძალიან მიხდება. ვცდილობ, საერთოდ არ გავიკეთო, თუ იმის საშუალება არა მაქვს, რომ ეს საქმე პროფესიონალებს მივანდო. ჩემს გარეგნობაზე ექსპერიმენტს ვერავის ჩავატარებინებ. ვერც ჩემს თმასა და სახეზე „ვათამაშებ“ ვინმეს. ვისაც არ ვენდობი, იმას ფრჩხილებსაც არ ვანდობ. მყავს ჩემი კოსმეტოლოგი და ვიზაჟისტი, რომლებსაც სწორად არ ვაკითხავ, რადგან კარგ ფორმაში ყოფნა ჩემთვის მაკიაჟის გაცეთებას არ ნიშნავს. ძალიან ვუფრთხილდები სახის კანს. აქამდე, სახეზე არაფერი წამისვამს, მაგრამ ზაფხულში მზეს რომ მივეფიცხე, კანი გამომიშრა. ამის გამო სერიოზულად შევშფოთდი და ახლა კანის დამატენიანებელს ვხმარობ. რაც შეეხება თმას — ვცდილობ, გრძელი თმა ვატარო. სალონში რომ მივედი, შემომთავაზეს ვარცხნილობა, რომელიც ახლა მაქვს. თავიდან, ვარდისფერი თმა მქონდა, ახლა გაყვითლდა, და ამ ფონზე ჩემი ბუნებრივი თმა ძალიან ჯანსაღი და ლამაზი გამოჩნდა. ნახევარი თმა შეუღებავი მაქვს. როცა ტელესტუდიაში უკეთესი განათება იქნება, თმას აღარ შევიღებავ.

— როცა გამოცხადდა კონკურსი, ტელესერიალისთვის მეორე გოგონას მისაღებად, დაახლოებით იცოდით, თუ როგორი გარეგნობის გოგო გჭირდებოდათ?

— არ ვიცი, ბიჭები რას ფიქრობდნენ და ეს საკითხი ნაკლებად მაინტერესებდა. თუ ვინმეს აიყვანდნენ, ხომ გავიცნობდი? არც კონკურსში და საერთოდ, არაფერში ჩავრეულვარ. სხვათა შორის, შალვა რამიშვილს ბევრჯერ უთქვამს: ნუ წაიღე ტენი შენი კონსერვატორიით, თორემ, გამოვაცხადებ კონკურსს და 1500 გოგო მოვალ!. 3000 მოვიდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ შეარჩიეს. ბიჭები ხუმრობით მეუბნებოდნენ ხოლმე: შენი აქციების ფასი ყოველდღე მალლა იწვესო. ასე რომ, იოლი არ ყოფილა ახალი წევრის მიღება...

— კონკურსში დაწუნებული გოგონები ამბობდნენ — ბიჭები ანა გიუნტერის ასლს ეძებნენ...

— არასდროს მითქვამს, მაგრამ ასეთი მომენტი მაინც იყო...

— შენი ოთახის შესახებ მიაბე; რის შეცვლას აპირებ?

— ადამიანის გემოვნება ალბათ, ყველაზე უკეთ მის საძინებელში მუდავდება. ჩემთან ბოჰემური სიტუაციაა: ნოტები აქეთ-იქით ყრია, სცენარს იქ ვერ იპოვით, იმიტომ, რომ წინასწარ არ იწერება... ახლა მინდა, უფრო მხიარულ ფერად შევღებო — მაგალითად, ნარინჯისფერად. მე მშობლებთან ერთად ვცხოვრობ, ამიტომ ჩემს გემოზე მხოლოდ ჩემი

ოთახი მაქვს მოწყობილი. გერმანიაში ცხოვრების დროს გამიჩნდა სურვილი, ჩემი ოთახი მხიარული გამეხადა.

— შენი აზრით, გერმანელი ქალები უფრო დახვეწილი გემოვნებით გამოირჩევიან თუ ქართველები?

— ისინი ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისგან. საქართველოში ჩაცმულობა



არ ვიცი, ბიჭები რას ფიქრობდნენ და ეს საკითხი ნაკლებად მაინტერესებდა. თუ ვინმეს აიყვანდნენ, ხომ გავიცნობდი?

ზე უფრო მეტად არის გამახვილებული ყურადღება. საღამოს კაბის მაგივრად, გერმანელმა შეიძლება, იგივე შარვალი ჩაიცვას, რომელიც ყოველდღიურად აცვია, მაგრამ მას შეუხამოს სუფთა, ახალგაუთოებული პერანგი და მძივი. აქსესუარებს გერმანიაში უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ჩვენში კი, სპეციალურად იძენენ საღამოს კაბებს. პირადად მე, თბილისში უფრო მეტი გამოპრანჭული და კარგად ჩაცმული ქალი მინახავს, ვიდრე იქ.

— ახლა მუსიკალურ გემოვნებაზე მიაბე. რას უსმენ?

— ბავშვობაში ყველანაირი მუსიკა მომწონდა. ახლა კი, კლასიკის მსმენელი ვარ. ამ ბოლო დროს, კონცერტებს ვეღარ ვესწრები და ამის გამო გულდაწყვეტილი ვარ. კონსერვატორიაში სწავლამ გამიხსნა გზა სულიერების სამყაროსკენ და მიმაჩნია, რომ სულ სხვა, ამაღლებული და განსხვავებული სამყარო მაჩუქა. როცა

ჩემს ოთახში ვიკეტები, მაშინ მშვიდ, წყნარ და მელანქოლიურ მუსიკას ვუსმენ.

— რა უნდა მოგართვან საჩუქრად, რომ გასიამოვნონ?

— ძალიან მომწონს თეთრი ვარდები, მაგრამ არ მიყვარს... იყო პერიოდი, როცა ბევრ ყვავილს მჩუქნიდნენ. ეს ალბათ, იმიტომაც ხდებოდა, რომ კონსერვატორიაში კონცერტზე სწორად გამოვდიოდი. ოთახში რომ ჩავიკეტებოდი, თავი მიცვალებული მეგონა, ირგვლივ იმდენი თაიგული იყო. თან, ვცდილობდი, ისე მომეგლო, რომ რაც შეიძლება მეტხანს ეცოცხლათ: სწორად ვუცვლიდი წყალს, გულდასმით ვაჭრიდი ღეროებს და ა.შ. ბოლოს მივხვდი, რომ წვალება საჭირო არ არის: რამდენ ხანსაც თავისით იცოცხლებს ყვავილი, მხოლოდ იმდენ ხანს არის მშვენიერი... ჩემთვის ბევრჯერ მოურთმევიათ ისეთი რამ, რაც არ მომწონებია, მაგრამ ეს არ გამომიხატავს, რადგან საჩუქარი ყოველთვის სასიამოვნოა. მსიამოვნებს, როცა ძვირფას კოსმეტიკას მიძღვნიან. იმასაც გააჩნია, თუ ვინ მოგართმევს საჩუქარს. არის ისეთი საჩუქარი, რომელსაც ვერ მივიღებ — მაგალითად, ბეჭედს. ზოგ ადამიანს შეუძლია, ბინა გაყიდოს, მთელი ფული ყვავილებში, სუნამოსა და ლექსებში დაგანარჯოს, მაგრამ არ გაგრძობინოს, რომ მთელი ცხოვრება მოგიძღვანა. უნდა, უშურველად გაიღოს და საჩუქრების გამო არ დაგავალდებულოს... ისე, ვთვლი, რომ მამაკაცმა ქალს მთელი ცხოვრება უნდა აჩუქოს... ვერ ავიტან, ცხოველი ან ჩიტი რომ მაჩუქონ. ჩიტების ძალიან მეშინია. ბუმბულზე აღურვია მაქვს. ვცდილობ, თავი ბუმბულის ბალიშზე არ დაედო. ბავშვობიდან საკუთარ სახლში ვიზრდებოდი. ბებიას ყოველთვის ჰყავდა ქათმები. კვილის ხმას რომ გაიგონებდნენ, ამბობდნენ: ანამ ქათამი დაინახაო... მას შემდეგ, ბეწვეული და ბუმბულიანი ტანსაცმელი საშინლად მაღიზიანებს.


— რომელ ქალაქში ისურვებდი ცხოვრებას?

— რომში. ვფიქრობ, რომ ულამაზესი და უმშვენიერესი ქალაქია, სადაც ყველა ადამიანი ბედნიერი უნდა იყოს...

☆ ★ ★ ★ ☆

ქალმა რომ იცოდეს, რა ძლიერი ფარ-ხმალია მისთვის სიმზვიდე და სიწყნარე, სხვა ფარ-ხმალს თავის დღეში აღარ იხმარდა.

სოლონი



გენიალური

გზა №42 14.10.2004 19

ინფორმაციულ-შეხვედრითი კონკრეტი

ეორი დვალის უბის წიგნაკრძან:

1. წმინდა ნაწილების შესანახ ყუთს რაკა ჰქვია.
2. კარატე იაპონურ ენაზე, „შიშველ ხელს“ ნიშნავს.
3. ქალაქ ემილიის 1945 წლამდე ვლად შაპატი ერქვა.
4. „გაჭირვება მეცნიერებაზე უფრო მეტს ქმნის“ – ამბობდა ვოლტერი.
5. განათლების მინისტრი კასა ლო-მაია განათლებით ჰიდრომშენებელია.
6. ნაპოლეონი ალუროფობით იყო დაავადებული, მას კატების ეშინოდა.
7. კუნძულ იამაიკაზე ანანასი სტუმართმოყვარეობის სიმბოლოდ ითვლება.
8. ქაშუეთის ეკლესია ორსართულიანია. მისი ქვედა სართული სულიწმიდის სახელობისაა, ზედა – წმინდა გიორგის სახელობის.
9. ვატნაიეკული მყინვარია ისლანდიაში. მის უმაღლეს მწვერვალს ზვანადალსხნუკური ჰქვია.
10. შეჯიბრის დაწყების წინ, ფარიკობაში სპორტსმენები ერთმანეთს მარცხენა ხელს ართმევენ.
11. კონფუციუსი, მარჩელო მასტროიანი და ბრიჯიტ ბარდო ერთ დღეს – 28 სექტემბერს არიან დაბადებულიები.
12. ცირკი გადამდგარმა სერჟანტმა ფილიპ ესტლიმ დაარსა. საცირკო არენის დიამეტრიც, 42 ფუტი, მანვე განსაზღვრა.
13. „ლაოკონი“ ერთადერთი ნაწარმოებია, რომელშიც ესპანელი მხატვარი ელ გრეკო რელიგიურ თემას სცილდება.
14. 1895 წელს, საფრანგეთში გაიმართა მსოფლიოში პირველი საავტომობილო რბოლა მარშრუტით: პარიზი-ბორდო-პარიზი. გამარჯვებული მანქანის საშუალო სიჩქარე 24 კმ/სთ იყო.
15. ჩინურ ენაში 50 ათასამდე ეროვლიფია. ჩინელები მხოლოდ 5 ათასამდე ეროვლიფს იყენებენ.
16. კობორჩხალა 4000 სახეობისა არსებობს. მათგან საკმელოდ ყველა ვარვისია.
17. „ცოდნა ლიტერატურაში – არანაირი; ფილოსოფიაში – არანაირი; ასტრონომიაში – არანაირი; პოლიტიკაში – სუსტი; ბოტანიკაში – მერყევი, იცის ყველა შხამის ნიშან-თვისება, არ გააჩნია არავითარი წარმოდგენა მებაღეობაზე; გეოლოგიაში – პრაქტიკული, მაგრამ შემოსაზღვრული; ქიმიაში – ღრმა; ანატომიაში – ზუსტი, ოღონდ



ძნელად აღსაზრდელ ბავშვებად უმეტესად გარდამავალი ასაკის მოზარდები ითვლებიან. მაგრამ ასეთი თურმე, სკოლის დაწყებით კლასებშიც მრავლადაა. თუ მათ იმთავითვე არ მიექცა სათანადო ყურადღება, პრობლემა მეტად მწვავე გახდება და მისი გადაჭრაც გაძნელდება...



ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი, რომელიც ყველა ძნელად აღსაზრდელ ბავშვს ახასიათებს, გარშემო მყოფებთან გართულეული ურთიერთობაა. ისინი არაადეკვატურად აღიქვამენ მათდამი მასწავლებლისა და მშობლის ზრუნვას, მოფერებასაც კი, ყურადღებაზე უნდობლობით, ხანდახან კი — უხეში, გამომწვევი ქცევით რეაგირებენ...

ძნელად აღსაზრდელი ბავშვები

„მშობლებს მოთმინება, ხალი ამრი და ნათელი გონება ხეირდებათ...“

ლევა ჭანკოტაძე

ლია ანდელუაძე, ფსიქოლოგი:
 — ძნელად აღსაზრდელია ბავშვი, რომელიც აქტიურად ეწინააღმდეგება ყოველგვარ აღზრდელობით ზომას. ასეთი ბავშვები აღზრდის ისედაც რთულ პროცესს მეტად ამძაფრებენ. მათი მშობლები და მასწავლებლები მრავალი პრობლემის წინაშე დგებიან. როცა ასეთ ბავშვებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია გავარკვიოთ, თუ რა არის პრობლემის საფუძველი, რაში მდგომარეობს ძნელად აღსაზრდელის ფსიქიკის თავისებურება. „ძნელი“ ბავშვები ყველა ასაკობრივ საფეხურზე გვხვდებიან. ისინი უმეტესად, არასწორი აღზრდის შედეგად დამახინჯებული ბავშვები არიან, რომლებსაც პიროვნების კორექცია სჭირდებათ. მათ ხშირად ამკობენ სიტყვებით — „თავხედი“, „უზრდელი“. ისინი ცოდნის დაბალი დონით გამოირჩევიან. მათთვის დამახასიათებელია უნებისყოფობა, სიცრუე, სიზარმაცე. ყველა ამ თვისებას ძირითადად ისეთი ბავშვები ამჟღავნებენ, რომლებიც ოჯახში ან სკოლაში ნორმალურ ურთიერთობას არიან მოკლებულნი. ხშირად ისინი დედისერთები არიან, სკოლაშიც გარიყულად გრძობენ თავს; ასევე ბავშვები, რომლებსაც ძმები ნერვული სტრესი აქვთ გადატანილი, აგრეთვე ისეთები, ვისი გონებრივი განვითარება ჩამორჩება ან პირიქით — წინ უსწრებს თანატოლების განვითარების დონეს...

— როგორ უკავშირდება ეს პრობლემა ვთქვათ, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას?
 — ჩემი დაკვირვებით, თუ დედ-მამას პირველი შვილი ამა თუ იმ სნეულების გამო დაეღუპა, დიდა იმის ალბათობა, რომ

მათი მეორე შვილი ძნელად აღსაზრდელი აღმოჩნდეს. სკოლაში ასეთი შემინებული მშობლების შვილი უამრავ პრობლემას შექმნის. მასწავლებლის პირველსავე საყვედურზე — რომ ბავშვი გინებაგაფანტულია და არ აქტიურობს, — მშობლები შვილის დაცვას შეეცდებიან. მე მყავს პაციენტი, რომლისთვისაც მთავარ პრობლემას მისი მშობლები წარმოადგენენ. ისინი ამბობენ: ფიზკულტურის გაკვეთილიდან უნდა გაათავისუფლოთ, რადგან მისთვის სირბილი არ შეიძლება, უკანა მერხთან არ დასვათ, რადგან კარგად ვერ ხედავს, დასვენებაზე საკლასო ოთახიდან არ გაუშვათ — ვაითუ, რაიმე იტყინოსო... ამ ყველაფრის გამო, ბავშვი გრძობს, რომ ის ყველასგან გამოჩეულია. ის არ პასუხობს მასწავლებლის კითხვებზე, არ მონაწილეობს დონისძიებებში, რომლებიც სკოლაში იმართება და ერიდება თანაკლასელებთან ახლო ურთიერთობას. მან იცის, თუ რა არის „მირაჟი“, „პიეზაჟი“, „უვერტიკურა“, მაგრამ არ იცის, რამდენი იქნება 17-ს რომ მიეუმართო 8, რადგან არ სურს, იცოდეს...

— რატომ?
 — იმიტომ, რომ ეს ყველა მისმა თანაკლასელმა იცის; რადგან ბავშვი ფიქრობს, რომ ყველასგან გამოჩეულია, მას სურს, ისეთ საკითხებში იყოს გარკვეული, რომლებიც მისი ასაკისთვის ჯერ ნაადრევია და რომლებზეც მის თანატოლებს წარმოადგენს არა აქვთ... როგორც წესი, არც მშობლები და არც პედაგოგები არ მიიჩნევენ, რომ ასეთი ბავშვები ძნელად აღსაზრდელი არიან... ცალკე პრობლემას წარმოადგენს ძნელად აღსაზრდელთა ის მცირე ნაწილი, რომელსაც განვითარებული ბავშვები განეკუთვნებიან. მშობლები მათ ყველა სურვილს უსრულებენ, ზედ-

— მე და ნუგზარი ვმეგობრობდით. დღე და ღამე ერთად ვიყავით. რომ არა ჩემი მშობლების სწორი მიდგომა, გამუდმებული კონტროლი, შეიძლებოდა, საბრალოდ სკამზეც მის გვერდით მოვხვედრილიყავი... სივარეტის მოწვევა ადრე დავიწყეთ. მასსოვს, ჩემი ქუჩის დასაწყისში წისქვილი იყო. იქ ლოთები იკრებებოდნენ. ერთ დღეს დავინახეთ წისქვილის კედელთან მიწოლილი მთვრალი რუსი. მოდი, წავიყვანოთ სახლამდე, თან სივარეტი ექნება და გამოვართვათ-თქო, — გადავწყვიტეთ. მართლაც, აქეთ-იქიდან ამოვუდევით და წავიყვანეთ. დავინახე, როგორ ჩაუყო ნუგზარმა ხელი მარჯვენა ჯიბეში. იქ სივარეტი არ ელო. მერე მითხრა: ეტყობა, მარცხენა ჯიბეში უღვეს, ჩაუყავი ხელიო... ვითარე. მშობლებმა თუ გაიგეს, მომკლავენ-მეთქი, — ვუთხარი. — რა იყო, ქალაჩუნა ხომ არა ხარო?... — შემომბიძგირა. გაგებდე და ხელი ჯიბეში ჩაუყავი, თან — ისე ღრმად და სწრაფად, რომ რუსს გამოეღვიძა და ყვირილი მორთო. ის ხელის ჩაყოფა დღემდე, ძაღლის ნაკენივით მასსოვს... მერე მშობლებმა „გამაცემბარეს“ — ჩხორიწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში გადამიყვანეს სასწავლებლად. იქ ჩემი და სწავლობდა. იმ სოფელში ბუბიაჩენი ცხოვრობდა. მამამ იფიქრა: ფოთში გურამი ხელიდან წავა, გაუფიქრებია, ჯობს, სოფელში იცხოვროს. მიწაც შეიყვაროს და კარგი გლეხი გამოვიდეს... როგორც ხედავთ, ეს გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა. ჩემმა მშობლებმა ყველაფერი იღონეს, სწორ გზაზე რომ დავმდგარიყავი და ყოველთვის თავაწეულს მეგლო. ასე რომ, მშობელს მოთმინება, საღი აზრი და ნათელი გონება სჭირდება, შვილი სწორად რომ აღზარდოს...

ჯულიეტა ვაშაყმაძე:

— აღზრდა ურთულესი პროცესია და ნებისმიერ ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომა საჭირო. როცა ბავშვი არ გვემორჩილება და ქცევის ნორმებს ხშირად არღვევს, ის უკვე „ძელი“ ბავშვია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ე.წ. ძელიად აღსაზრდელი მოზარდი შეიძლება, უფრო დიდ პიროვნებად ჩამოყალიბდეს, ვიდრე ის ბავშვი, რომელიც ყოველთვის სიმშვიდით, ზრდილობით და უფროსებისადმი გადამეტებული პატივისცემით ვგაოცებს. ასეთი ბევრი შემთხვევა ყოფილა...

მაია ჯაბუა:

— კლასში თუ ვინმე ძელიად აღსაზრდელი იყო, ყველას ჩემ გვერდით სვამდნენ, რადგან ამის შემდეგ, ისინი საოცრად კარგად იქცეოდნენ. მქონდა უნარი, „ძელი“ ბავშვებთან საერთო ენა იოლად გამომენახა. ისინი ჩემთან მოკრძალებულები ხდებოდნენ და თავიანთ კარგ თვისებებს ამჟღავნებდნენ. მათ ვესაუბრე-

ბოდი პატივისცემით და სერიოზულად და არა როგორც ოროსნებს და ძელიად აღსაზრდელს.

— თქვენი აზრობებიდან ვინმეს ჰყავს ძელიად აღსაზრდელი ბავშვი?

— ჩემს რამდენიმე მეგობარს ჰყავდა ძელიად აღსაზრდელი ბიჭი. მათთან ხშირად მქონია მკაცრი და გულახდილი საუბარი და ზუსტად ვიცი, რომ მათ ცხოვრებაში სერიოზული გარდატეხა მოვხდინე. ძელიად აღსაზრდელი ბავშვებთან ურთიერთობის მზა რეცეპტი არ არსებობს. ყველას თავისი განსაკუთრებული გასაღები უნდა მოუძებნო. ერთხელ შევესწარი სიტუაციას, როდესაც შვილმა დედას — ჩემს მეგობარს ძალიან უხეშად მიმართა. მაშინვე ვუთხარი ის, რასაც, ზუსტად ვიცი, რომ დედამისი არასდროს ეტყოდა. ჩემგან ამის მოსმენა მისთვის ათმაგად მტკივნეული აღმოჩნდა, მაგრამ არ შევიბრალე. მწარე სიმართლე იმიტომ ვუთხარი, რომ არ მინდოდა, დედასთან უხეშ საუბარს შესჩვეოდა. დაუფასებოდა, რომ სწორად არ მოიქცა. თან შემეცოდა, რადგან სახეზე ფერი აღარ ელო... მომდევნო დღეებში, ისე ვიქცეოდი, თითქოს ვერ ვამჩნევდი, თითქოს ის არც არსებობდა. ასე დავსავე. მის იგნორირებას დიდხანს ვაგრძელებდი... ახლა კი ჩვენ მეგობრები ვართ...

ია პირაისაშვილი, ფსიქოლოგი:

— „ძელი“ მოზარდების ტიპური ფსიქოლოგიური თავისებურებებია აღამიანებისადმი, ღირებულებებისადმი, შრომისა და სწავლისადმი დამახინჯებული, სუბიექტური დამოკიდებულება. მათთვის დამახასიათებელია გუნება-განწყობილების სწრაფი და ხშირი ცვლა, კონფლიქტები, ფეთქებადი ხასიათი, თვითშეფასებისა და პრეტენზიულობის მაღალი დონე. პრობლემა განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში მწკავდება, როცა მოზარდები თვითდამკვიდრებას ცდილობენ. სხვათა შორის, ამ ასაკის ბავშვებთან ურთიერთობისას პედაგოგები და მშობლები ზოგჯერ სცოდავენ კიდევ. ისე საყველრობენ და ეუხეშებან მოზარდებს, რომ არც ცდილობენ, აუხსნან ჩხუბის მიზეზი. არადა, ამ ასაკში მათი უმეტესობა თავს დანაშაუვად იშვიათად ან საერთოდ არ გრძნობს... ერთი შემთხვევის შესახებ მინდა ვიამბო. საკმაოდ ცნობილი ოჯახის შვილი პირველ კლასშივე ცდილობდა, თავისი მასწავლებელი ბავშვების თანდასწრებით მასწავლებელს აეგლო. ამისთვის მან ძალიან უხეშად „თამაში“ აირჩია: როგორც კი მასწავლებელი დაფისკენ შებრუნდებოდა, დათო მას შურლულიდან ესროდა. რამდენჯერმე ამის გამო „ყური აუწიეს“. მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. უფრო მეტიც — დათომ მასწავლებლის სკამს ფეხი მოატეხა,

რომ ის დაცემულიყო და ყველა ბავშვის დასაცინი გამხდარიყო. ასეც მოხდა — მასწავლებელი იატაკზე დავარდა, ბავშვები ახარხარდნენ... ერთხელ კი, როცა უკვე მეორე კლასში იყო, დათომ მასწავლებელს ფული გაუწოდა და უთხრა: აი, მთელი თვის ხელფასი, მამაჩემი ყოველ თვეში ფულს გამოვიგზავნი, თუ თავს დაგვანებებთ და ჩვენს კლასში აღარ შემოსვალთო... შეურაცხყოფილმა მასწავლებელმა პირდაპირ დათოს მამას დაურეკა. მამამ შვილი გალახა. იმ საღამოს, დათომ მასწავლებლის ფანჯრებს ქვები დაუშინა და ყველა მინა ჩაუღწია, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, გამწარებულმა, სახლიდან დანა წაიღო და „საშინელი“ მასწავლებლის მოკვლა განიზრახა, მაგრამ გეგმა ჩაუშალა, რადგან იმ დღეს, გაკვეთილები არ ჩაუტარდათ.

— რატომ?

— მასწავლებელს შვილი დაეღუპა. ძელიად აღსაზრდელი სასტიკი და უხეში დათო ამ უბედურებამ რადიკალურად შეცვალა. დედამისი მიყვებოდა, თუ როგორ შემოეხვია მგლოვიარე მასწავლებელს ფეხზე და როგორ ატირდა მთელი ხმით... მერე მას შინაც აკითხავდა და ეუბნებოდა — დაბრუნდი სკოლაში, ძალიან გვიყვარხართ, სხვა მასწავლებელს ვერ შევეგუებითო... წლები ისე გავიდა, დათოს ერთხელაც აღარ გაუბრაზებია არც მშობლები და არც მასწავლებლები. მაგრამ გარდატეხის ასაკში მისი ქცევა მშობლებისთვის მიუღებელი გახდა. სწორედ იმ დროს მთხოვეს დახმარება. თუმცა მე არ ვთვლი, რომ დათო ყველაფერში დანაშაუვანია, უბრალოდ, მას ცხოვრებისეულ სირთულეებში გარკვევა სურს და მშობლებსგან თანადგომას ვერ იღებს.

— რატომ ფიქრობენ მისი მშობლები, რომ დათო ისევე ძელიად აღსაზრდელია?

— მას თანაკლასელი გოგონა უყვარს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ 14 წლისაა, მშობლები მაინც ცდილობენ, იმ გოგონას დააშორონ — აქაოდა, რძლად არ მოგვწონსო. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ დათო გაკვეთილებს აცდენს, უფროსებს უხეშად ესაუბრება, სივარეტს ეწვევა, პლანსაც გაუსინჯავა გემო. რამდენიმე თვის წინ, ის ქუჩის კუთხეში მოხუც ქალს დახვდა და საფულე წაართვა. შემდეგ, მობილური გამოჰკლავდა ვიდაცას და თავის შეყვარებულს აწუქა... დათოს მსგავსად ბევრი ბავშვი იქცევა. ეს გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი გადახრებია, მაგრამ თუ ღროულად არ მივიღეთ ზომები, ეს ბავშვები ტიპურ კრიმინალებად ჩამოყალიბდებიან. ძელიად აღსაზრდელ ბავშვთა უმეტესობა სწორედ ამ საშიშროების წინაშე დგას...

უძრავი ქონების საზონი ბრძედება



ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები... და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

ჟურნალშია — ორი სუპერსუბრიკა




ყველაზე რეალური ინფორმაცია

ქალსარება

გვარი — ბურდულაძე
სახელი — სპარტაკი
დაბადების წელი — 1957
საცხოვრებელი ადგილი — სიღნაღის რაიონი, დაბა წნორი
ოჯახური მდგომარეობა — ცოლშვილიანი
საქმიანობა — კანონიერი ქურდი 15 წლის ასაკიდან.

ეს გახლავთ ანკეტური მონაცემები, რომელიც მასზე შედგენილ „საქმეებში“ ეწერა. იყო დრო, როდესაც მისი სახელისა და გვარის ხსენება შიშის ზარს სცემდა ადამიანებს, თუმცა რაიონში ის ბევრს უყვარდა და თავის მფარველად ეგულებოდა. ციხეში გატარებულმა 24-მა წელიწადმა ისე გამოანართო, რომ ცხოვრება ალბათ, ვეღარაფრით გააკვირვებს. როგორც თავად ამბობს, მისი გულის დასაბყრობად უღამაზესი ქალები ეცილებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის

იყო მოსამართლე, რომელმაც მას ათწლიანი პატიმრობის განაჩენი გამოუტანა და მისი ადვოკატები... დღესდღეობით სპარტაკი ქურდის სახელს აღარ ატარებს და როგორც მე მომეჩვენა, განვლილ ცხოვრებაში ჩადენილ შეცდომებს ნანობს კიდეც და აღიარებს, რომ დაუწერელ ქურდულ კანონებშიც არსებობს ისეთი ნიუანსები, რომელიც მიუღებელია და სწორედ ამის გამო მოხდა მისი დაპირისპირება შავი სამყაროს ზოგიერთ წარმომადგენელთან. ამის შესახებ მისი



სპარტაკ ბურდულაძე

ნაამბობიდან შეიტყობთ. ჩვენს საუბარს კი, იმ ამბის გახსენებით დავიწყებთ, თუ როგორ მოხვდა ის შავ სამყაროში და როგორ „მონათლეს“ ქურდად.

ქურდული მონათლება

მარი ჯაფარიძე

„წინ დამიღეს დანა და პისტოლეტი...“

— მოჭიდავე ვიყავი. 14 წლის ასაკში გავხდი საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებს შორის. დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ, ჩემ შესახებ გაზეთებში წერდნენ... სკოლაშიც, მერვე კლასამდე კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი. შემდეგ სწავლასზე გული ავიცრუე და მიველ დღეს ქუჩაში ვატარებდი ხოლმე. ახლაც ხშირად მახსენდება ერთი ბებერი ქურდის სიტყვები. მას არაქურდად ტოვებდნენ და ასეთი რამ თქვა: მე კაცობა და ქურდული გაცემა ქუჩამ მომცა და არა ქურდებმა, თქვენ ვერ წამართმევთ იმას, რაც არ მოგიციათ... მეც სწორედ ასე დამემართა. წნორში არის რკინიგზის სადგური, რომელსაც რამდენიმე საწყობი ჰქონდა. იქ ინახებოდა აზერბაიჯანიდან შემოსული საქონელი, სამშენებლო მასალები და ათასი რამ. ყველა თავისთვის ჩალიჩობდა — ზოგი იპარავდა, ზოგიც იმ საწყობში მუშაობდა... ერთ საღამოს, კარგად შებინდებული იყო, როდესაც მე და ჩემი ორი მეგობარი სადგურზე დავეხტილებოდით და ერთ-ერთი საწყობიდან ხმაბალი ლაპარაკი შემოგვესმა. შევედით. ერთი კაცი სამს ედავებოდა და ჟარგონით ელაპარაკებოდა. სამიდან ერთ-ერთი, ამ საწყობის დარაჯი გახლდათ და კარგად ვიცნობდით. ბიჭებმა თქვეს, მივეხმაროთო, მაგრამ საწყობში რომ შევედით, რატომღაც მე იმის მხარეზე დავდექი, ვინც მართლ იყო. ბოლოს, ამ კაცმა იარაღი ამოიღო, ერთ-ერთს შუბლზე მიაღო და უთხრა: ახლა სიცოცხლეს გჩუქნით,

მაგრამ სხვა დროს გზაზე აღარ გადამეყაროთ, თქვენ რომ იცოდეთ, ვინ ვარ, შიშით სული გაგძვრებოდათო. შემდეგ მხარზე ხელი გადამხვია და გარეთ გამიყვანა. მეგობრებიც გამომყენენ. ამ კაცმა თვალეში ჩამხედა და მკითხა: იცი, ვინ ვარო? — მხრები ავიჩქე. — ზიმა გავიგია? მე ზიმა ვარო. — ლამის გავვიჟღი: ამ კაცის სახელით ვგამინებდნენ ხოლმე ბავშვებს. ქურდი იყო და მიველ საქართველოს აზანზარებდა. სამივე რესტორანში წავგიყვანა. სუფრასთან დავსხელით. ოფიციატს უთხრა: პურმარილი გავვიშალე და თან 500 მანეთი მოაყოლეო. ყველანი თითის წვერებზე დალიოდნენ და ცდილობდნენ, არაფერი ეწყენინებინათ მისთვის. მაშინ უფრო დავრწმუნდი, რომ ეს კაცი მართლა ზიმა იყო. სამ-სამი ჭიქა ღვინო დაგვალევინა. თან გვკითხა, — ვინ უნდა გახდეთ, რომ გაიზრდებითო? ბიჭებმა რაღაც უაზრო პასუხი გასცეს. მე ვუთხარი — ქურდი უნდა გავხდეთ-მეთქი, — რადგან ამ კაცის მეშინოდა და მინდოდა, მესიამოვნებინა, რომ არაფერი დავმავებინა ჩვენთვის. ჩემი პასუხი ძალზე მოეწონა. მაშინ 14 წლის ვიყავი და საკმაოდ უჩვეულო სიტუაციაში აღმოვჩნდი. რესტორნიდან რომ გამოვედილით, მომსახურე პერსონალს ჩემზე მიუთითა და უთხრა: ეს ბიჭი როცა მოვა, კაცურად დახვდით და მისი ხარჯი ჩემს ანგარიშზე დაწერეთო... ზიმა სოფელ ანგაში ცხოვრობდა. სამივენი თავისთან წავგიყვანა. მის მეზობლად მოხუცი კაცი ცხოვრობდა. ქურდი არ იყო, მაგრამ „ნასროკალი“ და დიდი უბედური ვინმე გახლდათ. სწორედ იმ კაცს დაუძახა — პატარა ქურდები მყავს მოყვანილი და

მოდიო... ის თოფით წამოგვადგა თავზე, თან გვაგინებს, თან გვეკითხება: აბა, მითხარით, ქურდი რას ნიშნავსო? ბიჭების პასუხები არ მოეწონა და სულ ვინებ-ვინებით აქცია ზურგი. ბოლოს, მე მომიბრუნდა. გონება გამაღებთ მიმუშავედა, მინდოდა, სხარტად ისეთი პასუხი გამეცა, რომ არ შევეგინებინა. ქურდი ის არის, მილიციონერებს დედას რომ უტირებს-მეთქი, — ვუპასუხე. ჩემი პასუხი მოეწონა. სად სწავლობო? — მკითხა. — სკოლაში დავდივარ, მე-8 კლასში, მაგრამ გაკვეთილებს იშვიათად ვესწრები-მეთქი. ეს პასუხიც მოეწონა და მან და ზიმამ ერთმანეთს გადაულაპარაკეს — ამისგან შესაძლოა, რაიმე გამოვიდესო... იმ დამით იქ დავგვტოვეს. დილით რომ ავდექი, აღმოჩნდა, რომ ჩემი მეგობრები გაპარულიყვნენ, მე კი არც გამადვიძეს. ვიცოდი, ოჯახში შემფითებული იქნებოდა, დამე შინ რომ არ გავათიე, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ზიმასთან მიველი ათი დღე დავრჩი. სადაც მიდიოდა, თან დავყავი. ყველა სურვილს მისრულებდა. მალაზიაში შემიყვანდა, რაც მინდოდა, ყელულობდა, თან გამყიდველს აფრთხილებდა — ეს ბიჭი რომ შემოვა, უარი არაფერზე უთხრათ, ფულს მე ვინდიო... უზომოდ კმაყოფილი ვიყავი. მომწონდა, რომ მისი ყველას ეშინოდა, მე კი ასე მფარველობდა. მის გვერდით გავატარე თითქმის ერთ წელზე მეტი... 15 წლის რომ გავხდი, ავიჩქე, ქურდობა მინდა-მეთქი. მანამდე საქმეებზე დავდიოდი, ვიპარავდი. თუ ქურდთან ერთად არ იყავი საქმეზე ნამყოფი, ისე ქურდი ვერ გახდებოდი. მე კი ეს პრობლემა არ მქონდა. ზიმა შემფითოდა, არ უნდოდა, რომ 18 წლამდე ქურდი გავმხ-

დარიყავი, რადგან თუ დამიჭერდნენ, არასრულწლოვნებში, ე.წ. „მაღალტექნიკური“ მოხვედრები – ეს კი საშინელი ზონა იყო. იქ მოხვედრილ ბიჭებს „ფუჭებდნენ“ – გათიშავდნენ და ხელზე წითელ სამკლავურს უკეთებდნენ, ქურდებს აგინებინებდნენ. ამის შემდეგ ქურდი ვეღარ გახდებოდა. მე კი, ქურდი რომ გავმხდარიყავი და შემდეგ ზონაში გავეფუჭებინე, ეს დიდი სირცხვილი იქნებოდა, როგორც ჩემი, ისე ზიმასი და დანარჩენი ქურდების. სწორედ ამ მიზეზით მეუბნებოდა უარს ჩემი მფარველი. არ დავიშალე და მაინც ჩემი გავიტანე. ერთ დღეს, თბილისში ჩამოვედი. ზიმამ რამდენიმე გავლენიანი ავტორიტეტი შეკრიბა და გამოუცხადა – ეს ბიჭი ქურდი უნდა გახდესო. ქურდებმა შუბლი შეიჭმუნეს – ცოლოა, ტანითაც პატარაა, რომ დაიჭირონ, რა ვქნათ? ქურდის სახელით რომ იქნება და დაიჭირონ, ხომ იცი, ავჭალაში (დავუთვალო კოლონიაში. – ავტ.) რას უზამენო?.. ზიმამ თავის თავზე აიღო ყველა ჩემი პრობლემის მოგვარება. შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, დამიწყეს გამოკითხვა, შემოწმება. ერთ-ერთმა უეცრად ხელი ამიქნია. ვიქურდებოდი თვალზე? ეს მოეწონათ. კითხვებზეც კარგად ვუპასუხებ. ხანდახან, თუ რაიმე შემიშლებოდა, ზიმა ფეხზე ფეხს მაჭერდა და მანიშნებდა, რომ დაფიქრებით გამეცა პასუხი. ბოლოს მითხრეს, ქურდი ხარო. თან დამარბიეს, – თუ გინდა, 18 წლამდე ნუ იტყვი, რა იცი, რა ხდებაო. არ მეშინია-მეთქი, – ვუპასუხე. წინ დამიდეს დანა და პისტოლეტი და – აირჩიო, – მითხრეს. დანა ავირჩიე... მთელ კახეთს წაშვი მოვლო ჩემი ქურდად „მონათვლის“ ამბავი. უკან რომ ვბრუნდებოდი, ყველა რაიონში გვხვდებოდნენ ქურდები და პურმარულზე გვეპატიებოდნენ. მე კი ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ მანქანაში უკანა სავარძელზე ვიწევი და მეძინა. ზიმა ეუბნებოდა – ბავშვი დაღლილია, სხვა დროს აღვნიშნოთ ეს ამბავიო. ისინი ფულის დასტებს მიყრიდნენ მანქანაში და ამით ჩემ მიმართ პატივისცემას და მათ წრეში მიღებას უსვამდნენ ხაზს. აი, ასე გავხდი ქურდი. ამის შემდეგ საცხოვრებლად ზიმასთან გადავბარე. სკოლაში საერთოდ აღარ დავდიოდი. თუმცა, რამდენჯერმე დამიჭირეს მილიციელებმა და სკოლაში ძალით მიმიყვანეს. წარმოგიდგენიათ? ქურდი ხარ და გაკვეთილზე ზიხარ, როგორია?.. ზიმა მომაკითხვავდა ხოლმე, მეც სკოლიდან ვიპარებოდი და ძველებურ ცხოვრებას ვაგრძელებდი. არც შშობლების პროტესტს ვაქვევდი ყურადღებას...

„ვერ ხელავ, კაიფში იბრიდება?!“

– ფული რომ გამიჩნდა, მოვინდობე, ყველანაირი ცხოვრებისეული სიაშე გან-

მეცადა. დავიწყე წამლის კეთება. სიძარ-თლე რომ გითხრათ, თვითონ ნარკოტიკების გამსაღებლებმა შემიწყვეს ხელი და „წამალზე დამსვეს“. რადგან მაშინ არც ერთი ქურდი არ კაიფობდა, ისინი ექებდნენ დასაყრდენსა და მფარველს. ჩემი საშუალებით კი, იოლად იპოვეს გამოსავალი: წამალს მაძლევდნენ, მე კი ვმფარველობდი. ჩემი შიშით ვერავინ „გაღებდა“ ფულში და ვერც ზედმეტ სიტყვას ჰკადრებდა. ჩემი განარკომანების ამბავი ქურდების ყურამდე მივიდა. დამიბარეს „სხადნიაკზე“ და გამაფრთხილეს: თუ კიდევ შეგნიშნავენ, რომ კაიფში იქნები, არაქურდად დაგტოვებთო. მეც დავიფიცე, აღარ გავკარებო-მეთქი, მაგრამ რა თქმა უნდა, პირობა ვერ შევასრულე. როცა კაიფში ვიყავი, ყველას ვემაღლებოდი ხოლმე, მაგრამ აბა, ქურდებს რას გამოაპარებ?.. ერთი ქურდი იყო, ანზორა ერეკა. დამიბაზა და მითხრა: მე და შენ ქურდები ვართ, დღეს შენთან ერთად ქეიფი მინდა, როგორც მე დავლევ ლენოს, შენც ისევე უნდა დალიო... რას ვეტყობი? დავსხდით სუფრასთან, მაგრამ ორი ჭიქა დავლიე თუ არა, ცუდად გავხდი. გული ამერია და ძლივს მოძაბრუნეს. რომ მღვკეთდი, ანზორა მიუბრუნდა ზიმას და უთხრა: რის ქურდი, რა ქურდი, ვერ ხელავ, კაიფში იბრიდება?.. დღეიდან სპარტაკა ქურდი აღარ იქნებო! მე ტირილი დავიწყე. ზიმამ გარეთ გამიყვანა და სახეში ისეთი გამარტყა, რომ თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა. თან მითხრა: რომ გეუბნებოდა, ქურდი არა ხარო, რატომ არ დაარტყიო?.. ამის თქმა იყო და ოთახში გიყვივით შევეკარდი, ანზორას დავეტაკე და მუშტი სახეში ჩავცხე... იმის მერე ანზორას შევეჯავრდი. მიხვდა, რომ ზიმამ წამაქეზა და მასაც ეჩხუბა. ბოლოს ზიმამ უთხრა: რა გინდათ? ერთადერთი, ვისაც უფლება აქვს, ამ ბავშვს ხელი დაარტყას და რაიმე დაუშალოს, ეს მე ვარ! ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ყველას ხელს შემოგიბრუნებთ, შენც ქურდი ხარ და ესეც, ასაკს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვსო. ასე დამთავრდა კონფლიქტი წამლის თაობაზე... ყოველ წუთს ვგრძნობდი ზიმას თანადგომას. ისე ვუყვარდი, თავის საწოლში მიწვენდა ხოლმე. სშირად უთქვამს: წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე, დღეს არაფერი იმაიშუნო, ფული თუ გტვირდება, უჯრაში დევს და აილე, არ მინდა, ხათაბალაში გაეგო. შემდეგ ზიმა დაიჭირეს. ისე მენატრებოდა ხოლმე, რომ

დიდ რისკზე მივიღოდი, ოღონდ ჭმენახა. ფულზე ვჩალიჩობდი, შემდეგ ათმეტრიან კედელზე ავბობდებოდი, კა-პე-ზე-ში შევიპარებოდი და ფულს, სიგარეტსა და პროდუქტს ვაწვდიდი ხოლმე. ერთხელ, უკან გადმოსვლისას, სროლაც კი ამიტყენეს. მაშინ სასწაულმა გადამარჩინა...

„ქალის გემო ყანალობისას გავიგე...“

– უკვე ქურდი ვიყავი, როდესაც ზიმამ მკითხა: ქალთან თუ ყოფილხარო? – არა-მეთქი, – გავუქნიე თავი. იმავე საღამოს, ერთ ადგილზე მიმიყვანა. იქ საკმაოდ ასაკოვანი ქალი დაგვხვდა. მოხუცი კი არ იყო, უბრალოდ, ჩემზე საკმაოდ დიდი გახლდათ – ასე, 35 წლის იქნებოდა. ზიმამ იმ ქალს ფული გადაუხადა და წავიდა. გული გამაღებოდა მიცემდა, რაღაც ახლის მოლოდინში, მაგრამ იმ ქალმა შემბაბა: სპარტაკ, თითქმის შენი ასაკის შვილი მყავს, შენთან ვერ დაწვევები, მაგრამ საიღუმლო შემიჩნახე, გთხოვ, ზიმას არაფერი უთხრაო. დილით ისე მოვანგენე ზიმას თავი, თითქოს ყველაფერი ხუთიანზე ჩატარდა... გავიდა ხანი. ოთხკაციანი ჯგუფი საკმაოდ შეძლებულ ოჯახს ვაყარავდით. უკვე სახლში ვიყავით შესულები და ოთახებს ვჩხრეკდით. ერთ-ერთი ოთახის კარი შევაღე და რას ვხედავ?.. ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ქალს იარაღით ადგას და თან... მოკლედ, ამის დანახვამ ჭკუიდან გადამიყვანა. ჩემი მეგობარი მიხვდა, რაც მჭირდა და ეს ქალი მე დამიტოვა... უზომოდ განარბული და ბედნიერი წამოვედი იქიდან. ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა, წამოსაღებიც წამოვიღეთ და მეც კმაყოფილი დავრჩი. ზიმასთან რომ მივედი, თვალები ისე უჭეულოდ მიბრწყინავდა, მაშინვე მიხვდა, რომ იქ რაღაც მოხდა. მეც არ დავუშალე და

სქომაქოლოგიური კლინიკა
რიჩო-დენი



1. უმტკივნეულო მკურნალობა მოკლე ვადებში;
2. 100% სტერილიზაცია;
3. დაბალი ფასები;
4. ულტრა თანამედროვე მასალები აშშ-სა და გერმანიიდან;
5. მაღალკვალიფიციური მედ-პერსონალი;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.

მის: თავისუფლების მოედანი №41
(ახალაშენებული სასტუმრო „მერიოტის“ ეზოში)
☎ 98-64-83

ერთგული ეკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდებით პასუხის გაცემა...

1. რამდენი მეტრია ჩვეულ-ღებრივი სვანური კოშკის სიმაღლე?



- ა) 20-25 მეტრი;
- ბ) 10-15 მეტრი;
- გ) 35-40 მეტრი.

2. რა ეროვნებისაა რომის ამჟამინდელი პაპი?



- ა) პოლონელი;
- ბ) რუმინელი;
- გ) იტალიელი.

3. სიტყვა „კონფერენცია“ შუა საუკუნეების ლათინური სიტყვისგან მომდინარეობს და სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება:



- ა) „ვერებ ერთად, ვთათბირობ“;
- ბ) „ვეებთ ჭეშმარიტებას“;
- გ) „ჩვენ პრობლემებს გადავწყვეტთ“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ცათ იმის უფლება, რომ ოჯახს ანგრევთ?! გავიყუდი. მაშინ მივხვდი, რომ თურმე, ასე მოქცევა არ შეიძლებოდა. მართლაც, ხომ შესაძლებელი იყო, ქმარს რომ გავეო ეს ამბავი, ცოლს გაჰყროდა?.. ზიმა კი სულ მარიგებდა – ეცადე, ყველას თავი შეაყვარო, შესაძლოა, მოჰპარო, წაართვა, მაგრამ დაზარალებულმა მაინც უნდა თქვას, კარგი ქურდი იყო... აი, ასე მივიღე „ნათლობა“ ქალებში.

„ქურდი ვარ და ცემით მკლავენ...“

– თექვსმეტი წლის რომ გავხვდი, დამიჭირეს ქურდობის ფაქტზე და როგორც წესი, „მაღალეუტკებში“ მიმიყვანეს. საქმის ძიების დროს, „კამერაში“ ვიჯექე, სადაც ჩემთან ერთად სხვა არასრულწლოვანი დამნაშავეებიც იყვნენ. იქ თავისი კანონები ჰქონდათ და არაქურდული სიტუაცია იყო. მორიგეობის გრაფიკი ჰქონდათ დაწესებული. მორიგეს წითელი სამკლავური ეკეთა და ოთახს ალაგებდა. რა თქმა უნდა, მე ეს საქმე არ უნდა გამეკეთებინა. იქ არ იცოდნენ, რომ ქურდი ვიყავი, ამიტომ რამდენიმე დღე მცადეს, შემდეგ, დილით ადრე გამაღვიძეს და მითხრეს: ადექი, დღეს მორიგე ხარ და ოთახი დაალაგეო. „ნარიდან“ წამოვდექი, მათ პირისპირ დავდექი და ვუთხარი: „მე მორიგე არა ვარ!“ – ვითომ, რატომო? – იმიტომ, რომ ქურდი ვარმეთქი. ამ სიტყვის თქმა იყო და ერთ-ერთმა სახეში მუშტი ჩამარტყა. რაღა თქმა უნდა, პასუხი დავუბრუნე, მაგრამ ისინი ბევრნი იყვნენ. დამესივნენ და მაგრად დამაღლილავეს. ვერანაირად ვერ შევაჩერე. ვევიროდი: ქურდს ნუ ურტყამთ. თქვე ბოზებო-მეთქი! – მაგრამ ვერ დავაჯერე, რომ სიმართლეს ვამბობდი... წუღან ვითხარით, რომ ზიმა ჩემზე ადრე დაიჭირეს. როგორღაც მოვახერხე და წერილი მივაწვდინე: მიშველეთ, ქურდი ვარ და ცემით მკლავენმეთქი. – ზიმა გადარეულა, დანარჩენი ქურდებისთვისაც უთქვამს ეს ამბავი, ყველანი შეშფოთებულან. რამდენიმე დღის შემდეგ, „კამერაში“ ციხის თანამშრომელი შემოვიდა და მითხრა: შენი ნივთები ჩაალაგე და წამოდიო. მიმიყვანეს ციხის საავადმყოფოში. ეს, რა თქმა უნდა, ქურდების დამსახურება იყო. შემდეგ მათთან შესვე-

დრაც მოვახერხე. უამრავი ტანისამოსი, შოკოლადი და საჩუქარი დამახვედრეს. შემდეგ, ციხის უფროსს ის ბიჭები მოაყვანინეს, რომლებიც ჩემს „კამერაში“ ყოჩებოდ თვლიდნენ თავს და უთხრეს: თქვენ იცით, რომ სპარტაკი ქურდია?.. ხელი როგორ დაარტყითო?! ამას როგორც უნდა, ყველაფერი ისე უნდა იყოს და დღეიდან, თუ არ დაუჯერებთ, თქვენს თავს დააბრალეთო. მე კი მითხრეს – შეგიძლია, ის ბიჭები მოკლა, ვინც ხელი დაგარტყაო. მე ბუნებით სასტიკი აღამიანი არა ვარ, ამიტომ მათ ასეთ საშინელ განაჩენს ვერ გამოვუტანდი. როდესაც უკან დამბარუნეს, ბიჭებს ვუთხარი – ყველაფერი მიპატიებია, რადგან არ იცოდით, რომ ქურდი ვიყავი და ვერც დაიჯერებდით, რომ ჩემს ასაკში შესაძლოა, ეს სახელი მქონოდამეთქი... ამის შემდეგ, ეს ბიჭები ჩემი ერთგული ყმები გახდნენ. ამასობაში მეც გამასამართლეს, 2 წელი მომისაჯეს და ასე მოვხვდი გალის რაიონის სოფელ სიდაში მდებარე ქურდულ ზონაში... იქ თითხმეტი ქურდი იხდიდა სასჯელს. მანებივრებდნენ კანფეტებით, შოკოლადით, სათამაშოებით, ჩემს ყველა კაპრიზს ასრულებდნენ. ფულსაც ვმოულობდი, არც ქალები მკლავდა, წამალაც თავზე საყრელად იყო. სიდაში ერთი საინტერესო ამბავი გადამხდა თავს. ერთმა პატიმარმა კამათელი ითამაშა და საკუთარი სიცოცხლე წააგო. დასახმარებლად მე მომმართა...

თუ როგორ მოავგარა სპარტაკმა ეს საქმე, როგორ გამოიქცა ვერ სასამართლოდან, შემდეგ – მილიციის განყოფილებიდან და რა მოიმოქმედა მისმა დედამ, ქალბატონმა თამარმა იმისათვის, რომ შეილისთვის გაქცევის საშუალება მიეცა; აგრეთვე იმას – თუ როგორ ბრძანა მამინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ – გივი კვანტალიანმა, რომ სპარტაკისთვის ყოველ ღამით ქალთან დაწოლის უფლება მიეცათ – „გზის“ მომღვწიო ნომრიდან შეიტყობთ.



აგს ნუ იქმ და ავისაგან, თქმულა, ნულარა გაქვს შიში. დავით გურამიშვილი

გენიალური

ჯადოსნური სიტყვა



„ჩემო სიტყვებზე... – რაღაცნაირი, დაგუდული ხმით მიიხრა...“

დარწმუნებული ვარ, ბავშვობაში, ჩემსავით თქვენც განმარტობულხართ ოთახში, იოგის პოზაში მჯდარს ხელისგულები ერთმანეთზე მიგიტყუებიათ, თვალები დაგისუჭავთ, სურვილი ჩაგიფიქრებიათ და წარმოგიტყვამთ: სნიპ-სნაპ-სნურე, სნურე-ბაზელურე... თუ ასე არ მოქცეულხართ, „აბრაკადაბრა“ მაინც ხომ გითქვამთ ოდესმე?.. არა?... მაშინ, თუ ბავშვური ოცნებები არ აგისდათ, თქვენს თავს დააბრალებთ, რადგან ეს ხომ სწორედ ის ჯადოსნური სიტყვებია, რომლებიც სურვილების ასრულებას უწყობს ხელს. ზღაპრების არ გჯერათ?... კარგით, მაშინ ჩვენს რეალობას დავუბრუნდეთ და იმ რესპონდენტებს მივუგოდოთ ყური, ვინც „თანამედროვე“ ჯადოსნური სიტყვის ოსტატია. თამამად ვიტყვი, რომ ერთ-ერთი ასეთი სიტყვა გახლავთ — „მიყვარხარ“, რადგან ამას ირწმუნება რესპონდენტთა 99%. თქვენს სასურველ ადამიანს თვალეში ჩააშტერდით და იმეორეთ სიტყვა — „მიყვარხარ“ — მანამ, სანამ სასურველ შედეგს არ მიიღწევთ...

მარი ჯაშარიძე

შეყვარებული ჯენტლმენი თუ კლოუნი?

„2 წლის წინ, სრულიად უცხო უბანში, მალაზიაში შევედი. დახლთან ისეთი ლამაზი გოგო იდგა, საერთოდ გადამავიწყდა, რისი ყიდვა მინდოდა. პირდაღებული უყურებდი. როგორც ჩანს, ეს გოგო ასეთ რაღაცებს უკვე მიჩვეული იყო და სულაც არ გაჰკვირვებია, მოჯადოებულივით რომ ვიდექი. ვილაცამ მხარი გამკრა, ვილაცამ რაღაც უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა და აზრზე ამან მომიფანა. მალაზიის დაკეტვის იქვე, ქუჩაში დაველოდე. ზამთარი იყო და მთელი 5 საათი ფეხმოუცვლელად ვიდექი. ისე გავიყინე, რომ ტირილი მინდოდა, მაგრამ მაინც არ მოვიცვალე ფეხი... მალაზიის დაკეტვის დროს, კართან ლურჯი „ოპელი“ გაჩერდა. ამ გოგომ ცხვირწინ ჩამიარა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. ესეც ბედის ირონია! ამდენი ხანი ველოდე და ვერ გავაცვილე. მეორე დღეს კვლავ მივედი მალაზიაში, მესამე და მეხუთე დღესაც... ისე მიეჩვიე ჩემს იქ ყოფნას, როგორც აუცილებელ ინვენტარს. თუმცა ხმას არავის ვცემდი. მივილოდი, ერთ კუთხეში ავიტუზებოდი და მალაზიის დაკეტვამდე ფეხს არ ვიცვლიდი... როგორც იქნა, დათბა და უკვე აღარ მცვიოდა ხოლმე... დიდი

ხნის ლოდინის შემდეგ, დაღა ის დღეც, როცა ნანუკას აღარ მოაკითხა მანქანამ. მეც ვისარგებლე მომენტი და ავედევნე. გამოველაპარაკე, მაგრამ ხმა არ გამცა. კუნტრუმ-კუნტრუმით მივდექე, ენას არ ვაჩერებ, ის კი მღუშარედ მიაბიჯებს. ბოლოს, მხარზე ხელი შევახე, მოვებრუნე, წინ დავუდექი, თვალეში ჩაგხედე და – მიყვარხარ-მეთქი, – ჩურჩულით ვუთხარი. ისეც მღუშარედ მიყურებდა. – „მიყვარხარ!“ – გავიმეორე უფრო ხმამაღლა. შემდეგ კიდევ ავუწვი ტონს, კიდევ... უკვე ხმამაღლა ვყვიროდი, გამგვლელ-გამომგვლელი მიყურებდა, ზოგს ეღიმიებოდა, ზოგი საფეთქელთან თითს იტრიალებდა... ბოლოს დავიდალე და გავჩერდი. – „კლოუნი ხარ!“ – გამოცრა კბილებში გოგომ და წავიდა. თითქოს ცივი წყალი გადამასხესო – ერთ წაშში შევიჯავრე ეს სულელი გოგო. გამოვფიხიზლდი და ეს სწორედ ჯადოსნური სიტყვის – „კლოუნის“ ბრალაია...“

მკითხველს ვურჩევ, ჩვენი რესპონდენტების მიერ ნახსენები „ჯადოსნური“ სიტყვები ცალკე ამოიწეროს და დაიმასხოსოვროს – ვინ იცის, იქნებ ოდესმე გამოადგეს...

ყველა მოხუცი ჭირვეულია. მახსოვს, ჩემი მეგობარი დეკემბერში მარწყვს ეძებდა. მეგონა, ცოლი ფეხმძიმედ ჰყავდა, ის კი თურმე, 92 წლის ბაბუის კაპრიზს ასრულებდა, მაგრამ თუ ჯადოსნური სიტყვას მოიშველიებთ, აშკვარსაზრუნავს აარიდებთ თავს – ჩვენი მომღვერო რესპონდენტი ასე მოიქცა.

„ანალიზიტი“

„იმერელი კაცი ვარ, 40 წლის. ხომ წარმოგიდგენიათ, ბებიანები რამდენი წლის იქნება?... ჰოდა, ეს ჩემი იმერელი ბებო ვერაფრით დავითანხმე, საცხოვრებლად ქალაქში გადმოსულიყო. იყო თავისთვის სოფელში, სახლ-კარს დასტრიალებდა, მაგრამ ბოლო დროს, ჯანმრთელობა შეერყა. საცხოვრებლად ქალაქში არ მოდიოდა, არადა, ყველაფერი აქაური უნდოდა: წამალი აუცილებლად თბილისში უნდა გვეყიდა, ფესსაცმელიც და ტანისამოსიც. ექიმმა რომ წამლები გამოუწერა, გინდა თუ არა, – აქაური არ ივარგებს, „გოროდიდან“ ჩამომიტანეო, – მითხრა. მეც, მის დასანახავად, მობილურით დაურეკედი, – ესა და ეს წამლები „მარშრუტკის“ მძღოლს გამოატანეთ-მეთქი, – მეორე დღეს, რაიონში ვყიდულობდი და „გოროდიდან“ ჩამოტანილად მივასადებდი ხოლმე. მერე სოფლის ექიმსაც აღარ ენდობოდა, გინდა თუ არა, „გოროდილი“ „დოხტური“ მომიყვანეო, – გადამეკიდა. დავურეკე ძმაკაცს და საქეიფოდ დავპატიფე. თან ვთხოვე, – თუ ძმა ხარ, თეთრი ხალათი „წამეიდვანიე“-მეთქი. მეორე დღეს, ბებოს გამოვუცხადე, – თბილისში მივდივარ ექიმის ჩამოსაყვანად, საღამოს დაბრუნდები-მეთქი, – და მთელი დღით დავიკარგე. მეგობარს რაიონში დავხვდი და ბებოსთან მივედი. შინ შესულეებს, ისეთი შემწვარ-მხრბაკულის სუნი დავეხვდა, რომ ლამის კართან ჩავიკეცეთ. ბებო კი საწოლზე იწვა და გველოდა. მეგობარი წინასწარ დავარიგე, როგორ უნდა მოქ-

ცუელიყო. თეთრი ხალათი მშვენივრად მოირგო, ცხვირზე სათვალე დაიკოსა და ბეზოს საწოლთან ჩამოუჯდა. ნამდვილი ექიმივით გამოჰკითხა ყველაფერი, შემდეგ პულსი გაუსინჯა, წნევა გაუზომა და დიაგნოზი დაუსვა: „ანაღვინიტი“. — ეს რა არისო? — იკითხა ბებომ. — თქვენ ის ნივთიერებები გაკლიათ, რომელიც ღვინის შემადგენლობაში შედის, ამიტომ ყოველ დღით, უზმობზე 100 გრამი სუფთა ღვინო უნდა დალიოთ და ყველაფერი გაგივლით. მერე მე მომიბრუნდა: — ვინაიდან ახლა საღამოა, ამიტომ დღეს 200 გრამი დალიოს, დღიდან კი, მკურნალობის კურსს დაიწყებს და ყველაფერი კარგად იქნებაო, — დაასკვნა. დავალეყინეთ ერთი ჭიქა ღვინო ბებიას. შალვა კი მზრუნველად ეკითხებოდა — თავს როგორ გრძნობთ? 20 წუთში ბებომ თქვა, რომ აღარაფერი აწუხებდა. შალვაც წასასვლელად მოემზადა, მაგრამ ბებიამ არ გაუშვა, საწოლიდან წამოხტა, დატრიალდა და სულ ძალით, ისეთი პურმარული გაგვიწყო, მტერსაც რომ გაუხარდებოდა. კარგად მოვიღვინეთ. დღით შალვა გავაცილეთ და ასგრამდალეული ბებია უმტკიცებდა: შენზე ნასტავლი ექიმი დუნიაზე არ დადისო... მოკვლე, ბებოც კმაყოფილი იყო, მეც და რაღა თქმა უნდა, ექიმი შალვაც. აი, ასეთი ჯადოსნური სიტყვა არსებობს — „ანაღვინიტი“.

თვითმარქვია ექიმის ჯადოსნური სიტყვა გავივით. მაგრამ საინტერესოა, რომელ სასწაულმოქმედ სიტყვას იყენებენ ნამდვილი, დიპლომირებული ექიმები? თავისი კოლეგის შესახებ 46 წლის არკადი გვიამბობს...

არათითი — საჩუქრად

„ექიმი გახლავართ. მინდა, ჩემი კოლეგის შესახებ ვიამბოთ. სერგო (სახელი შეცვლილია), საკმაოდ გამოცდილი და კარგი ქირურგია. ერთი ნაკლი აქვს მხოლოდ: 2 ჭიქა სასმელიც რომ დალიოს, დღით ისეთ „პანმელიაზე“, რომ თავის მოკვლა უნდა. ცუდ ხასიათზეა, ჯუჯულუნებს, ჩხუბობს, მაგიდაზე მუშტს ურტყამს. „პანმელია“ გაუვლის თუ არა, ისევ „ოქროკაცად“ იქცევა ხოლმე... ერთ კვირა დღეს, მეგობრის იუბილე აღვინიშნეთ. მეორე დღეს, სამსახურში ჩვეულებრივად გამოვცხადდით. სერგო, რა თქმა უნდა, საშინელ ხასიათზე გახლდათ. იმ დღით ოპერაცია ჰქონდა დანიშნული. სომეხ კაცს მარჯვენა ხელის შუათითზე განგრენა ჰქონდა და სერგოს მისთვის თითი უნდა მოეკვეთა. ოპერაციაზე მეც გახლდით. სერგო ჩქარობდა, რომ „პანმელიაზე“ გამოსასვლელად ძალიან წავსულიყავით და ხაში გვეჭამა... როგორც

იქნა, ოპერაცია დამთავრდა, მაგრამ უცრად, მისი გინების ხმა მომესმა. აღმოჩნდა, რომ შუათითის ნაცვლად, სრულიად ჯანსაღი არათითი მოუკვეთავს!.. რაღას იზამდა?... ადგა და ავადმყოფი თითიც მოჰკვეთა... დადგა დრო, როდესაც ავადმყოფის გულშემატკივრებისთვის უნდა მოეხსენებინა ოპერაციის შედეგი. დერეფანში გავიდა. პაციენტის ნათესავები გარს შემოეხვივნენ. სერგომ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ჯადოსნური სიტყვა — „გადარჩა!“ — წარმოთქვა. ალტაცების ყიფინამ გადაუარა გულშემატკივრებს. — მაგრამ — განაგრძო სერგომ — აღმოჩნდა, რომ არათითიც დაზიანებული იყო და მისი მოკვეთაც აღმოჩნდა საჭიროო. ნათესავები ვაუკაცურად შეხვდნენ ამ ინფორმაციას. ერთმა მამაკაცმა სთხოვა, — ცალკე დალაპარაკება მინდაო. სერგო მას თავისი კაბინეტისკენ გაუძღვა და თან, საცოდავად გადმოხმდა. მეც მათ მივყვი. კაცმა ძალზე დამწუხრებელი სახით უთხრა: იცით, სერგო ექიმო, ჩვენ ერთი თითის მოსაკვეთი ფული გვქონდა მოგროვილი, ამ გაუთვალისწინებელ ხარჯს არ ველოდით, ამიტომ მეორე თითის საფასურს მერე გადაგიხდითო... სერგომ შევბით ამოისუნთქა და არც დაფიქრებულა, ისე მიუგო: ნუ ინერვიულებთ, მეორე თითი ჩემი ფეშქაში იყოს, მაგის საფასურს არ გადაგახდევინებთო... პაციენტის ნათესავები ისეთი მადლიერები დარჩნენ და იმდენი მადლობა უხადეს სერგო ექიმს, რომ მის მაგივრად, მე შემრცხვა. ორმა ჯადოსნურმა სიტყვამ სერგო ექიმი ლამის კერპად აქცია... პატივისცემით, არკადი“.

ჩვენს შემდეგ რესპონდენტს ცოტა უცნაური ჯადოსნური სიტყვა სცოდნია, მაგრამ თვითონ ირწმუნება, რომ ჭრის... ჩვენც მეტი რა გზა გვაქვს? — უნდა ვენდოთ და მის ნაამბობს გავუცნოთ. მაგრამ მანამდე, ამ ამბის შესაფერისი ანეკდოტს ვიამბობთ.

მიხო სტუმრად გახლდათ მისული. მასპინძელი — ძალზე თავაზიანი კაცი — ზრდილობიანად იქცეოდა, სულ ბატონობით ესაუბრებოდა. მიხო თავს უხერხულად გრძნობდა, პირზე მომდგარ გინებას ძლივს იკავებდა... ცოტა რომ შეთვრნენ, მიხომ აიჩემა — ჩემი ღვინო შენსას სჯობსო. მასპინძელმა ყურადღება არ მიაქცია მის ნათქვამს. მიხომ კიდევ გაიმეორა... კიდევ... მასპინძელს მოჰპებურდა და უთხრა: — მიხო, ერთი შენი დედაც და შენი ღვინისაცო... მიხოს საზე გაუბადრა: — ე მაგრე, კაცო, ვიჭუჭუკოთ, ვიმზიარულოთ, ეგრე არა ჯობია?!

ახლა კი ელგუჯას მოვუსმინოთ:

„ვენაცვალე გინებას...“

„ცოლი სიყვარულით შევირთე. მშვიდი, წყნარი გოგო იყო. დაქორწინდით თუ არა, ხასიათი შეეცვალა. ყველაფერზე ბუზღუნებდა, წუწუნებდა, ვიდრე თავის კაპრიზს არ აისრულებდა, არ ჩერდებოდა. გეფიცებით, ადამიანის ასეთი გარდასახვა პირველად ვნახე. მის საქციელს ყურადღებას არ ვაქცევდი. უზომოდ მიყვარდა და თავიდან მსიამოვნებდა კიდევ, სურვილებს რომ ვუსრულებდი... შემდეგ, ფეხმძიმედ იყო და ყველაფერს ამას ვაბრალებდი. ის რომ პრეტენზიული ტონით მეტყვოდა — დღით ისე არ წახვიდე, შინ პური რომ არ მოიტანო, — მე მოვეხვეოდი, ვაკოცებდი და ვეტყვოდი: — აბა, რას ვიზამ, ჩემო სიცოცხლე-მეთქი?! ის რომ მეტყვოდა — ამდენი რატომ დალიე? ღორივით რომ გაიმომდაროყავი და ცოლად დაველია, შენთვის აჯობებდაო, — მე ვუპასუხებდი — ჩემო ნატურისთვის, მე ხომ შენი გოჭი ვარ, ჰოდა, ღორივით კი არა, გოჭივით გავძეხმეთქი... გადიოდა წლები. მთელი 6 წლის განმავლობაში ვითმენდი მის კაპრიზებს და ალერსითა და თბილი სიტყვებით ვცდილობდი, სიტუაცია შემერბილებინა. ერთ საღამოს, შინ დაბრუნებულს, ჩვეულებრივად, გაბუსხული დამხვდა. გვერდით მიუჯექი, მივეფერე, მაგრამ ხელი მკრა. ცვადე, მეკოცნა — ახლოს არ გამიკარა... გავბრაზდი, გონება გადამეკეტა და ამდენი ხნის ნაგროვები ბოლმა ერთიანად ამოვანთიხე. მაგიდაზე მუშტი დავარტყი და ვიყვირე: შენი დედა... აეთრიე, მეორე ოთახში გაეთრიე და ვიდრე არ დაგიძახებ, აქეთ ფეხი არ გამოადგამეთქი!.. მოულოდნელობისგან შეხტა. ვიფიქრე, ახლა გადაირევა, აკოვლდება-მეთქი და შეტყვისთვის მოვემზადე, მაგრამ მორჩილად ადგა და ჩემი ბრძანება შეასრულა. იმ დღიდან, მისი კაპრიზული ტონი აღარ გამოვინია. თუ შევნიშნავ, რომ ძველებურად ოღნავ მოპრუწავს ტუჩებს, წარბს ავწევ და ისე შევხედავ ხოლმე — მაშინვე ყველაფერი თავის ადგილზე დგება... ვენაცვალე იმ ჯადოსნურ სიტყვას, რომელსაც გინება ჰქვია. ბიჭოს! ჩემს მუშტსაც რა ძალა ჰქონია!.. ისე, ხანდახან კი მომინდება ხოლმე, რომ მივიდე, გვერდით მიუჯდე, მივეფერო და ვუთხრა, რომ ჩემი ცუგრუმელაა, მაგრამ ძველი ამბები რომ გამახსენდება, მაშინვე მეკარგება ამის სურვილი. ასეთ დროს, ისევ წარბს ავწევ და ირიბად გადავხედავ ხოლმე. ის კი მეკითხება — ხომ არაფერი გინდაო?... აი, ასე..“

მინდა, ჩვენს მკითხველ მამაკაცებს მადლობა გადავუხადო იმისათვის, რომ ასე იაქტიურეს და მშვენიერი ჯადოსნური სიტყვების „კორიანტელი“ დააყენეს.

ახლა კი ქალბატონს მიუვლოთ ყური და ვნახოთ, რომელმა ჯადოსნურმა სიტყვამ შეძლო მისი მოხიბვლა.

„ამ სიტყვამ ჭკუიდან გადამიყვანა...“

„გავიზარდე თერჯოლაში. იქვე გავთხოვედი. მაგრამ მალევე გავცილდი ქმარს და საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი. ერთოთხანანი ბინა შევიძინე, სამსახურიც ვიმოვე და ვცხოვრობდი ჩემთვის. ხან მიჭირდა, ხან – მიღონდა, მაგრამ საკუთარი თავის მეტი, საყრდენად არავინ მეგულებოდა. ერთ დღეს ჩემს მობილურზე ვილაკამ დარეკა, ჩემი ხმა რომ გაიგონა, გათიშა და ცოტა ხანში, მესიჯი გამომიგზავნა. არ დაუმაღლავს, რომ პატიმარი იყო და მოხიბვლა – ერთმანეთი გავიცნოთო. მათი თამაშის ხერხები კარგად ვიცი. სწორედ ამიტომ, სურვილიც კი არ გამჩენია, რომ პასუხი გამეგზავნა. მაგრამ ირაკლი (ასე ჰქვია მას) არ მომეშვა. დღეში ას მესიჯს მაინც მიგზავნიდა, ათას რამეს მპირდებოდა. მე ამაზე მეცინებოდა, ერთი სიტყვაც არ მჯეროდა მისი. მესიჯს ძალზე იშვიათად ვუგზავნიდი, ვთქვით – კვირაში ერთხელ. ისიც, რაიმე მწარე სიტყვას ვეტყვიდი და მორჩა... ხანდახან მირეკავდა კიდევ. საოცრად ბოხი და მამაკაცური ხმა ჰქონდა. მეუბნებოდა – გარეგნულად მახინჯი ვარ, რომ მნახო, შეიძლება გული გაგისკდესო... შემეცოდა. სანუგეშო მესიჯი გავუგზავნე, არ მინდოდა ეფიქრა, რომ რადგან მახინჯი იყო, ამის გამო ვამბობდი მასთან ურთიერთობაზე უარს... მიუხედავად ჩემი სიცივისა, ის მაინც აგრძელებდა ჩემთან ურთიერთობას. საღამოობით უფრო აქტიურობდა, მეხვეწებოდა – პასუხი მომწერე, არ დაიძინო, – მაგრამ დაღლილს მეძინებოდა ხოლმე. დილით კი ტელეფონზე მესიჯი მხვდებოდა – ჩემო ძილისგულავ, ისევ დაგეძინა? ერთხელ მაინც მიპასუხო... ერთ საღამოს, რაღაც ეშმაკი შემიჩნდა. დენი არ იყო. ლოგინში აღრიანად შევწექი და ძალზე თბილი მესიჯი გავუგზავნე. აღფრთოვანებულმა მიპასუხა. მეც მივწერე და ასე გავაბით შუადამეძდე. ბოლოს მივწერე – შენს ძილისგულას ეძინება და აღარ მომწერო-მეთქი... დამირეკა. ყურმილი რომ ავიდე, პირველი, რაც გავიგონე იყო: „ჩემო სიცოცხლე...“ – რაღაცნაირი, დაგუდული ხმით მითხრა, თითქოს ჩურჩულით... ამ სიტყვამ ლამის ჭკუიდან გადამიყვანა. ტელეფონი გავთიშე და მთელი ღამე ვერ დავიძინე. სურვილი გამიჩნდა, ეს სიტყვები ტელე-

ფონში კი არა, ყურში ეთქვა ჩემთვის, მაგრამ მასთან ციხეში მისვლას ვერ ბედავდი... ამის შემდეგ, ჩვენი ურთიერთობა სხვაგვარად წარიმართა. ცოტა ხანში, სიყვარულს ვეფიცებოდი ერთმანეთს. მის გარეშე ვეღარ ვძლებდი. ისიც დავივიწყე, რომ მეუბნებოდა, მახინჯი ვარო... მოკლედ, 15 წლის გოგოსავით ვიყავი შეყვარებული ადამიანზე, რომელიც არ მენახა და ბედნიერი ვიყავი... ამასობაში, ერთ წელზე მეტი გავიდა. ერთ დღეს ირაკლიმ გამომიცხადა, ერთ კვირაში ვთავისუფლდები და იცოდე, იმ საღამოსვე უნდა ვნახო... ძლივს გავიდა 7 დღე. დილით ციხიდან გამოვიდა, საღამოს 10 საათზე კი, ერთმანეთს შევხვდით. გული გამაღებთ მიცემდა შეხვედრის მოლოდინში. დათქმულ ადგილზე მაღალი, დაკუნთული, მშვენიერი გარეგნობის მამაკაცი მელოდა. მეგონა, თავისი მეგობარი გამოგზავნა. როგორც კი დამელაპარაკა, ხმით ვიცანი. ძალზე ბედნიერი ვიყავი... დღეს ერთად ვცხოვრობთ. ცოლ-ქმარი არა ვართ, მაგრამ ერთმანეთი უზომოდ გვიყვარს და სულაც არ არის სავალდებულო, რომ ჩვენს ურთიერთობას ოფიციალური სახე მივცეთ. მისი ოჯახის წევრებსაც ვიცნობ და მათგანაც პატივისცემას ვგრძნობ. მოკლედ, გამართლა იმ ჯადოსნურმა სიტყვებმა, რომლებიც ასე ჟღერდა – „ჩემო სიცოცხლე...“

ხელახლა გადავავლოთ თვალი ჩვენი მკითხველების ჯადოსნურ სიტყვებს: „კლოუნი“, „ანალიზინტი“, „გადარჩა“, „ფეშქაში“, „შენი დედა...“ და „ჩემო სიცოცხლე...“ ყველა სიტყვა ნაცნობია, ერთის გარდა, მაგრამ თუ საჭირო დროს, საჭირო ადგილზე იტყვი, თურმე, მათ ჯადოსნური ძალა ეძლევა... ახლა კი, მოკლე მესიჯებს გავუცნოთ.

ამქვეყნად ყველაზე ჯადოსნური სიტყვაა „მიყვარხარ“

„მინდა, ჩემ შესახებ მოგიყვებო. ერთი თვის წინ, კბილი ამტკივდა. დედამ და მეზობელმა ძლივს წამიყვანეს კბილის ექიმთან. სკამზე რომ დავეჯექი, ექიმმა ისეთი ტკბილი სიტყვები მითხრა, რომ სულ დამავიწყდა ტკივილი... 23 წლის გოგოს 37 წლის ცოლგანაშვები, შვილებიანი კაცი შემიყვარდა. არადა, უამრავ ლამაზ და გაცილებით ახალგაზრდა ბიჭს მოვწონვარ. არ ვიცი, რა ჯადოსნური სიტყვა მითხრა იმ ექიმმა, თავი ასე რომ შემამყვარა. ახლა აღარ მირეკავს, რადგან ხელზე არ მოვაფრებინე. ზაზა, მიყვარხარ. ეკა“.

„ჩემო კახელი დათო, 10 წლის წინ დაგკარგე და ახლა ვიპოვე. ისევ მიყვარხარ. შენი „მწარე წიწკა““.

„ჯადოსნური სიტყვები გახლავით – „გმადლობო“, „თუ შეიძლება...“ და მრავალი სხვა, მაგრამ სამწუხაროდ, ძალზე იშვიათად ვიყენებთ. ყველაზე ჯადოსნური სიტყვა კი გახლავით – „მიყვარხარ“...“

„ახალი გათხოვილი ვარ. მეუღლე რუსეთშია, მალე ჩამოვა, მაგრამ იქნებ, ჩემი მესიჯი წაიკითხოს და უფრო მალე ჩამოვიდეს?... უკვე აღარ შემიძლია; ისე მენატრება, სიტყვებით ვერ წადმოვცემ. მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. 21 წლისანები, სრულიად მარტონი დავრჩით სხვადასხვა ქვეყანაში... მაღსახ, ძალიან მიყვარხარ! მარი, ვთხოვო, ჩემი სიყვარულისთვის სულ პატარა ადგილი გამოძებნო „გზაჯინილებში““.

„ამქვეყნად ყველაზე ჯადოსნური სიტყვაა „მიყვარხარ“. ამას კიდევ ბევრჯერ გეტყვი, ერაყიდან რომ დაბრუნდები, ჩემო სიცოცხლე. ზაზა, მიყვარხარ. შენი პატარა მაიკო. გელი“.

„გახსოვს, ფიზკულტურის დარბაზში ფარიკაობას რომ გასწავლიდი? არც ის გახსოვს, რომ მითხარი – ყოველთვის მეყვარები? ჰოდა, იცოდე, ეს მე მიყვარხარ წრფელი სიყვარულით, შენ კი... ბავშვი ხარ...“

„არანაირი ჯადოსნური სიტყვა! ის კი არა და, მონოლოგიც კი არ მოქმედებს ახალციხელ პრინცზე. მას გააჰქვია და ლინდრეს ეძახიან. მინდა, თქვენი დახმარებით მედილიონედ ვუთხრა: შესაძლოა, არ უნდა მიყვარდე, მაგრამ შემეყვარდი და ამას აღარაფერი ეშველება!“

„გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში, მოდი, უნდა ჩაგიხუტო გულში! ეს მესიჯი ჩემთვის ყველაზე ჯადოსნურია. ისე, არ ნახობ? გკოცნი, შე მახინჯო“.

„უკვე 2 თვეა, ერთ ბიჭს ვუძეხვები ინკონიტილით. ეს ბიჭი სიცოცხლეს მირჩენია. ვიცი, მასაც ვუყვარვარ, მაგრამ არ მიმხელს. დარწმუნებული ვარ, რომ ვუთხრა – მე გიმეხივებ-მეთქი, – ყველაფერი შეიცვლება. ერთი ჯადოსნური სიტყვა – „მიყვარხარ“, მთელ ჩვენს ცხოვრებას შეცვლიდა, მაგრამ გამბედაობა არც მე მყოფნის და არც მას. „კოცნის გიჟი““.

დღევანდელ „გზაჯინილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად ვთავაზობთ: – ვერაფრით ვაპატიე... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რა შეცდომა ვერ მიუტყვევთ ახლობელ ადამიანს. კერძოდ, მომავალ ხუთშაბათამდე.



კავკასიური ნაგაზი საქართველოში არსებულ ძაღლებს შორის ერთ-ერთი უძველესი ჯიშია. ადგილობრივი პირობებისა და შენახვის ხასიათის მიხედვით მისი განსხვავებული ფორმები გვხვდება. იგი მსხვილი, საშუალოზე მაღალი, უხეში აღნაგობის, ღონიერი, გაბედული, ავი და ამტანია. სვადის სხეულის სიგრძე 105-110 სმ-ია, ძუსი — 102-105 სმ, სიმაღლე — არანაკლებ 65 და 60 სმ-ია. კავკასიური ნაგაზი კუდმოკაუჭებული, გრძელბეწვიანი ან მოკლებეწვიანია. შეფერილობითაც ნაირგვარია: ნაცრისფერი, თეთრი, შავი და ა.შ. ამ ჯიშის წარმომავლობასა და ჩვევებზე ვრცლად მოგვითხრობს კინოლოგი ბიბ გიორგაძე.

კავკასიური ნაგაზი ძაღლი, ხომელიც ახ შეგანუხებს

ლიპა ქაჩაია

— კავკასიური — ფართო ცნებაა. 1954 წელს, რუსმა მეცნიერმა მასოვერმა ფეხით მოიარა მთელი კავკასია და ამ ჯიშის ძაღლები ტიპებად დაყო: სომხური, აზერბაიჯანული, დაღესტნური და ა.შ., მაგრამ მათგან ყველაზე ძლიერი და ერთგული, ქართული ჯიშის ნაგაზია.

— რა ასაკში უნდა დავიწყოთ ამ ჯიშის ძაღლის წვრთნა?

— კავკასიურ ნაგაზს ლეკობის პერიოდი ძალიან დიდხანს უგრძობდება: თუ მეტეარ ძაღლს 6-7 თვის ასაკში უკვე შეუძლია ნადირობა, კავკასიური ნაგაზი მხოლოდ 2 წლის ასაკშია დაღვინებული, დაეუყვანებული. თბილისში, ამ ჯიშის ძაღლების მწვრთნელი, ორი კაცი მეგულება. როგორც ისინი ამბობენ, წვრთნა 5-6 თვის ასაკიდან უნდა დაიწყოთ. გასათვალისწინებელია, რომ კავკასიური ნაგაზი იმ ჯიშს არ მიეკუთვნება, რომელიც გადაგდებულ ბურთს მოგებთან — ის ამაყია...

— როგორ გავწვრთნათ ამ ჯიშის ძაღლი ოჯახურ პირობებში?

— მათი ყოლა ვრცელი ტერიტორიის გარეშე შეუძლებელია — ის ხომ ბუნების შეილია... თუ პატრონს აქვს იმის პრეტენზია, რომ მისმა ძაღლმა სუბკონტინენტის მესარეულოს, მამინ სპეციალისტს უნდა მიაბაროს; სხვა შემთხვევაში, ეს აუცილებელი არ არის, რადგან ტერიტორიის დაცვას, პატრონის ერთგულებას მას ვერაფერს ასწავლის.

— რა ასაკში მოვაჭრათ ყური კავკასიურ ნაგაზს?

— წესით, ყური ეჭრება 1-2 თვის ასაკში, მაგრამ ჩვენ დაბადებიდან 5-6 დღეში ვაჭრით ხოლმე: ამ დროს, ეს პროცედურა უფრო უმტკივნეულოა, ლეკვს ჭრილობა დედის ერთი ალოკით უშუშდება.

— ხშირია თუ არა შემთხვევა, როცა კავკასიურმა ნაგაზმა პატრონი დაკბინა?

— ზოგიერთ ადამიანს, მათ შორის ქართველსაც, მშობელიც კი უცემა, მაგრამ ეს არ არის მისი ჯიშის ბრალი — ასეთი კაცი

არასწორადაა აღზრდილი. ასევეა ძაღლიც: კავკასიურ ნაგაზს პირველობა უყვარს, მაგრამ ის ჯერ კიდევ ლეკობის დროს, რომ იტყვიან, თავის ადგილზე უნდა მოსვა — ისევე, როგორც ზოგიერთი ქალბატონი..

— რა ასაკიდან უნდა ავცრაოთ?

— საქართველოში აცრების საკითხი მაღალ დონეზე არ არის დაყენებული. არსებობს ვაქცინა, რომელიც 3 კვირის ასაკში ლეკვს დედასთან ერთად უკეთდება, მაგრამ ეს ვაქცინა საქართველოში ჯერჯერობით არ შემოსულა. რაც შეეხება სხვა აცრებს — საერთოდ, თვე-ნახევრის ასაკიდანაა საჭირო. მანამდე კი, აუცილებელია ლეკვის ორგანიზმი ჭიბებისგან გაიწმინდოს.

— ძირითადად, რა ჩივილებით მოწყაეთ ხოლმე თქვენთან კავკასიური ნაგაზი?

— როგორც წესი, პატრონი ძაღლს ცუდად კვებავს. დღეს ჩვენში კვების მხრივ დეგრადაცია შეინიშნება. ქვეყანაში უამრავი საკვება შემოტანილი, მაგრამ კაცმა არ იცის, რა უნდა აჭამოს თავის ძაღლს, რადგან ამ საკითხში გაუნათლებელია. ამიტომაც, ცხოველს აღარც ბეწვი უყარვა, აღარც აღნაგობა...

— მაშ, როგორ უნდა გამოვკვებოთ კავკასიური ნაგაზი?

— კარგია ხორცი, თუმცა აუცილებელი არ არის. ყველაზე კარგი ხორცის ნაჭერი 17-18 ერთეულ პროტეინს შეიცავს — მაშინ, როცა სპეციალურ საკვებში 30-31 ერთეულია, აღარ ვლაპარაკობ მინერალებსა და ვიტამინებზე. კავკასიურ ნაგაზს არ უნდა მიეცეს ის საკვები, რომელსაც პუ-



დღეს ან ტერიერს ვაჭმევთ. არსებობს ე.წ. პროფესიონალური საკვები, რომელიც საგანგებოდ კავკასიურისთვისაა დამზადებული. კარგია, თუ ვაჭმევთ თეთრ პურს, მაგრამ ხანდახან შავიც საჭიროა.

— თუ პატრონს არა აქვს საშუალება, შეიძინოს ენ. პროფესიონალური საკვები, მაშინ როგორ უნდა მოიქცეს?

— ბევრ შეძლებულ ოჯახს აგარაკზე — წავკისში, წყნეთში ჰყავს კავკასიური ნაგაზი, რომელსაც სპეციალურად დაქირავებული მომვლელი უვლის. პატრონი გამოყოფს თანხას ცხოველის საკვებისთვის, მაგრამ მომვლელი იაფფასიან საკვებს ყიდულობს. ამაში პატრონია დამნაშავე — მან უნდა მიაქციოს ყურადღება — რას აჭმევს მის ძაღლს. როცა ასეთი ადამიანები ამბობენ — ძაღლი მომიწამლესო, — ვპასუხობ — შენ თვითონ მოწამლე-მეთქი, — იმიტომ, რომ არ აცრა, ჭიის წამალი არ დააღვინა... ძაღლს თუ ძლიერი იმუნიტეტი არა აქვს, შეიძლება, შენივე ფეხით შეიტანო დაავადება სახლში.

— საშუალოდ, რამდენი წელი ცხოვრობს კავკასიური ნაგაზი?

— გააჩნია პატრონს: კარგ პირობებში შეიძლება 16 წელიც იცოცხლოს. მაგრამ აქტიურ ცხოვრებას მამრი 9 წლის ასაკში ამთავრებს, ძუს კი, 8 წლიდან აღარ მოეთხოვება გამრავლება.

— რამდენ ლეკვს შობს ამ ჯიშის ძაღლი?

— ერთიდან — თექვსმეტამდე!

— როგორია კავკასიური ნაგაზის ჰიგიენის დაცვის წესები?

— ვინაიდან ძაღლზე სუფთა ცხოველია, თვეში 3-4 დაბანაც კი ჰყოფნის...

— დაბოლოს, ამ ჯიშის უარყოფით თვისებებზეც მოგვანოდეთ ინფორმაცია.

— უარყოფითი თვისება არ გააჩნია — ის მთლიანად დადებითია. საოცრად ერთგულია, არ არის გულმაიწვი — 2 თვისას რომ მოევერო, 5 წლის ასაკშიც ასსოვს. თუმცა, ბოროტებასაც არ ივიწყებს. არაჩვეულებრივად მომთმენია — როგორც არ უნდა შიოდეს, სწყუროდეს, არ შეგაწუხებს... ■



სახლის სასიამოვნო და მშვენიერი ინტერიერი მარტო ლამაზი და მდიდრული ავეჯით არ განსაზღვრება. საზოგადოების დიდი ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ოთახის მცენარეებითა და ყვავილებით მორთულ ინტერიერს. ლამაზი ყვავილები, ესთეტიკური სიამოვნების გარდა, მყუდრო, მშვიდი და ჯანმრთელი ცხოვრების საწინდარია. ზოგიერთი მათგანი სამკურნალოდაც გამოიყენება, ზოგიერთს კი ოჯახში ბედნიერება და ბარაქა შემოაქვს. ასეთია ენ. ფულის ხე, რომლის მოვლის წესებს დეკორატიული მებაღეობის ცენტრის დირექტორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **ლალი შლენტი** გაგვაცნობს.

როგორ მოვხაროთ ბარაქის (ფულის) ხეს

სოფო ჭონიშვილი

– ბარაქის ხე ანუ კრასულა სუკოლენტების ჯგუფს მიეკუთვნება. „სუკულენტუს“ უჯრედებში წყლის დაგროვების უნარს ნიშნავს. აქედან გაჩნდა მცენარეთა ამ ჯგუფის სახელწოდება. მას სამხრეთდასავლეთაფრიკული წარმოშობა აქვს, ასევე გავრცელებულია მექსიკაში. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ის მცენარეები, რომელთაც ხორციანი ფოთოლი და ღერო აქვს. რაც შეეხება ფულის ხეს, ის კრასულას გვარის ერთ-ერთი სახეობაა. ხალხში ამ მცენარის მიმართ საკმაოდ დადებითი განწყობილება არსებობს, მას ბარაქის, ბედნიერების და ფულის ხედ იცნობენ. ამბობენ, რომ იმ ოჯახს, სადაც ეს ხე კარგად ხარობს, მყარი მატერიალური მდგომარეობა ექნება. ამიტომ

მაცაა ეს მცენარე, ასე ვთქვათ, მოღამი. მაგრამ საკმარისია, ბარაქის ხემ მოიწყინოს, რომ ოჯახის წევრები ცუდ გუნებაზე დგებიან.

– მოსავლელად რამდენად რთულია?

– მოსავლელად ძალზე მარტივია. აბსოლუტურად უპრეტენზიო მცენარეა. ბარაქის ხე ხასიათდება ხორციანი ფოთლებით და ღეროთი, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდი რაოდენობით იგროვებს წყლის მარაგს. ამიტომ მას იშვიათად სჭირდება მორწყვა.

– რა სიხშირით უნდა მოირწყას კრასულა?

– როცა ნიადაგის ზედაპირი გამოშრება, მაშინ უნდა მოირწყას. სიხშირე დამოკიდებულია ოთახის ტემპერატურასა და ჰაერის ტენიანობაზე. ფოთოლზე ხელის შეხებით უნდა ვივარძნოთ, სჭირდება თუ არა მას წყალი. თუ ფოთოლი საგსე და ხორციანია და არ არის დარბილებული, ეს ნიშნავს, რომ მცენარე სისტემატურად ირწყვება. მაგალითად, ერთი ფაქტი შეიძლება მოგიყვანოთ: სწორედ დღეს მომიტანეს პატარა ქოთნით კრასულა, რომელსაც აბსოლუტურად დამჭკნარი აქვს ფოთლები. მე მის გადავარჩენ.

– რამ გამოიწვია ჭკნობა?

– ძირითადი მიზეზი მორწყვის რეჟიმის დარღვევაა.

– როგორ, რა მეთოდით გამოაცოცხლებთ ბარაქის ხეს?

– ავიღებ ქოთნიდან ამ კრასულას და ოთახის ტემპერატურის წყალში ჩაყურყურებ და ფოთლებამდე ერთი-ორი დღე გავაჩერებ ასეთ მდგომარეობაში. ამ დროს მცენარე ინტენსიურად იღებს წყალს, ფოთლები ნელ-ნელა შეივსება. სასურველია, ჰაერის მაღალი ტენიანობა და ოპტიმალური ტემპერატურა იყოს.

– დაახლოებით რამდენი გრადუსი ტემპერატურა სჭირდება?

– ამ მცენარეს 30 გრადუსი ტემპერატურა უყვარს, მაგრამ 15 გრადუსი მისთვის მინიმალურია – ამაზე დაბალ ტემპერატურაზე ძალიან უჭირს. საერთოდ კრასულას ახასიათებს ვეგეტაცია – გაზაფხულიდან დაწყებული, მთელი წლის განმავლობაში იზრდება ცოტ-ცოტა. მას ჯუჯა ხესაც უწოდებენ. სხვათა შორის, შეგვიძლია ჩვენი სურვილისამებრ მივცეთ ფორმა – ტოტების შეკვეცით.

– რამდენ ხანში საჭიროებს ჯუჯა ხე მინის შეცვლას?

– მიწის შეცვლა არ სჭირდება, ჯობს, დამატებით ვკვებოთ, გაზაფხულიდან. არსებობს პრეპარატები ფხვნილების და ჩხირების სახით. ეს ჩხირები შეიცავს მაკროელემენტებს: აზოტს, ფოსფორს, კალიუმს, კალციუმს, ფტორს, რკინას. ჩხირები ერგობა ქოთანში. რაც მეტია ქოთნის დიამეტრი, მით მეტი ჩხირი სჭირდება. დამატებითი კვება ძირითადად საჭიროა მაშინ, როდესაც მცენარის ვეგეტაცია მიმდინარეობს, რომ ლამაზი გაიზარდოს.

– გადარგვას თუ საჭიროებს ბარაქის ხე?

– ეს მცენარე გადარგვას არ ითხოვს, რადგან ძალზე ნელა იზრდება, ფესვთა სისტემაც დიდი არა აქვს.

– რა დაავადება შეიძლება შეეყაროს კრასულას?

– ბარაქის ხე თითქმის არ ავადდება, ძალიან უპრეტენზიო მცენარეა. არ უქმნის პატრონს პრობლემებს. როგორც ყველა მცენარეს, უყვარს, როდესაც ვვარდებიან და აქებენ. ოთახში შესვლისას ხელი უნდა შეახო მის ფოთოლს და უთხრა: რა ლამაზი და მშვენიერი ხარო!.. ეს სიტყვები მისთვის საოცრად მასტიმულირებელია.

ნობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური კონსულტაციები
822 009 005
 ზარი ფასიანია, 18 წლიდან
 დაკავშირება შესაძლებელია ტელეფონ-პარათომითაც

ეპილეფსია

რუმბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი



ნუ შეგეშინდებათ!

დიაგნოზი „ეპილეფსია“ ყველა შობილს მეტისმეტად აშინებს. ასეთი შიშის ფესვები შორეული წარსულიდან მოდის. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ეს დაავადება ჯადოქრობასა და მაგიას, ადამიანის სხეულში ავი სულების ჩასახლებას უკავშირდებოდა.

დღესაც გულყრის „სამინელი“ გამოვლინებები – ყვირილი, უეცარი დაცემა, მთელი სხეულის კრუნჩხვები, უნებლიე შარღვა და სხვა – აშინებს მშობლებსა და ირგვლივმყოფთ.

ზოგიერთი ექიმიც კი, დიაგნოზის შემსუბუქების მიზნით, ამ დაავადებას ეპილეფსიურ ან კრუნჩხვით სინდრომს უწოდებს ხოლმე. მაგრამ ამ პრობლემის შესწავლით დაინტერესებულ საეციალისტთა აზრით, ეს მკდარი საქციელოა – ექიმმა დროულად უნდა „გაუმხილოს“ მშობლებს შვილის დიაგნოზი. „ეპილეფსია“ განაჩენი არ განლაეთ. მხოლოდ ექიმისა და მშობლების ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი კრუნჩხვებისაგან ავადმყოფის გათავისუფლება.

ღრო და ადგილი

რადგან ექიმს არა აქვს შესაძლებლობა, თავად დააკვირდეს გულყრის თავისებურებებს, ინფორმაციის ძირითად წყაროს, რა თქმა უნდა, მშობლები და ახლობლები წარმოადგენენ. ამიტომ დიაგნოზის სისწორე

ეპილეფსიის ძირითად გამოვლინებას ეპილეფსიური გულყრები წარმოადგენს. გულყრა თავის ტვინის ქერქის უჯრედებში აგზნებისა და შეკავების პროცესების დარღვევის შედეგად ვითარდება. ნერვული უჯრედები (ნეირონები) გრძნობათა ორგანოებისაგან მიღებულ აგზნებას ელექტრულ იმპულსად გარდაქმნიან და მას ტვინს გადასცემენ, ეპილეფსიური შეტევა შეიძლება შევადაროთ ელექტრულ განმუხტვას (როგორცაა, მაგალითად, ჭექა-ქუხილი).

დღეისთვის ეპილეფსიის 40-მდე ფორმას განასხვავებენ, რომლებიც ერთმანეთისგან დაავადების დანეების ვადით, კლინიკური გამოვლინებებითა და პროგნოზით განსხვავდება. პაციენტთა 70%-ს ეპილეფსია ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში ეწყება.

ბევრად დაძვირებული იმაზე, თუ რამდენად ზუსტად აღწერენ ისინი გულყრას. ეპილეფსიის ფორმის დასადგენად მშობლებმა უნდა უპასუხონ დიაგნოზისთვის მნიშვნელოვან შემდეგ კითხვებს:

- ეპილეფსიური გულყრების დაწყების ასაკი;
- შეტევის ხასიათი (თავის, თვალების მღვობარობა, კიდურთა მოძრაობა, მთელი სხეულის დაჭიმვა ან მოღუნება, სახის ფერის ცვლილება, თვალის გუგების ზომა);
- შეტევის დასაწყისი (მოულოდნელი, თანდათანობით);
- შეტევის ხანგრძლივობა (წამები, წუთები);
- ქცევის თავისებურებები შეტევის დაწყებამდე და მისი დამთავრების შემდეგ (სიფხიზლე, ძილიანობა, მოუსვენრობა, გაღიზიანებადობა, აგზნება);
- შესაძლო მაროვოციტრებელი ფაქტორები (ტემპერატურა, ძილის უკმარისობა,

ფიზიკური გადაძაბვა, ფსიქოლოგიური სტრესი, ტელევიზორის ყურება, მკვეთრი სინათლე, კომპიუტერული თამაშები, მენსტრუაცია და ა.შ.);

● შეტევის დაწყების დრო (გალეიქებისას თუ გალეიქებამდე, დღისით, დაძინებამდე ან ძილში);

● პირველი დახმარება, რომელიც უტარდება ხოლმე შეტევისას ავადმყოფს (მოჭერილი ტანსაცმლის გახსნა, სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფა, თავის გვერდზე გადაბრუნება, ტრამეებისაგან დაცვა, სამკურნალო პრეპარატების შეყვანა და ა.შ.).

მხოლოდ

სიმშვიდეა საჭირო

მშობლები არ უნდა ესაუბრონ ბავშვის მისი დაავადების შესახებ უცხო ადამიანების თანდასწრებით. არ არის საჭირო დემონსტრაციულად მისი გამხნელება სი-

გაქვით სურვილი გამოიყურებოდეთ ლამაზად?!

გთავაზობთ!!!



წონაში დაკლება
კომფორტული მეთოდით
5-დან 12კგ.-მდე
ყოველგვარი პარკიონისა
და შიმშილის გარეშე.

თქვენ მოგამსახურებთ
კვალდიფიციენტური სპეციალისტი.

ბელ.: 893-20-33-76
მდივანი: 76-66-04
გ-ნი. კობა



ანბანზე გაწყობილი სიგელების განმარტებითი წიგნი	პიპინიას მვილიშვილი	ტყის ნაყოფი ეკლიანი „ქურქით“	ნიკო ფიროსმანიშვილი იგივე ...	მსახიობი ... ფორდი	ბანდის
დე-111	სონია	ნიკო	წა	ჭანი	6
პოემიის ნიმუში	ალკოპოლური სასმელი	ნიადაგი	რუსული ტკბილი „კვერი“	უდაბნო სამხრეთ აფრიკაში	ბეთპოვენი „მთვარის ...“

ტყვებით: „ცხვირს ნუ ჩამოუშვებ“, „ეს ყველას ემართება“ და სხვა.

თუ პატარა სერიოზულადაა განწყობილი თავისი პრობლემებისადმი, მაშინ გულყრის შესახებ საუბრები შეიძლება აშკარად და დაუფარავადაც წარიმართოს ოჯახში. ასეთი საქმიანი განხილვა ეხმარება ბავშვს, დაძლიოს საკუთარი თავისადმი სიბრალულის გრძნობა. იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ უფროსები ყოველთვის დაეხმარებიან, თუმცა არც მეტისმეტი და გამუდმებული ზედამხედველობაა საჭირო.

არ არის აუცილებელი, რომ ბავშვის თანაკლასელებმა, მეგობრებმა იცოდნენ მისი დაავადების შესახებ, მაგრამ თუ მშობლები საჭიროდ მიიჩნევენ, აუწყონ მათ ამის შესახებ, ეს ვიწრო წრეში უნდა მოხდეს. მეგობრებს უნდა უამბონ დაავადების თავისებურებებზე და აუხსნან, როგორ დაეხმარონ ავადმყოფ ბავშვს გულყრის დროს.

მოზარდობის ასაკში ყველაფერი ცვალებადია, ადამიანი იზრდება, იშვიათადაა შინ, უფრო მეტი ურთიერთობა აქვს თანატოლებთან, ვიდრე მშობლებთან. ამ ასაკში უნდება ახალი გატაცებები (დისკოთეკა, სიგარეტი, ავტომობილის მართვა), პირველი სექსუალური გამოცდილება, მოზარდი სინჯავს ალკოჰოლს. ეს ყველაფერი კი, ეპილეფსიის დროს, შეტევის

განვითარებას იწვევს.

მშობლებს ხშირად აინტერესებთ, თუ როგორ იძულებს გარდატეხის ასაკი ეპილეფსიის მიმდინარეობაზე. ამ პერიოდში, ზოგჯერ აღინიშნება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ზოგჯერ კი – გაუარესება. ბავშვობაში განვითარებული ზოგიერთი ფორმის დროს, მოზარდობისას იწყება ხანგრძლივი რემისია – წყდება გულყრები და აღარც კრუნჩხვის საწინააღმდეგო თერაპიაა საჭირო. თუმცა არსებობს ეპილეფსიის ფორმები, რომელთა მიმდინარეობა მოზარდობისას რთულდება – ვითარდება ახალი სახის გულყრები, მატულობს მათი სიხშირე, გამოხატულია ქცევის დარღვევა. ზოგიერთი სახის ეპილეფსია კი, სწორედ მოზარდობის ასაკში იწყება. 12-დან 19 წლამდე მოზარდობის შორის ეპილეფსიის გავრცელება 100000 კაცზე 18-24-ს შეადგენს.

მოზარდობა უნდა იცოდეს, რომ ძილის დაკლებას, ალკოჰოლის მიღებას, ზოგჯერ კი დისკოთეკებსა და ვიდეოთამაშებსაც შეუძლია გულყრის პროვოცირება და თუ თავად უზრუნველყოფს ყველა საჭირო შეზღუდვას, ეს მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მკურნალობის შედეგზე.

სამახსოვრო

უმრავლეს შემთხვევაში, გულყრა ერთიდან სამ წუთამდე გრძელდება და

მწვავე ხასიათის მიუხედავად, არ აზიანებს თავის ტვინს. არსებობს ქცევისა და პირველი დახმარების განსაზღვრული წესები გულყრის დროს.

● თუ აშკარაა აურა (შეტევის წინა ნიშნები), ავადმყოფი დააწვინეთ ზურგზე საწოლში ან იატაკზე, თავქვეში ბალიში ამოუდეთ, გაუხსენით საყელო და განადეოთ მოჭერილი ტანსაცმელი;

● მოაშორეთ საშიშ საგნებს (მახვილ კუთხეებს, კიდეებს, წყალს);

● პანიკას ნუ მიეცემით, მშვიდად იძულებით; დაიცავით სიწყნარე და ყურადღებით ადევნეთ თვალი შეტევის მიმდინარეობას; დააფიქსირეთ შეტევის მიმდინარეობის ხანგრძლივობა;

● ავადმყოფს თავი გვერდზე მიაბრუნებინეთ და ლეხინების შემთხვევაში, ასე გყავდეთ (ძალის გამოყენება საჭირო არ არის);

● არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ რაიმე საგნები (კოვზი, შპატელი) ყბების გასახსნელად;

● არ შეიძლება არანაირი წამლის თუ სითხის მიცემა პერორალურად (პირში ჩასხმა);

● ავადმყოფის გვერდით იყავით შეტევის დამთავრებამდე;

● ნუ შეაწუხებთ შეტევის შემდეგ და თუ დაეძინება, ნუ გააღვიძებთ.

მედიცინის სიახლეები

რაბომაა მთქნარება გადამღები?

ფილადელფიელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს გაერკვიათ, თუ რატომ არის მთქნარება გადამღები. ამ მიზნით, სტუდენტების ჯგუფს უჩვენეს ვიდეოფირი, სადაც ცნობილი მსახიობები მთელი ჩანაწერის მანძილზე – არც მეტი, არც ნაკლები – ამთქნარებდნენ. ამ საინტერესო „ფილმის“ ყურებისას მთქნარება დარბაზში მსხდომი სტუდენტების მხოლოდ 40%-მა დაიწყო, დანარჩენები კი, ვითომც აქ არაფერი, აუღელვებლად შესცქეროდნენ ეკრანს. ამ ჩვენების შემდეგ, ყოველ მათგანს ტესტირება ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ ამთქნარებდნენ ისინი, ვისაც განსაკუთრებით ჰქონდათ განვითარებული სხვა ადამიანთა ემოციების განცდის უნარი.

ქუჩის ხმაური მავნებელია

ქუჩის ხმაური ძლიერ ვნებს ბავშვის ფსიქიკას – იწვევს არტერიული წნევის მომატებას, გულსისციმის გაზშირებას, ზოგჯერ – ლებინებასაც კი.

ბავშვები, რომლებიც დიდი ქალაქების ცენტრალურ უბნებში იზრდებიან, თავს უმწეოდ და მიუსაფრად გრძნობენ. ზედმეტი ხმაურისგან მათ ძილის ჩვეული რეჟიმი ერღვევათ და ამიტომ ხშირად, „უმიზეზოდ“ ჭირვეულობენ, ჩამორჩებიან სწავლაში. საინტერესოა, რომ ხმაური გოგონებზე გაცილებით ძლიერად მოქმედებს, ვიდრე ბიჭებზე.




Table with 8 columns: ქური, იყენებენ ტალკვესთან ერთად, ცვარი, სასვენო ნიშანი, რიშელიეს მომდევნო კარდინალი, იგივეა, რაც პაპირუსი, ხის ქოში, ბოსტნეული. Below the table is a row of Georgian characters and a section for 'განცხადებული აზრი' (Opinion) with handwritten text.



რა უნდა გიცოდეთ საეკლესიო მცნებებთან დაკავშირებით

მორენა მერკვილაძე

ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანი ვალდებულია, იცავდეს საეკლესიო მცნებებს, რათა გამოხატოს მორჩილება და კრძალვა წმინდა ეკლესიის მიმართ, რომელიც როგორც პავლე მოციქული ბრძანებს, „არის სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“. ეკლესიური სწავლებით, ყველაზე მნიშვნელოვანი საეკლესიო მცნება არის ცხრა – ე.ი. არსებობს ცხრა უმნიშვნელოვანესი საეკლესიო მცნება, რომელთა დაცვა აუცილებელია ყველა ადამიანის მიერ.

პირველი საეკლესიო მცნება განგვიწესებს გულშეშვრილ და გულწრფელ ლოცვას ღვთისა და მის წმინდანთა მიმართ. ლოცვა ქრისტიანის უპირველესი მოვალეობაა, რომლის გარეშეც ადამიანი ვერც ჭეშმარიტებას შეიძნობს და ვერც უნებებსა და სხვადასხვა საცდურზე უარის თქმას შეძლებს. ლოცვის აუცილებლობის შესახებ არაერთგზის არის მითითებული „წმინდა წერილში“. უფლის მიმართ შეიძლება აღვაკლინოთ შემდეგი სახის ლოცვა: დიდებისმეტყველებითი (როდესაც ვადიდებთ ღმერთს მისი უზენაესობისთვის); თხოვნითი – ანუ სავედრებელი (როდესაც ღმერთს მივმართავთ თხოვნით, სხვადასხვა საჭიროების გამო) და სინანულის (როდესაც უფლისგან ცოდვათა მიტევებას და

შენდობას ვითხოვთ). უფლის გარდა, ლოცვით მივმართავთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, წმინდა ანგელოზებსა და წმინდანებს, რადგან მათ ჩვენთვის ღვთის წინაშე შუამდგომლობა და მეოხება შეუძლიათ.

მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენი ლოცვა ღმერთმა შეისმინოს და მისგან მადლი და შეწყვენა მივიღოთ, დიდი მნიშვნელობა აქვს ლოცვის სწორად აღვლენას: „იმიტომ ვერ ვიღებთ ნაყოფს ლოცვისას, რადგან თქვენი ლოცვა არ არის ერთგულებით და გულმოდგინებით განმტკიცებული“ – ბრძანებს იაკობ მოციქული. ლოცვა იმ შემთხვევაში იქნება უფლისთვის სათნო, როდესაც წარმოვთქვამთ რწმენით და სასოებით (იმედით). გარდა ამისა, აუცილებელია, ლოცვის დროს უფლისგან ვითხოვოთ იმის აღსრულება, რაც სასარგებლოა სულისთვის და ქრისტეს სჯულს არ ეწინააღმდეგება. ასევე აუცილებელია, ვილოცოთ გულმოდგინედ, სიმდაბლით და ყურადღებით. უნდა განვიციდეთ და გონებით მივღევდეთ ლოცვის თითოეულ სიტყვას და არ დაგვაიწყდეს, რომ ყველა ლოცვა დავასრულოთ სიტყვებით: „იყავნ ნება შენი, უფალო“, რადგან ღმერთმა უკეთ იცის, რისი აღსრულებაა სასარგებლო და საჭირო ჩვენთვის. ადამიანს ასევე მოეთხოვება, ლოცულობდეს ყოველგვარი განრისხების და გაბოროტების გარეშე.

მხოლოდ ასეთი ლოცვა იქნება წრფელი, უზაკველი და საამო უფლისთვის.

ლოცვის გარდა, **პირველი საეკლესიო მცნება** განგვიწესებს საეკლესიო წესების დაცვას კვირა დღესაც და საეკლესიო დღესასწაულების დღეებში. ამ მცნების თანახმად, მორწმუნე ვალდებულია, დაესწროს მწუხრს (საღამოს ლოცვა), წირვას (ლიტურგია), საღმრთაწაულოდ აღსრულებულ მსახურებებს და მოისმინოს ღვთისმსახურის მიერ წარმოთქმული სამოდგერო ქადაგება; გარდა ამისა, მორწმუნეს მოეთხოვება გაძლიერებული ლოცვა, მოწყალების გაცემა, სწულთა მონახულება და სულისთვის სასარგებლო სხვა საქმეთა აღსრულება. ამ დღეებში დაუშვებელია საოჯახო თუ სხვა საქმიანობის შესრულება, გარდა აუცილებელი, გადაუდებელი საქმეებისა.

მეორე საეკლესიო მცნება განგვიწესებს წმინდა ეკლესიის მიერ დაწესებულ მარხვათა დაცვას. ეკლესიის მიერ დადგენილია შემდეგი მარხვები: 4 დღი – შობის მარხვა, რომელიც იწყება 28 ნოემბერს და ხსნილდება შვიდ იანვარს; დიდი მარხვა – რომლის დროსაც ვიხსენიებთ ქრისტეს უდაბნოში ორმოცდოთხეულ მარხულობას, ასევე უფლის ვნებას, რომელიც მისი დედაძინაზე ცხოვრების ბოლო კვირაში აღესრულა (ამ მარხვას სააღდგომო მარხვაც ეწოდება); სამოციქულო (პეტრე-პავლობის) მარხვა, რომელიც იწყება სულთმოფენობის დღესასწაულიდან ერთი კვირის შემდეგ, ამ მარხვას სამოციქულო ეწოდება იმის ნიშნად, რომ უფლის მოციქულები მარხულობდნენ იმ დროს, როდესაც წარიგზავნებოდნენ „სახარების“ საქადაგებლად (სამოციქულო მარხვა ასევე იწოდება პეტრე-პავლობის მარხვად, მოციქულთა თავთა – პეტრეს და პავლეს პატივსაცემად); მეოთხე დიდი მარხვა კი არის მარიამობის მარხვა, რომელიც დაწესებულია ღვთისმშობლის მიძინების (გარდაცვალების) მოსახსენიებლად; მარიამობის მარხვა იწყება 14 აგვისტოს და ხსნილდება 28 აგვისტოს – ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის დღეს.

გარდა დიდი მარხვებისა, ქრისტიანი უნდა მარხულობდეს ყოველი კვირის ოთხშაბათს და პარასკევს (იმ კვირების გარდა, როდესაც წმინდა ეკლესიის მიერ დაწესებულია მსგევსი). ოთხშაბათის მარხვით ვიხსენიებთ მაცხოვრის გაცემას, პარასკევს მარხვით კი – მის ჯვარცმას. ასევე არსებობს ერთდღიანი მარხვები – წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეს (11 სექტემბერს), ჯვართამაღლების დღესასწაულზე (27 სექტემბერს) და ნათლისღების დღესასწაულის წინაღღეს (18 იანვარს).

მარხვის მნიშვნელობაზე ძალზე ზუსტად და მკაფიოდ ბრძანებს იოანე კობისაღმწერელი: „მარხვა ბუნებაზე ძალდატანებაა, უარყოფა ყველაფრისა, რაც გემოს ატკობს; ის სხეულის მხურვალეობას აცხრობს, ცბიერ ზრახვებს ამარცხებს, ბილწი სიზმრებისაგან გვიხსნის, ის ლოცვის სიწმინდეა, სულის სინათლე, გონების დაცვა, გულის უგრძობელობის შემუხვრა, ლმობიერების კარი, სიმდაბლის სულთქმა, სიხარულის მომნიჭებელი შემუხვრილება, მრავალსიტყვაობისაგან კრძალვა, უვნებლობის მიზეზი, მორჩილების დარაჯი, აღმამსუბუქებელი ძილისა, სიჯანსაღე სხეულისა, ცოდვათაგან დახსნა, ბჭე სამოთხისა და ზეციური ნეტარება“. წმინდა მამები მარხვასა და ლოცვას უწოდებენ ორ ფრთას, რომლითაც ქრისტიანის სული ცად ამალდებდა.

მესამე საეკლესიო მცნება განგვიწესებს ღვთისმსახურთა პატივისცემას – ე.ი. ეს მცნება გვაკვლავლებს, რომ პატივი ვცეთ და მოკრძალება გამოვიჩინოთ ღვთისმსახურთა მიმართ, რადგან, როგორც იოანე ოქროპირი ბრძანებს, ღვთისმსახურნი უფლის ანგელოზები არიან, ისინი ქრისტეს მსახურნი არიან დედამიწაზე და ვინც პატივს სცემს მათ, პატივს მიაგებს თავად ქრისტეს. სწორედ ღვთისმსახურმა უნდა განუმარტოს ადამიანს ღვთის ნება, დამოძღვროს, დამწყოსოს სულიერ ცხოვრებაში სრულყოფისთვის, რათა მათი დახმარებით შეიმეცნოს ადამიანი ჭეშმარიტება და დაიმკვიდროს ცათა სასუფეველი. როდესაც ადამიანი ცხოვრებისეული პრობლემის გადასაჭრელად თუ განსაცდელის ჟამს, რჩევისათვის მიმართავს ღვთისმსახურს, უნდა იცოდეს, რომ მის შეკითხვას პასუხს გასცემს არა უბრალოდ ადამიანი, არამედ ღვთისმსახურის პირით თვით ღმერთი აძლევს სწორ პასუხს, აუცილებელ რჩევას და კურთხევას. ამიტომ, თუკი ადამიანი სულს ღვთისმსახურთა მორჩილებაში ამყოფებს, სულიწმიდა დაივანებს მასში და უფლისგან მადლს და შეწევნას მიიღებს.

როგორც აღვნიშნეთ, მართლმორწმუნე ქრისტიანმა ცხოვრება ღვთისმსახურთა რჩევა-მითითებებისა და მოძღვრების გათვალისწინებით უნდა წარმართოს, მაგრამ ადამიანი ვალდებულია, რომ ღვთისმსახურს შეეწიოს მატერიალურადაც, რადგან ეს ღვთისგან დადებული პასუხისმგებლობაა.

P.S. სხვა საეკლესიო მცნებებთან დაკავშირებით „გზის“ მოძღვენო ნომერში გეგაუბრებით.



სიღნაღისკენ მიმავალ გზაზე, ხელმარცხნივ პატარა, ლამაზი სოფელია, რომელსაც ბრონლიანს ეძახიან. ეს სახელი იმიტომ ჰქვია, რომ გარშემო მთის ფერდობები სულ ბრონეულის ხეებითაა დაფარული. სოფელს რომ გასცდებით, ცოტა ხანს ოღორიოვლო გზით უნდა იაროთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს გზა ტყეში მიდის, მაგრამ პატარა მთას შემოუვლით თუ არა, თვალწინ მცირე ზომის, მოსწორებული ადგილი გადაგეშლება, სადაც მომცრო, კოსტა ეკლესია დგას. მის გვერდით კი მონაზონთა საცხოვრებელი, ქვით ნაგები შენობაა განთავსებული. ეკლესია წმინდა ნინოს წყაროზეა აშენებული და მისი მშობლების, წმინდა ზაბულონისა და წმინდა სოსანას სახელობისა გახლავთ.

ninos wyalze~ agebuli eklesiis madli

მარი ჯაფარიძე

არსებობს ლეგენდა წყაროს შესახებ, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა: ამ ადგილას თურმე ყოფილა სოფელი, რომლის სახელიც უცნობია. მეფე მირიანი და წმინდა ნინო ჩასულან სოფელში, ხალხის მოსანათლად. მათ სოფელში დახვედრიათ ძალზე ძლიერი და გულადი პიროვნება – ბოდე. ის მზის თაყვანისმცემელი ყოფილა და ჰქონია საკერაო გორა, რომელზეც დღეს აშენებულია მიძინების ეკლესია. ბოდე არ დასთანხმებია ნინოს, ქრისტიანობის მიღებაზე და უთქვამს: მე, მზის თაყვანისმცემელი, სხვა ღმერთს როგორ ვიწამებ? ვერ ვიზამ იმას, რომ უარყო რწმენა ყველაზე ძლიერი და ყველაზე ჭეშმარიტი... ბოდეს მეფისთვის დიდი ნადიმი გაუმართავს, მთელი მრევლი შეუგროვებია, წმინდა ნინოსთვის ნადიმზე შვლის ნუკრი მიურთმევა, ნინოს წინაშე თავი დაუხრია და უთქვამს: – ძნელია, კაცი დაემორჩილოს ქალს და თუ ვინმე გემორჩილებათ, დაე, ის იყოს თქვენი თაყვანისმცემელი.

სოფლიდან წასულა მეფე მირიანი, გზად მიმავალ ნინოს კი უთქვამს: – მთელი საქართველო მოუნათლე და ბოდე კი – ვერაო. ამის თქმაზე ქალს გული შესწუხებია და მომკვდარა. მირიანი ბოდესთან მიბრუნებულა. ბოდეს, ნინოს გარდაცვალების შესახებ რომ შეუტყვია, უთქვამს: – რადგან მე ვარ მისი სიკვდილის მიზეზი, აქვე დავფლათ, მე ვითავე ყველაფერსო. მართლაც, სადაც მიიცივალა, იქ დაფლეს. ზედ პირველად ხის ფაიზი გაუკეთებია ბოდეს, მერე – ქვის, ხოლო V საუკუნეში აუშენებიათ ქვით-კირის ეკლესია, ამ ადგილს კი – ბოდე (ანლანდელი ბოდე) ეწოდა. იქ, სადაც წმინდა ნინოს წყალი გამოდის, ნინოს, ვაზის ჯვარი დაურტყამს მიწაზე და წყარო ამოსულა.

ამ ადგილზე ახლა ხის ჯვარია აღმართული. „ნინოს წყალს“ კი, უამრავ საოცარ ამბავს მიაწერენ. მასში განბანილი ადამიანი უკურნებელი სენისგან თავისუფლდება, სულიერად განიწმინდება და თავს ამაღლებულად გრძნობსო. ეკლესიაში პატარა ოთახია, სადაც ე-



მასში განბანული ადამიანი უკურნებელი სენისგან თავისუფლება, სულიერად განიწმინდება და თავს ამაღლებულად გრძნობს

გარეცხო) და შინ შეინახოთ. ავადმყოფობის დროს, სასურველია პერანგი ჩაიცვათ და ზემოთ ნახსენები ლოცვა წაიკითხოთ.

ეკლესიიდან წამოსულს, ბროწლიანელმა გლეხმა მამასპინძლა. მისი სახლი სწორედ იმ გზის პირას მდებარეობს,


ფეხს მიწაზე მიითრევდა. ემბაზიდან რომ ამოვიდა, გაოცებული ვუყურებდი, თუ როგორ მხნედ მიაბიჯებდა. არანაკლებ გაოცებული დარჩა თვითონაც. ძალზე სშირად, შაბათ დღეს, ბროწლიანში შემოსასვლელი გზა იკეტება ხოლმე, ხოლო ეკლესიაში დაკვირვის ბიჭები მიდი-მოდიან. ვფიქრობ, ვილაც ძალზე დიდი თანამდებობის პირი მოდის ხოლმე...

რამდენიმე საათის შემდეგ სულ იოლად გავარკვიე, რომ წმინდა ნინოს წყალს პარლამენტის თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე სტუმრობს ხოლმე.

ბაზი გახლავთ მოწყობილი, რომელშიც ორი მხრიდან კიბე ჩადის. განსაბანად მისული ადამიანი ოთახში მთლად უნდა გამოშვლდეს და სპეციალური კვართით (მიტკლის პერანგი) შეიმოსოს. წყალში მარჯვენა კიბით უნდა ჩავიდეს, ემბაზში სამჯერ ჩაყვინთოს და მარცხენა კიბით ამოვიდეს. განბანვის პროცესი უნდა აღსრულდეს ლოცვით: „წმინდაო მოციქულთასწორო დედაო ნინო, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!“ შესაძლებელია, წყალი შინ წაიღოთ – იგი არ ფუჭდება, მაგრამ ნაკურთხი წყლისგან განსხვავებით, მისი გამრავლება არ შეიძლება. კვართი უნდა გააშროთ (არ

რომელიც ეკლესიისკენ მიდის. მასპინძელმა უამრავი საინტერესო რამ მიაგმო სასწაულმოქმედი წყაროს შესახებ:

– ჩემი თვალთ მინახავს, მძიმე ავადმყოფი ძლივს რომ ჩასულა წყალში, იქიდან კი ყოჩაღად ამოსულა და მისი შემხედვარე, ვერც კი გაიფიქრებდით, რომ ის რამდენიმე წუთის წინ უძღური გახლდათ. ერთი კაცი მოვიდა, ასე 45 წლის იქნებოდა, ცალ



ამ ადგილზე ახლა ხოს ჯვარია აღმართული...

„აბიჭურიენტი – 2005“ გთავაზობთ:

აბიტურიენტებისა და IX, X, XI კლასების მოსწავლეთათვის სავალდებულო სახელმწიფო ტესტირების მოსამზადებელ კურსებს

მეცადინეობებს ტესტირებისათვის აუცილებელ საგნებში (ქართული ენა, ინგლისური ენა, მათემატიკა და ზოგადი უნარ-ჩვევები) ჩაატარებენ საქართველოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები.

თითოეულ საგანში მეცადინეობა ჩატარდება კვირაში 3-ჯერ. მეცადინეობის ხანგრძლივობა 2 აკადემიური საათია.

სწავლება ფასიანია.

მეცადინეობები დაიწყება 18 ოქტომბრიდან.

ღია კარის დღე ჩატარდება 16 ოქტომბერს 14.00 საათზე.


მისამართი: თბილისი, მელიქიშვილის ქ. 1/6, მე-4 სართ.

(51-ე საშუალო სკოლასთან, ფილარმონიის პირდაპირ)

ტელეფონები: 93-40-75 (10.00 საათიდან 18.00 საათამდე)

ირჩქარეთ, აღგიღებთ შეზღუდულია!

ნინო ხომასურიძე: ფიჩხუზი რაფლანი ვიჩაქი უინ, თაჰვალაჰარსუნი...



ნათია თენიშვილი

მისი ბინის კარს დიდი ნითელი ასოებით აწერია — ნინო! საკუთარ თავზე ხშირად მესამე პირში ლაპარაკობს და ამბობს — ნინოს ეშინია, ნინოს უნდა, რომ... და ა.შ. ოთახის კედლები დაფარულია მისივე ნახატებით და უამრავი ფოტოსურათით. მათი დათვალიერებით შესაძლებელია, მიიღო მის ცხოვრებას გადაავლო თვალი. მისი გუნება-განწყობილება აუცილებლად აისახება ვარცხნილობაზე: თმა ხან ფლალი აქვს, ხან — ნაბლისფერი, ხან — ქერა, ხან — გრძელი, ხან — მოკლედ შეკრეჭილი. ზოგჯერ კი სულაც თავგადაპარსულია... თუმცა, ყველანაირი ვარცხნილობა ერთნაირად უხდება და მსახიობი 52 წლის ასაკშიც არაჩვეულებრივად გამოიყურება.

იყო დრო, როცა ახალგაზრდა ყმანვილები მარჯანიშვილის თეატრში მის სანახავად დადიოდნენ, ჰყავდა საყვარელი მეუღლე და შვილი. მერე უცებ ყველაფერი ხელიდან გამოეცა და ნინო 10 წლით „დაიკარგა“. ბევრს ეგონა, საქართველოდან წავიდა, ზოგი ამბობდა — გაგიჟდაო, ზოგი — ცოცხალი აღარ არისო... ის კი აქ იყო, თბილისში, საკუთარ ბინაში... თავისი ცხოვრების შესახებ მსახიობი ნინო ხომასურიძე დღეს ძალზე გულახდილად გვიყვება.

— დავიბადე თბილისში. 52 წლის წინ. დედისერთა ვარ. ჩემი მშობლები გაიყარნენ და დედა აღარ გათხოვილა. მამამ ისევ შეირთო ცოლი და მამის მხრიდან და-ძმა მყავს. ძმასთან ძალზე ნორმალური და კარგი ურთიერთობა მაქვს, და კი რატომაც არ მიღებს. ვერ ვხვდები, ამას რატომ აკეთებს. ჯერ ერთი, მასზე ადრე მე გაეჩნდი, უფრო ადრე, დედაჩემი იყო მამამისის ცოლი... მაგრამ ეს ალბათ, აღზრდის ბრალია... ნორმალური და კარგი ბავშვი ვიყავი. ვვიყვებოდი სწავლაზე. ხუთოსანი ვიყავი. ოთხიანს თუ მივიღებდი, ეს ჩემთვის ტრაგედია იყო. 12 წლისას ჩემი მომავალი ქმარი — ზურა ბზიკაძე შემეყვარდა. ის 22 წლის იყო. ბიჭებთან ერთად კინოსტუდიასთან იდგა „ბირჟაზე“. მე ველო-სი პედიტ ჩაუქროლებდი ზოლმე, რომ დავენახე. საცოლე ჰყავდა, იმასაც ნინო ერქვა. ძალიან კარგი გოგო იყო, მაგრამ მათ ერთად რომ ვხვდავდი, კომაში ვვარდებოდი. მივედი და ზურას ვუთხარი — მიყვარხარ, შენზე ვვიყვები-მეთქი. მისი ძმაკაცები სიცლით კვებოდნენ და ჩემთვის ნაყინს და შოკოლადებს ყიდულობდნენ.

— თქვენმა მშობლებმა იცოდნენ, რომ გიყვარდა?

— დედა გიყვარდა, კინალამ სხვა ქალაქში გადავედით საცხოვრებლად. ჯერ ერთი, ლაწირაკი ვიყავი და თანაც, ზურა არ უნდოდა სიძედ — იცოდა, რომ მას „ქუჩასთან ჰქონდა კავშირი“. მოხუცი-გნო ტიპი იყო, რომელ დედას ენდობოდა... ყველა დედას უნდა, რომ მისი შვილი „პრინცს“ გაჰყვებ. ჩემთვის კი, ზურა პრინცი იყო, მუფეც და საერთოდ, ყველაფერი, იმიტომ, რომ სიგიჟემდე მიყვარდა... მერე ისე მოხდა, რომ ზურა დაიჭირეს. შეე-

ვარებული — ნინო გაუთხოვდა. ციხიდან რომ გამოვიდა, ისევ მივედი მასთან და ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი. რა უნდა ექნა?... თავზე ხელი გადამისვა, დამაწმენდა, ბევრი ნაყინი მიყიდა... ეტყობა, ვეცოდებოდი... მერე ყველას ეგონა, რომ ზურამ მომიტაცა. სულ ვამბობდი: კი არ მომიტაცა — ძალით გავყევი-მეთქი... შენი საყვარელი გავხვდები-მეთქი, — ვუბნებოდი; მაწმენდა — გადავივლისო. ამას ვამბობდი და თან თმაზე „ბანტები“ მეკეთა. ბავშვი ვიყავი. არ ვიპრანჭებოდი. ზურას ზოოპარკში და ცირკში დავყავდი ზოლმე. მერე ძალიან გავუწყალე გული. სულ თვალებში ვეჩხირებოდი. დილით შინიდან რომ გამოვივლი, აუცილებლად უნდა შევხვედროდი. ვუთვალთვალე. ათასგვარ ზრიკს მივმართავდი, ოღონდ — ბავშვურს, რა თქმა უნდა. ამ დროს, უკვე ნათამაშები მაქვს ნანა მჭედლიძის ფილმში — „ვილაქას ავტობუსზე აგვიანდება“, სხვა ფილმშიც მქონდა მიწვევა. დედას არ უნდოდა, ამ ფილმში რომ მეთამაშა, ჩვენს უბნელ ბიჭებს სთხოვა — ამა და ამ რეჟისორს ნინო გადაღებაზე მიჰყავს და დაელაპარაკეთ, რომ არ წაიყვანოსო. მათ ის რეჟისორი სცემეს და მან მითხრა — აღარ მჭირდებაო. ეს ჩემთვის ტრაგედია იყო. ახლა მე და ის რეჟისორი ველაპარაკებთ ერთმანეთს. პრინციპში, რა ჩემი ბრალი იყო?... თანაც, ამდენი წელი გავიდა..

— რამდენი წლის გათხოვდით?

— 13-ის. ბოლოს და ბოლოს, ზურა მიხვდა, რომ თავს აღარ დავანებებდი. ალბათ, იმასაც მიხვდა, რომ ძალიან მიყვარდა... 28 წელი ვიცხოვრეთ ბედნიერად. ჩვენს სიყვარულზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ. ზურა სულ მასწავლებდა ჩემს ბავშვურ ოინებს.

მადლიერი იყო ჩემი და ამბობდა — შენ რომ არ დავეძალებინა, ალბათ ცოლს არ მოვიყვანდი და ოჯახი არ მექნებოდაო. ერთხელ მითხრა — რა ბედნიერი ცხოველია კენგურუ, ჩანთა რომ აქვს და შიგ საყვარელი არსება უზის! რა მოხდებოდა, მეც მქონოდა ასეთი ჩანთა, რომ სულ ჩემთან მყოლოდიო!..

— დედას რა რეაქცია ჰქონდა, როცა გათხოვდით?

— ერთი წელი არ მელაპარაკებოდა. ყველა ღონე იხმარეს ჩემი ანებმა, მაგრამ ვერაფრით დამბარუნეს



14 წლისა არ ვიყავი, ბავშვი რომ გავაჩინე. ბიჭი იყო, 3 თვეში გარდაიცვალა



**ზურასთან ციხეში კვირები ვრჩებო-
ლი ხოლმე. ჩემი მეგობრები
„დეკაბრისტის ცოლს“ მეძახდნენ...**

სახლში. 14 წლისაც არ ვიყავი, ბავშვი რომ გავაჩინე. ბიჭი იყო, 3 თვეში გარდაიცვალა. მაშინ შემირიგდა დედაჩემი... დღეს ბევრი ბავშვი იბადება, სეფსისით დაავადებული და მათი გადარჩენა პრობლემა არ არის. მაშინ ეს რთული იყო. ექიმებმა ვერაფერი გაუგეს და გარდაიცვალა. ზურას ბავშვი არც უნახავს – რუსეთში, ციხეში იჯდა. 5 წელი ჰქონდა მისჯილი. ატესტატი რომ ავიღე, უნივერსიტეტში, უცხო ენებზე მიწოდდა ჩაბარება, მაგრამ ნანა მჭვლიძემ ტვინი ამირია – თეატრალურ ინსტიტუტში შეიტანე საბუთები, ნიჭიერი ხარ, მოხვდებიო. მეც ვცადე და მოხვდი. ზურამ იცოდა, რომ უნივერსიტეტში ვაბარებდი. უცებ ციხეში, რუსეთში იღებს წერილს, სადაც ვწერ – თეატრალურის სტუდენტი ვარ-მეთქი. იქიდან ისეთი წერილი მომივიდა, ჯობდა, არ წამეკითხა... ჭკუა ვინმარე – ვითომ

გოგამ რკინიგზის პირველი სკოლა დაამთავრა. მასაც მამამისის ბედი ერგო...



მისგან წერილი არ მიმიღია და მეორე გაუუგზავნე. ეს რა ხალხია ამ თეატრალურში, როგორი გადასარევი და პატიოსანი-მეთქი! – ვწერდი... მესამე კურსზე ვიყავი, ზურა რომ გამოვიდა ციხიდან. ამ დროს დაფეხმძიმდი და ინსტიტუტში აკადემიური ავიღე. 23 წლის ვიყავი, გოგა რომ გამოჩნდა. ინსტიტუტი ხუთებზე დავამთავრე. არსად არ ვმუშაობდი, როცა მითხრეს – გიგა ლორთქიფანიძე „შთამომავლობას“ დგამს და შენ გეძებსო. ზურას ვუთხარი ეს აბბავი. წადიო, – მითხრა. ეს იყო ჩემი პირველი როლი. ამის შემდეგ დავრჩი მარჯანიშვილის თეატრში. მერე, ზურას გარდაცვალებამდე 4 წლით ადრე, დავწერე განცხადება და ჩემი სურვილით წამოვედი თეატრიდან. შინ, ჩემს ქმარ-შვილთან ყოფნა მომინდა და კიდევ კარგი, რომ ასე მოვიქეცი: მაშინ ის დრო მათთვის რომ არ დამეთმო, ახლა გავეიჯღებოდი. ბევრი მეუბნებოდა – საუკეთესო წლებს კარგავო, – მაგრამ ჩემთვის საუკეთესო და მთავარი ყოველთვის ჩემი ოჯახი იყო.

– შვილზე მომიყვებით.

– გოგამ რკინიგზის პირველი სკოლა დაამთავრა. მასაც მამამისის ბედი ერგო: თუ სადმე რაიმე დამავდებოდა, გოგას ჰპრალდებოდა. მერე სამოქალაქო ომი დაიწყო. ბავშვებს აღარც სკოლა აინტერესებდათ და აღარც სწავლა, ყველას ომში გაპარვა უნდოდა. ამ დროს, ზურა უკვე შინ იყო. დაღვრვით გოგას და კიდევ კარგი, რომ ვერ გავეპარა. მერე ზურა მოსკოვში წავიდა – თავისი ბიზნესი ჰქონდა – და გოგაც წაიყვანა. ამ დროს ის 17-18 წლის იყო, ცოლი არ ჰყავდა, მაგრამ შვილი დარჩა – თათა, ახლა 11 წლისაა. ძალიან კარგი ბავშვია. მე მის გარდა აღარაფერ მყავს და როცა მოკვდები, ალბათ ყველაფერი, რაც მაქვს, მისი გახდება... ზურას მოსკოვში დიდი ქარხანა ჰქონდა და გოგა იქ დასაქმდა. ზურას სიკვდილმა გამოიწვია ის, რომ გოგას ბევრი მტერი გაუჩნდა, შემოესივნენ იქიდან, აქედან და უგზო-უკვლოდ დაიკარგა – არც ცოცხალი უნახავს ვინმეს და არც მკვდარი. ეს მოხდა 1995 წელს. მე რის შესაძლებლობაც მქონდა, ყველაფერი მის ძებნას შევალიე – კერძო ლეტექტივით დაწვებული, ათასგვარი სხვა რამით დამთავრებული. ხანდახან ვფიქრობ: ჩემთვის რა არის უკეთესი – მკვდარი რომ ეპოვათ თუ ის, რომ ვერ იპოვეს და შემთხვევით იმედი მაინც მრჩება იმისა, რომ იქნებ, ცოცხალია?... მე, როგორც დედას, მინდა, რომ ასე იყოს, მაგრამ იმასაც ვხვდები, რომ ეს გამორიცხულია... ჩვენ, გარდა იმისა, რომ დედა-შვილი ვიყავით, ვმეგობრობდით, განსაკუთრებით – ზურას გარდაცვალების შემდეგ. ახლა მივირს, ამაზე

ხმამდლა რომ ვლაპარაკობ. კაციშვილი ვერ მიბედავდა ამ თემაზე ლაპარაკს და გოგას სახლის ხსენებას. ეტყობა, მე მაინც ვიტოვებ რაღაც იმედის ნაპერწკალს, რომ ის შეიძლება გამოჩნდეს. ზოგს მოჰყავს იმის მაგალითები, რომ 20 წლის შემდეგ იპოვა დედა-შვილმა ერთმანეთი და ა.შ. ღმერთმა ქნას, რომ გამოჩნდეს 20 წლის შემდეგ, როცა მე აღარ ვიქნები. მაგრამ მე მინდა, რომ თუ არსებობს შანსი, თუ ცოცხალია, ენახო, თუ მკვლარია – დაემარხო თავისი მამის გვერდით... რა ვიფიქრო, ისიც აღარ ვიცი... სრული ბედნიერება არ არსებობს. იმდენად ბედნიერი ვიყავი, არასდროს მიფიქრია, რომ შეიძლება, რაიმე უბედურება მომხდარიყო. მიუხედავად ზურას დაჭერებისა და მძიმე პერიოდებისა, რომელიც ცხოვრებაში გადამიტანია, სანამ ისინი ცოცხლები იყვნენ, ძალიან ბედნიერი ვიყავი. ზურასთან ციხეში კვირები ვრჩებოდი ხოლმე. ჩემი მეგობრები „დეკაბრისტის ცოლს“ მეძახდნენ... ზურა 50 წლისა გარდაიცვალა. მის დაბადების დღეზე ბევრი სტუმარი გვყავდა სახლში. ისეთი ხალხიც კი მოვიდა, ვისზეც ნაწყენი იყო. ყველა შემოირიგა იმ დღეს... იჯდა თავისთვის და ამ ყველაფერს უყურებდა. მიუვახლოვდი. თვალები დახუჭული ჰქონდა. ხელები დავაღე სახეზე და შუბლზე ვაკოცე... უცებ გავუშვი ხელი – ცივი იყო... ბიჭებს დავუძახე, მაგრამ უკვე მკვდარი იყო. ველარაფერი ვუშველეო... პანაშვილებზე ზურაზე ვეჭვიანობდი. ძალიან ბევრი ხალხი მოდიოდა, განსაკუთრებით – ქალები, თანაც – კარგი ქალები და მე მათ არ ვიცნობდი. აბაზანაში შევედი, თმა დავივარცხნე და თავი მოვიწესრიგე იმ ქალების ჯინაზე. რა დროს პრანჭვა იყო?... მაგრამ არ ვიცი, რა დამემართა. ამ ქალებს რომ

მან ძალიან მძიმე დღეები გადამტანინა და გადაწყვეტილი მქონდა, რომ ცოლად გავყოლოდი. ეს გადაწყვეტილება და მალევე, ლოს-ანჯელესში, თავის ოფისში ნახეს ტყვევით შუბლგახერევილი იამადა...






თათა, ახლა 11 წლისაა. ძალიან კარგი ბავშვია. მე მის გარდა აღარავინ მყავს და როცა მოვეკვდები, ალბათ ყველაფერი, რაც მაქვს, მისი გახდება...

ვუყურებდი, ვვიძღვებდი: ახლა ზურას ავაყენებ და თავში რაღაცას ჩაცვებ-მეთქი — ვფიქრობდი... მოუხედავად იმისა, რომ ბევრი „კეთილისმსურველი“ მირეკავდა და მეუბნებოდა — შენი ქმარი იქ არის, იმასთან ერთად, — და ეს სწორად ზღებოდა, მე მაინც მშვიდად ვიყავი, იმიტომ, რომ ვიცოდი — ზურას ვუყვარდი. ერთხელ გონება დავკარგე და „სასწრაფო“ გამოიძახა. ძალიან შეეშინდა. დამით გავიგონე, სატუბთან როგორ ლოცულობდა — ღმერთო, თუ ნინო ახლა კვდება, ერთი წამით ადრე მე მომკალი, რომ ამას არ შევესწროო!.. სასწრაფოდ დავხუჭე თვალები, არ დაინახოს, რომ გავიგონე-მეთქი... გოგა მეუბნებოდა — შენ „ზურაიზში“ გჭირს და ზურას — „ნინოიზში“. მას რაღაცნაირად ეამაყებოდა, რომ მის მშობლებს ასე ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ზურა რომ ოდნავ ხმამაღლა დამე-ლაპარაკებოდა, მე სხვა ოთახში გავდიოდი და ვტყუროდი, მწყინდა. ამაზე თვითონაც ვიძღვებოდა, მეუბნებოდა — კარგი, ნინო, რა გჭირს? შიშით ვერაფერი მითქ-

ეგრევე ვიფიქრე — ალბათ ნათელას (გეგა კობახიძის დედა) როლზე უნდა ამიყვანოს-მეთქი. ასეც აღმოჩნდა...



ვამსო... ძალიან დაცული ვიყავი მის გვერ-დით, ძალიან კომფორტულად, ნამდვილ ქალად ვგრძნობდი თავს. ვიცოდი, რომ ქალები ჰყავდა, მაგრამ მე ამას ვერას-დროს ვხედავდი — მხოლოდ იმ „კეთილისმსურველებისგან“ გამიგონია, რომლებიც მირეკავდნენ ხოლმე. თან ზურას ქცევა აბათილებდა ჩემს ეჭვებს და ვერასდროს ვიჯერებდი, რომ ეს ასე იყო... ზურა რომ გარდაიცვალა, ის ბინა, სადაც ვცხოვრობდით, გავყვიდე. არ შემი-ძლო იქ ცხოვრება... რაც კარგი იყო — მოგონებები, ამ სახლში წამოვიღე, ცუდი — იქ დავტოვე. ზოგი ნივთებს ინახავს, მე ყველაფერი დავკარივე ზურასი და გოგასი...

— როგორც ვიცი, მერე ერთ იაპონელსაც ძალიან უყვარდით...


— იამადა-სანი იაპონიაში თეატრის მეპატრონე იყო. მარჯანიშვილის თეატრ-ში მედია კუჭუხიძემ დადგა ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“. მთავარ როლებს მე, რეზო ჩხიკვიშვილი და ნანი ჩიქვინიძე ვითამაშობდით. ამ სპექტაკლით წავვედით იაპონიაში. იქ დავგვხვდა იამადა-სანი, თან გადაგვეყვია. რომ ჩამოვედი, ზურას მოუყვები მასზე და მითხრა — ალბათ მოსწონხარო. — რა თქმა უნდა, მოვწონვარ-მეთქი, — უუპასუხე. მერე იმასაც ცოლი დაეღუბა, გაიგო, რომ ზურაც გარდაიცვალა და ჩამოვიდა. როცა ძალიან მიჭირდა, მაშინ მედია მხარში. ფილმების გახმოვანებით ვირჩენდი თავს. ერთ ფილმში 7 ლარსა და 50 თეთრს მიხდიდნენ... ძალიან მძიმე დღეები გადამატანინა და გადაწყვეტილი მქონდა, რომ ცოლად გავყოლოდი. ეს გადაწყვეტიც და მალევე, ლოს-ანჯელესში, თავის ოფისში ნახეს ტყვიით შუბლგახ-ვრეტილი იამადა... მან მაჩუქა იაპონიაში ძალიან ლამაზი სახლი, რომელიც ჩემი, ალბათ არასდროს იქნება: მისმა ძმამ დამირე-კა და მითხრა — ანდერძში მოსენიებუ-ლი ხართ და ჩამოდითო. მე გზის, აღ-ვოკატებისა და სხვა ხარჯებისთვის თანხა არ მქონდა, ამიტომ ვერ წავივდი.

ბედისწერის მჯერა. ზოგი ამბობს — ნინომ ცხოვრება თავიდან დაიწყო. არა, ასე არ არის



— ათწლიანი პაუზის შემდეგ, დათო დოიაშვილის სპექტაკლში „ჯინსების თაობა“ — დედის როლი ითამაშეთ. ნერვიულობდით?

— საშინელ მღვდომარეობაში ვიყავი, არ ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა, გარშემო აღარავინ დამრჩა. ფიქრებში ჩაფლული ვიჯექი შინ, თავგადაპარსული, დიდი რომ დამირეკა... მე მას არ ვიცნობდი, თუმცა ტელეეკრანიდან ვიცოდი, რასაც ღვაძლა და ეგრევე ვიფიქრე — ალბათ ნათელას (გეგა კობახიძის დედა) როლზე უნდა ამიყვანოს-მეთქი. ასეც აღმოჩნდა... ამის შემდეგ, ფრანგმა ჟოული ბერტუჩელიმ გად-ამიღო ფილმში — „რაც ოთარი წავიდა“. ეს ფილმი კანის ფესტივალზე იყო ნაჩვენები



მიმა კობახიძესთან ერთად პარიზში

და „ცეზარიტაც“ დაჯილდოვდა. იანვრი-დან კიდევ ერთ უცხოურ ფილმში გად-ამიღებენ... ზოგჯერ მეშინია, ასეთი ძლიერი რომ ვარ, მაგრამ ძალიან მიყვარს სიც-ოცხლე. თავს არასდროს მოვიკლავ, მი-უხედავად იმისა, რომ თუკი რაიმის დაკარგვა შეიძლებოდა, ყველაფერი დაკარგე... ჩემი დროც მოვა და მეც წავალ ამ ქვეყნიდან. ბედისწერის მჯერა. ზოგი ამბობს — ნინომ ცხოვრება თავიდან დაიწყო. არა, ასე არ არის. უბრალოდ, გავაგრ-ძელე ცხოვრება მათთვის, ვისაც უნდა, რომ მე ვი-არსებო. ალბათ ჩემს შვილს, ჩემს ქმარს, დე-დაჩემს უხარიათ ჩემი წარმატებები. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვისაც დიდად სასიხარულოა, მა-გრამ არა იმდენად, რაც შეიძლებოდა, მაშინ მქონ-ოდა, თუ ჩემები ჩემ გვერ-დით იქნებოდნენ...

კარასკომ საიდუმლო ბამოააშქარავა

ფეხბურთის ქომავთათვის ცნობილ-ია, რომ არგენტინისა და ურუგვაის ეროვნულ ნაკრებთა შორის ორიოდე დღის წინ გამართული, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი, დიეგო მარადონას თანამემამულეთა გამარჯვებით დასრულდა. სწორედ ამ შეხვედრის წინ, ურუგვაელთა ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, ხუან-რამონ კარასკომ სკანდალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, აღნიშნულ გუნდებს შორის 2002 წლის მუნდიალის შესარჩევი ციკლის ერთ-ერთი შეხვედრა „ჩაწყობილი“ იყო და წინასწარ შეთ-



ანხმებული შედეგით დასრულდა. „ჩვენ ადრევე შევეთანხმდით შედეგზე. არგენტინელებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება უკვე მოპოვებული ჰქონდათ, ჩვენ კი, ქულა მაინც გვჭირდებოდა, რათა საფეხბურთო ბრძოლა გაგვეგრძელებინა. სწორედ იმ თამაშში მიღწეული საყაიმო ანგარიშის წყალობით, პლეიოფში ავსტრალიას შეხვედრით, რის შემდეგაც მსოფლიო პირველობაზე გავიდით. ურუგვაიში ეს ყველამ იცის. არგენტინელებმა კი, შეიძლება ბევრი იმასონ, რომ აღნიშნული ფაქტის შესახებ არაფერი სმენიათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ: თავიდანვე ყველამ ყველაფერი იცოდა“, – ამბობს ხუან-რამონ კარასკო 2001 წლის 14 ნოემბერს გამართული მატჩის შესახებ. ის შეხვედრა 1:1 დასრულდა. ყველაფერი პირველსავე ტაიმში გადაწყდა. ანგარიში მე-19 წუთზე დარია სილვამ გახსნა, ხოლო 44-ე წუთზე კლაუდიო ლოპესმა გაათანაბრა. ხოლო თუ ურუგვაელთა ყოფილ თავკაცს დაუვჯერებთ, შეხვედრის მეორე ტაიმში გუნდები ბურთს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე დაგორებდნენ.

ფეხბურთელი ყარაღებმა იმსხვირპლას

შვეიცარიული „ციურიხის“ ბრაზილიელი ფორვარდი, კლეონისიო ლუშ სანტუმ სილვა, რომელსაც საფეხბურთო სამყაროში რენატოს სახელით იცნობდნენ, კრიმინალთა მსხვერპლი გახდა. ფეხბურთელი მეგობარ გოგონასთან ერთად საკუთარი ავტომობილით რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთ გარეუბანში მოძრაობდა, როდესაც მას ბოროტმოქმედმა მანქანიტა გზა გადაუღობეს. შეიარაღებულმა ბანდიტებმა რენატოს ავტომობილის წართმევა დაუპირეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა გაქცევა სცადა. კრიმინალები მას გამოედევნენ და არც ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებას მოერიდნენ, რის შედეგადაც ფეხბურთელმა თავში სასიკვდილო ჭრილობა მიიღო. შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციელების თქმით, რენატოს მეგობარი გოგონა მსუბუქად დაიჭრა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. „ციურიხის“ თავდაპირველმა მეუღლე სალმარა და ვაჟიშვილი პედრო დარჩა.



ელტონ ჯონს ოუენი არ მოსწონს

ელტონ ჯონის აზრით, „რეალის“ ფორვარდი, მაიკლ ოუენი ინგლისის ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილს არ იმსახურებს. პოპარსკვლავი (რომელიც ადრე კლუბ „უოლფორდის“ პრეზიდენტი გახლდათ) მიიჩნევს, რომ სვენ-გორან ერიქსონმა ოუენი სათადარიგოთა სკამზე უნდა დასვას და სხვა თავდაპირველებს მისცეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. „სასტარტო შემადგენლობაში ვინ უნდა თამაშობდეს? რა თქმა უნდა, უენ რუნი და ჯერმენ დეფო. დღეს, სწორედ ეს ფორვარდთა წყვილია საუკეთესო“, – ამბობს ელტონ ჯონი.

როდისღა ვარჯიშობს ვიერი?!

ბოლო დროს, კრისტიან ვიერი არცთუ ისე დამაჯერებლად თამაშობს, მაგრამ იტალიელი ფორვარდისადმი მასმედიის ყურადღება მაინც არ განელებულა. პირიქით, მისი სახელი სულ უფრო ხშირად ხვდება ბულვარული პრესის ქრონიკებში. ხან ერთ და ხან მეორე გამოცემაში პაპარაცები ფეხბურთელის ახალ-ახალი საყვარლების ფოტოებსა და მონაცემებს აქვეყნებენ. მაგალითად, ამას წინათ, ვიერი ფოტომოდელ ვანესა კელისთან ერთად შეუნიშნავთ. რესტორან „კლან კაფეში“, რომელიც სხვათა შორის, თავად კრისტიანს ეკუთვნის, თურმე წყვილი რაღაც თემამზე მშვიდად საუბრობდა. ცნობილია ისიც, რომ დაახლოებით წლინახევრის წინ, კელი ვიერის რატომღაც ხვდებოდა, თუმცა, შემდეგ მოდელი და ცნობილი ფორვარდი ერთმანეთს დაშორდნენ. მათი ბოლო შეხვედრიდან მოყოლებული კი, პროფესიული თვალსაზრისით, მაინცდამაინც სახარბილოდ არც ერთს არ წაუვიდა საქმე. კრისტიანს ხშირად აკრიტიკებენ უსახური თამაშის გამო, ვანესა კი, სამსახურებრივი კონტრაქტის გაფორმებას ვერ ახერხებს, რომელიც მას სტაბილური ანაზღაურებით უზრუნველყოფს. შეიძლება ფეხბურთელმა და მოდელმა რომანი განაახლეს ან იქნებ ერთმანეთს საკუთარი პრობლემები გაუზიარეს? ალბათ უახლოეს მომავალში იტალიური ყვითელი პრესა ამის შესახებაც გაავრცელებს ინფორმაციას. აქვე გაცნობებთ, რომ ცოტა ხნის წინ, კრისტიან ვიერიმ რამდენიმე ცნობილ ფეხბურთელთან – მათ შორის, ჯენარო გატუზოსა და მასიმო ამბროზინისთან ერთად, მილანში გამართულ მოდის კვირეულში მიიღო მონაწილეობა. ფეხბურთელებთან ერთად ჩვენებაზე იმყოფებოდნენ მათი მეგობარი გოგონები, რომლებიც ჩინებულად გაერთნენ და ახალი ტანისამოსი და აქსესუარებიც შეიძინეს. ჩვენების შემდეგ მიმომხილველები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ აღნიშნულ ღონისძიებაზე მყოფი საზოგადოება ფეხბურთელებსა და მათ მეორე ნახევრებს უფრო დიდი ინტერესით აკვირდებოდა, ვიდრე დიზაინერების მიერ წარმოდგენილ ახალ მოდელებს. აი, ფეხბურთის ფანები კი იმაზე იმტრევენ თავს, თუ როდის ასრულებს ვარჯიშს კრისტიან ვიერი.



შევაბ დაბადების დღე გადაიხადა

ამას წინათ, მილანის ერთ-ერთ ელ-იტარულ რესტორანში ანდრეი შევჩენკომ თავისი 28-ე დაბადების დღე იზეიმა. საღამოს ფეხბურთელის ყველაზე ახლო მეგობრები და ნათესავები ესწრებოდნენ. ცხადია, მათ შორის „მილანის“ სუპერფორვარდის მეუღლე, კრისტინ პაზიკიც გახლდათ, რომელიც ამჟამად ორსულად არის და სულ რაღაც ერთ თვეში მემკვიდრის დაბადებას ელის. რაც შეეხება ანდრეის თანაგუნდელებს, მათგან წვეულებაზე პაოლო მალდინი, კლარენს ზეედორფი, ერნან კრესპო და კაკა იმყოფებოდნენ. მოგვიანებით, მათ ფილიპო ინძაგაცი შეუერთდა. საღამოზე ელოდნენ „მილანის“ პრეზიდენტ სილ-ვიო ბერლუსკონისაც, მაგრამ ეს უკანასკნელი, მხოლოდ ვიდეომილოცვით შემოიფარგლა. საქმე ის გახლავთ, რომ იმავე დღეს იტალიის პრემიერ-მინისტრი თავად ზეიმობდა დაბადებიდან 68-ე წლისთავს. სამაგიეროდ, საღამოს ესწრებოდა კრისტინ პაზიკის მეგობარი,



მარტინა კოლომბარი, რომელიც ასევე ფეხმძიმედაა. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, კრისტინე და მარტინა თურმე საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე საუბრობდნენ. მასმედიის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ მათი განსჯის საგანი სწორედ ორსულობის თემა იყო. თუმცა ჟურნალისტებმა ანდრეი შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი წვეულების შესახებ სხვა ვერაფერი შეიტყვეს, რადგან რესტორანში შეღწევა ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა.

ვიეირასა და ლორენს კოლიცხილები აზველებდნენ

ჩვენს მკითხველს უკვე ვაცნობთ იმ კონფლიქტური სიტუაციის შესახებ, რომელიც ჩემპიონთა თასის მიმდინარე გათამაშებაში „რუსენბორგის“ და „არსენალის“ შეხვედრის შემდეგ, ლონდონელთა კლუბში წარმოიქმნა. კერძოდ, პატრიკ ვიეირა თავისი გუნდის მცველებს დაუპირისპირდა, ყველაზე მეტად კი, მატჩის ფრედ დასრულებაში მან ლორენი დაადანაშაულა. ერთი სიტყვით, „მეთოფეთა“ შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ მოედანზე დაიძაბა, როდესაც ნორვეგიელებმა ანგარიში გაათანაბრეს, ხოლო შემდეგ კონფლიქტი გასახდელსა და ლონდონელთა ავტობუსშიც გავრქელდა. „ისინი რაღაცაზე ცხარედ დაობდნენ, შემდეგ კამათი ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა, რომელშიც ორი ფეხბურთელი განსაკუთრებულად აქტიურობდა“, – განაცხადა ინციდენტის შესახებ „რუსენბორგის“ დაცვის სამსახურის უფროსმა, ჰალგეირ სტოკენმა. Mirror-ი იუწყება, რომ ფეხბურთელების გაშველება და დაშოშმინებაში ორი პოლიციელი იღებდა მონაწილეობას. ნორვეგიული კლუბის ქომაგის თქმით კი, ვიეირა და ლორენი თურმე მეტისმეტად გამეტებით ურტყამდნენ ერთმანეთს.

არაბონესს რასიზმში აღანაშაულებენ

ესპანეთის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ლუის არაგონესს რასიზმში სდებენ ბრალს. სკანდალი მას შემდეგ აგორდა, რაც გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე, რომელსაც ტელეგადაძღვნილი ჯგუფიც ესწრებოდა, ახალგაზრდა ესპანელ ფორვარდ, ხოსე ანტონიო რეისთან საუბრისას არაგონესმა ტიერი ანრი უცენ-ზურო სიტყვებით მოიხსენია. „გადაეცი იმ შავ განავალს, რომ შენ მასზე გაცილებით უკეთესად თამაშობ. ნათლად უნდა გაცნობიერო და დაიჯერო, რომ მას სჯობიხარ. შეგიძლია, ჩემი ნათქვამი ანრის გადასცე და ამ სიტყვების სიმართლეში ეჭვიც ნუ შეგეპარება“, – ლუის არაგონესის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები ტელევიზიით გადაიყვანა, რის შემდეგაც ესპანეთის ნაკრების თავკაცი, მეტისმეტად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „მან არამართებული სიტყვებით მოიხსენია ფეხბურთელი, რაც მთელმა ქვეყანამ მოისმინა. გუნდის ვარჯიშში ხომ ტელევიზიით გადაიციმოდა“, – წერს ესპანური გაზეთი AS. ბუნებრივია, მოვლენების ამგვარად განვითარების შემდეგ, მწვრთნელმა თავის მართლება სცადა: „არავისთვის შეურაცხყოფის მიყენება არ მსურდა. უბრალოდ მინდოდა, რომ რეისისთვის საკუთარი ძალებისადმი რწმენა გამძლიერებინა. ჩემს მოთამაშებზე ზრუნვა მეგალება და საჭიროა, რომ თითოეულ მათგანს ინდივიდუალურად მივუღებ. ჩემი სიტყვები მხოლოდ საწვრთნელ კონტექსტში ნათქვამად უნდა აღიქვას“. არაგონესს პირველ რიგში ესპანური პრესა გამოექცომა – „მას არავის შეურაცხყოფა არ სურდა“, „არაგონესმა იხუმრა“, „ყველამ იხილა, თუ როგორი ტონით საუბრობდა მწვრთნელი“, – ასეთი გამონათქვამებით იცავდა სხვადასხვა გამოცემა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ლუის არაგონესს, რომელიც საკუთარ თავს მსოფლიო მოქალაქედ მიიჩნევს, არაერთ შავკანიანთან მეგობრობს და მისი აზრით, ამიტომ წარმოუდგენელია, რომ ვინმემ რასიზმში დასდოს ბრალი. მწვრთნელს თავად რეისიც გამოექცომა, რომლის „დამძღვრასაც“ მოჰყვა ეს მითქმა-მოთქმა. ფეხბურთელის თქმით, არაგონესმა უბრალოდ იხუმრა, მაგრამ ჟურნალისტებმა მას ვერ გაუგეს. რეისის მოსაზრებამ ნამდვილად ვერ დაამშვიდა „არსენალში“ ამ უკანასკნელის თანაგუნდელი, რობერ პირესი: „რასისტული გამონათქვამისთვის ის აუცილებლად უნდა დაისჯოს. არაგონესის მიერ წარმოთქმულ ფრაზაში სასაცილოს ვერაფერს ვხედავ და ამ ფაქტზე რეაგირებაა საჭირო, რათა მან ჭკუა ისწავლოს“. რეაგირება კი, ცხადია, ფიფამ ან უეფამ უნდა მოახდინოს, რომელთა შესაბამისი სამსახურები, უკვე დიდი ხანია, საერთაშორისო საფეხბურთო ოჯახში რასიზმის აღმოფხვრას ცდილობენ.





(დასაწყისი
იხ. „გზა“ №26-41)

მცაცენლოს ინსცინქცია

რუსულან ბერიძე

რესტორანში მომხდარი სროლის დროს დაღუპული კაცის მკვლელობას ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს აბრალებენ. ამ ამბავში რაღაც იდუმალი როლი მის ბიზნესპარტნიორ შალვა ოშერელს აკისრია. ანდროს თანამშრომელი და საყვარელი, დალი ხაჩიძე მის დაცვას თავის ყოფილ დაქალს, ადვოკატ მეგი ლალიძეს სთხოვს. მისი ერთ-ერთი დაქალის, ლიკას მეუღლე — ვახო, მეგის ანდროს წარსულის საინტერესო მომენტებზე უამბობს და იმასაც ეტყვის — მას კახეთში მიწის ნაკვეთი აქვს, სადაც ნავთობის საბადო არისო...

საქმის შესწავლის პროცესში მეგი შეიტყობს, რომ ანდროს „ჩაძირვით“ წარსულში მისი შეყვარებული კახაცა დაინტერესებული. მეგის დედამისთან შესხედრაც მოუხდება. მომავედავი მარიკა მას მწარე სიმართლეს გაანდობს: მეგისა და კახას შვილი, რომელიც მკვდრად შობილად იყო გამოცხადებული, ცოცხალია და ანდრო სვანიძის ოჯახში იზრდება...

საუბრისას მეგი და კახა (რომელმაც თავისი შვილის არსებობის შესახებ არაფერი იცის) შეკამათდებიან, ქალი მას ოშერელთან კავშირში დაადანაშაულებს და გაბრაზებულს ისიც წამოსცდება, — თუ მართალი ხარ, შენი შვილი დაიფიცეო...

იმავე დღეს, მეგის აცნობებენ, რომ ანდრო სვანიძე ციხეში კრიმ-

ინალებმა დაჭრეს. ამას კახას დედის სიკვდილი მოჰყვება. მეორე დღეს, მეგი ანდროს ცოლყოფილს ლანას უნდა შესხედეს და შესაძლოა, ცხოვრებაში პირველად, საკუთარი შვილიც ნახოს. ლანასთან მისვლამდე, მას ქუჩაში ხანდაზმული ქალბატონი გამოელაპარაკება და ბოლოს იმასაც ეტყვის — მალე შენს ბიჭს ჩაიკრავ გულშიო, — შემდეგ კი, ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში გაუჩინარდება. ამ სადარბაზოს მეორე გასასვლელით მეგი ეზოში აღმოჩნდება და იქ, ხის ძირში მჯდომ სამ ქალს გამოელაპარაკება, მაგრამ მათგან ვერანაირ ინფორმაციას ვერ მიიღებს. იქიდან ქუჩაში გამოსულს, ტაქსით მომავალი დალი ხაჩიძე შეეფეთება და მასთან ერთად, კახა სუთიძესთან, დედის გარდაცვალების მისასამიძირებლად წავა. იქიდან მეგი, შეთანხმებისამებრ, ლანა სვანიძეს შინ ეწვევა. ლანას კართან მისული, ათიოდე წლის ბიჭს შეეფეთება და გული გადაუქანდება — ეს ხომ მისი შვილია! საუბრის დაწყებისას, მეგის მასპინძელიც შეატყობს, რომ შეუძლოდაა... შემდეგ მეგი ბიჭთან დაკავშირებით რამდენიმე ისეთ კითხვას დაუსვამს, რომლის გამოც ლანა გაცივებას გამოთქვამს: მიშიკოს რაღაც ძალიან შინაურულად კითხულობო...

შინ დაბრუნებულ მეგის მალე, მოულოდნელად კახა ეწვევა. ის სთხოვს მეგის, უჩვენოს შვილი, რომლის არსებობის შესახებ სულ ახლახან შეიტყო. კახას გააოგნებს

ცნობა იმის შესახებ, რომ მისი შვილი სვანიძეების ოჯახში იზრდება. კახა მეგის ბინიდან გასვლის წინ ხაზგასმით იტყვის, რომ, ის შვილის დაბრუნებას აპირებს...

ლამით კახა დაურეკავს და სთხოვს, ნულარ ვიზუბუბო. მეორე დღეს, მეგი მორიგ პროცესს მოიგებს და სასამართლოდან გაამაყებული ბრუნდება. სალამოს, დალი დაურეკავს და შეატყობინებს — ტელერეპორტაჟიდან შევიტყვე, ციხიდან პატიმართა ჯგუფი გაიქცა, მათ შორის — ანდრო სვანიძეო. ლამით კი, მოულოდნელად, ციხიდან გამოქცეული და დაჭრილი ანდრო მეგის მიადგება კარზე...

მოგვიანებით, როცა მეგიმ ანდრო საკუთარ ლოგინში ჩააწვინა და თითქმის ბოლომდე პირგახსნილი ჭრილობაც შეძლებისდაგვარად დაუმუშავა, სინამდვილისთვის თვალის გასწორების დროც დადგა.

— ახლა რაღა უნდა ვქნათ? — უმწეოდ იკითხა საწოლის შორიანლოს მდგარი სკამის კიდეზე დაუპატიჟებელი სტუმარივით მორიდებით ჩამომჯდარმა მეგიმ.

— შენ — ბევრი აღარაფერი... — მშვილად უპასუხა ოდნავ მოლონიერებულმა ანდრომ. — იქნებ, ერთი-ორი დღით როგორმე შემიფარო, მერე კი შენი ცხოვრებიდან ერთხანს უკვალოდ გაკქრები...

— ერთხანს რატომ?... საერთოდ რომ გაქრეთ, არ შეიძლება? — სევდიანად იკითხა მეგიმ.

— თავადაც კარგად იცი, რომ არ შეიძლება!.. — უპასუხა ანდრომ. — ციხეში თუ მის გარეთაც ხომ მაინც შენი თავში საცემი ვარ!.. ალბათ, იმ დღეს წყველი, როცა ჩემს ადვოკატობას დათანხმდი, ხომ?

— უნდა ვაღიარო, რომ არც უმაგისობაა, — უპასუხა მეგიმ. — მართალია, პრობლემებს სხვა კლიენტებიც არ მაკლებდნენ, მაგრამ თქვენ მაინც, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეთ! დალი კი არ ტყუის, როცა თქვენზე ამბობს, რომ...

— რაო, რას ამბობს? — გააწყვეტინა ანდრომ.

— რას და რაც ციხეში მოხვდა, ისე შეიცვალა, საერთოდ ვეღარ ვცნობო...

— რას მეუბნები?! — სახეზე ღამციანავმა ღიმილმა გადაურბინა ანდროს. — ციხეში მოხვედრამდე ზედმიწევნით ვიცნობდიო?

— ყოველ შემთხვევაში, ციხემდე ასეთ გაუაზრებელ ნაბიჯებს ნამდვილად არ დგამდაო...

— ე.ი. დალის დახვეწილ ლექსიკონს თუ მოვიშველიებთ, რაც ციხეში მოხვდები, მთლად გავუბერე, ხომ?... დარწმუნებული ვარ, ზუსტად ასე გეტყვოდა...

— დიახ, მართლა ასე მითხრა... — დაეთანხმა მეგი.

— შენც იმავეს ფიქრობ?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ციხეში მოხვედრამდე მე საერთოდ არ გიცნობდი და არც ის ვიცი, როგორ იქცეოდით...

— მანამდეც მაგრად ვუბერავდი, — აღიარა ანდრომ, — მაგრამ ციხეში საბოლოოდ გამაგიჟა!.. იმიტომ, რომ იქ ყოფნისთვის სრულიად მოუმზადებელი აღმოვჩნდი...

— ამაში გასაკვირი არც არაფერია — დაამშვიდა მეგიმ. — კაცი ციხეში მოხვედრისთვის წინასწარ რატომ უნდა ემზადებოდეს?

— უნდა ემზადებოდეს და მერე როგორ!.. არ გაგიგონია, რუსები როგორ ამბობენ?.. **От чумы и от тюрмы не заракайся!**.. თუ პირიქით. თუმცა, ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი ნამდვილად არ იცვლება: ერთიც საშინელებაა და — მეორეც... მოკლედ, ციხეში მოხვედრა ძალიან ადვილია, შენ იქიდან თავის დაღწევა თქვი!..

— ვის-ვის და თქვენ ამის გაკეთება ნამდვილად არ გაგჭირვებიათ!.. — ხმაში ისევ საყვედური გაურია მეგიმ.

— შენ რა, გგონია, ციხიდან ჩემი სურვილით გამოვიქეცი?

— აბა?.. არ მითხრათ ახლა, მაიბუღეს!

— იძულებამდე საქმე ნამდვილად არ მისულა... — ამოიხრა ანდრომ. — უბრალოდ, სხვა გზა აღარ დამიტოვეს... იმ გვირაბს ხომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემ თვალწინ თხრიდნენ!..

— თხრიდნენ თუ ერთად თხრიდით?

— არა, თხრით სხვა პატიმრები თხრიდნენ. ამის გაკეთება ჩემგან ნამდვილად არავის მოუთხოვია...

— საინტერესოა, რატომ?

— იმიტომ, რომ მე თავიდანვე, ასე ვთქვათ, გაქცევის ფინანსური მხარის უზრუნველყოფა მქონდა დავალებული... — და თქვენც ყველაფერი უდრტკინველად დააფინანსეთ, ხომ?

— მე — კი, მაგრამ შენ ვითომ, რაიმე ალტერნატიულ გზას გამოიძებნიდი?

— რა თქმა უნდა!

— კერძოდ?

— თავიდანვე ჩემთვის უნდა გეთქვათ ყველაფერი!..

— ეჰ, ჩემო კარგო... — სევდიანად გაეღიმა ანდროს. — მართალია, პროფე-

სიონალიზმითა და კომპეტენტურობით თავი ძალიან მოგაქვს, მაგრამ ციხეს მაინც მხოლოდ გარედან იცნობ და ისიც — ძალიან ზედაპირულად... ციხის შიგნით კი, ჩემს მტერს, ისეთი რამეები ხდება!..

— ჰო, მაგრამ ციხე რომ ძირითადად, შიგნიდან ტყდება ხოლმე, ესეც ხომ ფაქტია! — მაინც არ გატყდა მეგი.

— მართლა?!.. — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა მას ანდრომ. — შენთან ერთი სიტყვა მაინც რომ დამცდუნოდა, იცი, შიგნით რა მოხდებოდა?

— ვიცი!

— არა, არ იცი!.. მე ხომ შარშანდელი თოვლივით უკვალოდ გამაქრობდნენ და მთლად კარგი დღე არც შენ დაგადგებოდა!.. იმიტომ, რომ...

— ფიქრობთ, ახლა უკეთესი დღე მადგას?!.. — გააწყვევინა გაღიზიანებული მეგიმ. — ხომ შეიძლება, პოლიცია თქვენს ტენანში, მეც კარზე მომაღვებს?!..

— შეძლებით როგორ არ შეიძლება!

— მშვიდად უბასუხა ანდრომ. — მაგრამ, სანამ შენამდე მოვლენ, ჩემი ოჯახის წევრების, ნათესავების, ახლობლებისა და ნაცნობ-მეგობრების საკმაოდ გრძელი სია უნდა აიღონ და ყველანი სათითაოდ შემოიარონ... მანამდე კი მე, რომ მოვიწოდომ, მივარეზე გაფრენასაც კი სულ თავისუფლად მოვასწერებ...

— კარგი... — ამოიხრა მეგიმ. — რაც არის, არის. მინდა თუ არა, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: თქვენ უკვე აქ ხართ და ამას აღარაფერი ეშველება!.. იმიტომ, მოდი, ახლა დავიძინოთ და ხვალ დილიდან უფრო მშვიდად გადავწყვიტოთ ყველაფერი...

— დაძინებით ერთად დავიძინებთ თუ?.. — ისევ ანგლობის ხასიათზე დადგა ანდრო.

ანდროს სიტყვებით გაღიზიანებული მეგი ფეხზე სასწრაფოდ წამოხტა, მაგრამ მოულოდნელად, ანდრომ მაჯაში ჩაავლო ხელი და სკამზე თითქმის ძალით დასვა.

— რას შვრები?! ახლავე გამიშვი! — თავდაცვ ვერ მიხვდა, შენობით ლაპარაკზე როგორ გადავიდა გამწარებული მეგი, მაგრამ ანდრო არ ჩქარობდა:

— გაგიშვებ, ოღონდ, ერთი პირობით... — ვაჭრობა დაუწყო მან ქალს.

— ახლავე გამიშვი-მეთქი! — ხმას აუწია მეგიმ. — თორემ, ისეთ კვილს ავტებს, რომ მთელ სამეზობლოს შეგყრი!

— კარგი, ერთი!.. — ხელის გაშვება არც კი უფიქრია ანდროს. — შეყრით კი შეყრი, მაგრამ საინტერესოა, რას ეტყვი — ციხიდან გამოქცეული მკვლეელი სახლში რატომ შემოვუშვით?.. ან იქნებ, იმის ახსნას შეძლებ, საკუთარ ლოგინში რატომ ჩავაწვინეთ?..

ანდროს სიტყვებით საბოლოოდ გაოგნებულმა მეგიმ ერთი კიდევ გააბრძოლა, მერე კი წინააღმდეგობა საერთოდ შეწყვიტა და მხოლოდ სიმწრის ცრემლები წამოსციკვიდა:

— ახია ჩემზე!.. ყველაფერი ახია!..

ანდრომ მეგის ხელი ფრთხილად უშვა, შემდეგ ოდნავ გადმოიხარა და სუსტ მაჯაზე, რომელსაც ჯერაც მისი ნათითურები ეტყობოდა, ნაზად ეამბორა. მისი ტუნების შეხებაზე მეგი ფეთიანვიტ წამოხტა ფეხზე, ანდრო კი საწოლზე არხეინად გადაწვა და ქალი აათვალთვინა აათვალთვინა:

— იცი, რაც გაგიცანი, მას შემდეგ რაზე ვოცნებობდი? — ჰკითხა მან შემდეგ.

— არ ვიცი და არც მაინტერესებს!.. — კბილებში ბოროტად გამოცრა მეგიმ.

— მე მაინც გეტყვი... — თავისას არ იშლიდა ანდრო. — როგორც კი დაგინახავდი, უფრო ზუსტად კი — როგორც კი შენს „დავთრებს“ გამწიდი ხოლმე და ზესერიოზული სახით „ბრძნული“ აზრების ფრქვევას იწყებდი, ერთი სული მქონდა, ჯერ გულში ჩამეკარი და ხანგრძლივი კონიტი გამეჩუმებინე, შემდეგ კი თავი შენს კალთაში ჩამერგო და...

— რას მეუბნები?! მართლა?!..

— რაღაცნაირად, ბავშვურად გამოაჯავრა უცბად, სამშვიდობოს თავდაგულეულმა მეგიმ. — მეტი არაფერი გინდოდა?..

— ჯერჯერობით მეტი არაფერი — წარბიც არ შეუხრია, ისე განაგრძო ანდრომ. — იცი, ბავშვობაშიც, როცა ჩვენი უბნის მოჩხუბარი ბიჭები ვინ იცის, მერამდენედ გემრიელად მიმბეგავდნენ ხოლმე, მაშინაც ერთი სული მქონდა, შინ გავქცეულიყავი, თავი დედაჩემის კალთაში ჩამერგო და ისე აქვითინებულყავი... მაგრამ უკვე მაშინ, იმავე დედაჩემისგან ვიცოდი, რომ კაცი ასე არ უნდა მოქცეულიყო. იმიტომაც, ცემა-ტყეპას „გმირულად“ ვიტანდი და შინ მისული, დედაჩემის შეცხადებაზე — ვინ გაბედა და ასე ვინ დაგალიავა? — ყოველთვის ერთადერთი პასუხი მქონდა მზად: კიბეზე ფეხი დამიცდა და დავგორდი-მეთქი... იცი, მას შემდეგ რამდენ ასეთ „კიბეზე“ ვარ „დაგორებული“?..

— არ ვიცი და არც მაინტერესებს! — კვლავ მოწაფესავით გაზეპირებული პასუხი შეაგება ანდროს უცნაური აღსარებით გაოცებულმა მეგიმ და საძინებლიდან უკანმოუხედავად გავარდა...

მეგიმ თავისთვის სასტუმრო ოთახში, ტახტზე გაიშალა ლოგინი, შემდეგ საბაზანოში შეიკეტა და, შხაპის ძილვის შემდეგ, საკუთარი გამოსახულება სარკეში ისე უცნაურად აათვალთვინა-აათვალთვინა, თითქოს პირველად ხედავს.

„არა, არა! – თავი მტკიცედ გაიქნია მან და დაორთქლილ სარკეს სველი ხელი რამდენჯერმე გულმოდგინედ გადაუსვა. – ამაზე არც კი უნდა ვიფიქრო!“

ქალი დასაძინებლად მალევე დაწვა, მაგრამ თვალი ვერაფრით მოხუჭა, ლოგინში კარგა ხნის უშედეგო წრიალის შემდეგ, ისევ ფეხზე წამოდგა და სამზარეულოში წყლის დასალევედ გავიდა. უკან გამოსულს კი გაახსენდა, რომ საძინებელში შუქის გამორთვა დაავიწყდა. „არა უშავს, – ბოლმიანად გაიფიქრა მან. – ერთი ღამე ასე იძინოს... იმედია, ციხეში დისკომფორტს მიეჩვეოდა...“ მაგრამ გულმა მაინც არ მოუთმინა, საკუთარი საძინებლის კარს ფეხაკრეფით მიუახლოვდა, კარი ფრთხილად შეაღო და ისე შეიხედა. მის საწოლს დაპატრონებულ ანდროს უმანკო ბავშვივით მშვიდად ეძინა. მეგი ოთახში ქურღულაღ შეიპარა და ის იყო, ხელი სინათლის გამოსართველისკენ წაიღო, რომ ანდროს ხმაც გაისმა:

– არ გამორთო!..

დამფრთხალ მეგის წამით ხელი ჰკერში გაუშეშდა.

– რატომ?... შენი არ ვიცი და მე მომჭირნეობას ბავშვობიდანვე მიმაჩვიეს. ბუიანჩემი, მაგალითად, ხშირ-ხშირად მახსენებდა, რომ...

– არ გეჩვენება, რომ ცოტა შორიდან დაიწყე? – გააწყვეტინა ანდრომ.

– რა დავიწყე?

– საკუთარი წარსულის გახსენება.

– მე ჩემს წარსულზე იშვიათად ვლაპარაკობ ვინმესთან, მით უმეტეს – ჩემს კლიენტებთან.

– სწორადაც იქცევი! – ბავშვივით შეაქო ანდრომ. – სამაგიეროდ, შენი კლიენტების წარსულით, ყოველთვის უნდა დაინტერესდე!..

– რა თქმა უნდა და როგორც წესი, ვინტერესდები კიდევც!..

– ჩემი წარსული არ გაინტერესებს?

– ვფიქრობ, რაც მაინტერესებდა, უშინოდაც კარგად გავიგე.

– ვითომ?

– ნუ... ყოველ შემთხვევაში, – საწოლის გვერდით, ტუმბოზე მდგარ მალვიძარას გადახედა მეგიმ. – ღამის 3 საათზე ვილაცის წარსულის ქექვას, მაინც ძილს ვამჯობინებდი...

– თუ ასეა, ღამე მშვიდობისა, – გააწყვეტინა ანდრომ. – მაგრამ იცოდე, რის თქმასაც ახლა ვაპირებდი, ჩემგან ველარასოდეს მოისმენ...

– კარგი! – გულხელი უკმაყოფილოდ დააკრიფა მეგიმ. – მაშინ ახლავე გისმენ!.. ბრძანე!

– ბრძანებამდე ბევრი მიკლია... მოდი აქ, დაჯექი და ისე მომიხმინე, – სკამზე

ანიშნა ქალს ანდრომ.

– აქედანაც კარგად მესმის ყველაფერი... – გააფიქტა მეგი.

– შენ დაიღლები, თორემ, მე რა?! – მხრები აიჩჩა ანდრომ. – საკმაოდ გრძელი ამბავი მაქვს მოსაყოლი... თანაც, იცი, როგორ ვერ ვიტან, როცა ვილაც თავზე მადგას?!.

გაწიწმამებული მეგი რამდენიმე ნაბიჯში ანდროს წინ გაჩნდა, სკამზე სწრაფად დაეშვა და ფეხი ფეხზეც გადაიღო:

– დამშვიდდი?

– ახლა – კი.

– მაშინ გისმენ!

– მე გისმენ!.. მკითხე, რაც გაინტერესებს და ყველაფერზე გიპასუხებ!

– მართლა?... – მაინც უნდოდ გადახედა მეგიმ.

– მართლა!

– მაშინ, შენი ბიზნესით დავიწყით.

მართალია, რომ...

– მართალია, – გააწყვეტინა ანდრომ. – ბიზნესი ნამდვილად შალვა ოშხერელის ბებიის დანატოვარი ფულით დავიწყე...

მაგრამ, ის ფულიცა და ათჯერ იმაზე მეტიც, შალვას მალევე დაუბრუნეთქა, გვერდიდან მაინც არ მომიშორებია და ჩემი წყალობით, დღემდე გვარიან ფულს აკეთებს... ასე რომ, ამ მხრივ სინდისი ნამდვილად სუფთა მაქვს, რასაც ოშხერელის სინდისზე ვერ ვიტყვი. მიუღი ამ ხნის მანძილზე, ჩემი მტრობის გარდა, არაფერი გაუკეთებია...

– და ეს ძალიან გიკვირს, ხომ? – თავადაც გაკვირებული სახე მიიღო მეგიმ. – შენ მოყვარედ მოეკიდებოდი იმ ადამიანს, ვინც შენი ახლობლების წყალობით ცხოვრება მოიწყო და შენ ლუკმა სამადლოდ გადმოგიგდო...

– ჯერ ერთი, ის „ლუკმა“ უკვე იმხელაა, რომ მეშინია, ერთხელაც შალიკოს ყელში არ გაეჩხიროს და არ დაახრჩოს. – შუბლი უკმაყოფილოდ შეიკრა ანდრომ. – მეორე და მთავარი: ჩვენ შორის განხეთქილება სულ სხვა რამის გამო მოხდა.

– რის გამო?

– ჩემი ანდერძის.

– ანდერძის?! – ყურები ცქციტა მეგიმ. – რომელი შენი ანდერძის? ამაზე მე ნამდვილად არაფერი მსმენია!..

– აკი, შენზე ყველაფერი ვიცო?! – დამცინავად ჰკითხა ანდრომ.

– თითქმის ყველაფერი-მეთქი!.. – ბავშვივით იმართლა თავი მეგიმ და შეძვევ ბოლმიანად დაუმატა: – ისე, შენისთანა გულქვა ადამიანის დაცვას ადვოკატმა ხელი ნამდვილად არ უნდა მოჰკიდოს!.. მე ამის გულისთვის უკვე თავ-პირს მამტკრევენ, ეს კი ანდერძებს ადგენს და

საგულდაგულოდ მალავს კიდევც...

– ჯერ ერთი, ის ანდერძი მე ახლაკი არაა, წლების წინ შევადგინე... – გალიზიანდა ანდრომ. – და მეორეც: მე მის შესახებ ადვოკატისთვის კი არა, საკუთარი ცოლისთვის არაფერი მითქვამს...

– რატომ?... – თვალები ეშმაკურად მოწკურა მეგიმ. – არც მას ენდობი?

– არა. – მშვიდად მიუგო ანდრომ.

– როგორ?... ცოლს არ ენდე და შალვა ოშხერელს ყველაფერი ჩაუკაკლე?!.

– არა... შალვამ ანდერძის არსებობის შესახებ რაღაც მანქანებით თვითონ შეიტყო და მონასტერიც მას შეძვევ აირია...

– კარგი... – გააწყვეტინა მეგიმ. – შალვას ჯერჯერობით მოეშვათ, რადგან მე შენი ანდერძი უფრო მაინტერესებს. ახლა მაინც მითხარი, შიგ რა წერია, რომ სანამ დროა, შენი საქმე ერთი ნაბიჯით მაინც წაწვიო წინ, თორემ როცა დაგიჭვრენ...

– მერედა, ვინ გითხრა, რომ დამიჭვრენ?! – გააწყვეტინა ანდრომ.

– აბა, მართლმსაჯულებას მთელი ცხოვრება ხომ ვერ დაემალები?

– მართლმსაჯულებას – არა, მაგრამ იმ ახვრებს, რომლებიც დღეს საკუთარ თავს მართლმსაჯულებს ეძახიან, ერთი-ორი წლით ნამდვილად გავერდილები. დარწმუნებული ვარ, მეტს ვერც ამათი დამპალი რეჟიმი გაძლებს... მერე კი, ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დადგება და მტყუან-მართალიც გაირკვევა...

– ასე მტკიცედ რატომ ხარ დარწმუნებული?

– არ ვიცი, – უცნაურად აიჩჩა მხრები ანდრომ. – ვარ და მორჩა!..

– მანამდე სად აპირებ დამალვას?

– ჯერ არ ვიცი.

– არ იცი თუ არ მენდობი?..

– შე-ენ?! – თვალი მუშტრის თვალით შეავლო ქალს ანდრომ. – შენ კი არა, ჩემს თავსაც აღარ ვენდობი... იმიტომ, რომ რაც შენ გავიცანი, „დავთრები“ სულ ამებნა...

– ისევ დაიწყე?! – სასწრაფოდ ხმა გაიმკაცრა მეგიმ.

– მართლა, მართლა!.. იცი, როგორი მერყევი გავხდი?... შეიძლება, ახლა გითხრა, ხვალ დილაადრიან, შენი სახლიდან უკვალოდ გაკქრები-მეთქი, მერე კი სულმა ისე წამძლიოს, რომ სადამოს ისევ აქ, შენს ლოგინში დაგხვდე...

– მორჩა! ლოგინის თემა ამოწურულა!.. – ხელის აწევით გააჩერა მეგიმ გალექსილი სტუმარი. – ახლა ის მითხარი, შენს ბიზნესს რაღას უპირებ?..



— რას უნდა ვუპირებდე?.. ზურგზე ხომ ვერ მოვიკიდებ და სადმე ისე წავიღებ?!

— აბა, შალვა ოშხერელს უტოვებ?

— რატომ ოშხერელს?..

— აბა, ვის?

— ვის და ჩემს შვილს... ანდერძში სწორედ ასე მაქვს ჩაწერილი...

— მართლა?!.. — სახე გაუნათდა მეგის.

— მაგრამ მიშიკო ხომ ჯერ არასრულწლოვანია?..

— მერე რა?.. მანამდე ჩემს ქონებას ჩემი შვილის დედა გაუძღვება. ესეც ანდერძში მაქვს შავით თეთრზე დაფიქსირებული...

— ჰმ!.. — დაფიქრდა მეგი.

— რა იყო?

— არა, არაფერი... — სასწრაფოდ გამოერკვა მეგი.

— გატყობ, ჩემს გადაწყვეტილებაში რაღაც არ მოგეწონა... — ჩაეძია ანდრო.

— არა, რას ამბობ?! — იუარა მეგიმ.

— მე რა უფლება მაქვს, რამე მომეწონოს ან არ მომეწონოს?! უბრალოდ, გამიკვირდა, ლანა შენი შვილის დედად რომ მოიხსენიე. არადა, ალბათ, იყო დრო, როცა ამ ქალზე სული გელეოდა...

— ნამდვილად ასე იყო, მაგრამ ვინ გითხრა, რომ ჩემი შვილის დედაში ლანას ვგულისხმობდი?

— აბა, ვის? — გულმა რეჩხი უყო მეგის.

— სულ სხვა ქალს... თუმცა, როცა ანდერძს ვწერდი, მისი ვინაობა ნამდვილად არ ვიცოდი და ამიტომაც არ დამიკონკრეტებია... — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა ანდრომ ქალს.

დამფრთხლდა მეგიმ ანდროს მზერას ვეღარ გაუძლო და თვალები დახარა:

— ახლა იცი? — ძლივსლა ამოიკნავლა მან.

— ვიცი. ის ქალი შენ ხარ!..

ამ სიტყვების გამოვნი მეგი თოფნაკრავივით წამოხტა ფეხზე, მაგრამ ანდრომ ხელში ხელის წავლება მოასწრო და მთელი ძალით დაქაჩა:

— სად გარბიხარ?! ან იქნებ, მითხრა, რომ ჩემი მიშიკოს დედა შენ არ ხარ?! — მკაცრად ჰკითხა მან. — იქნებ, 9 წლის წინ, მარიკა პერტაიამ სულ სხვა მეგი ლალიძე ამშობიარა და მაშინვე უსინდისოდ მოატყუა — შენი ბიჭი დაიღუპაო?!.

— შ-შენ... შენ ეს ამბავი საიდან იცი?! — სკამზე მოწყვეტით დაეშვა მეგი და თავიც მოკვეთილივით ჩამოუვარდა...

— მართო ეგ კი არა, იმ დღიდან მოყოლებული, რაც ეს ამბავი გავიგე, ყოველი შენი ნაბიჯიც ზეპირად ვიცი... — მშვიდად უპასუხა ანდრომ.

— როდის გაიგე?..

— კონკრეტულად რა?

— რომ მე... რომ მიშიკო მე გავაჩინე?..

— ჩემს დაჭვრამდე ცოტა ხნით ადრე.

— ვინ გითხრა?

— იმ ბებიაქალმა, ვინც შენს მშობიარობას დაესწრო.

— სტყუი! — ხმას აუწია მეგიმ. — იმ ქალმა ჩემი ვინაობა არ იცოდა, იმიტომ, რომ მარიკა პერტაიამ სამშობიაროში სხვისი გვარით დამაწვინა...

— მართალი ხარ, მაგრამ ის ქალი ერთხელ ქუჩაში შემთხვევით შეგხვდა, სახლამდე მოგდია და შენი ენაჭარტალა მეზობლების წყალობით, ყველაფერი უცბად დაადგინა.

— და ამბავი მაშინვე შენ მოგიბრუნინა, ხომ?

— რა თქმა უნდა!.. ჩემგან ხომ დიდი ფული და იმის პირობაც მიიღო, რომ ოდესმე მე შენ სიმართლეს გეტყვოდი...

— ჰმ!.. — დაფიქრდა მეგი. — როგორც ჩანს, სინდისს მართო მარიკა პერტაია არ შეუწუხებია.

— მარიკა პერტაიასი რა გითხრა და ის დედაბერი კი გულდათოთქული ირწმუნებოდა — იმ გოგოს კივილი — „ჩემი ბიჭი მომიყვანეთ!“, დღემდე ყურში ჩამესმის და მეშინია, მარიკასავით მეც ჯოჯოხეთში არ მოვხვდეო...

— ვინ ჯოჯოხეთში უნდა მოხვდეს და ვინ — სამოთხეში, ამას მხოლოდ ღმერთი წყვეტს! — უცნაურად დაღლილი და ყრუ ხმით ჩაილაპარაკა უცბად მეგიმ. — თუმცა, მარიკას ბედი სანახევროდ უკვე გადაწყვეტილია და საწყაალს ხვალ მიწასაც მიაბარებენ...

— საწყალო?! — გაკვირვება ვერ დაფარა ანდრომ. — არ მითხრა ახლა, დაკრძალვებზეც მივდივარო!..

— რა თქმა უნდა... — ამოიხარა მეგიმ. — ჯერ ერთი, მართლა მეტრალეა... თანაც, მარიკას რომ არ მოენდომებინა, ვერც შენ და ვერც მე, სიმართლეს ვერასოდეს გავიგებდით...

— არ მესმის, მარიკა რა შუაშია?

— შუაში კი არა, თავშია: იცი, რომ ის ბებიაქალი მარიკამ მოვიგზავნა?

— მარიკამ?! — თვალები გაუფართოვდა ანდროს. — დაევიჯერო, ლანა მართლა იმ დონეზე სძულდა, რომ ასეთი რამ გაუკეთა?

— ცხადია, არც უმაგისობა იყო. თუმცა მარიკამ ეს საიღუმლო ლანას გასამეტებლად კი არა, პირველ რიგში, საკუთარი შვილისთვის გააკეთა.

— ვისთვის?.. კახასთვის?.. — აგდებულად იკითხა ანდრომ. — ნეტავ, იმ უღლეურს რაღა კავშირი აქვს მთელ ამ ამბავთან?

— პირდაპირი... საქმე ისაა, რომ მე და კახა...

— მოიცა, მოიცა!.. — უცბად, თვალები გაუფართოვდა ანდროს. — არ მითხრა ახლა, რომ კახა და შენ... რომ ჩემი მიშიკო...

— ჰო-ო!.. — ისე ამოიხარა მეგიმ, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო. — ასეა... მიშიკოს ნამდვილი მამა კახა სუთიძეა...

— არა, არა!.. — ხელი ისე აიქნია ანდრომ, თითქოს რაღაც ძალიან უსიამო და აბეზარი ფიქრის გაფანტვას ცდილობსო. — ეს წარმოუდგენელია!.. არა, შეუძლებელია!..

— ზუსტად იმდენად წარმოუდგენელი და შეუძლებელი, როგორც ის, რომ შენი შვილის ნამდვილი დედა მე ვარ... — თავი კვლავ უმწეოდ ჩაქინდრა მეგიმ.

ამის შემდეგ ოთახში კარგა ხნით სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც ბოლოს ისევ მეგიმ დაარღვია:

— კარგი... — ფეხზე წამოიმართა იგი და ლოგინში ქანდაკებასავით უძრავად მწოლიარე ანდროს თვალი დამნაშავესავით შეავლო. — ვფიქრობ, ახლა ორივესთვის მართო ყოფნა აჯობებს. დანარჩენზე, ხვალ ვილაპარაკოთ...

ქანცგაწყვეტილ მეგის მხოლოდ გამოთენისას ჩაეძინა, მაგრამ მალე შემოსასვლელ კარზე მუშტების გამეტებულმა ბრაგუნმა ფეხზე დაფეთებული წამოაგდო. შიშით გამტკნარებულმა მეგიმ სავარძელში მიგდებული ხალათი ხელის კანკალით შემოიცვა, ჰოლში გავარდა და კარს მიაყურა. ბრაგუნი გამეორდა.

— ვინ არის? — შიშით იკითხა მან.

– მეგი, მე ვარ! დალი ვარ!.. – გაისმა კარს იქით.

დალის ხმის გაგონებაზე მეგი ისე დაიბნა, რომ რამდენჯერმე უსაგნოდ გაირამოიარა ჰოლში.

– მეგი, დაფრუვი თუ რა არის?! დალი ვარ-მეთქი, დალი! – კვლავ გაისმა დალის მკვიანა ხმა.

– ახლავე, ჰო! რა ქვეყანა შეყარე?! – როგორც იქნა, გონს მოეგო მეგი, საძინებლის კარს ეცა, გარედან გადაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიღო და შემოსასვლელი კარი მხოლოდ ამის შემდეგ გააღო.

ზღურბლზე უცნაურად თმაგაწეწილი და თვალბამოღამებული დალი ხაჩიძე გამოჩნდა, რომელიც მაშინვე უცერემონიოდ შემოვარდა და მთელი ძალით მიაჯახუნა კარი.

– რა გჭირს, გოგო? – აყვირდა ის. – ასეთი რა ძილქუმი დაგაწვა?! ლამის კარი ჩამოვიდე!..

– ლამის კი, არა, ჩამოვიდე და ეგ არის! – იქით შეუტია დაუბატიყუებელ სტუმარს მეგი. – თავად რა გჭირს ან რას ჰგავხარ?! შინიდან გამოსვლამდე თმა მაინც ვერ დაივარცხნე?

– თმაო?! – ახლა სასტუმრო ოთახშიც უცერემონიოდ შეიჭრა დალი და თავის საყვარელ სავარძელში მოცული ილივით ჩაეშვა. – რომელი თმა, გოგო?! იცი, დლიდან ჩემს სახლში რა ხდებოდა?!.

– მე აბა, საიდან უნდა ვიცოდე?! – თავი შორს დაიჭირა მეგი.

– რა და ინათა თუ არა, კარზე სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი „ძაღლები“ მომადგნენ, ჯერ ცხვირწინ რალაც ფურცლები ამიფრიალეს, შემდეგ სახლშიც შემომიცივიდნენ და ყველაფერი თავდაყირა დამიყენეს. კიდევ კარგი, ბავშვი მაინც მყავს დედაჩემთან, სოფელში გაგზავნილი, თორემ, ხომ გადაამირევდნენ!..

– რა ვითხრეს, რას ვეძებო?

– რას კი არა – ვის!.. ანდროს ეძებდნენ... ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებულმა სვანიძემ წუხანდელი ღამე სწორედ ამ ბინაში გაათია და თუ არ გამოვკინენ, რაც მოგივა, ყვე-

ლაფერი საკუთარ თავს დააბრალო, – გამომიცხადეს.

– მერე, გამოუჩინე?.. – კვლავ აუღელვებლად ჰკითხა მეგი.

– გოგო, შენც ჩემი ნერვების გამძლეობას ხომ არ ამოწმებ?! – უცბად თვალები უცნაურად გადმოკარკლა დალი. – რაც არ მინახავს, რა უნდა გამოიმეჩინა?!

– რა კი არა – ვინ, – მშვიდად გაუსწორა მეგი. – რამდენადაც ვიცი, ანდრო სვანიძე ჯერ უსულო საგნებში არ ჩაურიცხავთ...

– ჰო! მიღი-მიღი, იხუმრე!.. – თვალზე სიმწრის ცრემლი მოადგა დალის. – კარგი იქნება, ახლა შენ მოვადგენ და გულიც ჩემსავით გაგიხეთქონ?!

– შენ რომ გამიხეთქე, გულის გახეთქვა ისეთი უნდა!.. – მაინც, არ დაინდო მეგი დალი. – დილაადრიან რომ არ დამსხმდი თავს, ჯერ ვერ დამირეკე?

– ვერ დამირეკეო?! – შეიცხადა დალი. – რეკვით კი არ გავსკდი?.. მაგრამ რა ხეირი?!.. ქალაქის ტელეფონიც გათიშული გქონდა და მობილურიც...

– აჰ! – შუბლზე ხელი დანანებით იტყიცა მეგი. – მართალია! სულ დამავიწყდა!.. წუხელ, შენ რომ გელაპარაკე, ვიფიქრე – ახლა ანიმ და ლიკამაც არ ამიკლონ რეკვით, თორემ, ძილი აღარ მიწერია-მეთქი, – და ორივე ტელეფონი გათიშე... ახლავე ორივეს ჩავრთავ!.. – ოთახიდან გასვლა დააპირა მეგი.

– ახლა გინდ ჩართე და გინდ – არა! – ხელი უმწეოდ ჩაიქნია დალი. – ჩემთვის რალა მნიშვნელობა აქვს?! მართლა, შენ როგორ ფიქრობ – კიდევ მომადგებიან?

– არა მგონია... – ამოიოხრა მეგი. – თუმცა, მაგათგან ყველაფერია მოსალოდნელი... ნეტავ, ანდროსთან თუ იყვნენ სახლში?

– კი, ყოფილან. მაგრამ იქ ხომ ლანას მღამურები ჰყავს დაყენებული და ისინი დაუწყოკებით.

– მართლა?! – შეცბა მეგი. – ეგ ამბავი საიდანლა იცი?

– იმ ტიპებმა თვითონვე მითხრეს... იქიდან ლანას მშობლებთან შეცვივნულან, მაგრამ ანდრო ვერც იქ აღმოუჩინათ... ისე, საინტერესოა, მართლა, სად გაქრა?!.. ის ტიპები მარწმუნებდნენ – სვანიძეს ჭრილობა გახსნილი აქვს და ქალაქიდან გაქცევას ვერ შეძლებდაო...

– შეძლებდა თუ ვერა, ეგ ახლა თავად არკვიონ!

– მე კი გული გამიხეთქეს და ახლა რაც უნდათ, ის არკვიონ... – ამოიოხრა დალი.

– ისე მართალი ვითხრა, არ მესმის,

საერთოდ რატომ გაუღე კარი?! – ისევე ცეცხლზე ნავთი დაუსხა მეგი.

– რატომ და... – მოულოდნელად, თავი დამნაშავესავით დახარა დალი.

– ჰო, ჰო... რატომ? – ჩაეძია მეგი.

– იმიტომ, რომ ანდრო მეგონა... – როგორც იქნა, აღიარა დალი და დამნაშავესავით შეხედა მეგის. – ვიფიქრე, თავი ვერსად შეაფარა და მე მომადგამეთქი... რა?.. შენი საყვარელი ადამიანი რომ ჩავარდნილიყო ასეთ დღეში, კარს არ გაუღებდი?

– საქმე ისაა, რომ საყვარელი ადამიანი არ მყავს და ამიტომაც, არც კარის გაღება დამჭირებოდა...

– აუ, არა, რა! დღეს შენთან ლაპარაკი საერთოდ არ შეიძლება! – ფეხზე წამოხტა გაგულისებული დალი და უცბად ტახტზე გაშლილი ლოგინი შენიშნა:

– შენ რა, წუხელ აქ გეძინა?

– ჰო... რა იყო? – არაფერი შეიმჩნია მეგი. – უფლება არა მაქვს თუ რა?..

– რა თქმა უნდა, გაქვს... – დაფიქრდა დალი. – ადამიანს თავის სახლში ყველაფრის გაკეთების უფლება აქვს, მაგრამ...

– რა მაგრამ? – ჩაეძია მეგი.

– არა, არაფერი... – ხელი ჩაიქნია დალი, ჰოლში სწრაფად გავიდა და სანამ შემოსასვლელ კარს გამოაღებდა, აღმაცერად შეავლო თვალი მეგის საძინებლის მჭიდროდ გამოხურულ კარს, თუმცა, თქმით აღარაფერი უთქვამს...

როგორც კი სადარბაზოს კიბეზე დალის ფეხის ხმა მიწყდა, მეგი თავისი საძინებლის კარს გასაღები მოარგო, სწრაფად გადაატრიალა და კარი ოდნავ შეაღო. მაგრამ ბოლო წუთს, მაინც გადაიფიქრა შესვლა და კარზე ფრთხილად დააკაკუნა. ოთახიდან ჩამიჩუმდი არ ისმოდა. მეგი ერთხელ კიდევ დააკაკუნა და შემდეგ კარი მორიდებით შეაღო: ცარიელ საწოლზე, რომელიც წასვლის წინ ანდროს ფაქიზად გაესწორებინა, ოთხად მოკეცილი ფურცელი იღო. საქციელწამხდარმა მეგიმ ჯერ უმწეოდ მიმოიხედა ირგვლივ, შემდეგ საწოლს მივარდა, ფურცელი სწრაფად გაშალა და გაკარული ხელით ნაწერ, ნერვიულად „მოხტუნავე“ სტრიქონებს თვალით გადაურბინა: „შენმა აღიარებამ – წერდა ანდრო, – ბოლო საყრდენი გამომაცალა... უსაყრდენო კაცი კი, უშვილო ქალზე უბედურია... ალბათ, ძალიან გინდა, რომ მიშიკოც კაცად გაიზარდოს... ამიტომ, თუ მისთვის სიმართლის თქმას გადაწყვეტ, ჩემსავით ბოლომდე მაინც ნუ გაიმეტებ!...“

გაგრძელება იქნება

სარეკლამო სკოლა
ს ს ს
მოამზადებს აბიტურიენტებს და მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებელი ტესტებისათვის
ქართული, მათემატიკა, უცხო ენა, ზოგადი უნარ-ჩვევები.
ტელ: 22 69 15
www.sts.caucasus.net

სკარლეტ იოჰანსონი — მოკრძალებული გოგონაა. ის მიიჩნევს ვარსკვლავის სტატუსს. ბევრი ფიქრობს, რომ ის მხოლოდ ახლა გახდა ვარსკვლავი, მაგრამ ეს ასე არ არის. ბევრმა არ იცის, რომ 20 წლის სკარლეთი უკვე 12 წელია, ხელოვნების სამყაროში ტრიალებს: ჯერ კიდევ 8 წლისა, ბროდვეის დადგმაში ეტან ჰოუკთან ერთად გამოჩნდა სცენაზე. ეს ამბავი ახლა თითქმის აღარავის ახსოვს. სამაგიეროდ შემდეგ, როცა ის პოლიფუნდის ფილმებში გადაიღეს, სკარლეტის დიდოვანება და სქელტურებიანი სახე უზრუნველყოფდა ამშვენებდა.



„ბროდვეიზე დაბადებულ“ სკარლეტ იოჰანსონს მონივრულ მამაყაყებთან ურთიერთობა იმიდავს

სკარლეთი არასრულყოფილი გარეგნობით გამოირჩევა: დიდი ლოყები აქვს, დაბალია (160 სმ-ზე ოდნავ მეტი სიმაღლის); თუმცა, ეს მსახიობი ქალისთვის კარგია — მის გვერდით ტომ კრუზიც კი გიგანტად გამოჩნდება), მსხვილი ნაკეთები და გამოწეული ქვედა ყბა აქვს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მისი სახის ცქერა არ მოგუბზრდებათ, რადგან თავისებურ ჰარმონიასთან შეხების შეგრძნებას იწვევს. არც ერთი სხვა პოლიფუნდელი თუნდაც მეგავარსკვლავის თვალები ასე ჭარბად არ აფრქვევს ბედნიერების ნაპერწკლებს. ამის მიზეზი მარტივია: რეჟისორები დიდი ხანია ამბობენ, რომ სკარლეთი თავისი ასაკისთვის შეუფერებლად ჭკვიანია, უფრო მეტიც — სიბრძნითაც კი გამოირჩევა. ამიტომაც შეუძლია ცხოვრებით ტკბობაც და საწუხარის დაფიწყებაც. საწუხარი კი მას მრავლად ჰქონდა: სკარლეტის მშობლები მაშინ გაიყარნენ, როცა ის ჯერ კიდევ სულ პატარა იყო. თანაც, ქვეყნის სხვადასხვა კიდეზე დასახლდნენ. პოდა, მიდი-მიდიოდა სკარლეთი დედის ნიუ-იორკსა (ის ახლაც ნიუ-იორკელ გოგონად მიიჩნევს თავს) მამის ლოს-ანჯელესს შორის, სანამ, ამით საიმოვნების მიღება არ ისწავლა. „მოთელი ცხოვრება მოძრაობაში ვარ“ — სკარლეტს ჩახლენილი ხმა აქვს, არაბუნებრივად ჩახლენილი. შოუბიზნის საქმოსნებს კი უხარიათ, მაგრამ სკარლეტს ეშინია: იცის, რომ მის სექსუალურ კონტრალტოს შეიძლება იმაზე უარესი ჩავარდნა მოჰყვეს, ვიდრე გარდატეხის ასაკში მყოფ ბიჭებს მოსდით. „ერთხელ კასტინგის ღირეჭტორმა ხმის ტემბრი შემოიქო. მე კი

აუნერვიული და პასუხად დამხრჩვალ გოჭვივით წავიჭვივტინე: „გმაღლობი!“ — ინსენებს იოჰანსონი.

რეჟისორი სოფია კოპოლა ამბობს, რომ სკარლეთი სწორედ მისი „წარმოუდგენლად მშვიდი, გამოცდილი, 30 წლის ქალის ბრძნული მზერის გამო“ აირჩია როლისთვის თავის ფილმში — „თარგმანის სიძნელე“. ახალგაზრდებს შორის ასეთს მეორეს ვერ შეხვდები. სკარლეტს რომ უყურებ, გეგონება ის ყოველთვის ოცდაათისა იყო. გოგონა სულ რაღაც 13 წლის იყო, როცა სურათში — „ცხენების მომთვინიერებელი“ გადაიღეს. სახელგანთქმულმა პარტნიორმა რობერტ რედფორდმა სწორედ ეს თქვა: „აქ რაღაც საიდუმლო იმალება — ამ ბავშვმა უკვე 30-ს მიუკაკუნა“...

ბილი ბობ ტორნტონი, რომელიც სკარლეტთან ერთად მონაწილეობდა ძმები კოენების ფილმში — „ადამიანი, რომელიც იქ არ ყოფილა“, 15 წლის მსახიობმა გააოცა: „გარწმუნებთ — ისეთი შეგრძნება მქონდა, ჩემ გვერდით ქალი იყო — ნამდვილი ქალი და არა ცინგლიანი გოგონა. მე და ძმებ კოენებს მისი გვეშინოდა, უფრო ზუსტად, მისი კი არა, იმ შეუსაბამობისა მის ბავშვურ გარეგნობასა და ფილოსოფიის პროფესორის ინტელიგენტურობას შორის რომ არსებობდა!“

სკარლეტს ასაკით მასზე უფროსი მამაკაცები, მათთან მუშაობა მოსწონს. „მათ ჩემი უკეთესად ესმით“, — ამბობს იგი და თავის გამჭვირვალე, უძირო თვალებს ნაბავს. მისი „მეწყვილე“ ახალ

ფილმში „გოგონა მარგალიტის საყურით“ — კოლინ ფორტი ყველაფერზე თანახმაა: „მსურს, მასთან ერთად ჩახუტებულმა ვიარო, — აღიარებს ის, — მსურს, ხშირად ვხვდებოდე. მასში საოცრად შერწყმული სინორჩე, გონიერებასა და სამყაროს სწორად აღქმასთან. არასდროს მომწონდა პატარა სულელი გოგონები, მაგრამ სკარლეთი გამონაკლისია. ის ერთ „ეგზემპლარად“ შექმნილი სასწაულია“.

ფორტი ცდება: სკარლეთი არ არის ერთადერთი — მას ტყუპისცალი ძმა ჰყავს. „საერთოდ, ის უმცროსია — ჩახლენილი ხმით ამბობს იოჰანსონი — მე მას 3 წუთით დავასწარი... კიდევ ერთი — უფროსი ძმაც ჰყავს. ერთხელ მან სკარლეტს გზაზე გააღურბინა. იმ დღეს, დედამ შეიღები სარეკლამო სააგენტოში მცირეწლოვან მსახიობთა შერჩევაზე წაიყვანა. სურდა, თავისი სიმპათიური ბალებით ხელი მიეთბო. უფროსი აიყვანეს, 7 წლის სკარლეთი კი, ტანის დასაყენებლად, ფიტნეს-კლუბში გაგზავნეს. ასე შეხვდა მომავალი ვარსკვლავი პირველად, სხვების სასარგებლოდ საკუთარი თავის სრულყოფის აუცილებლობას და ამ საქმეში შესაშური ნებისყოფა გამოავლინა. დედამისი საკუთარ თავს ხშირად ეკითხებოდა კიდევ — ხომ არ გადაამეტა ქალიშვილში ამბიციურობის გაღვივებას? სკარლეთი თითქმის ყოველკვირა, კასტინგზე წაყვანას სთხოვდა. დაბოლოს, ფილმში — „ნორტი“ ამოყო თავი. „მე ვიცო, რა არის ჩემი საიდუმლო, — ამბობს სკარლეთ იოჰანსონი, — ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში, სწორედ პირველ კასტინგებზე უმაღლეს ვხვდებოდი, მექნებოდა თუ არა რაიმე კავშირი ამა თუ იმ ადამიანთან. ეს რაღაც საშუალოა გულთმისნობასა და ფიზიონომისტიკას შორის. ვუყურებ და უკვე ყვე-



ბილ მიურეისთან ერთად (კადრი ფილმიდან „თარგმანის სიძნელე“)

ლაფერი ვიცი ამ კაცსა თუ ქალზე: ერთი, პეპელასავით სათუთია, თუმცა გარეგნულად, თავისუფლების ქანდაკებასავით უდრეკია; მეორე აგრესიულია, მაგრამ არასოდეს ავლენს ამას და ამიტომ, მისი თვალები მოზღვაკებული ადრენალინისაგან გაუმჭვირვალეა; მესამე – ლაქლაქა და კომპანიის სული და გულია, – მე კი ვხედავ, თუ როგორ იტანჯება იმის გამო, რომ განმარტობისთვის დრო არ რჩება...


ამ ცოდნას მოხერხებულად ვიყენებ, ადამიანებთან ურთიერთობა მიიღობება, განსაკუთრებით – მათთან, ვინც რაღაცას მალავს“. ძმები კონენები მართლები არიან – მისი უნდა გეშინოდეს.

ცოტა ხნის წინ, Calvin Klein-ის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ 20 წლის სკარლეთ იოჰანსონი კომპანიის სახელ მოგვევლინება ახალი არომატის წარმოდგენისას, რომლის სახელიც ჯერ არ არის ცნობილი. მას აღნიშნული არომატის სატელევიზიო და ბეჭდვითი რეკლამისთვის გადაიღებენ. ფოტოგრაფია ლეგენდარულ ფოტოგრაფს – პიტერ ლინდბერგს აქვს დაკისრებული. „სკარლეთი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობია, თანაც – დახვეწილი და თავდაჯერებული, რასაც დღეს ხშირად როდი შეხვდები – ამბობს Calvin Klein-ის ვიცე-პრეზიდენტი კიმ ვერნონი, – და ეს ყველაფერი მასში სიმშვიდესა და იუმორის გრძობას ერწყმის“. ეს შეფასება მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ფირმის სარეკლამო კამპანიებში მონაწილეობდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: ქეით მოსი, ბრუკ შილდსი, კრისტი ტარლინგტონი, ამბერ ვალეტა და სხვები.



მელ გიბსონი მაწანწალას უჩივის

მელ გიბსონს რამდენიმე დღის მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა მაწანწალა, რომელიც სთხოვდა კინოვარსკვლავს, ერთად ელოცათ. გიბსონის თქმით, 34 წლის ზეკ სინკლერმა მას პირველად, აგვისტოში მიმართა. 2 დღის განმავლობაში ის მიდიოდა მსახიობის სახლთან ახლოს, მაიამიში და სთხოვდა, ერთად ელოცათ. პარალელურად, მაწანწალა წერილებს სწერდა გიბსონს, რომლებშიც იმავეს უკვე კატეგორიულად მოითხოვდა. მსახიობის სახლთან პირველი გალოჩენიდან რამდენიმე დღეში, სინკლერი მივიდა ადგილობრივ ეკლესიაში მაშინ, როცა იქ გიბსონი იმყოფებოდა, და კვლავ დაჟინებით სთხოვდა მას, ერთად ელოცათ... ბოლოს და ბოლოს, მსახიობსა და მის ცოლს მოთმინების ფიალა აევისთ და პოლიცია გამოიძახეს. მაწანწალას საზოგადოებრივი წესრიგისა და კერძო საკუთრების ტერიტორიაზე უნებართვოდ შესვლის ბრალდება წაუყენეს და ახლა სასამართლოს წინაშე წარდება.



ჯეკი ჩანი ჰტოლიუდის აქტივიზმს



სინგაპურის გაზეთისთვის – Strait Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ბოვეიკების სახელგანთქმულმა გმირმა ჯეკი ჩანმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ აზიელ მსახიობებს ამერიკული კინო მხოლოდ აღმოსავლური ორთაბრძოლების გადასაღებად იყენებს. „ყველა ფილმში ერთსა და იმავეს ვხედავთ: ჰონკონგელი პოლიციელი, ჩინელი პოლიციელი... ჯეტ ლი, ჯოუ იუნ ფატი და მე – ყველანი ერთსა და იმავე პრობლემას ვაწყდებით: ჩვენი რეპერტუარი ძალზე შეზღუდულია. კი, ბატონო, პირადად მე, ამ საქმეში ნამდვილ ჯადოქრად მივლიან, მაგრამ ეს სულაც არ მგვირის ბედნიერებას“, – დასძინა ჯეკი ჩანმა.

დი კაპრით კვლავ მატფი დაძრია

უკვე რამდენიმე დღეა, პაპარაცები ირწმუნებიან, რომ ლეონარდო დი კაპრიო მისმა გელფრენდმა მიატოვა. ამის მიზეზი, აღნიშნავენ მასმედიის წარმომადგენლები, ის გახლავთ, რომ ლეომ უარი თქვა ჟიზელ ბიუნდსენის ცოლად შერთვაზე. ბრიტანული გაზეთი – „სან“ მკითხველებს ალტერნატიულ ვერსიას სთავაზობს. როგორც მისმა ინკოგნიტო წყარომ აღნიშნა, გაყრამდე ცოტა ხნით ადრე, ჟიზელი და ლეო ბრაზილიის ტროპიკულ ტყეში სამოგზაუროდ იყვნენ წასული. იქ ერთ-ერთ ინდიელთა რეზერვაციას სწვევიან, რათა ინდიელი ჯადოქრის, ვინმე პაიასთვის ეთხოვთ, რაღაც სექსუალური პრობლემები მოეხსნა მათთვის. უშველა თუ არა წყვილს მისნის მკურნალობამ, უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ ლეო და ჟიზელი ერთად აღარ არიან. ათიოდე დღის წინ, ჟიზელი დი კაპრიოს ლოს-ანჯელესური სახლიდან, სადაც ბოლო 4 წელი ცხოვრობდა, ნიუ-იორკში გადაბარდა. მოდელის მეგობრების თქმით, ის უკვე სხვა პოპულარულ მსახიობს – ჯომ ჰარტ-ნეტს ხვდება, რომელმაც ლეოსთან განშორების სიმწარე შეუმსუბუქა. საინტერესოა, რომ ბიუნდსენმა დი კაპრიოს დაუტოვა თავისი 3 ძალი, რომლებსაც ლეო თურმე, ძალზე შესჩვევია...



რტორიანი შერქლომის მტოტინში...

35 წლის რენე ზელვეგერმა განაცხადა, რომ „ბრიჯიტ ჯონსის დღეების“ მეორე სერიის ეკრანებზე გამოვლის შემდეგ (რაც ნოემბრისთვისაა დაგეგმილი), ერთწლიანი შვებულების აღებას აპირებს. მსახიობის თქმით, ის შხადა, უარი თქვას მრავალმილიონიან ჰონორარზე, ოღონდაც ნორმალური ადამიანისთვის ჩვეული ცხოვრების საშუალება მიეცეს. „მოლიანად სამუშაოში ვეულობი და ამის გამო, ბევრ რამეზე უარის



თქმა მიხდება, მაგალითად – ჩვეულებრივ მუკობრობაზე, რომელიც არ არის დამხმბუელი რაღაც პირობითობით. ხომ უნდა გქონდეს ადამიანს იმის საშუალებას, უბრალოდ, ყავა მიირთვა ახლობელთან ერთად?... ვფიქრობ, დროა, გაეჩრდეს და მიმოიხელოს. ამიტომაც, უახლოეს ერთ წელიწადში ადარაფერს ვეკმავ“, – დასძინა კინოვარსკვლავმა.

მილი მტმს სქსნია შიქსპირი ატ მტსწინს

49 წლის მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი ბილი ბობ ტორენტონი მოულოდნელად, უდიდამ შექსპირის სასტიკი კრიტიკით გამოვიდა და მის პიესებს სრული სისულელე უწოდა. ბრიტანული ტაბლოიდის – The Sun-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მან თქვა: „ვფიქრობ, დრამატურგს მეტისმეტად აღმატებულად აფასებენ. რაც კი დაუწერია, ყველაფერი სრული სისულელეა. არასდროს დავსწრებივარ შექსპირის პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებს. რა არის სანახაუი ვიქვათ, „ჰამლეტში“?... ვის აღეღვებს ის, რაც ამ ნაწარმოებშია გადმოცემული?... ისიც კი არ მესმის, თუ რატომ თამაშობენ მსახიობები მსგავს პერსონაჟებს. მთელი შექსპირი – „სანის ოპერების“ გროვია და მეტი არაფერი. არ იფიქროთ, ამას იმიტომ ვამბობ, რომ რაიმე ვერ გამოვიყ. უბრალოდ, ზოგი ფიქრობს – რაკი ინგლისური აქცენტით ვლაპარაკობ, ე.ი. სხვაზე ჭკვიანი ვარო. მე კი სრულებით არ მესმის ეს „მოჩუქურთმებული“ ენა...“

Nissan-მა ჰახიზსაც დააჩნია ხვადი



საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ ყოველწლიურ ავტოლათვალიერებაზე ერთ-ერთ მთავარ პრემიერად,

იაპონური კომპანიის ახალი ყველგანმავალი – Nissan Pathfinder – მიიჩნის. ამ მანქანის დიზაინი ბევრი რამით მოგაგონებთ კონცეპტუალურ მოდელს – Nissan Dunehawk-ს, რომელიც შარშანდელ ფრანკფურტის ავტოსალონზე იყო წარმოდგენილი. ახალი მოდელის სალონში სავარძლები 3 რიგადაა განთავსებული და მძლოლთან ერთად 6 მგზავრი თავსდება.

Pathfinder აღჭურვილია ტურბოდიზელის 4-ცილინდრიანი ძრავით, რომლის საშუალო მოცულობა 2,5 ლ-ს, ხოლო სიმძლავრე 170 ცხ.პ-ს შეადგენს. სრული ამძრავის სისტემა Pathfinder-ისთვის, მასზე უფრო მცირეგაბარიტთან ყველგანმავალს – X-Trail-ს დაესესხნენ, მაგრამ მას დამატებული აქვს 4 ელექტრონული პროგრამა, რომელიც მძლოლს ტრასის ხარისხისთვის შესაფერისი მოძრაობის რეჟიმის არჩევის საშუალებას მისცემს. მანქანა აღჭურვილია აგრეთვე, უკანა ხედვის ტელეკამერით, სანავიგაციო სისტემით, უახლესი, ბიქსენონის მაშუქებითა და კლიმატ-კონტროლის სისტემით.

ბოლოს დავძენთ, რომ Pathfinder-ს „ნისანის“ ესპანური ფილიალის ქარხანაში გამოუშვებენ.

ათცილინდრიანი Ford

კორპორაცია „ფორდმა“ აშშ-ში თავისი ექსპერიმენტული მოდელი – Shelby GR-1 წარმოადგინა. ეს უკვე მეორე პროექტი გახლავთ, რომელიც საავტომობილო გიგანტმა ფორმა „შელბისთან“ ერთად განახორციელა. პირველი კონცეპტუალური მანქანა – Shelby Cobra გახლდათ, რომელიც წლევეანდელ დეტროიტის ავტოსალონზე იყო ნაჩვენები.

ორადგილიანი სპორტული მოდელის GR-1-ის ბაზად, Ford GT-ის პლატფორმა გამოიყენეს. მანქანის დიზაინი დინამიკური და ენერგიული გამოვიდა. ავტომობილს ასეთი პარამეტრები აქვს: სიგრძე – 4,413 მ, სიგანე – 1,834 მ, სიმაღლე – 1,168 მ; მისი საბორბლე ბაზა 2,540 მ-ს შეადგენს. მანქანა აღჭურვილია „ფორდის“ კონსტრუქტორების მიერ დამზადებული 10-ცილინდრიანი ძრავით, რომლის საშუალო მოცულობა 6,4 ლ-ს, სიმძლავრე კი – 605 ცხ.პ-ს აღწევს. ანალოგიური აგრეგატიითაა აღჭურვილი Shelby Cobra-ც. არსებითად ის GT-ის სერიის 8-ცილინდრიანი ძრავების მოდიფიკაციას წარმოადგენს. Shelby GR-1 სრულამძრავიანია და 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი აქვს. ჩაუშვებენ თუ არა ამ მოდელს სერიულ წარმოებაში, ჯერჯერობით, უცნობია. შესაძლოა, ის, Shelby Cobra-ს მსგავსად, მხოლოდ ინდივიდუალური შეკვეთებით დამზადდეს. თუმცა, სპეციალისტთა თქმით, ნებისმიერ შემთხვევაში, GR-1-ისთვის შემუშავებულ ბევრ ტექნიკურ სიანღეს კორპორაცია სხვადასხვა სერიულ მოდელში გამოიყენებს.





ნინამდებარე წერილი
იხ. „გზა“ №40

მაიამი-ზიზის სასტუმროში – «სვანჭკარისა» და სევისგური გოგონა ქიუზაუი...

აკაკი გეგენავა

ერთ კვირა დღეს მე და ჩემი 7 წლის გოგონა პარკში ვსეირნობდით. ჩვენი ყურადღება პატარა გოგო-ბიჭების კინკლაობამ მიიპყრო, რომელიც სულ მალე, ლამის ჩხუბში გადაიხარდა. თუმცა, რაღა ლამის – ერთმანეთს ჯერ ქვიშას აყრიდნენ, მერე კიდეც, მამიკოებით აშინებდნენ.

– მე ისეთი მამა მყავს, ისეთი რენტგენის აპარატი აქვს, ერთი რომ დაგასხვივოს, ფეხზე ვეღარ დადგები! – დაემუქრა გაწიწმატებული გოგონა წითურთმიან აბეზარ ბიჭს.

– კაი, რა, მაგით მაშინებ?.. მამას ისეთი მაგარი „ტოიოტა“ ჰყავს, „გაზს“ რომ დავაჭერთ ფეხს და გავაქროლებთ, ვერაინ დაგვეწევა! – უღარდელად ჩაიცინა ბიჭმა.

– მე კიდეც, რეზიკოს მამიკოს ვეტყვი და ის დაგიჭერს! პატრულია და ისეთი მანქანით დაქრის, შენს „ტოიოტას“ ჯიბეში ჩაისვამს! – მთელი სერიოზულობით დაემუქრა გოგონა. ბიჭს პატრულის მანქანის ხსენება მაინცდამაინც არ ესიამოვნა, მაგრამ ისტიბარი არ გაიტენა. თუმცა, ვეღარც პასუხის გაცემა მოახერხა...

გაოგნებული ვუყურებდი პატარების სერიოზულ დიალოგს და ვერ გადამეწყვიტა, ჩაურულოყავი თუ არა. გაურკვეველი სიტუაციიდან ჩემმა გოგონამ გამო-

მიყვანა, სახელოზე მთელი ძალით ჩამოქაჩა და კარუსელებისკენ წავიდეთო, მითხრა.

– რა დროს კარუსელია? ვერ ხედავ, როგორ ჩხუბობენ?!

– დიდი ამბავი, შენ ეგ ჩხუბი გგონია?

– აბა, რა არის?

– რა ვიცი მე, რა არის! ისე, ჩვენს ეზოშიც არიან ეგეთი ტრაბახა ბიჭები... მართლა, მე რითი დავაშინო მასეთები, რა ვუთხრა შენზე?

– უთხარი, რომ ყველაზე ღონიერი ვარ! – ამყავდ გავიშალე მხრებში.

ჩემმა გოგონამ ერთი ამრებით ამომხედა და გულთანად აკისკისდა:

– კარგი, რა, მამიკო! ისეთი გამხდარი ხარ, მაგას ვინ დამიჯერებს?!

ამას კი აღარ მოველოდი. რა მექნა? რაღაც ხომ უნდა მომეფიქრებინა და გამოსავალიც ვიპოვე:

– უთხარი, – მოგზაური მამიკო მყავს, ძალიან ბევრი ქვეყანა აქვს მოვლილი და... და ყველაზე მაგარ სასტუმროში ცხოვრობდა-თქო!..

ამ პასუხმა ჩემი შვილი მართლა გაახარა. მეც ამოვიუსუნთქე, რომ უხერხულ შეკითხვას თავი დავადღწიე. რაც შეეხება ძვირად ღირებულ სასტუმროში ცხოვრებას, ეს მართლა მოხდა – მაიამი-ზიზის, სადაც სუთვარსკვლავიან სასტუმროში თავად ამ სასტუმროს მეპატრონემ მიმასპინძლა.

მაიამიდან უკან მაბრუნებენ...

მშვენიერ ხასიათზე მყოფმა დავტოვე ჯექსონვილი. ბოუერების ოჯახს თავი მართლა მოვაწონე და მეც მეტი რა მინდოდა?! მაიამიდან 600 მილი (900-მდე კმ) ერთ დღეში უპრობლემოდ დაფარე და ვფიქრობდი, რომ სადამოსთვის უკვე ბოუერების სასტუმროში ვიქნებოდი. ეს სასტუმროც მალე გამოჩნდა – სადამოს გაჩირაღდებულ ქალაქში, შენობა ოკეანეში მცურავი უზარმაზარი გემი გვეგონებოდა, რომელიც თანდათან გაიხლოვებოდა... ტრაილერი დაუფიქრებლად მიმყავდა ამ „გემისკენ“... თან მიკვირდა კიდეც, ამხელა ქალაქში რომ არავინ მაჩერებდა. არადა, ვგრძობდი, რომ ჩემი ტრაილერი მაიამი-ზიზის ქუჩებში ურჩხულს უფრო ჰგავდა... ამის გაფიქრება იყო და პოლიციელის მანქანამ, სირენის თანხლებით, გზა გადამიჭრა. მაშინვე გავაჩერე ტრაილერი და ორი პოლიციელი წინ გადამიდგა. ისეთი სახით იდგნენ, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი – შემთხვევით ვინმე ხომ არ მოყვა ჩემი მანქანის ბორბლებქვეშეთქი?..

– ამხელა საგზაო ნიშანი კიღია და ვერ ხედავ? – დაიწყო ერთმა.

– ვერ ხედავ, რომ აქ შემოსვლა არ შეიძლება, თუ ინგლისური კითხვა არ იცი? – დაუმატა მეორემ.

– სერ, ნამდვილად არ შემიძინევი, თორემ, აქ როგორ შემოვიდოდი?.. – ვიმართლე თავი.

– ვისთან მიდიხარ და რა ტვირთი მიგაქვს? – დაინტერესდნენ.

– ბოუერების სასტუმროში. უფროსი ბოუერის ავეჯი მიმაქვს...

– ძალიან კარგი. მაგრამ ამ ქუჩაზე სატვირთო მანქანით შემოსვლა დღის 2 საათის შემდეგ, აკრძალულია. სხვათა შორის, ამას თვით ბოუერები მოითხოვენ. ასე რომ, უკან დაბრუნება მოგიწევს, – პლუს ჯარიმაც უნდა გადაიხადო, საგზაო წესების დარღვევისათვის. თუ შეიძლება, მართვის მოწმობა მომეცი!..

პოლიციელს უსიტყვოდ მივაწოდე საბუთები. მანაც გულდასმით ათვალიერა კარგა ხანს, მერე უკან დაბრუნდა, გამომცდელად შემომხედა და განმიმარტა:

– ახლა ჯარიმას გამოგიწერ; შეგიძლია, ერთ თვეში გადაიხადო. ხოლო თუ დაავიანებ, იცოდე, პროცენტი დაგერიცხება!..

– იქნებ, აქვე გადაგვეწყვიტა რაღაც?.. – მრავალმნიშვნელოვნად გავუღიმე.

– შენ ამერიკელ პოლიციელთან გაქვს საქმე და არა „სექენდ ჰენდის“ გამყიდველთან! იცოდე, თუ კიდეც ბევრს

ილაპარაკებ, ჯარიმის თანხას გაგზავნი!.. — მკვანედ მომიჭრა პოლიციელმა და მეც მორჩილად დაველოდე ქვითრის გამოწერას. მერე უხალისოდ მოვატრიალე მანქანა და ავტოსადგომზე დავეყენე, რომელიც ბეად, იქვე ახლოს იყო.

არ გასულა 10 წუთი და უზარმაზარი „ფორდით“ ვილაც ახალგაზრდა მამაკაცი მიუახლოვდა ჩემს ტრაილერს. მეც იქვე ახლოს ვიდექი, ამჯერად ავტოსადგომის მორიგეს ველოდი, რომელიც ისეთივე ზოზინით წერდა ქვითარს, როგორც ცოტა ხნის წინ პოლიციელი... მოკლედ, უცნობ მამაკაცს შევხვდე თუ არა, მაშინვე მივხვდი — ბოუერ-უმცროსი იყო: რომ იტყვიან, გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა დედამისს, რომელმაც მშვენიერი მასპინძლობა გამიწია ჯექსონვილში.

— აკაკი ხარ, არა? — მკითხა ბოუერმა.

— დიახ, — ვუპასუხე და შინაურულად გავეუღმე.

— მე ჯასტი ბოუერი ვარ, ჩემმა მშობლებმა დამირეკეს და შენზე ყველაფერი მიაბეს. ძალიან კმაყოფილი არიან შენით და მეც მინდა, რაღაცით პატივი გცე... გზაში რაიმე პრობლემა ხომ არ შეგქმნია? — ჩემ წინ ტიპური ამერიკელი იდგა და თანაც, ჩემდამი ძალზე მეგობრულად განწყობილი.

— არა, პრობლემა არ შემქმნია, მაგრამ სასტუმროსთან ახლოს, პოლიციელებმა გამაჩერეს და უკან დამაბრუნეს: სამწუხაროდ, აკრძალვის ნიშანი ვერ შევაძინე... — თავის მართლებასავით გამომივიდა.

— ჰო, იქ არ გავიშვებდნენ. 2 საათის შემდეგ, ქალაქის ქუჩებში სატვირთო მანქანებს აღარ ვატარებთ... ჯარიმაზე ნუ დარდობ, მე გადავიხდი. ჩემი ბრალიც არის, ადრე უნდა გამეფრთხილებინე... მაგრამ არა უშავს, ამაღამ მანქანა აქ დატოვე და დილით შემოიყვანე სასტუმროს ეზოში, მტვირთავებიც დაგხვდებიან. ახლა კი წავიდე, დღეს მე ვიქნები შენი მასპინძელი. ძალიან მინდა, ახლოს გავიცნო ის უცხოელი, რომელიც ჩემს მშობლებს ასე მოეწონათ... — ჯასტი თავისი მანქანისკენ გამიძღვა.

ჩემი ახალი მასპინძელი ჯასტი ბოუერი რადიკალურად განსხვავდებოდა თავისი უყმური და უხასიათო ძმისგან. მეც მალე მომეხსნა დაძაბულობა და მის გვერდით თავს შინაურულად გვერძობდი.

— ბევრი უჩხუბია ჩემს ძმას, მამაჩემი წინასწორობიდან გამოუყვანია... — გულის გადაშლის ხასიათზე იდგა ჯასტი.

— ჰო, ცოტა უსიამოვნება მოუვიდათ...

— მთელი ცხოვრება ასეა. რაც თავი

მასხოვს, სულ ჯიბრში მიდგას ჩემი უფროსი ძმა. ოღონდ — ისევე, როგორც ბავშვობაში, არც ახლა იცის, რას ითხოვს ჩემგან და მით უმეტეს, მამაჩემისგან. ხომ ხედავ, როგორი სასტუმროს მფლობელები ვართ?.. ის კი სულ უკმაყოფილოა... თუმცა, ამაზე ლაპარაკი არც ღირს, ალბათ დრო მოვა და გონს მოეგება...

ამ ლაპარაკში უკვე სასტუმროშიც ამოვყავით თავი. მართლაც, ძალზე სოლიდური რამ იყო — ყველაფერი მდიდრულად და უზადო გემოვნებით იყო შესრულებული. ამ გარემოში მოხვედრას ბევრი ადამიანი ინატრებდა და ბევრსაც იქ მოხვედრისას, თავი ზღაპარში ეგონებოდა...

მე კი, როცა გარშემო მიმოვიხედე და მერე უზარმაზარ სარკეში ჩემს არცთუ ისე ახალ ჯინსის შარვალს, სპორტულ ქურთუკას და უბრალო ფეხსაცმელს შევავლე თვალი, ერთი პირობა, იქიდან გაპარვაც კი დავაპირე... თითქოს ფიქრს მიმიხვდაო — ჯასტიმ მხარზე ხელი გადამხვია და რესტორნისკენ წამიყვანა, რომელიც სასტუმროს პირველ სართულზე იყო განთავსებული.

— მისტერ ჯასტი, ნუ წუხნებით, რა საჭიროა ასეთი პატივისცემა?.. — დაბნეულობისგან სიტყვებს ვერ ვპოულობდი.

— მისტერს ნუ მეძახი, პირდაპირ ჯასტი დამიძახე. დღეს შენი მასპინძელი ვარ...

და ჯასტიმ პირდაპირ რესტორნის დარბაზში შემავლო.

მეტყვით ალბათ — რესტორანში ვინ არ ყოფილაო?.. — მაგრამ აქაურობა მართლაც, გამორჩეული იყო. თითქმის სავსე დარბაზში, სადაც თეთრი როიალის გვერდით მდგარი ფრაკიანი ახალგაზრდა კაცი ვირტუოზულად უკრავდა ვიოლინოზე, სადღესასწაულოდ გამოიწვიობილი ადამიანები იწონებდნენ თავს. ამდენი დეკორატიანი და თანაც მშვენიერი ქალი ერთად მხოლოდ ფილმში თუ მენახა...

ჯასტიმ ერთ-ერთ მაგიდაზე მიმითითა, დავექი და ახლავე მოვალე. მეც დავეჯექი და ახლა უკვე მშვიდად დავიწყე ირგვლივ ყველაფრის თვალიერება. მოულოდნელად შევნიშნე, რომ ერთ-ერთმა ოფიციალტმა გაოცებით შემომხედა და სასწრაფოდ გაიტკა დარბაზის ბოლოში, როგორც შემდეგ გაირკვა — ადმინისტრატორის მოსაყვანად.

„აი, რას ნიშნავს, რესტორნის მეპატრონესთან ერთად

რომ შემოვედი, ახლა ალბათ თან გადამყვებიან...“ — გავიფიქრე და მოლოდინში ერთიანად გავიბადრე. მაგრამ, ნურას უკაცრავად! ადმინისტრატორი — ელევანტური, შუახნის მამაკაცი მომიახლოვდა და მკითხა:

— ახალგაზრდავ, აქ საიდან მოხვდი?

შეკითხვის არსი ეტყობა, ვერ გავიგე და გულუბრყვილოდ ვუპასუხე — ვაშინგტონიდან-მეთქი.

— დამცინი, არა?.. არ იცი, რომ ეს უმაღლესი კლასის სასტუმროა და ჩვენთან ჯინსით არ შემოდიან?!

გაოცებისგან მხრები ავიჩეჩე და გავიღმე. დავაპირე მეთქვა, ჯასტი ბოუერმა მომიყვანა-მეთქი, მაგრამ ხმა ვინ ამომალენინა?!

— სულ არ მეჩხუბრება! თუ შეიძლება, დატოვე დარბაზი. შენი გულისთვის სამსახურს ვერ დავკარგავ!.. — ეს ისეთი ტონით თქვა, რომ არ დავმორჩილებოდი, ალბათ დაცვას გამოიძახებდა და დარბაზიდან კინწისკვრით გამავდებდნენ.

რალას ვიზამდი?.. ამ კაცის ცოდვაში ხომ არ ჩავდებოდი?! ავდექი და დარბაზიდან გამოვედი და გასასვლელისკენ ავიღე გეზი. ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს ყველა მე მიყურებდა და უხერხულობისგან დავიბენი კიდევ. ისიც იყო, ვესტიბიულს გამოვცდი, რომ ჯასტიც შემომეფეთა.

— სად იპარები, აკაკი?.. უჩემოდ სად მიდიხარ? — გაუკვირდა ჩემს მასპინძელს.

— შენი აქ ყოფნა არ შეიძლება — ჯინსი გაცვიაო, მითხრეს, — ავუსხენი და წასვლა დავაპირე.

— მერე სად მიდიხარ?

— წავალ, სადმე ახლოს კაფესაც მოვძებნი და საჩემო სასტუმროსაც. ნახვამდის... — პასუხს არც დაველოდე,



წერილის ავტორი აშშ-ში

შეგბრუნდი და კიბეს დაუყევი.

— მოიცა, მოიცა! სად მიდხარ?! — მხიარულ ხასიათზე დამღვრიყო ჯასტი... — დამელოდე, ერთად წავიდეთ.

სასტუმროდან გავვით და რამდენიმე წუთში, იქვე ახლოს მდებარე მაღაზიაში ამოვყავით თავი.

...ცოტა ხანში, ახალ კოსტიუმში გამოწყობილი, სასტუმროს ერთ-ერთი მეპატრონის გვერდით რომ დამინახა ადმინისტრატორმა, ისე დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა... ჯასტის მოუბოლიშა, მეც თვალეში შემომციცინებდა.

— ბილ, — მიმართა მან ადმინისტრატორს, — ეს კაცი ჩემი ოჯახის მეგობარია და დღეს კარგად უნდა გავუძასპინძლდე!..

მე და ჯასტი დავმეგობრდით!..

სულ მალე, სუფრა ნაირგვარი კერძით გაივსო. გაცნობა უნგრული „ტოკაის“ შავი ღვინოთი აღვნიშნეთ, რომელიც ჯასტის საყვარელი სასმელი ყოფილა. სხვათა შორის, მეც მომწონდა ეს ღვინო, რომელიც რაღაცით ჩვენებურ „ხვანჭკარას“ მაგონებდა. ვუთხარი კიდევ ჯასტის — საქართველოში, მაღალმთიან სოფელში, ზღვის დონიდან 2500 მეტრზე (ამ რიცხვის სისწორეში მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, მაგრამ იხტობარი არ გავიტყუებ...) მოჰყავთ უნიკალური ჯიშის ყურძენი და ამზადებენ გასაოცარ ღვინოს, რომელსაც სოფლის სახელი — „ხვანჭკარა“ ჰქვია და არაფრით ჩამოუვარდება „ტოკაის“ განთქმულ ღვინოს-მეთქი. მერე ისიც დავამატე — საქართველოში ამ ღვინოთი გაგმასპინძლები-მეთქი, — და ჯასტის გულიც მოვიგე. ამას კიდევ ქართული სადღვერძელოები მოჰყვა და... მოკლედ, მე და ჯასტი დავმეგობრდით! შუალამდე ისე ვისხედით სუფრასთან, ვერც კი გავიგეთ, გარშემო რა ხდებოდა, არც გვანტერესებდა...

„ტოკაის“ ღვინომ თავისი ქნა და ორივენი გვარიანად შევჭიკჭიკდით. ბოლოს, როგორც იქნა, წამოვდექით, რატომღაც ეზოში გასეირნება მოვინდომეთ და ბარბაცით გავწიეთ გასასვლელისკენ. კართან მაღალი, კუნთმაგარი ახალგაზრდა კაცი იდგა, რომელიც ყურადღებით უსმენდა ჩვენს ლაპარაკს. შევხედე თუ არა, მაშინვე ვიფიქრე — ეს ბიჭი სადღაც მინახავს-მეთქი, — მაგრამ სად, ვერაფრით ვაიხსენებ... დავკვებულმა ჯასტის ვკითხე — ეს ბიჭი ვინ არის-მეთქი?

ჯასტიმ მიპასუხა — რესტორნის მცველია, ერთი წელია, ჩემთან მუშაობს, კარგი ბიჭია და მგონი, შენი თანამემამულე უნდა იყოს!

მეც მივუბრუნდი და ვკითხე:

— ქართველი ხარ?
— ქართველი ვარ, წმინდა გიორგის სახელსა ვფიცავ... შენც ხო გეგონე?.. — იმდენად გამოკვეთილი მოხუერი კილოთი მიპასუხა მცველმა, რომ ალექსანდრე ყაზბეგის გმირი წარმომიდგა თვალწინ.
— მერე, ხმას ვერ ამოიღებ, ბიჭო?
— რა ვიცი, აბა... შენ ისეთ დიდ კაცთან იჯექ სუფრასთან, რომ ვერ მოვედი... — თავი იმართლა მოხვევმ.
— გავცნოთ ერთმანეთი: მე აკაკი ვარ გვეგნავა, თბილისიდან ვარ ჩამოსული. შენ?

— გუჯა ვარ ლულუშაური, სოფელ გერგეთიდან. გავიგონია?

— როგორ არ გამიგონია? ხევისბერი გოჩა როგორ არის? — ხუმრობის ხასიათზე მოვედი.

— რომელი გოჩა — გაღმა უბნიდან? — ვერ მიმიხვდა ხუმრობას გუჯა.

— ეს ბიჭი ხვალაც აქ იქნება და ელაპარაკე, რამდენიც გინდა. ახლა კი, წავიდეთ! — ჯასტი ისევ სადღაც მუპატიუებოდა.

— კარგი, გუჯა, დილით შეგხვდები. ამის გადამკიდეს, ახლა არ მცალია!.. — ვუთხარი გუჯას და ჯასტის გავეყვი.

მერე მე და ჯასტიმ სანაპიროზე მდებარე ღამის კლუბში ამოვყავით თავი, სადაც ახარტში შესული გოგო-ბიჭები უკვე იმ კონდიციამდე იყვნენ მისული, როცა აღამიანები ერთმანეთს ძლივს ცნობენ... ვერც კი მივხვდი, როგორ აღმოჩნდა ჩემს მკლავებში ერთი შავგვრემანი, გრძელფეხება გოგო. დაბნეულმა, ჯასტისკენ გავიხედე, რომელიც ქერათმიან, ვნებიან ლამაზმანს „ჩაეგლო ხელში“... კლუბის მომხიბვლელი მომღერალი ქალი სევდიანად მისტიროდა დაკარგულ სიყვარულს...

მაგრამ ახლა არც ის შავგვრემანი გოგო მეხატებოდა გულზე (დიდი ხნის შეყვარებულებით რომ მეხუტებოდა), არც მელანქოლიამოძალებული მომღერალი ქალი და არც ის ქერათმიანი მხეთუნახავი, ჯასტის რომ „ერგო“ წილად. ერთი სული მქონდა, ჩემს ტრიალეურამდე მიმეღწია და დამეძინა...

როცა ეს ჯასტის ვუთხარი, ღამის გაგიჟდა: ამხელა სასტუმრო მაქვს და მანქანაში გავიშვებ დასაძინებლად?!

მალე სასტუმროში დავბრუნდით. ჯასტიმ ჩემი თავი ხელქვეითებს გადაულოცა, დილაძე დამემშვიდობა და როგორც თვითონ მითხრა, ისევ ღამის კლუბისკენ გასწია — ცეკვის ფინი ბოლომდე ვერ მოვიკალიო...

P.S. მაიაში-ბიჩში კიდევ ბევრი საინტერესო რამ მოხდა, რის შესახებაც „გზის“ 44-ე ნომრიდან შეიტყობთ.

გასულ უქმეებზე თურქეთის საკურორტო ქალაქ ჩემში დასრულდა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც პირველობა თბილისის საჭადრაკო კლუბ „ნტნ“-ის ქალთა გუნდმა მოიპოვა. ქართველმა გოგონებმა: ნანა ძაგნიძემ, მაია ლომინიშვილმა, ლელა ჯავახიშვილმა, ანა მათნაძემ და სოფიკო გვეტაძემ თავიანთი კლუბის პრეზიდენტის ნანა ალექსანდრიას იუბილე ოქროს მედლებით აღნიშნეს: ქალბატონი ნანა 13 ოქტომბერსაა დაბადებული.

ოქროს მედლები იუბილანისათვის!..

გოგი შრანგიშვილი

— ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე ძალზე ბევრი ლამაზი გამარჯვება მოგიპოვებიათ. აქედან გამომდინარე, ალბათ ბედნიერად თავი არაერთხელ გიგრძნიათ. რომელი წუთები იყო თქვენთვის ყველაზე ამაღლებლებელი?

— ჭადრაკში მართლაც ძალიან ბევრი ბედნიერების წუთი მქონია, ისეთი, როდესაც ფიქრობ — ნეტავ, ეს წაბი დიდხანს გაგრძელდესო!.. მათ შორის, გამორჩეული გრძნობა იყო 1992 წლის მანილის საჭადრაკო ოლიმპიადის ფინალი, როდესაც საქართველოს ქალთა ნაკრების გამარჯვების აღსანიშნავად, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ჰიმნი გაჟღერდა. მიუხედავად იმისა, რომ მე და ნონა გაფრინდაშვილი ვერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს მოპოვებული ოლიმპიური ოქროს მედლებით განებივრებულები ვიყავით, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი გამარჯვება აბსოლუტურად გამორჩეული იყო ჩემთვისაც. არასდროს დამავიწყდება ის განცდები, როდესაც სახის ყველა ნაკეთი გვითრთოდა და თვალცრემლიანი ვისმენდით ამ ჰიმნს. მსგავსი სასიხარულო წუთები ალბათ მხოლოდ სპორტს შეუძლია მოგვიტანოს და მე ძალზე ბედნიერი ვარ, რომ ეს წუთები განმიცდია. საერთოდ, ჩემი საჭადრაკო ბიოგრაფია ძირითადად, ასეთ განუმეორებელ მომენტებთანაა დაკავშირებული. თუმცა, რა თქმა უნდა, სპორტი სპორტია და ჩვენს კარიერაში ტკივილებიც და სულიერი ტრავმებიც ყოფილა. სამწუხაროდ, ვერც მე გა-

დაურჩი მსგავს უსიამოვნო ეპიზოდებს. ალბათ, გასოვთ, 1981 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი ჩემსა და მაია ჩიბურდანიძეს შორის, როდესაც მატჩი ჩემი უპირატესობით მიმდინარეობდა და ძალიან ახლოსაც ვიყავი პროფესიულ მიზანთან – გავმხდარიყავი მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ საბოლოოდ ფრედ – 8-8 დამთავრდა ეს მატჩი და ფიდეს წესების შესაბამისად, დედოფლის გვირგვინი მსოფლიო ჩემპიონმა შეინარჩუნა. თუმცა, ეს უკვე ბელეტრისტიკა და მეტუარებსა თუ ბიოგრაფიაში თუ აღინიშნება ამგვარი მომენტები, მაგრამ ფაქტია, რომ მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, მსოფლიო ჩემპიონი ვერ გავხდი. სულ პრეტენდენტთა 8 ციკლში მიმიღია მონაწილეობა, რაც ერთგვარი რეკორდია და თავის დროზე, იგი ვიქტორ კორჩნოის ჰქონდა დამყარებული. ასე რომ, ოცწლიანი ბრძოლა დედოფლის ტახტისათვის პრაქტიკულად უშედეგოდ დასრულდა და მიზანს ვერ მივალწვი. განსაკუთრებით მძიმე იყო ჩემთვის მაისთან მატჩის მე-15 პარტია, რომელიც წავაგე და ნათელი გახდა, რომ სანუკვარი ოცნების ასრულების ყველაზე რეალური შანსი გავუშვი ხელიდან. ასეთი ტკივილები, რა თქმა უნდა, თან ახლავს სპორტს, მაგრამ მთლიანობაში ჩემი პროფესიული გზა სასიამოვნო გამარჯვებებით იყო სავსე და დღევანდელი გადასახედიდან, ბედნიერი ვარ.

— **მაღალი მწვერვალების მიღწევას სპორტში, დიდ ენერჯიასთან ერთად, ბევრი დროც სჭირდება. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის დიასახლისისთვის, რომლის მზრუნველობაც პრაქტიკულად ყოველდღიურად სჭირდება შვილსა თუ მუუღლეს. თქვენ როგორ ართმევდით ამ პრობლემას თავს?**

— ნებისმიერ სფეროში მაღალი პროფესიული მიზნების მისაღწევად მართლაც, დიდი დრო და ენერჯია სჭირდება. ჭადრაკს, რა თქმა უნდა, ეს დრო მიჰქონდა და იმდენ ყურადღებას ვეღარ ვაქცევდი ოჯახს. მაგრამ ჩემი ოჯახის წევრები ყოველთვის

მხარში მედგნენ. თუმცა ფაქტია, რომ ბავშვს დედა უნდა, ოჯახს კიდევ – ოჯახის ქალი. ამ თვალსაზრისით, გასაგებია, იდეალური ვერ ვიქნებოდი, რის გამოც ზოგჯერ სინანულის გრძნობაც მრჩება. მასსოვს, 1981 წელს მსოფლიო ჩემპიონატის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ნანა იოსელიანთან პირველი პარტია წავაგე და როდესაც რადიოთი გამოაცხადეს, რომ ნანა ალექსანდრია დამარცხდა, მაშინ ცხრა წლის გიგამ (ბოკერია. – ავტ.) თურმე ტაში შემოჰკრა. ხვდებით ალბათ, ბავშვის ცნობიერებას: ჩემი სახლში არყოფნა ჩემს გამარჯვებებთან იყო დაკავშირებული – თუკი ვიგებდი, ე.ი. ჯერ ვერ ჩამოვიდოდი თბილისში და რადგან დამარცხდი, გაჩნდა შანსი, რომ დედა შინ მალე დაბრუნდებოდა. ძალიან საინტერესო ეპიზოდი იყო კიდევ უფრო ადრე – 1975 წელს ნონა გაფრინდაშვილთან მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩის დროს. სახეიმი დახურვის ცერემონიაზე დედაჩემის თხოვნით, პატარა გიგაც წაიყვანეთ. დარბაზი, რა თქმა უნდა, ყვავილებითა და ყველა შესაბამისი ატრიბუტით იყო მორთული. იმ საღამომ ისე ჩაიარა, როგორც ვაწყობდით ხოლმე მსგავს ღონისძიებებს. შემდეგ კი, როდესაც გიგას დასაძინებლად ვაწვენიდი, მითხრა: დედა, მე შენ ბევრ წითელ ყვავილს გიყიდიო... გასაგებია ალბათ: ნონას, როგორც გამარჯვებულს, უფრო მეტი ყვავილი მიართვეს, ვიდრე მე და გიგამაც ჩაიფიქრა, თავად აენახლაურებინა ეს დანაკლისი...

— **ეი. როგორც მეოჯახესა და დიასახლისს, საკუთარ თავს აკრიტიკებთ...**

— კულინარიაში ნამდვილად ასეა, აქ დილისტატი მართლაც არა ვარ. რაც შეეხება დიასახლისობას – ობიექტურად მოწესრიგებული დიასახლისი ვარ, მაგრამ ყველა დედას უნდა, რომ შვილის გვერდით იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. ამის გამო საკუთარი თავის მიმართ კრიტიკული შენიშვნები მაქვს.

— **ამ საკითხში ალბათ არ**



გონებაში ქულების დათვლა დავიწყე და მოულოდნელად უხეშად შევეცი...

დაგეთანხმებიან ჩვენი ოლიმპიელები, რომლებიც ატლანტისა და ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამოდიოდნენ, სადაც თქვენ ქართული სახლის დიასახლისი ბრძანდებოდით.

— იქ სულ სხვანაირი დიასახლისობა მიწევდა. არც ერთ ოლიმპიადაზე კრიტიკული შენიშვნა არ დამიმსახურებია და მეც დადებითად ვფასებ ჩვენს საქმიანობას. სხვათა შორის, ამ მხრივ ატლანტისა და ათენის ოლიმპიური თამაშები საკმაოდ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ატლანტაში ამერიკელების ინტერესი საქართველოსადმი ძალზე დიდი იყო. მოგესხენებათ, ატლანტა და თბილისი დამეგობრებული ქალაქებია და ამდენად, სტუმარიც საკმაოდ ბევრი გვყავდა, მით უფრო რომ „ქართული სახლი“ იქ ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში მდებარეობდა. სხვათა შორის, ატლანტაში ადგილობრივი მოსახლეობა ოჯახებთან და მეგობრებთან ერთად მოდიოდა. არამერიკელებიც ხშირად შემოდიოდნენ. საღამოს 11 საათამდე, საკმაოდ ემოციური ურთიერთობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გვქონდა ჩვენი სახლის სტუმრებთან. ატლანტისაგან განსხვავებით, ათენში სხვა ფუნქციან ჰქონდა ჩვენს სახლს. მოგესხენებათ, იქაური ქართული სათვისტომო საკმაოდ მრავალრიცხოვანია: საბერძნეთში ბევრი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. ისინი უკვე რამდენიმე წელია, იქ მუშაობენ, ძირითადად, მანდილოსნები გასლავან და მათ შორის არიან ასაკოვნებიც. ბევრი მათგანი ამ წლების განმავლობაში არც კი ყოფილა საქართველოში და მძიმედ განიცდის სამშობლოსთან, ახლობლებთან განშორებას. ამდენად, ბუნებრივია, რომ ამ ადამიანებთან შეხვედრა ხშირად, ცრემლიანი იყო, მაგრამ მათი სტუმრობა უფრო მეტად, დადებით ემოციებს იწვევდა. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ერთი ქალბატონის მობრძანებამ. გიორგი ასანიძის გამარჯვების შემდეგ, მან გიორგისათვის საჩუქარი დაგვიტოვა და თან დაახლოებით ასეთი შინაარსის ბარათიც დაურთო: უკვე 8-9 წელია, ათენში ვარ ჩამოსული საშუალოდ და



ოლიმპიური ჩემპიონები: მარცხნიდან – მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი (ლუკერნი, 1982 წ.)

არასდროს არაფერი მითხოვია ღმერთისთვის. არც ჩემი შვილისათვის სამსახურის შოვნა; შეჯიბრებაზე გიორგის გამოსვლის წინააღმდეგ, ეკლესიაში შევედი და უფალს შევევედრე, გიორგის გამარჯვებინე-მეთქი!.. აი, ასეთი განსხვავებული შესვენებები გვექონდა „ქართულ სახლში“, ზოგჯერ ტკივილიანი, მაგრამ ხშირად – სასიხარულო.

— თავად ოლიმპიელებთან თუ გქონდათ შეხვედრა? საინტერესოა, როგორ აღნიშნეთ ჩვენი ათლეტების გამარჯვება?

— „ქართულმა სახლმა“ ათენში საგანგებო შეხვედრა მოუწყო ჩემპიონებსა და მათ მწვრთნელებს. მართლაც, ეს სიხარული განუზომელი იყო, რადგან ერთ ოქროზე ვიცნებოდით და ბევრისთვის მოულოდნელად, ორი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოვიპოვეთ. სხვათა შორის, ზურაბ ზვიადურის ჭიდაობისათვის მთელი დღეუგაცა საგანგებოდ ვემზადებოდით და ყველა საჭირო ატრიბუტით აღჭურვილი გავემზადებოდით. მანამდე კი, ათენში მცხოვრებმა ერთმა ქართველმა მხატვარმა ეკლესიის ეზოში დაკრეფილი ლეღვი მოგვართვა. ქართული ტრადიციის თანახმად, სანამ პირველად შეჭამ ხილს, რაიმე სურვილი უნდა ჩაიფიქრო. ასეთ დროს, როგორც წესი, ყველანი შვილების, ოჯახის წევრების ჯანმრთელობაზე ფიქრობენ, ჩვენ კი, „ლეღვის მჭამელთა“ მთელმა დღეუგაცამ, ზურაბის გამარჯვება ჩავუთქვით. თითოეული ჩვენგანი თავისებურად ცდილობდა ზურაბის დახმარებას და ყველამ ერთად საოცრად გავიხარეთ პირველი ოქროს მედალით.

— მოდით, ისევ ჭადრაკს დავუბრუნდეთ. თქვენს დაოსტატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვახტანგ ქარსელაძემ. როგორ აღმოჩნდით მის შეგირდებს შორის?

— სრულიად შემთხვევით. სკოლიდან წაგვიყვანეს ჭადრაკის სექციაში, სადაც ბატონი ვახტანგი ავარჯიშებდა მოზარდებს. თავიდანვე, როგორც ჩანს, მოვეწონე, თუმცა პირველი წელი სხვა მწვრთნელთან ვემცადინებოდი, მაგრამ — ქარსელაძის მეთვალყურეობის ქვეშ. ერთი წლის შემდეგ, უკვე თავად ბატონი ვახტანგი მავარჯიშებდა და მალე გოგონებს შორის თბილისის ჩემპიონობაც მოვიპოვე. მომდევნო წლებში, ჩემი წარმატებები თანდათან უფრო სოლიდური ხდებოდა, ხოლო საბოლოოდ ქარსელაძის ოცნების ასრულებაც შევძელი, როდესაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის მატჩში მისმა ორმა მოწაფემ — ნონამ და მე ვითამაშეთ. მართალია, თავად ქარსელაძე ვერ მოესწრო ამ

მატჩს, იგი საკმაოდ ახალგაზრდა — 47 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ მე ბედნიერი ვარ, რომ შევძელი ამ დიდებული პედაგოგისა და პიროვნების ჩანაფიქრის განხორციელება.

— ნონა გაფრინდაშვილთან დედოფლის გვირგვინისათვის მატჩი ქალბატონი ნონას გამარჯვებით დასრულდა და ალბათ 30 წლის წინ გამართულმა ამ ფინალმა უსიამოვნო მოგონებებიც დაგიტოვათ...

— რა თქმა უნდა, როდესაც უმეტესად, გამარჯვებას ხარ მიჩვეული, წაგებას ვერ გეუბები. მაგრამ ეს ჩემთვის პირველი ფინალი იყო და ნონას გამარჯვება ტრაგედიად არ აღმიქვამს. იმ პერიოდისათვის მე პროფესიული თვალსაზრისით ბოლომდე არ ვიყავი მომზადებული და არც იმხელა სამატჩო გამოცდილება მქონდა. ასეთ მატჩებს თავისი სპეციფიკა აქვს, სადაც უმაღლეს დონეზე ორთაბრძოლაში ძალიან დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვაა. ასე რომ, ნონას ვერ ვუტოვებოდი, თუმცა კი იყო ისეთი მომენტი, რამაც სერიოზული გავლენა იქონია მატჩის საბოლოო შედეგზე. ერთ-ერთ პარტიაში აბსოლუტურად მოსაგები პოზიცია მქონდა. ეს გადადებული პარტიის დღეს მოხდა. ნონას ცაიტნოტი ჰქონდა, მე კი მოსაფიქრებლად — საკმაოდ დრო. და ამ მომენტში, როგორც ჩანს, ემოციებმა მძლია. პრაქტიკულად ორ პარტიას ვიგებდი. გონებაში ქულების თვლა დავიწყე და მოულოდნელად უხეშად შევცდი — ფიგურა „დავსვი“... თუმცა, ობიექტურად, მაშინ ნონა უფრო იმსახურებდა გამარჯვებას და ასეც მოხდა.

— 1975 წელს გამართული ეს მატჩი ქართული ჭადრაკის ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია. იმ პერიოდში თქვენც და ქალბატონი ნონაც ძალზე პოპულარულები იყავით, ქართველ ხალხს კი ორივენი გულწრფელად უყვარდით...

— მართლაც ბრძანებთ, ეს ბედნიერი წლები იყო. ხალხის სიყვარულით მართლაც განებივრებულები ვიყავით. იმ პერიოდში ჭადრაკისადმი ინტერესი ძალზე დიდი იყო, თავად გულშემატკივრებს აინ-

ტერესებდათ ჭადრაკი და მათი თანადგომა და სიყვარული ჩვენთვის მთავარი მოტივაცია იყო. დღეს შეიძლება, დილოსტატებისათვის უფრო მნიშვნელოვანი, ფულია. ჩემი და ნონას თაობისათვის კი, ხალხის სიყვარული და თანადგომა უფრო მეტად ფასობდა. ჩვენი გამარჯვებებით მართლაც გულით ხარობდნენ რიგითი ადამიანები და ეს დადებითად გემუხტავდა. ყოფილა შემთხვევები, სადაც უცხოეთში დამის 2 საათზე თბილისიდან ტელეფონით დაგკავშირებდნენ აბსოლუტურად უცნობი ადამიანები და მოულოცავთ გამარჯვებას... რამდენიმე ხნის წინ, მამაჩემის მიერ შენახული ძველი წერილები მოვიძიე, ის წერილები, რომლებსაც წლების განმავლობაში მიგზავნიდნენ გულშემატკივრები. იმ პერიოდშიც ვკითხულობდი ამ კორესპონდენციებს, მაგრამ ახლა, სულ სხვა თვალთ, გულმოდგინედ წავიკითხე. ძირითადად ეს უცნობი ადამიანების წერილებია და იცით, ვაგოცდი, იმდენი სითბო და ისეთი გულწრფელი სიყვარულია გამოხატული.

— თქვენი აზრით, რამ განაპირობა ქართული საჭადრაკო ფენომენის ნარმოშობა — მხოლოდ ნიჭმა თუ სხვა ფაქტორებმაც იმოქმედა?

— ნიჭი, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ იმ პერიოდში თავად გარემო იყო სხვაგვარი. მაშინ მოჭადრაკეებს კარგი პირობები ჰქონდათ. გარდა ამისა, გოგონებს კარგი მწვრთნელები ჰყავდათ და რაც მეტად მნიშვნელოვანია, ჭადრაკი პოპულარული იყო. თუ მშობელს არჩევანი უნდა გაეკეთებინა — ნიჭიერი ბავშვი მუსიკაზე მიეყვანა თუ ჭადრაკზე, — ჭადრაკს ირჩევდა. პიონერთა სასახლეში, სადაც საჭადრაკო სექციას ვხელომძღვანელობდი, იმდენი ბავშვი მოდიოდა, რომ სპეციალურ კონკურსებს ვაწყობდით საუკეთესო მოზარდების შესარჩევად. გვეცოდებოდნენ ბავშვები, რომლებსაც ვერ ვიღებდით. ყველას უნდოდა, მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყო. თავად საზოგადოების დამოკიდებულება იყო ჭადრაკისადმი დადებითი და ვფიქრობ, კანონზომიერიც გახლდათ ის შედეგები, რომლებიც საჭადრაკო ბუშმა მოიტანა.

— 14 ოქტომბერს ესპანეთის საკურორტო კუნძულ მალიორკაზე მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა იწყება. თქვენ ამ ტურნირების მდიდარი გამოცდილება გაქვთ: ექვსჯერ ოლიმპიური ჩემპიონი გახდით, ხოლო როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს ქალთა ნაკრებმა ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ოქროს მედალები, თქვენ ამ გუნდის კაპიტანი ბრძანდებოდით. საინტერესოა,



მსოფლიო ჩემპიონაგი - 1975 წელი


როგორია კაპიტნის როლი ამ ტურნირებზე.

— მთავარი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ გუნდში დიდოსტატები არიან, მაგრამ კაპიტანსაც გარკვეული დატვირთვა აქვს. კაპიტანმა უნდა უზრუნველყოს კარგი სიტუაცია გუნდში, ზედმიწევნით უნდა იცნობდეს ნაკრების ყველა წევრს. საკუთარ თავზე შემიძლია ვითხრა, რომ თითოეულ დიდოსტატს, რომ იტყვიან, „მოხარშულს“ ვიცნობდი. ძალზე მნიშვნელოვანია, როდესაც მათ განწყობას გრძობ. გარდა ამისა, ვიცნობდი ჩვენს მეტოქეებსაც, რადგან მათთან თავად მქონდა ნათამაშები პარტიები. ვიცოდი, თუ ვინ რომელ პოზიციაში იყო ძლიერი და სუსტი. კიდევ ბევრი ნიუანსია, რომლის გათვალისწინებაც შეეძლო. სხვათა შორის, ჩემი კაპიტნობის პერიოდში, კომპიუტერიც კი არ გვექონდა და ხან რუსებს ვთხოვდით ნახევარი საათით, ხანაც — იუგოსლავიელებსა და რუმინელებს. ასე რომ, დილით ჩვენები რომ ისაუბრებდნენ, მე პარტიები უკვე მომზადებული მქონდა... კაპიტანის სოლიდური პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ მატჩის მიმდინარეობის დროსაც, როდესაც ყველა პარტიას უყურებ და იცი, რომელ დაფაზე რა მდგომარეობაა. იმასაც ითვალისწინებ, შექმნილ პოზიციაში მეტოქე თუ შენივე გუნდის წევრი როგორ თამაშობს და ამის მიხედვით იღებ გადაწყვეტილებას — მოხსნა პარტია თუ გააგრძელო თამაში. აი, ამ ნიუანსების გათვალისწინებით, ორჯერ ჩინელები დროული წინადადებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, „წამოვიკიდე“: ორივე შემთხვევაში, ჩემს საზავო წინადადებაზე ჩინელებისაგან უარი მივიღე და როდესაც აზიელებმა პოზიცია გახსნეს, პარტია ჩვენს სასარგებლოდ შემოტრიალდა და გავიმარჯვეთ კიდევ. ეს მცირე ნიუანსია, რომლის ცოდნაც აუცილებელია კაპიტნისათვის და ვინაიდან მე ზედმიწევნით ვიცნობდი ჩვენსა თუ მეტოქეთა გუნდების დიდოსტატებს, ვფიქრობ, სწორედ ამიტომ ვიყავი წარმატებული კაპიტანი.

— დაბოლოს, მომავალი საქაღარა-კო ოლიმპიადის შესახებ მინდა გკითხოთ. როგორ ფიქრობთ — რა შანსები აქვთ ჩვენს ახალგაზრდულ გუნდებს?

— ჩემი აზრით, როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა გუნდი ხუთეულისთვის იბრძოლებს. რა თქმა უნდა, სურვილი დიდია, რომ უფრო მაღალი ადგილები დავიკავოთ, მით უმეტეს, რომ ქალთა ნაკრებში სამივე ახალგაზრდა დიდოსტატი — ნანა ძაგნიძე, მათა ლომინიშვილი და ლელა ჯავახიშვილი — ჩემი კლუბის წევრები არიან, მაგრამ ოლიმპიადაზე გამარჯვება ადვილი არ არის. ვნახოთ, ტურნირი დღეს იწყება და ღმერთმა ქნას, რომ წარმატება მოვიპოვოთ.

თეატრალური სარდაფის მაყურებლისთვის უსაყვარლეს და ნიჭიერ მსახიობ ზუკა პაპუაშვილს ეს პროფესია შემოხვევით არ აურჩევია. ის თეატრის მტვრით ბავშვობიდან „მოინამლა“ — ზუკა ხომ რუსთაველის თეატრის მსახიობის დაგვით პაპუაშვილის ვაჟია. როდის დაიწყო ზუკას მსახიობო კარიერა, როგორ მოხვდა ცნობილ სარეკლამო კლიპში და რა შეფასებას აძლევს კოლეგა მამა შვილის შემოქმედებას, მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.



თეატრის მტვრით "მოინამლე" ზუკა პაპუაშვილი ყოველი სპექტაკლის შემდეგ ჯამათობს

კაპ მიწვამე

— მსახიობის პროფესია შემიხვევით არ ამირჩევია. ბავშვობიდან „მოვიწამლე“ ამ მტვრით. გავიზარდე ხელოვანთა ოჯახში: დედა — მუსიკოსია, მამა — რუსთაველის თეატრის მსახიობი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თეატრის კულისებში გავიზარდე და თუ საჭირო იყო, ბავშვის როლსაც ვთამაშობდი ხოლმე.

— მამას გასტროლებზე დაჰყავდი?

— კი, როგორ არა?! აქედან გამოდინარე, ჩემს თანატოლებთან შედარებით, განსხვავებული ბავშვობა მქონდა. მეამაყება, რომ ბავშვობიდან მოყოლებული, უდიდეს მსახიობებთან მიწვევას კონტრაქტი და პირადად ვიცნობ მათ ყველას: რამაზ ჩხიკვაძეს, გურამ საღარაძეს, მედეა ჩახავას, კახი კავსაძეს, ედიშერ მაღალაშვილსა და ბევრ სხვა მსახიობს, რომელთა ჩამოთვლაც შორს წავგიყვანდა.

— შენი დებიუტი თეატრში როდის და რა სპექტაკლში შედგა?

— ჩემი დებიუტი ინსტიტუტში შედგა. ეს იყო სადიპლომო სპექტაკლი „ბლეზი“, რომელიც რეჟისორმა ოთარ ვეაძემ დადგა. ბავშვობაში კი, მითამაშა რობერტ სტურუას სპექტაკლში, რომლის სახელწოდებაც იყო: „კონცერტი ორი ვიოლინოსათვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით“.

— როგორ ფიქრობ — განუუმორებელი ინდივიდუალობით გამორჩევი, თუ რომელიმე გამოჩენილ მსახიობს ჰგავხარ?..

— მსახიობი უნდა იყოს ინდივიდუალური. მისთვის სრულიად დამლუბველია ვილაციისთვის მიბაძვა. ჩემი სურვილია, არა რომელიმე მსახიობს ვგავდე, არამედ საკუთარი ადგილი დავიმკვიდრო შემოქმედებით ცხოვრებაში. რაც შეეხება იმას, თუ მე

რამდენად განსხვავებული ვარ, ეს მაყურებელმა უნდა განსაჯოს.

— მსახიობებს შორის იდეალი თუ გყავს?

— რამაზ ჩხიკვაძე.

— ალბათ საოცნებო როლიც გქვინება...

— არა მაქვს. შეიძლება არაფრისაგან ისეთი გმირი შექმნა, რომ ყველა გააოცო...

— რა ფანრის მსახიობად თვლი თავს?

— სასასიათო, კომედიის და დრამის.

— სცენაზე თამაშის დროს, თუ მისდევ იმპროვიზაციას, თუ შეგიცვლია რამე დადგენილ მონახაზში?

— არაერთხელ შემიცვლია და შეცვლილი კიდევ.

— ცხოვრებაში თუ თამაშობ?

— ცხოვრებაში ყველა ადამიანი თამაშობს. მარტო მსახიობი კი არა — მენაგვეც, დარაჯიც, ექიმიც და მასწავლებელიც...

— შენ და მამა თუ ყოფილხართ სცენაზე ერთმანეთის პარტნიორები?

— მე და მამა პარტნიორობას ვუწვევდით ერთმანეთს რობერტ სტურუას სპექტაკლში — „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“. თავდაპირველად, ერთმანეთის გვერდივერდ თამაში გვეჭირდა, მაგრამ მერე თავს ბუნებურად ვთვლიდი, რომ მამაჩემს ვუწვევდი პარტნიორობას ამ უდიდესი თეატრის სცენაზე.

— როგორ აფასებს ბატონი დავითი შვილის შემოქმედებას?

— რა თქმა უნდა, მე და მამა ყოველი სპექტაკლის ბოლოს კვამათობთ, გულახდილად ვუბნებით ერთმანეთს, თუ რა იყო კარგი და რა — ცუდი. ზოგჯერ მამა ჩემ მიმართ საკმაოდ კრიტიკულია, მაგრამ მე

მინდა გავისწერო ამბავი, რომელიც ძალიან ძვირად დამიჯდა. ეს მოხდა „თეატრალურ სარდაფში“...



მირჩევნია, შენიშვნა არ დამიძლოს, რათა მომავალში ცოტათი მაინც შევეძლო სარვეზის გამოსწორება. სხვათა შორის, მეც შემიტანია მის ნამუშევარში გარკვეული კორექტივები, მიუხედავად იმისა, რომ მას ჩემგან შენიშვნის მიღება არ სიაძვირებდა, სულ მეუბნება: შენ მე რა უნდა მასწავლოო?.. როცა ოჯახში ერთი პროფესიის ორი ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის აუცილებელია კამათი, ოღონდ – ჯანსაღი.

— შენ ალბათ ბევრი კურორიზი გადაგხდენია თავს. რაიმეს ხომ არ გაიხსენებ?

— მინდა გავისწერო ამბავი, რომელიც ძალიან ძვირად დამიჯდა. ეს მოხდა „თეატრალურ სარდაფში“, „სამგროშიანი ოპერის“ მიმდინარეობისას. პირველი მოქმედების პირველ სცენაში ლოვინი ჩამიტყდა და ხელიც ქვეშ მომეცა, თითები გადამეშტვრა და ხელიც მოვიტყევე. მიუხედავად ამისა, სპექტაკლში თამაში გაგაგრძელე. 2 მოქმედება ისე ვითამაშე, რომ მაყურებელმა ვერაფერი შეამჩნია... მეორედ, იმავე სპექტაკლზე, ერთი მსახიობი აგვიფეთქდა სცენაზე: მას თოფის სროლისას ერთდროულად 12 ტყვია გაუვარდა. მართალია, ნამდვილი არ იყო, მაგრამ რატომღაც აფეთქდა და ცეცხლი მოეკიდა. მაყურებელი ისტერიაში ჩავარდა და კვიციანი-წივილით გამოცვივდა გარეთ. თითქმის მთელ დარბაზს ადრე უკვე ნანახი ჰქონდა ეს სპექტაკლი და იცოდა, რომ სცენაზე ცეცხლის გაჩენა სცენარით გათვალისწინებული არ იყო... კიდევ მინდა გავისწერო რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი გასტროლი ნოვოსიბირსკში, სადაც შექსარიის „მე-12 დამე“ წარმოვადგინეთ. ჩემი გმირი ხრამში სტევა. რუსთაველის თეატრის დარბაზში ეს ხრამი საორკესტრო ორმოა, რომელიც არც ისე ღრმაა. ნოვოსიბირსკის თეატრში კი იმ ორმოში რატომღაც წინასწარ არ ჩავიხედე, რომ მისი სიღრმე შექმნილი იქნებოდა. ჰოდა, შუა სპექტაკლში, რომ გადავხტი, თითქმის 4 სართულის

სიღრმეზე ჩავვარდი... იქიდან ამოსვლას იძულები ხანი მოუწიდა, რომ კინაღამ დავაგვიანე სცენაზე გასვლა.

— სარეკლამო კლიპში პირველად გადაგიღეს?

— რეკლამაში პირველად გადამიღეს, ახალი შემოთავაზება ჯერ არა მაქვს.

— ჰო, მართლა, გივი ხომ არ გიპოვიათ?

— სხვათა შორის, ჯერ კიდევ არ გამოჩენილა (იციან)...

— შენი ოჯახიც გაგვაცანი.

— მეყვარე მუღლე – თონა კინაძე, პროფესიით უცხო ენების სპეციალისტი და ქალიშვილი.

— სად და როგორ გაციანით ერთმანეთი?

— 2 წლის წინ, „თეატრალური სარდაფის“ გვერდით მდებარე კლუბ „სარდაფში“ გავიცანი.

— როგორი შეყვარებული იყავი?

— სასწაული. იმ დროს „სიგიჟე“ და „არგადარჩენა“ დამემართა...

— გაიხსენე, შენს მომავალ მეუღლეს პირველად საჩუქრად რა მიართვი?

— თიხის პატარა თოჯინა ვაჩუქე, რომელიც გასტროლებზე ყოფნისას კივეში მისასწორებს, მე კი, თბილისში ჩამოსვლისთანავე, ჩემს შეყვარებულს მივართვი.

— პირველად, შინ მისვლისთანავე რას ითხოვ ხოლმე?

— ყავას.

— შენ თუ ხარ ხელმარჯვე საოჯახო საქმეების კეთებაში?

— რალაც-რალაცებში – კი. მაგრამ ვთქვათ, ტელეფონის ხაზს ვერაფრით ვერ გავიყვან.

— რაიმე კერძის მომზადება თუ გეხერხება?

— ჩაქაფულს და ბოზაშს ვერ გავაკეთებ, მაგრამ კარტოფილის შეწვა, სოსის მოხარშვა და სენდვიჩის მომზადება შემიძლია.

— გასულ ზაფხულს სად დაისვენე?

— ამ ზაფხულს თბილისიდან არ გავსულვართ: ბავშვს ველოდებოდით და თონა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ყოფილიყო...

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

— ჩემი გეგმები ისევ და ისევ სცენაზე თამაშს და კინოში გადაღებას უკავშირდება. ამჟამად გემუშავებს რუსთაველის თეატრში, „თეატრალურ სარდაფში“ რუსთაველზე და „ვაკის სარდაფში“.

— რამდენი ცხოვრებით ცხოვრობს მსახიობი?

— მიმჩნია, რომ მსახიობი ისევე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, ერთი ცხოვრებით ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობს უნდა, ბევრი როლი ჰქონდეს...

ტინეიჯერი მომღერლის ბუკა მანაშაძის პროდიუსერი რამდენიმე წლის წინ, ნათი დუმბაძე გახდა და მანამდე ბავშვური და გულუბრყვილო გოგონა სცენაზე სექსუალური იმიჯით წარდგა. ამის გამო მას ბევრი აკრიტიკებს. ზოგი კი ამბობს — სცენაზე ყველა თამაშობს, მთავარია, ცხოვრებაში როგორ მოიქცევაო!.. როგორია ბუკა სინამდვილეში? ნანობს თუ არა იმიჯის შეცვლას? ჰყავს თუ არა შეყვარებული? ამ და სხვა უამრავ კითხვაზე პასუხს დაინტერესებული პირები ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობენ.

„პიუიქუ ~ ჩვენ, კოჭლია სოე პნ ჰჩინსია, სოე ბავიუსნო უნდ ბავიუსნო ~მუთქი?!“

მერი კობიაშვილი

— მთელი ოჯახი რამდენიმე წლის წინ, კვიპროსში ვცხოვრობდით. დაწყებით კლასებში იქაურ სკოლაში მომიხდა სწავლა; კლასში ერთი ბიჭი მომე-



იქ მისვლა ძალიან მრცხვენოდა, მაგრამ მაინც მივედი...



სექსუალობასთან დაკავშირებული ყველანაირი სილამაზე. მერლინ მონროც ხომ ძალიან სექსუალური იყო!..

წონა, ანდრიასი ერქვა. ფითქინა თეთრი იყო, სათვალე ეკეთა, კარგად სწავლობდა, პატარა კაცივით სერიოზულად დადიოდა — მოკლედ, ძალიან სერიოზული ვინმე იყო. როგორც ჩანს, ამ ყველაფრით მოვიზიბლეთ და მასზე ვფიქრობდით. მაგრამ მას არ ვაინტერესებდით, ჩემ მიმართ ყურადღებას არ იჩენდა. ამიტომ მასზე არავის ვუყვებოდი. მხოლოდ მე ვიცოდი, რომ მომწონდა. მერე, სხვა თანაკლასელი მომეწონა. ის მართლაც „სერიოზულად“ ლამაზი იყო — ძალიან, შავკვრემანი, არაბი იყო. კლასელმა გოგონებმა მითხრეს — მოსწონხარო. ძალიან გამიხარდა. ეს ყველაფერი იმით დაგვირგვინდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, იმ ბიჭმა წერილი მომცა. მწერდა — სკოლის ეზოში მოდიო. იქ მისვლა ძალიან მრცხვენოდა, მაგრამ მაინც მივედი. ხელში ერთი ცალი ნარცისი ეჭირა. შორიდან რომ დავინახე, შემეცოდა: მოწყენილი იდგა და მელოდებოდა. ალბათ ფიქრობდა, რომ არ მივიდოდი... აღარც მახსოვს, რა მითხრა, ან სიტყვებს რა მნიშვნელობა ჰქონდა? — ყველაფერი იმ ერთ ნარცისში იდო... ძალიან ბედნიერი ვიყავი. თუმცა, მალე თბილისში ჩამოვედი და ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა... გამიმართლა — თბილისში ისევ იმ კლასში მოვხვდი, სადაც ჩემი ბაღელი და პირველკლასელი მეგობრები სწავლობდნენ. ჩემ უკან ერთი ბიჭი იჯდა, რომელსაც როგორც ამბობდნენ, მოვწონდი. მაგრამ ამას ცოტა უცნაურად გამოხატავდა ხოლმე — სულ თმაზე მქაჩავდა. სკოლაში კიდევ ერთი „პაკლონიკი“ მყავდა, ჩემზე ერთი წლით უმცროსი იყო. ზარი რომ დაირეკებოდა, მაშინვე ჩვენი კლასის კართან გაჩნდებოდა ხოლმე. ერთ დღეს, სქელი რვეული მომცა, მითხრა — წაიკითხე და

დამიბრუნეო. მაშინ ვერ კიდევ ყველა ჩემი ნამდვილი სახელით — ირინათი მიცნობდა. ის რვეული გავსებული იყო ჩემდამი მოძღვნილი ლექსებით, ყველას სათაური იყო „ირინა“. მგონი, იმ ბიჭს მართლა ვუყვარდი, მაგრამ ის რვეული რატომღაც არ მაჩუქა.

— მის მიმართ რაიმე გრძნობა არ გაგიჩნდა? ამდენი ლექსი უკარება გოგოსაც კი გაუღლებდა გულს...

— თავიდან, იმ ბიჭთან ვმეგობრობდი, მაგრამ როცა გავიგე, რომ მოვწონდი, მასთან ყველანაირი ურთიერთობა გავწყვიტე.

— პირველად პაემანზე როდის წახვედი?

— ხუთიოდე თვის წინ, ტელეფონით ერთი ბიჭი გავიცანი. დიდხანს მთხოვდა, შევხვედროდი. მეც ყელში ამომივიდა ტელეფონით საუბარი. ვიფიქრე — იქნებ, კოჭლია ან პრინცია, ხომ უნდა გავიცნო-მეთქი?! ერთ დღეს სტუმრად ვიყავი წასული. მომინდა იმ ბიჭის გაცნობა, დავურეკე და ვუთხარი — ამა და ამ მისამართზე მოდი-მეთქი.



გული მწყდება, რომ ჩემ გარშემო მყოფი ყველა ბიჭი ჩემი მეგობარია, მინდა, შეყვარებული მყავდეს

მოვიდა. კარგი ბიჭი აღმოჩნდა. ახლა ვმეგობრობთ.

— რატომ მოხდა, რომ თქვენი ურთიერთობა მხოლოდ მეგობრობით შემოიფარგლა?

— რატომღაც ასე მოხდა. მაგრამ მიხარია, რომ მეგობრობით გავრძელდა და საერთოდ არ დამთავრდა. მან ერთხელ ძალიან ლამაზი სიურპრიზი მომიწყო — უზარმაზარი სათამაშო ძალღი მარჩუქა. თუმცა, როგორც გითხარი, ჩვენ დღეს ვმეგობრობთ. ახლა რომ ვფიქრობ,

გული მწყდება, რომ ჩემ გარშემო მყოფი ყველა ბიჭი ჩემი მეგობარია, მინდა, შეყვარებული მყავდეს და ლამაზი სიურპრიზებს მიწყობდეს ხოლმე.

— ქართულ ესტრადაზე სექსუალური იმიჯი ერთ-ერთმა პირველმა დაამკვიდრე. ამან თავიანისმცემლები შეგმატა?

— მინდა გითხრა, რომ ეს იმიჯი მე თვითონ არ შემიქმნია. ამაზე ჩემმა პროდიუსერმა იზრუნა. ვერ გეტყვი, ეს იმიჯი მომწონს-მეთქი. ბევრი ჟურნალისტი მეუბნება — სცენაზე რა სექსუალური ხარო!.. — და ჰგონიათ, რომ ამით შეურაცხყოფას მაყენებენ. მაგრამ ეს ჩემთვის ყველაზე დიდი კომპლიმენტია. სექსუალობასთან დაკავშირებულია ყველანაირი სილამაზე. მერლინ მონროც ხომ ძალიან სექსუალური იყო!.. ბევრი ჯორი მსმენია ჩემზე. ზოგი ამბობს — მკერდი სილიკონით გაიდიდა, ტუჩები დაიბერა, ზოგი — ჯენიფერ ლოპესის მსგავსად, უკანალი გაიდიდაო. მე ამ ყველაფერზე ძალიან მეცინება ხოლმე. რა თქმა უნდა, სექსუალურმა იმიჯმა თავიანისმცემლებიც შემძინა. ზოგიერ-

თი მათგანი მომაბეზრებელიც კია, მაგრამ საბოლოო ჯამში ხომ იმიტომ ვმღერი, რომ ხალხის სიყვარული მოვიპოვო?!.

— ვინმე ძალიან რომ შეგიყვარდეს და გითხრას — ან მე, ან სიმღერაო! — როგორ არჩევანს გააკეთებ?

— ალბათ, ბიჭს ავირჩევ. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვფიქრობ. მერე შეიძლება აზრიც შემეცვალოს...

გახლდათ. დარია აბაშიძე და მისი და მარია XIX საუკუნეში ცნობილი კრიტიკოსის კატა აბაშიძის და პოეტ გრიგოლ აბაშიძის მამილები იყვნენ... ჩემს წინაპრებზე გაუთავებლად შემოძლია ვისაუბრო... წერეთლების გვარის შესწავლის შემდეგ, ჩემს ახლობლებს გაუჩნდათ სურვილი, თავიანთი დედებისა და ბებების გვარების წარმომავლობა დაეფინათ. ერთმა გვარმა მეორე გვარის ისტორია შემასწავლა, მეორემ – მესამე და ასე, 25 წელია, ამ საქმეს ვაკეთებ. ძალიან კმაყოფილი ვარ, ამ ღირსეული საქმით რომ ვარ დაკავებული და სხვადასხვა გვარის წევრებისთვის სარგებლობა მომაქვს.

— თქვენი საქმიანობისას, რაიმე წინააღმდეგობა ხომ არ გხვდებოდათ ხოლმე?

— არ შემოძლია არ აღვნიშნო, რომ გვარების ისტორიების შესწავლისას, ვაწყდებით ფაქტებს, როდესაც ზოგიერთი ავტორი არასწორად აშუქებს ამა თუ იმ გვარის წარმომავლობას, არადა, ამ მონაცემებს შემდეგ სხვები იყენებენ წყაროდ. როდესაც ბევრ ისტორიულ გვარს, რომლის წარმომადგენლებმაც დიდი როლი შეასრულეს საქართველოს ისტორიაში, პირადი მოტივით ჩრდილს აყენებ, არაფ-

რით გამორჩეულს კი განადიდებ, — ეს ხომ ისტორიის გაყალბებასა და ყველაფრის თავდაყირა დაყენებას ნიშნავს. ასეთ ხალხს ჩვენი საზოგადოების წარმატებული საქმიანობა აღიზიანებს, ისინი ყველანაირად ცდილობენ, ჩვენს საქმიანობაში ხელი შეგვიშალონ და ჩვენი ავტორიტეტი შელახონ.

— მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, ალბათ, ბევრი გეგმაც გაქვთ...

— საქართველოში სულ 25000-მდე გვარია. ჩვენმა საზოგადოებამ ჯერ 248 გვარი შეკრიბა. ასე რომ, სამუშაო ბევრი გვაქვს. გამიზნული გვაქვს ჩვენ მიერ შეკრიბილი გვარების ისტორიის გამდიდრება ახალ-ახალი მასალებით, მათი დახვეწა და ერთ დიდ წიგნად გამოცემა. სურვილი გვაქვს აგრეთვე, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც ჩავაბათ ჩვენს საქმიანობაში. ჩვენს ორგანიზაციასთან არსებობს ერის გამრავლებისა და დაოჯახების ხელშემწყობი განყოფილებაც, რომელიც გაუთხოვარი და დაუოჯახებელი ადამიანებისთვის შეხვედრა-საღამოების მოწყ-



გამყრელიძეების გვარის შეხვედრა

ობას გეგმავს. ამ საღამოებზე თითოეული ახალგაზრდის მონაცემს წავიკითხავთ და თუ მათგან 10 მარცხი დაოჯახდება, ესეც კარგი საქმე იქნება. ჩვენს ორგანიზაციას არანაირი დაფინანსება არა აქვს. ყველა შეხვედრას გვარის წარმომადგენლები თავად აფინანსებენ. ქველმოქმედი ადამიანების იმედი გვაქვს... გარდა ამისა, ჩვენთან „საგვარეულო დარბაზიც“ არსებობს. ამ დარბაზის წევრი, ყველა საგვარეულო კავშირია. ჯერ დარბაზის სხდომა არ ჩატარებულა. როცა 300-მდე საგვარეულო კავშირი ჩამოყალიბდება, მაშინ ჩავატარებთ საგვარეულო დარბაზის შეკრებას.

ყოველი ქართველი თავისი ვიწრო სამყაროში ვიწროვდება

კვირისმგომ ქვეყნისთვის მაცოცხლებელი

საქვეყნოდ ცნობილი მკურნალი, ბიოენერგოთერაპევტი ელა მუჟაია, რომელსაც გულზე წმიდა ნინოს გვარი აქვს გამოსახული, უამრავ ადამიანს მოველინა მხსნელად. ფერომენალური ნიჭის წყალობით, იგი პაციენტის ბიოველიდან ნებისმიერ ინფორმაციას იღებს. წინაპართა ცოდვებით დაწყებული, ორგანული დარღვევებით დამთავრებული. ქალბატონი ელა მუჟაიას უმძიმეს კარმულ და ჯადოს ზემოქმედებით გამოწვეულ ავსტიკურ დაავადებებს, რომელთა წინაშეც ტრადიციული მედიცინა უძლურია.

— როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისგან ორგანული და ენერგეტიკული დაავადებები?

— არის შემთხვევები, როცა მაგალითად, კუჭის წყლულს იწვევს არა ორგანული დარღვევა, არამედ ენერგეტიკული ზემოქმედება ანუ ერთი და იმავე დაავადების გამომწვევი მიზეზი, ზოგჯერ სხვადასხვაა. როცა საქმე გვაქვს ორგანულ დარღვევასთან, პაციენტი ქიმიური პრეპარატებით იკურნება, მაგრამ თუ დაავადების მიზეზი კარმულია (სხვა ინკარნაციაში ან წინაპართა მიერ ჩადენილი ცოდვები), ან ავსტიკური — ჯადოს ზემოქმედებით გამოწვეული, ბუნებრივია, ტრადიციული მედიცინა ვერაფერს გასდებს. ჩემთან მოდიან პაციენტები, რომლებმაც წლების განმავლობაში უშედეგოდ სვეს ქიმიური პრეპარატები, რამაც მათი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

— როგორ ადგენთ ენერგეტიკულ დაავადებათა გამომწვევ მიზეზებს?

— ადამიანის ბიოველიდან ნებისმიერი ინფორმაციის მოხსნა შემიძლია. ენერგეტიკული მეთოდით ვაღვენ, დაავადება კარმულია თუ ავსტიკური, ვანიეტრალეზ უარყოფით პროგრამებს,

მაგენ ენერგეტიკას. პაციენტის დაბინძურებული აურა იწმინდება, თუ არა, შესაბამისად, დაავადების გამომწვევი მიზეზიც ქრება და სენი იკურნება. ნებისმიერი დაავადება შედეგია, სანამ მიზეზი იარსებებს, მას ვერ დავამარცხებთ. ზოგჯერ მაგენ ენერგეტიკული ზემოქმედება მძიმე ფსიქიკურ დარღვევებსაც იწვევს. ასეთ პაციენტს, რა თქმა უნდა, ექიმები ვერ განკურნავენ... ამას წინათ, უშვილო ქალბატონმა მთხოვა დახმარება. ცოლიცა და ქმარიც ფიზიკურად ჯანმრთელები არიან, მაგრამ ბავშვი არ უჩნდებათ. კარმა დავათვალიერე და ენერგეტიკული მეთოდით ინფორმაცია მოვსენი მათი წინაპრების ფოტოებიდან — უშვილობის მიზეზი საგვარეულო წყევლა აღმოჩნდა... კარმა ჭაობია, რომელიც ადამიანს ითრევს, სწორედ კარმული დარღვევების გამო რთულდება ურთიერთობა ოჯახის წევრებს შორის. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოლიაქური შეუთავსებლობის გამოც უამრავი პრობლემა იჩენს ხოლმე თავს ახლო ნათესავებში — მშობლები ვეღარ ეგუებიან შვილებს ან პირიქით, ცოლი ქმარს ვერ იტანს და რძალი — დედამთილს. წინასწარ ვაძლევთ რჩევებს ორსულ დედებსა და შეყვარებულ წყვილებს, რათა ოჯახი არ დაენგრეთ ახალგაზრდებს. სხვათა შორის, მიზნისმიერად თივალისწინებენ პროფესიულ რჩევებს პარტნიორებთან ურთიერთობაში. კარმის გაწმენდა ჯადოს მოხსნა და ენერგეტიკული დაცვის გაკეთება დროულად უნდა მოხდეს, რათა მაგენ ზემოქმედება ენერგეტიკულ დაავადებებში არ გადაიზარდოს.

P.S. საკონტაქტო ტელეფონები: 53.57.06; 899.18.15.61. მისამართი: დიდი დიდმის III მიკრორაიონი, III კორპუსი, IV საღარბაზო, I სართული.



R

კვირის (18-24 ოქტომბერი)

პირი - 21/III-20/IV

ქალი: ყურადღებით მოეკიდეთ საქმიან ქაღალდებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესმენი ბრძანდებით. „არ არსებობს უმნიშვნელო დეტალი!“ – აი, ამ ლოზუნგით იხელმძღვანელებთ და შეცდომას არ დაუშვებთ.

მამაკაცი: მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად ამ კვირაში ყველაზე კარგი დღე პარასკევაა. თუ ჯიბის სისქემ შეგაწუხათ და მისი შეთხელება გადაწყვიტეთ, პარასკევს დახარჯეთ. სხვა დღეებში მომჭირნება გამოიჩინეთ.

პერი - 21/IV-21/V

ქალი: ძალა მოიკრიბეთ და პირველმა გადადგით ნაბიჯი განაწყენებული ახლობლისა თუ საყვარელი ადამიანის შემოსარიგებლად. სასურველი არ არის, ამ კვირაში ფული იხესხოთ ან გაასესხოთ.

მამაკაცი: თავი შეიკავეთ სონტანურად მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებისგან. უქმეები სამეგობროში ან ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

პარნეზი - 22/V-21/VI

ქალი: ჯობს, ამ კვირაში თავი არიდოთ მეგობრებისთვის რჩევის მიცემას. ისინი მინც ისე მოიქცევიან, როგორც თვითონ მიაჩნიათ სწორად და ამით მხოლოდ მათთან ურთიერთობა გაგირთულებათ.

მამაკაცი: თქვენს გასაკეთებელ საქმეს სხვა ვერავინ გააკეთებს. ამიტომ მეტი აქტიურობის გამოვლენა გმართებთ. ენდეთ საკუთარ ინტუიციას და იყავით თავდაჯერებული.

პირნეზი - 22/VI-22/VII

ქალი: ეცადეთ, შინ ნაკლები დრო გაატაროთ. ამით ოჯახის წევრებთან შესაძლო კონფლიქტს მშვიდობიანად დააღწევთ თავს!..

მამაკაცი: ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას. ნუ გადადებთ ექიმთან ვიზიტს, თუ არ გინდათ, სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეთ.

სსპროლოგიური პროგნოზი

ლირი - 23/VII-23/VIII

ქალი: ნუ მიაქცევთ ყურადღებას ინტრიგებს, რომელთაც თქვენ გარშემო ხლართავენ. თავი დახარეთ და გულმოდგინეთ აკეთეთ თქვენი საქმე. ურიგო არ იქნება, თუ საკუთარი აზრის გამოთქმისგანაც თავს შეიკავებთ.

მამაკაცი: ყურადღებით დააკვირდით თქვენ გარშემო მყოფთ. ნუ გაიმეორებთ იმ ქცევებს, რომლებიც მათ მოქმედებაში არ მოგწონთ.

ქალწული - 24/VIII-23/IX

ქალი: გამოიჩინეთ პრინცი პულაბა. გვერდიდან შეხედეთ საკუთარ თავს და სწორად განსაზღვრეთ, თუ რა ადგილი გიკავიათ საზოგადოებაში.

მამაკაცი: ერთმა მოხერხებულად ნათქვამმა კომპლიმენტმა შესაძლოა, მთელი თქვენი ცხოვრება შეცვალოს. თქვენზე მხოლოდ ერთი რამაა დამოკიდებული – სწორად განსაზღვროთ, თუ ვის უნდა უთხრათ ლამაზი სიტყვები.

სანსერი - 24/IX-23/X

ქალი: ეცადეთ, ისეთი ადამიანების გარემოცვაში აღმოჩნდეთ, რომელთაც კარგად ესმით თქვენი – დალილი ხართ და დასვენება გჭირდებათ. ამ კვირაში, მაქსიმალურად ასიაძოვნეთ საკუთარ თავს.

მამაკაცი: აუცილებლად უნდა მოხდეს რაღაც სიახლე, თორემ, ერთფეროვანი ცხოვრების საშიშროების წინაშე დგახართ. დაიწყეთ სპორტის რომელიმე სახეობაში ვარჯიში, გააბით ფლირტი, შეიცვალეთ ცხოვრების სტილი და დატკბით მიღწეული შედეგით.

ღიბნალო - 24/X-22/XI

ქალი: ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება იმდენად, რომ გვერდზე გადადოთ საქმე, რომელზეც თქვენი მატერიალური მდგომარეობაა დამოკიდებული. თქვენი ერთუზიანში გადაძვება და ყველას მუშაობის ხალისს მატებს. ამიტომ ნუ გაუცრუებთ იმედს ხელმძღვანელობას.

მამაკაცი: ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოზღვაებას იგრძნობთ, მაგრამ ნუ შეშინდებით, კარგი ექიმისა და მარტივი დიეტის შემთხვევით, მათ იოლად გაუმკლავდებით.

მეზოდონი - 23/XI-21/XII

ქალი: იყავით კეთილი და გულმოწყალე. ამ კვირაში რასაც გასცემთ, ორმაგად დაგიბრუნდებათ უკან. ამიტომ კეთილი საქმეების საკეთებლად მოემზადეთ. ბრძალ ნუ ენდობთ სხვების რჩევას.

მამაკაცი: ოჯახსა და საზოგადოებაშიც თქვენი სტატუსით აბსოლუტურად კმაყოფილი ხართ და ფინანსური საქმეებიც კარგად მიგდით. მაგრამ გირჩევთ, ზედმეტად ენაწყლიანი ნუ იქნებით და რაც არ გინდათ, რომ სხვებმა იცოდნენ, მეგობრების წრეშიც კი არ თქვათ.

თხის რქა - 22/XII-20/I

ქალი: ამ კვირაში კოლეგები თქვენს პროფესიონალიზმს შეაძინებენ, აღფრთოვანებული დარჩებიან თქვენი ნიჭიერებითა და ახალ-ახალი იდეებით. სასიყვარულო ურთიერთობებში სიახლე გელით. მზად იყავით ახალი გატაცებისათვის.

მამაკაცი: ეჭვიანობა მრჩევლად არ გამოგადგებათ. ამიტომ მოუხმეთ გონიერებას და სანამ ვინმეს რამეში ბრალს დასდებთ, კარგად დაფიქრდით.

პირნეული - 21/I-19/II


ქალი: შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ შინ და ოჯახის წევრების პრობლემებით დაინტერესდეთ – მათ თქვენი ყურადღება სჭირდებათ. სამსახურში კარგად შესრულებული საქმისთვის ამ კვირაში ქებას დაიმსახურებთ.

მამაკაცი: დიდი სიფრთხილე გმართებთ. დაიცავით უსაფრთხოების წესები, თუკი თქვენი საქმიანობა მექანიკურ ან ელექტრომომწოდებლობებთან არის დაკავშირებული. იზრუნეთ ახალი საქმის წამოწყებაზე.

თეზეზი - 20/II-20/III

ქალი: ზოგჯერ საჭიროა, ოჯახში თქვენი პოზიციების გამყარებაზე იზრუნოთ. ახლა სწორედ ამის დროა. კარგად მოიფიქრეთ – რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ ახლობლები მეტი პატივისცემით მოგაპყრონ.

მამაკაცი: გეჩვენებთ, რომ ვიღაც ყოველთვის, თქვენს მოტყუებას ცდილობს. დროა, გათავისუფლდეთ მტანჯველი ეჭვებისგან, რადგან თუ ასე გაავრძელებთ, ახლობლებს გაანაწყენებთ.



					ერთკუ- ზიანი აქლემი	მ	ერთგვარი ავსტრა- ლიური ხელიკი	მუსლი- მანთა კულტის მსახური	მ	სასოტბო ლექსი	პრეზიდ- ენტის ადგილსა- მყოფელი	ა		
	მ	ზ	მ	მ	ა	ზ	ა	ზ	ა	მ	ზ	ი		
ა	ვილი- ნოს წინაპარი	ზ	მ	ზ	ა	ზ	ა	მ	ა	მ	ა	ნ		
ა	ი	მ	ზ	ა	გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური	ც	ზ	მ	ი	ი	ბ			
ი	ტ	ნ	ა	ზ	მ	ი	ი	ბ						
ზ	ა	ი	ჩხეხეთის დედა- ქალაქი	ა	ა	ნ	ზ	ა						
სიმები- ანი მუს- ინსტრუ- მენტი	რაიმე ღარგში სიახლის შემტანი	ნ	მვირფასი ქვა	ზ	ვაზის მწკრივი	„ბიბლი- ის“ ათი მცნება	გველ- ეშაპი	ზღაპ- რული ცხენი	ბამბუკის ღათვი	გერმა- ნელი ფილო- სოფოსი	ა	სიკვილი- ისწინა მღგო- მარება		
ი	ბ	მ	ზ	ა	ა	ა	ზ	ა	კ	მ	ნ	ი		
ა	ი	ბ	ი	ზ	მ	ზ	სახელმ- წიფო სამხრეთ ამერიკაში	ა	ზ	ზ	ა	ც	ლიმონის გამხმარი კანი	
ი	ტ	ა	ზ	ი	ა	ი	ზღვის მეკობრე	ი	მ	ი	ნ	ზ	ი	ფ
ზ	ა	ტ	ი	ერთგ- ვარი ნაყინი	ა	ს	კ	ი	მ	მ	ი	აპო- ნური თეატრი	ა	აბრა
პლატონის ფულის ერთეუ- ლი	ზ	მ	იაზონის ხომალდი	ა	ზ	ბ	მ							
გიგანტური სორთუ- მიანი ცხოველი	ა	ზ	მ	ზ	ფ	მცენა- რეთა სამყარო	მ							
ს	საარჩევნო ყუთი	ი	ნ	მ	ი	ზ	ა							
ა	ა	ლენონის ქვრივი	მ	ბ	ზ	გარი- ურაჟი	კოტე მარჯან- იშვილის ფილმი							
ი	ზ	მ	ნ	მ	ზ	სისხლის გამძემი	ა							
ზ	ნ	ბ	მროხის ნაშიერი	ბ	ი	ზ	ი							
მ	ა	ს	ბუსუ- სები ქსო- ვილზე	მსახიობი ... კალან- დაძე	ექსკუ- რსია- მძლოლი	შიშველი სხეული ხელოვნ- ებაში	ნ							

26-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ა.



გაგონებები უკმაყოფილოდ მოსწავლეებს

უმძლავრესი ხმის პაგრონი

ახალგაზრდა ტენორმა ენრიკო კარუზოს წინაშე თავის მოწონება სცადა:

– ხომ ნახეთ, რა ძალუმად ჟღერდა გუშინ საღამოს ჩემი ხმა? მან მთელი დარბაზი მოიცვალა...

– კი, ნამდვილად ასე იყო, – „დაუდასტურა“ გამოჩენილმა მომღერალმა, – ჩემი თვალთ ვნახე, რომ მთელი მაყურებლები პანტაუნტით ტოვებდნენ დარბაზს, რათა თქვენი ხმისთვის დაეთმოთ ადგილი...

კონდუქტორის არითმეტიკა აინშტაინისათვის

მეცნიერი ტრამვაიში ავიდა და ჩვეულებისამებრ, კითხვა დაიწყო. შემდეგ, ისე, რომ კონდუქტორისთვის არც შეუხედავს, ხელი ჯიბეში ჩაიყო და სურდა გაუწოდა.

- ეს საკმარისი არ არის, – ჩაიბურტყუნა კონდუქტორმა.
- შეუძლებელია, – მიუგო აინშტაინმა და კითხვა განაგრძო.

– მე კი გეუბნებით, – ბილეთის ფასს აკლია-მეთქი. აინშტაინმა უკმაყოფილოდ გააქანა თავი, ამიტომ გაბრაზებულმა კონდუქტორმა დაუკონკრეტა:


- აი, დაითვალეთ: აქ 15 პენინგია – ე.ი., 5 პენინგი აკლია. აინშტაინმა კვლავ ჩაიყო ხელი ჯიბეში და იქ მართლაც, კიდევ ერთი მონეტა დახვდა; ამოიღო და გაუწოდა. კონდუქტორმა გაუღიმა და „დაამშვიდა“:
- არა უშავს, ბაბუ! თავის დროზე, არითმეტიკა უნდა გეისწავლა.

მორიგი რეისი... სცენაზე

ლონგერინის პარტიის პირველმა შემსრულებელმა იოზეფ ტინაჩეკმა ერთხელ, ისე მოხდენილად იხუმრა, რომ საშუალოდ დარჩა თეატრალური კურიოზების ისტორიაში. ის კულისებს მიღმა იდგა. სცენაზე გედიახი ნავით უნდა გასულიყო. მაგრამ ისე მოხდა, რომ სცენის მუშამ საჭიროზე ადრე გაუშვა გედი და სცენაზე ცარიელი ნავი გაცურდა. მომღერალი მუშას მიუბრუნდა და მშვიდად ჰკითხა:

– ერთი მითხარით, გეთაყვა, როდის გადის მორიგი ნავი?..

– რამ გაგაშავათ? რაია, დეიხრუკა რამე?..



გატლკეილ იმერელს სუფრასთან ღამაში ქალი ეკითხება:

– გიტარაზე უკრავთ?

– არ მიცდია, ქალბატონო, თვარა, დოუუკრავ კი არა, მეტს ვიზამ?!

– ჭიჭიკია, გუშინ მაგიდაზე შემწვარი წიწილა რომ დავტოვე, რა იქნა?

– ინერეიულა და ა! ...ვერ ხედავ, ცარიელი ძვალი და ტყავი დარჩა!..

სვანი ქალი აღსარებაზე მივიდა.

– მამაო, ცოდილი ვარ... – ეუბნება ქალი.

– რა შესცოდე, შვილო ჩემო? – ეკითხება მღვდელი.

– გათხოვება მინდა.

– ქალწული ხარ, შვილო ჩემო?

– არა, მამაო, კირჩხიბი!

მიხომ შვილი ზოლ-პარკში წაიყვანა. შვილმა ორი ვირი დაინახა და ეკითხება:

– მამი... ამათგანა მამა რომელია?

– ჯოო... უკვე დროა იცოდე, მამა ყოველთვის დიდი ვირია...



მიხო და მარო ზღვაზე წავიდნენ დასასვენებლად. მეორე დღეს პლაჟზე მიხოს ქალების თვალღერებისგან კისერი მოღვრიცხება და მარო სულ გადაავიწყდება...

– მიდი, მიხო, მიდი... აქ შავიძლია მადა გაიძლიერო, სულერთია, ჭამა მინც სახლში მოგიწევს...

– აღარ შემიძლია... ქმარს უნდა გავშორდე.

– რატომ, ნაზიკია?

– რაც დეპუტატი გახდა, ყოველ საღამოს დადგება ჩემს საწოლთან და მიყვება, რა კარგი სექსი გვექნება...

შალიკამ კახელ ხელოსანს ტელევიზორი მიუტანა და ეუბნება:

– ხმა კი აქვს მარა... რაცხა დამწვრის სუნს უმობს და გამოსახულებაც არა აქვს.

– წაიღე აქედანა, ჯოო... ეგა უკვე ტელევიზორი კი არა კუილი ყოფილა...

თბილისი-ოზურგეთის მატარებლის კუპეს კარს, სადაც სამი ზანგი ტურისტები ზის, გურული აღებს.

ანეკდოტები

კომპლიმენტები თანამედროვე მამაკაცს:

- რა ღამაში ვერის პომდა გაცხიათ პერანგზე.
- რა შეუმწევლად ათვალერებთ ქალებს.
- ისეთი ხარბი თვალებით მიყურებთ, თითქოს უკვე მიშველი ვიყო.
- რა ღამაში მანქანის გასაღები გაქვთ.
- რა სასიამოვნო სუნი უდის თქვენს ფულს.

საახალწლო სუფრასთან:
– რატომ ხუჭავ თვალს, როცა ჭიქა პირთან მიგაქვს?
– ცოლს შევპირდი, ჭიქისკენ აღარ გავიხედავ-მეთქი.

ერთი გურული ეუბნება მეორეს:
– რავა გამიხურა თავი ამ არაყმა?!
– ას გრამ ჭკვას რომ სამას გრამ არაყს გადაასხამ, აბა, რა მოვივა, მამა?!

გემი ბრუნდება შორეული ნაოსნობიდან. ერთ-ერთ მეზღვაური ცოლს წინასწარ უგზავნის დეპეშას: „ექვსი თვეა, სექსის გარეშე ვცხოვრობ. შენს ინტერესებში შედის, მოხვიდე ნავსადგურში და პირდაპირ ტრაპთან დამხვე“.

მეზღვაურმა მიიღო პასუხი: „ექვსი თვეა, სექსის გარეშე ვცხოვრობ. შენს ინტერესებში შედის, ტრაპიდან პირველი ჩამოხვიდე“.



ოჯახური კერა თუ კარიერა?

თუკი ამჟამად თქვენ არჩევანის წინაშე დგახართ და ვერ გადაგიწყვეტიათ, მუშაობა დაინწყით თუ დიასახლისობა არჩიოთ და ოჯახურ კერას მიხედოთ, ეს ტესტი დაგეხმარებათ ამ საკითხის გარკვევაში. უკვე მომუშავე ქალებს კი, ტესტის მეშვეობით საკუთარ შინაგან მოწოდებაში გარკვევა გაუადვილდებათ.



1. უცნობი ადამიანებისადმი როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

- ა) სიმპათიით ხართ განწყობილი;
- ბ) აბსოლუტურად გულგრილად ეკიდებით მათ;
- გ) მტრული განწყობა გაქვთ.

2. თუკი სწორედ იმ დროს, როცა საქმიანი შესვენება გაქვთ დანიშნული, თქვენი შვილი ავად გახდება, თქვენ:

- ა) ბიულეტენზე გახვალთ და შეხვედრას გადაღებთ;
- ბ) ვინმეს შეუთანხმდებით, რომ საქმიანი შეხვედრის დროს ბავშვს მიგიხედვით;
- გ) ცოტა ხნით ბავშვს მართო დატოვებთ.

3. რა დანიშნულებას გამოუძენით თქვენს ხელში მოხვედრილ საკმაოდ სოლიდურ თანხას?



- ა) შეიძინო უამრავ ლამაზ ნივთს;
- ბ) ბანკში ანგარიშს გახსნით და ამ თანხას იქ შეინახავთ;
- გ) აქციებს შეიძინოთ.

4. როცა არჩევანის წინაშე დგახართ:

- ა) სულაც არ გიჭირთ რისკზე წასვლა;
- ბ) რჩევას, როგორც წესი, ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ეკითხებით;
- გ) საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიანდობთ.

5. როგორი სამუშაო მოგეწონებოდა?

- ა) ისეთი, რომელსაც დიდი ტვინის ჭყელტა არ სჭირდება;
- ბ) ისეთი, სადაც მოულოდნელი შედეგების რიცხვი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი;
- გ) ისეთი, შემოქმედებითი მიდგომა რომ სჭირდება და გადაწყვეტილების მიღებამდე სიტუაციის კარგად აწონდაწონას რომ საჭიროებს.

6. როცა გიყვირიან, თქვენ:

- ა) ყვირილითვე პასუხობთ;
- ბ) ცდილობთ, თავი შეიკავოთ;
- გ) ცდილობთ, თავაზიანობა შეინარჩუნოთ.

7. პირობები რომ საშუალებას გაძლევდეთ:

- ა) არ იმუშავედით და სახლს და ოჯახს მიხედავდით;
- ბ) საზოგადოებრივ ასპარეზზე იმლავაწევდით;

გ) ამჯობინებდით, აქტიური საორგანიზაციო საქმიანობისთვის მოგეკიდათ ხელი.

8. საინტერესო და შემოსავლიანი საქმიანობას შორის არჩევანის გაკეთება რომ მოგიხდეთ, რას ამჯობინებდით?

- ა) საინტერესო საქმიანობას;
- ბ) შემოსავლიან საქმეს;
- გ) ინტერესის საგნად შემოსავლის ზრდას გაიხდიდით.

9. როცა არ იცით, თუ როგორ უნდა მოიქცეთ:

- ა) სათანადო ლიტერატურას გაეცნობით და პასუხს ამ გზით იპოვით;
- ბ) ოჯახის წევრებსა და ახლობლებს დაეკითხებით რჩევას;
- გ) გუნება-განწყობილების მიხედვით იმოქმედებთ.

10. როგორ ფიქრობთ, გამოუვალი მდგომარეობა:

- ა) არ არსებობს;
- ბ) არ უნდა გაშინებდეს;
- გ) საკმაოდ ხშირად იქმნება, მაგრამ თუკი ძალისხმევას არ დაიშურებთ, პრაქტიკულად ნებისმიერი სიტუაციიდან იპოვით გამოსავალს.

		დააჯამეთ ქულები									
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
„ა“		3	1	2	2	1	0	2	2	5	0
„ბ“		5	5	4	5	2	5	0	0	1	2
„გ“		0	3	0	0	4	3	5	4	2	5

ტესტის შედეგები

3-18 ქულა: თუკი მან გადაწყვიტა, რომ თავი ოჯახსა და შვილების აღზრდას მიუძღვნას, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არჩევანში არ შემცდარა. ის, ჩვენს დროში საკმაოდ იშვიათად არსებული — ოჯახური კერის მფარველის — ტალანტითაა დაჯილდოებული. სწორედ ეს გახლავთ ცხოვრების სფერო, სადაც ის თავს ზედმიწევნით კომფორტულად იგრძნობს.

19-34 ქულა: საკუთარი თავის პოვნა მას საკმაოდ უჭირს, რადგან არჩევანის შეჩერება არანაირ სამსახურზე არ შეუძლია! სამე-

ნარმეო ასპარეზზე საკუთარი ძალების მოხიზვა, შესაძლოა მისთვის ძალზე ხელსაყრელი აღმოჩნდეს. მისი ხასიათის თავისებურებების გათვალისწინება, იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ წარმატებას ის საორგანიზაციო საქმიანობასა და საწარმოს მოწყობის საქმეში მიაღწევს.

35-47 ქულა: სამეწარმეო საქმიანობა, საწარმოს ორგანიზება, მოლაპარაკებების წარმოება, საქმიანი პარტნიორების მოძიება — მისი სტიქიაა. ამ სფეროებში ის მაქსიმალურ წარმატებას მოიპოვებს და მიღწეულითაც კმაყოფილი დარჩება.

ბიჭი მატახების ქვეშ მოყვა

ბერლინელი 10 წლის ბიჭი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. სწორედ მისთანებზე იტყვიან, — ქულებდიანიაო.

სადგურ იორკშტრასეს პლატფორმაზე მდგარმა ბიჭმა უეცრად წონასწორობა დაკარგა და პირდაპირ ლიანდაგებზე დაეცა. ამ დროს მატარებელი უკვე სადგურს უახლოვდებოდა. ცხადია, მემანქანემ უცბად დამუხრუჭება ვერ შეძლო და სანამ მატარებლის მთელი შემადგენლობა გაჩერდებოდა, იმ ადგილს, სადაც ბავშვი ჩავარდა, რამდენიმე ვაგონმა გადაუარა. ხალხი საშინელების მოლოდინში გაირინდა — ყველა ფიქრობდა, რომ შემზარავი, სისხლიანი ტრაგედიის მომსწრე გახდებოდა, მაგრამ მათდა გასაოცრად და სასიხარულოდ, ბიჭი უვნებლად გადარჩა — ისე, რომ სხეულის სულ უმნიშვნელო დაზიანებაც კი არ მიუღია.

სადგურის თანამშრომელმა სანდრა კონცეტმა ეს ინციდენტი „ბენიერ შემთხვევად“ მონათლა და დასძინა, რომ ბიჭის ადგილას ზრდასრული ადამიანი რომ ყოფილიყო, მას გადარჩენის არავითარი შანსი არ ექნებოდა, რადგან მატარებელსა და რელსებს შორის სიმაღლე 20 სმ-ს არ აღემატება.



დამთვარიეხებებს გაშიშვლებას სთავაზობენ

ბრიტანეთში, უილშირის საგრაფოს პატარა ქალაქ სუილონში მოეწყო გამოფენა, სახელწოდებით — „სხეულის შტრიხები“, რომელიც მთლიანად შიშველ ნატურას მიეძღვნა. სამხატვრო გალერეის მფლობელი კევინ მანი, დამთვარიეხებებს სულ მთლად გაშიშვლებას სთავაზობს — რადგან დარწმუნებულია, რომ ამგვარად ისინი უკეთ აღიქვამენ და შეიგრძნობენ ნანახს. მანი, პოტენციურ მყიდველს, გაშიშვლების სანაცვლოდ, ნები-სმიერ სურათზე 25%-იან ფასდაკლებას ჰპირდება. თუმცა, სუილონის მცხოვრებთ მასპინძლის გულუხვობით ჯერჯერობით არ უსარგებლიათ. „აქაურები ჯერ ვერ მიეჩვივნენ სურათებისა და საერთოდ, ხელოვნების ნიმუშების შექმნას. მაგრამ მიუხედავად ამისა, უმიზეზოდ ფასდაკლებას არ ვაპირებ — მყიდველმა ეს უნდა დაიმსახუროს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ადამიანები, რომლებიც აქ მოვლენ, შეხედავენ სურათებს და იტყვიან: „მე მშვენიერი სხეული მაქვს და ვერ გამოვივა, რატომ უნდა დავმალო იგი...“, — ამბობს კევინ მანი.



ძალი ადამიანის მეგობარი



რუმინელ მამაკაცს, რომელსაც გულის შეტევა მოუვიდა, მხსნელად თავისი ოთხფეხა მეგობარი — 9 წლის ნაგაზი, სახელად მაქსი მოეწვინა.

იმ საღამოს აურელი შინ მარტო იყო. ის უკვე დასაძინებლად ემზადებოდა, როცა შეუძლოდ შეიქნა და „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება დააპირა, მაგრამ უცებ მკერდის არეში საშინელი ტკივილი იგრძნო და მოცულ-ილივით ძირს დაეცა. ტელეფონთან მისვლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო — აუტანელი ტკივილი მამაკაცს განძრევის საშუალებას არ აძლევდა. „უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და ძალს გავძახე: მაქს, ტელეფონი მომიტანე-მეთქი. თავი სიხმარში მეგონა, როცა დავინახე, რომ ძალმა კედელზე დაკიდებული ტელეფონის აპარატი ჩამოხსნა და ზედ ცხვირწინ დამიდო“, — ჰყვება იგი.

ამჟამად გამოჯანმრთელებული აურელი, რომელსაც ერთი სული აქვს, საავადმყოფოდან როდის გაწერენ, თავის ოთხფეხა მეგობართან შეხვედრის მოლოდინშია.

ქიხეგებმა პაციენტს სხეულში მავთუდი ჩაუტოვეს


ბელგიაში, ერთ-ერთ კლინიკაში, ექიმების უყურადღებობის გამო, პაციენტს, რომელმაც კუჭის ოპერაცია გაიკეთა, სხეულში 38-სმ სიგრძის ქირურგიული სპილენძის მავთული ჩარჩა. როგორც გაირკვა, მავთულის მოქანავე ბოლო ქალის მეუღლემ შეამჩნია და ყელიდან მისი მცირე ნაწილის ამოღებაც შეძლო.

შეშინებული ქალი თავის მკურნალ ექიმთან გაიქცა, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ქალს სხეულში მავთულის კიდევ საკმაოდ გრძელი მონაკვეთი ჰქონდა ჩარჩენილი. შედეგად, ქირურგებს ხელახალი ოპერაციის ჩატარება მოუხდათ.

ამჟამად უსაზღვროდ გოაცებულ ექიმებს ვერაფრით გაუვიდათ, რა ძალამ გადაარჩინა პაციენტი — მავთული გულთან ისე ახლოს იყო, რომ ქალის სიცოცხლეს ყოველ წუთას საფრთხე ემუქრებოდა.



ფოტოკუჩიოზები



ბ 32 / 38

№21(81) 14.X-27.X 2004

ოჯახის

მკურნატი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

თუ პატარას
უპრულობა
აწუხებს

ცხვირის კვილის
გამრუდება

როგორ
ვუნამლოთ
უბუნებობას

რატომ
გვიჩნდება
ნაოჭები?

მთავარი თემა:
**წელის
ტკივილი**

ფიგოთარაპია —
ყურძნის წვენი
ხველას დაბრუნებთ

ცხელ-ცხელი
აბაზი
ჰიპერტონიაზე

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის